იოსებ სიბოშვილი



საუკუნის ნუკვლა

(რომანი)

იოსებ სიბოშვილი

სათუნის წყევლა

(რომანი)

გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი 2021

რომანში გადმოცემულია XVIII საუკუნეში ქართლ-კახეთის სამეფოში მიმდინარე მოვლენები. მამა-შვილის, თეიმურაზ და ერეკლე მეფეების ბრძოლა ოსმალების, სპარსელების, ლეკების წინააღმდეგ და მათი თარეშის ასალაგმად რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბების მცდელობა.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება არის გამახვილებული იმდროინდელ საქართველოში მოქმედ რელიგიურ ურთიერთობებზე. ავტორი ისტორიულ წყაროებზე, საერო და საეკლესიო გადმოცემებზე დაყრდნობით საფუძვლიანად განიხილავს ანტონ კათოლიკოსის და ზაქარია ხუცესის დამოკიდებულებას კათოლიკური და მონოფიზიტური სარწმუნოების მიმართ, რამაც საბოლოოდ განადგურების პირამდე მიიყვანა, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობა, ასევე მართლმადიდებლური ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია.

ამასთან მკითხველს ეძლევა საშუალება, ნაწარმოების გაცნობის შემდეგ, თვითონ გამოიტანოს დასკვნა, თუ ვის მიუძღვის ბრალი ჩვენი სახელმწიფოებრიობის განადგურების საქმეში და რა არის გასაკეთებელი, რომ მოგვეხსნას საუკუნის წყევლა.

რედაქტორი
მანანა გორგიშვილი

მხატვარი
თეა ბუზარიაშვილი

დამკაბადონებელი
თამარ ტყაბლაძე

ISBN 978-9941-498-12-1

ქვეყნის ძლიერების ბალავარი

ყოველი ახალი წიგნის დაბადება მეტად მნიშვნელოვანია ავტორისთვისაც და მკითხველისთვისაც, რადგან, როგორც შოთა ნიშნიანიძე წერდა: „უქაღალდოდ არ არის წიგნი, უწიგნოდ არ არის მწერლობა, ხოლო უმწერლობოდ არ იქნება ერი...“ და დღევანდელ სიტუაციაში, როდესაც უამრავი წიგნი იბეჭდება, მაინც სასიხარულოა ახალი წიგნის დაბადება, განსაკუთრებით თუ ის ისტორიული რომანია, რადგან ქართველი მკითხველი ამ ჟანრის ახალი ნაწარმოებებით არ არის განებივრებული. ახლა თქვენს წინ სწორედ ასეთი წიგნია, იოსებ სიბოშვილის ახალი რომანი „საუკუნის წყევლა“. ისტორია ხომ ერის მეხსიერება და ქვეყნის ძლიერების ბალავარია. ხოლო ყოველი ისეთი წიგნი, სადაც წინაპრების შესახებ არის მოთხრობილი, როგორც აკაკი წერეთელი წერდა: „ყოველი ხალხისთვის ძვირფასი განძია, როგორც მტკიცე საძირკველი მისის ისტორიისა და უტყუარი სარკე მისი წარსული ცხოვრებისა“. ხოლო ვაჟა-ფშაველამ კი გვითხრა, რომ „ისტორია იმდენად წარსულისთვის არ იწერება, რამდენადაც აწმყოსათვის, აწმყო ცხოვრებისათვის. იგი გვაფრთხილებს შეცდომისაგან და გვაქეზებს კეთილისაკენ“. რატომ დამჭირდა ყველა ამ გენიალური გამონათქვამის მოყვანა... ამბავი, რომელიც ამ წიგნშია მოთხრობილი მე-18 საუკუნეში ხდება, ჩვენთვის სათაყვანებელი მეფის, ერეკლე მეორის, პატარა კახის შესახებ გვიამბობს ავტორი... და აქვე ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება უნდა მოვიყვანო: „საჭიროა ხალხმა იცოდეს

თავისი წარსული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია... უნდა იცოდეს, რასაკვირველია, უტყუარი, ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული, ყალბი“.

დიახ, სწორედ ასე გაუზვიადებლად, ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით გვიამბობს იოსებ სიბოშვილი იმ ეპოქის ამბებსა და მოვლენებს, რომლებიც დღემდე საკამათო და გაურკვევლია... ერის მამა, ილია ჭავჭავაძეც ხომ ამას გვეუბნებოდა: „ისტორია იმითაა დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცდომილებას, მასთანვე გვასწავლის ჭკვასა, როგორ უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნებოდა, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ“.

და ბოლოს, უფრო მეტი სიცხადისთვის ავტორისავე სიტყვებს მოვიშველიებ: „...ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ საქართველოს და ქართველებს უფალი არ გაწირავს ქვეყნის აღსასრულამდე თუ, რა თქმა უნდა, მისი მცნებების აღმსრულებლები ვიქნებით. ჩვენი წინაპრების მიერ ღმერთის წინაშე ჩადენილი ცოდვების გამო, ზეციდან დაშვებული სასჯელი არასდროს არ მოგვეხსნება თუ მთელმა ერმა არ მოვინანიეთ და არ შევღაღადეთ უფალს, რათა მოგვიხსნას ეს საუკუნის წყევლა... მაშინ გაბრწყინდება არა მარტო ბივრიტის თვალი, არამედ სრულიად საქართველო, ამენ!“

დარწმუნებული ვარ, ქართველი მკითხველი სათანადოდ შეაფასებს იოსებ სიბოშვილის ისტორიულ რომანს „საუკუნის წყევლა“ და მას ჩვენს წიგნის თაროზე კუთვნილ ადგილს მიუჩენს.

მანანა გორგიშვილი

ნაწილი პირველი

I

გამარჯვებული მამა-შვილი, მეფე თეიმურაზი და მეფე ერეკლე თელავის სასახლეს ამალის თანხლებით მიადგნენ. ფართოდ გაიღო ბატონის ციხის ჭიშკარი, მეფეები ჩამოხდნენ ცხენებიდან და სასახლეში შევიდნენ. ციხის ეზოში და გალავანთან გამარჯვებულ ქართველთა საზეიმო შეძახილები ისმოდა:

- დღეგრძელი იყოს მეფე თეიმურაზი! ...

- გაუმარჯოს პატარა კახს - მეფე ერეკლეს! ...

- სამშობლოს არავის დავუთმობთ, სანამ პირში სული გვიდგას! ...

- ნურსალ-ბეგის[1] თავზე კვლავ გაიელვა ავმა მუსაიფმა[2] - ერეკლეს ხმალმა! ...

სასახლიდან თეიმურაზ მეფის კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი გამოვიდა, სასახლის მოურავი იხმო და უთხრა:

- მეფეებმა მეომრებისთვის და ხალხისთვის საზეიმო ტრაპეზის გაშლა ბრძანეს. ყველაფერი უხვად და ბარაქიანად მიართვით ერსაო! აბა, შენ იცი! მიხედე საქმეს

1 ნურსალ-ბეგი - ავარიის ხანი დაღესტანში
2 ავი მუსაიფი - წარწერა ერეკლე მეფის ხმალზე: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.

და, რომ გაამზადებ, მორჩილი გამომიგზავნე, ვაკურთხებ ტრაპეზსა!

სულ მალე სასახლის მარნისა და საოსტიგნოს[3] გვერდით სახელდახელოდ გაწყობილ ზედადგარებზე მოთუხთუხე ხორცწვენისა და ყაურმის მადისაღმძვრელი სუნი დატრიალდა. ცეცხლფარეშები წალმის კონებს აყრიდნენ აბრიალებულ ცეცხლს და სამწვადედ ამზადებდნენ. მოურავი კი დამდგარიყო საოსტიგნოს კართან და შიგნით მოფუსფუსე ოსტიგანს[4] გასძახოდა:

- ბიჯო სესე! ბლომად წამაიღე ყველაფერი, შენებურად არ იწუწკო, თორემა ხომ იცი, ერეკლეს ხმალი ურჯულოს გარდა წუწურაქებსაც ვერ იტანს! ხალხი კარგად უნდა დავაპუროთ! ... აბა, შენ იცი, მეორედ აღარ მამიყვანო აქა!

ქართველებს მართლაც საზეიმოდ ჰქონდათ საქმე. ეს იყო საქართველოს გადარჩენის დღე. დედა ღვთისამ კიდევ ერთხელ გადააფარა თავისი მადლიანი კალთა თავის წილხვედრს და კახეთი, როგორც სრულიად საქართველოს კარიბჭე, დაიფარა განადგურებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ სამი წლის წინ ყაზახ-შამშადილუს[5] საზღვარზე თულქითეფეს[6] ბრძოლაში, აჯი-ჩალაბის[7] ჯარი, რომელსაც მისი ვაჟი აღა-ქიში სარდლობდა,

3 საოსტიგნო - საკუჭნაო
4 ოსტიგანი - მეკუჭნავე
5 ყაზახი და შამშადილი - სახანოები (ახ.აზერბაიჯანის ტერიტორია)
6 თულქითეფა - ველი, სადაც ბრძოლა გაიმართა (ახ. აზერბაიჯანის ტერიტორია)
7 აჯი-ჩალაბი - შაქის ხანი (ახ. აზერბაიჯანის ტერიტორია)



სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა, მანამდე მდინარე აგრი-ჩაისთან[8] და განჯასთან წაგებულმა ომებმა, მაინც შეამცირა რეგიონში ქართველთა ავტორიტეტი და ამიტომაც გველის წიწილებივით აწრიალდნენ ერეკლეს ხმლის ქვეშ მომუსაიფე მუსლიმები, გათამამდნენ და ქართველი მეფეების წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ხუნძახელმა[9] ნურსალ-ბეგმა თავის გარშემო შემოიკრიბა ქართველების მიმართ მტრულად განწყობილი სახანოები და მათ რაზმებთან ერთად საქართველოსკენ დაიძრა. ოციათასიანი ლაშქრით ყვარლის ციხეს ალყა შემოარტყა, ხოლო, როგორც სჩვეოდათ ლეკებს, პატარ-პატარა რაზმებით ქვეყანას სხვადასხვა მხარეს შეესივნენ. მთავარი მაინც ყვარლის ციხე იყო. მისი დაცემა კახეთის დაცემას ნიშნავდა. თუ კახეთი დაეცემოდა, მტერი ქართლსაც იოლად დაიპყრობდა, შემდეგ დასავლეთ საქართველოსაც გადასწვდებოდნენ და ერის მომავალი დასაღუპავად იყო განწირული. ნურსალ-ბეგმა ლეკთა ერთი რაზმი ქართლს გაუსია, ჭარელებს კიდევ ქიზიყის დარბევა უბრძანა. დაღესტნელი სარდალი ფიქრობდა, რომ მეფეები ლაშქარს გამოყოფდნენ ამ მოთარეშე რაზმების წინააღმდეგ, რითაც თავიანთ მთავარ ძალას შეასუსტებდნენ. თეიმურაზი და ერეკლე მტერს განზრახვას კარგად მიუხვდნენ, ჯარი არ მოიკლეს და მოთარეშეებს არ დაედევნენ. თეიმურაზ მეფემ ანანურიდან დაძრა

8 აგრი-ჩაი - მდ.აზერბაიჯანის ტერიტორია მდ.ალაზნის მარცხენა შენაკადი

9 ხუნძახი - ავარიის სახანოს სოფელი (ახ.დაღესტნის ტერიტორია)

ლაშქარი, გადავიდა თელავს და ერეკლესთან ერთად ლეკთა მთავარ ძალასთან ბრძოლის თადარიგს შეუდგა.

ჭარელ[10] მომხვდურებს ქიზიყელებმა მართლა ქიშტი[11] ჰკრეს და დაამარცხეს. მთავარი ბრძოლის ადგილი ნელ-ნელა ყვარლის ციხისკენ ინაცვლებდა. ყვარლის ციხე ერთ-ერთი ციხე-გალავანი იყო, რომელსაც შეფარებოდა გაღმამხარელი მოსახლეობის დიდი ნაწილი. მტერმა ალყაშემორტყმული ციხის გარშემო რამდენიმე სიბა[12] ისე შეკრა, რომ იქიდან შიგ ციხეში თოფის ჩასროლაც კი შეიძლებოდა.

მდგომარეობა თითქოს გამოუვალი იყო, მაგრამ ომებში გამობრძმედილი მეფეების მიერ თელავში მიღებული სამხედრო მოქმედების გეგმამ წარმატებით დაიწყო განხორციელება. თეიმურაზ მეფე კვლავ თელავს იდგა, ხოლო ერეკლე ქიზიყის მხრიდან მოქმედებდა. ყვარლის ციხეში მაშველი რაზმის შეგზავნის შემდეგ, ერეკლემ აარჩია „კაცნი გულოვანნი და კარგ ცხენოსანნი ქიზიყელნი“ და ჭარის დასარბევად გაგზავნა. ამ რაზმმა დიდძალი საქონელი და ტყვე მორეკა დაუცველად დაგდებული ჭარიდან. შეიტყვეს რა მომხდარი, ყვარლის ციხის ალყად მდგომი ჭარელები შეშფოთდნენ. ხუნძახის ბატონმა ძლივს შეიმაგრა ისინი. მაშინ ერეკლემ მარბიელი რაზმი კი არა, ჭარისკენ ქართლელთა და კახთა

10 ჭარი - ისტორიული მხარე ჰერეთში (ახ.აზერბაიჯანის ტერიტორია)
11 ქიშტი - მუჭი
12 სიბა - სიმაგრეების სისტემის მონღოლური სახელწოდება.

მოზრდილი ჯარი გაგზავნა. ყვარელს მდგომი ჭარელები სასწრაფოდ წავიდნენ ქართველებთან შესაბმელად. ქართველები, ბრძანებისამებრ, ბრძოლას მოერიდნენ, უკან გამობრუნდნენ და ქიზიყს დადგნენ. ჭარელებს საქმე გაურთულდათ. ქიზიყს მდგომი ქართველთა ლაშქარი ჭარს ასაოხრებლად ემუქრებოდა. ქართველ მეფეთა სამხედრო ხერხმა გაამართლა. ჭარელებმა გადაწყვიტეს, ყვარლის ციხეს მოშლოდნენ და თავიანთი სახლებისთვის მიეხედათ. ამის გამო ჭარელებსა და ნურსალ-ბეგის ლეკებს შორის მტრობა ჩამოვარდა. ბოლოს, ერთმანეთს დაერივნენ და ურთიერთი მრავლად ამოხოცეს. ჭარელები სახლში წავიდნენ. მათ გაჰყვა კაკის სულთანიც.[13] ამის დანახვაზე აჯი-ჩალაბის შვილმაც შექი-შირვანს მიაშურა. ასე, რომ მოალყეთა ერთი მხარი მოიშალა და დაღესტნელებს ციხის აღების იმედი გადაეწურათ. ახლა მათ თავდაცვაზე უნდა ეზრუნათ, რადგან გამხნევებული ქართველები, სადაც იყო დაესხმოდნენ და გაანადგურებდნენ დასუსტებულ მტერს. მათ ხომ ისედაც ეშინოდათ ერეკლესი და ახლა მთლად დაფეთდნენ. ამასობაში სურხაი-ხანიც გაუდგა საერთო საქმეს და დაღესტნის გზას გაუდგა. აღარც ნურსალ-ბეგს და შამხალს დაედგომებოდათ იქ და მოეცალნენ ყვარლის ციხეს.

ქართველებმა თეიმურაზის და ერეკლეს მეთაურობით, ნაკლები დანაკარგებით, თითქმის სისხლის დაუღვრელად გადაარჩინეს საქართველო აოხრებისგან. ამი-

13 კაკი - ისტორიული მხარე ჰერეთში (ახ. აზერბაიჯანის ტერიტორია)

ტომ საზეიმოდ მართლა ჰქონდათ საქმე და თელავის მეფის სასახლეში დაწყებული სამზადისიც ამის ნათელი დადასტურება გახლდათ.

გალავნის შიგნით და გარეთ, სადაც კი თავისუფალი ადგილი იყო, ყველგან სახელდახელოდ აწყობილი მაგიდები დადგეს და სუფრის გაშლა დაიწყეს.

- მეფე ერეკლე მოდის! ... მეფე ერეკლე! ... გვერდზე გადექით! ... გვერდზე! ...

მეფე შემაღლებულ ადგილზე დადგა. როგორც კი ხალხმა კახთბატონი დაინახა მაშინვე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერეკლემ პირჯვარი გადაიწერა და მიმართა სასახლის ეზოში შეკრებილ ხალხს:

- ხალხო! დღეს უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ და ღვთისმშობელმა კიდევ ერთხელ გაიღო მოწყალება და თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარეს ჩვენს სამშობლოს, ხოლო თქვენმა გმირულმა შემართებამ გადაარჩინა არა მარტო კახეთი, არამედ სრულიად საქართველო. მე არ ვიყო მეფე ერეკლე, თუ თითოეულ თქვენგანს სათანადო პატივი არ მივაგო. სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში დაღუპული ვაჟკაცები ღირსეული მხედრული პატივით იქნებიან დაკრძალულნი, ხოლო მათი ოჯახები მიიღებენ შესაბამის შემწეობას. დაჭრილებს ჩვენი დასტაქრები მიხედავენ. განსაკუთრებული ჯილდოს ღირსნი არიან ყვარლის ციხის გამრღვევნი. მე, რაც შევპირდი მათ, ყველაფერს უკლებლივ მივუძღვნი! ...

მეფემ უცებ შეწყვიტა საუბარი და მსახურთუხუცესი იხმო თავისთან. რაღაც დავალება მისცა და ისევ

ხალხისკენ შებრუნდა. ერეკლეს განსაკუთრებული ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. ამ დროს მსახურთუხუცესიც დაბრუნდა და ერეკლეს ახალგაზრდა ქალ-ვაჟი წარუდგინა. მეფე მამაშვილურად გადაეხვია ახალგაზრდებს და შემდეგ ხალხს მიმართა:

- ჩემო დედებო, მამებო, დებო, ძმებო, შვილებო! ... ქართული სული რომ უკვდავია აი, ამ ქალ-ვაჟმა გვიჩვენეს და დაგვიმტკიცეს! ეს ვაჟკაცი არის წანარიანელი გლეხი ზაქრო, ხოლო ქალი - ფოთლოვანელი გლეხის გოგო მართა! მტრის შემოსევის დღეს, ზაქრო მისული იყო მართას ოჯახში და წინასწარი შეთანხმებით, მართას ხელი სთხოვა მამამისს, რაზეც თანხმობა მიიღო და ბეჭედიც მიართვა. ნიშნობის სუფრასთან მსხდომთ ამბავი ამცნეს მტრის შემოსევისა. ზაქრო არც დაფიქრებულა, შენდობა ითხოვა ყველასგან, მათ შორის ახლად მოყვანილი ცოლისგან და საქორწილოდ მორთულ-მოკაზმული ცხენით გაჰქუსლა სამშობლოს დასაცავად! მართამ კი, - წარმოთქვა თვალზე ცრემლმომდგარმა ერეკლემ, - კიდევ ერთხელ დაამტკიცა ქართველქალობის სიდიადე. ახლად შეუღლებულმა გზა დაულოცა ქმარს და მიაძახა: ,,ეგრე ხანჯლისამარა რომ მიდიხარ, მამაჩემის ხმალი მაინც წაიღე მომხვდურთან საბრძოლველადო!“ ზაქროს კი უპასუხია: ,,შენ მაგაზე არ იდარდო, მტერს წავართმევ ხმალს და თავისივე იარაღით მოვუღებ ბოლოსო!“ თანაც უნუგეშებია: „თავს მიხედე, მალე დავბრუნდებიო!“

ხალხში ხალისიანი ჩოჩქოლი ატყდა და აქა-იქ გაისმოდა შეძახილები:

- აფერუმ შენს ვაჟკაცობასა, ზაქრო! ...

- ვაჟკაცი კაცი ჰყოფილხარ, წანარიანელო! ...

- ღმერთმა სიკეთე მოგმადლოთ და გამრავლდით! ... გამრავლდით! ...

მსახურთუხუცესმა ორივე ხელი მაღლა აღაპყრო და ყველას გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა:

- იყუჩეთ, ხალხო! მეფეს სათქმელი ჯერ არ დაუმთავრებია!

ერეკლე კი ჩამდგარიყო ქალ-ვაჟის შუა და იღიმებოდა, ხალხის აღფრთოვანება კი უფრო მეტ სიხალისეს ჰმატებდა. ბოლოს, წინ წამოდგა და მიმართა ხალხს:

- აი, ასეთ ოჯახებზე დგას დღეს ჩვენი სამშობლო! მეფემ კი უნდა იზრუნოს მათ გაძლიერებასა და კეთილდღეობაზე. ამიტომ, ვბრძანებ - ზაქრო გიოშვილს დღეიდან ებოძოს აზატობა[14] და მიეცეს იმდენი მიწა, რამდენის მოვლა-პატრონობასაც მისი ოჯახი შეძლებს! ხოლო ჩემგან სამახსოვროდ აი, ეს ბეჭედი მიბოძებია!

ერეკლემ თითიდან გაიძრო ბეჭედი, ზაქროს მისცა. მერე სასახლის მოსამსახურე ქალებს ანიშნა მასთან მისულიყვნენ, მართასთვის სამეფო საჩუქარი გადაეცათ, ხოლო თვითონ კი განაგრძო:

- ესეც მართას საჩუქრად მეფისგან, ინდოეთიდან ჩამოტანილი ლარი-ფარჩა-ყუმაში, ლამაზ კაბებს შეკერავს თავისთვის და შვილებისთვის.

მეფემ კარის მოძღვარი იხმო და უბრძანა:

14 აზატი - თავისუფალი გლეხი შუა საუკუნეების საქართველოში

- ზაქროს და მართას ჯვარი დასწერე, მერე საზეიმო ტრაპეზი აკურთხე და გამარჯვებასთან ერთად ახლად-დაქორწინებულების სადღეგრძელოც მივირთვათ!

ზეიმი იყო თელავის სასახლეში. ზეიმობდა ქართ-ლ-კახეთის მოსახლეობა. როგორც იქნა შიდა და გარე მტრებით დაქცეულმა ქვეყანამ ამოისუნთქა და თავისი მამულის პატრონად იგრძნო თავი. ხალხი მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა. გუთნის დედა გუთნის დედობ-და, მეცხვარე მეცხვარეობდა, ხელოსანი ხელოსნობდა... ყველას უხაროდა და უდიდესი სასოებით წარმოთქვამდა გულიდან ამოღებულ სიტყვებს:

- ღმერთმა დალოცოს პატარა კახი!

II

საქართველოს ისტორიაში საუკუნეებით მივიწყე-ბული აღმავლობა იწყებოდა. ქვეყანაში მშვიდობამ დაი-სადგურა და ეს ყველაფერი ღმერთის შეწევნით, თეიმუ-რაზ მეორის გონივრული და თანმიმდევრული პოლიტი-კის შედეგი იყო.

როდესაც ქვეყანას უჭირს, რაც საკუთარი ცოდვე-ბის გამო ხდება, უფალი მას გადასარჩენად წმიდანს უგ-ზავნის, რომელიც ამა თუ იმ ერს ფეხზე წამოაყენებს და ჭეშმარიტი სარწმუნოების გზით წაიყვანს. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მიჯნაზე, როდესაც ქარ-

თლ-კახეთი განადგურების პირას იყო მისული და სპარ-სეთის შაჰის მიერ გამოგზავნილი გამუსლიმანებული ქართველი მმართველების უღელქვეშ გმინავდა, ღმერ-თმა გამაჰმადიანებულ ერეკლე პირველსა და მის მეუღ-ლეს, ალავერდელი ჩოლოყაშვილის ასულს - ანას, მისცა ძედ თეიმურაზი, რომელიც ათას შვიდას წელს დაიბადა ტფილისში. სამშობლოში დაბადებით იგი გამაჰმადია-ნებას გადაურჩა და ნათელიღო ქართლში. თეიმურაზი, ნათლისღებით სინეზი (გონიერი), წმიდა ოსე წინასწარ-მეტყველის ხსენების დღეს მოევლინა ქვეყანას, რაც, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო, რადგან ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში შემთხვევით არაფერი ხდება. წმიდა ოსემ ხომ ჯერ კიდევ მაცხოვრის განკაცებამდე თითქმის ათასი წლით ადრე სული წმიდის მადლით განჭვრიტა, რომ შეწყდებოდა ძველი აღთქმის მსხველპლთშეწირ-ვა და ჭეშმარიტი ღვთის შემეცნება მთელს სამყაროში გავრცელდებოდა. მან იწინასწარმეტყველა მაცხოვრის ეგვიპტიდან დაბრუნებაზე და ჯვარცმის შემდეგ, მესამე დღეს, მკვდრეთით აღდგომაზე.

ერეკლე პირველის სიკვდილის შემდეგ, გამაჰმადია-ნებულმა მემკვიდრეებმა ვერ მიხედეს ქართლისა და კა-ხეთის ტახტს. მაჰმად-ყული ხანს ოსმალებმა თავი მოჰკ-ვეთეს, იესე გარდაიცვალა, ხოლო ვახტანგ მეექვსე რუ-სეთში გაიქცა. ასე, რომ დაქვრივდა როგორც ქართლის, ასევე კახეთის ტახტი. ნადგურდებოდა ქვეყანა. ამ დროს დაიკარგა ღვთაების მონასტერში დაბრძანებული ხელ-

თუქმნელი ხატი უფლისა. ხოლო, როდესაც დევნილი თეიმურაზი ანანურისკენ იხიზნებოდა, ცხენი, რომელსაც ,,ეტვირთა ნაწილი წმიდათა“, მდინარეზე გადასვლისას წაიქცა და ,,წარიღო ნაწილნი იგი და დაიკარგა ქეთევან დედოფლის ნაწილითურთ“.

დიდი ჭირის შემდეგ, როგორც ყოველთვის ხდებოდა, უფალი ნუგეშს უვლენდა ხოლმე ქართველთ. ასე მოხდა ახლაც. საქართველოს ორი სამეფო ტახტი დაცარიელდა, გაიწმინდა გამუსლიმანებული მმართველებისგან, რათა მათზე ქრისტიანი მეფეები ასულიყვნენ. ერეკლემ ინდოეთში ლაშქრობისას, ხოლო თეიმურაზმა ლეკთა წინააღმდეგ ბრძოლაში ირანის შაჰს, ნადირს ერთგულება დაუმტკიცეს, რის გამოც მან მამა-შვილი თავის მოკავშირედ ჩათვალა და შემდგომად „განიხარა ფრიად შაჰ-ნადირ, უსუფ-ფაშას და ლეკთა ბელადის მალაჩის დამარცხებისათვის მადლობის ნიშნად, ,,წარმოუვლინა ცხენი ოქროსა აღკაზმულობითა და ხრმალი მძიმედ მოჭედილი“ და მისცა თეიმურაზს ქართლი, ხოლო ერეკლეს, ძესა მისსა - კახეთი. მერე მოვიდა თეიმურაზ და დაჯდა ტფილისს, ხოლო ძე თეიმურაზისა ერეკლე დაჯდა კახეთს“.

ეს მოხდა ათას შვიდას ორმოცდაოთხი წლის ვარდობისთვეს.

ხიფათით სავსე იყო მუსლიმანურ სამყაროსთან ურთიერთობა. წინასწარ ვერ განსაზღვრავდი წყალობით გადმოგხედავდნენ თუ რისხვას დაგატეხდნენ თავს. ამიტომ უფალს იყო მინდობილი თეიმურაზი. მუდამჟამს

ლოცულობდა, ხშირად ეზიარებოდა, ლაშქრობის დროს თან დაატარებდა წმიდა ნაწილებს, ეპისკოპოსებსა და მღვდლებს გვერდიდან არ იცილებდა, წირვას კარავში აყენებინებდა.

თეიმურაზმა სულიერ წინამძღვრად ორბელიანთა კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი აირჩია. მან ბევრი გამაჰმადიანებული ქართველი კვლავ მოაქცია ქრისტიანობაზე - ,,იყო ფილოსოფიისა სწავლასა შინა გამოცდილი და ღმრთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე... მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალ ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი და მღვდლობითა სრული“.

თეიმურაზის გონივრულმა და კაცთმოყვარე საქციელმა სულ მალე გამოიყვანა ქვეყანა ქაოსიდან. თუმცა მოსაწესრიგებელი რჩებოდა მთავარი საკითხი, ქვეყანას სჭირდებოდა ისეთი კათოლიკოს-პატრიარქი, რომელიც შეძლებდა მტრისგან შეურაცხყოფილი უძველესი ქრისტიანული ქვეყნის სარწმუნოების კვლავ აღორძინებასა და ხალხში მართლმადიდებლური რწმენის განმტკიცებას. აქაც არ დააყოვნა უფლის წყალობამ და არნახული რამ მოხდა საქართველოს ეკლესიის ისტორიაში - ხანჯლით განგმირეს პატრიარქი ნიკოლოზი (ხერხეულიძე), რომელიც იყო ,,უმეცარი და საეროთა უფრო განმწყობი, ვიდრე სამღუდელოთა. მოყურობდა თათართა, ვიდრე ქრისტიანეთა. ამან ომფორი ოქროქსოვილი, სჯმონ ბატონისშვილის ცოლის ანნას მოგზავნილი მცხეთასა,

დასჭრა და ბეჟან ერისთავის ცოლსა ქათიბად შეაკერვინა და მიუბოძა. და საქადაგო ხატი მურასად მოოჭოვილი შემუსრა, გჳრგჳნი საპატრიარხო ლევან დადიანის შემოწირული და ომფორი სხჳლ-მარგალიტთულით შემკული და სხუანი ხატნი და ჯუარნი და სამსახურებელნი კათოლიკე ეკლესიისა მცხეთისა შემუსრნა და განყიდნა. არა ჯეროვნად იქცეოდა სამღუდელოთა წესითა. თუმცა ღმერთმან მიუშუა და ქმნა ბოროტი უსჯულომან დასაბამითგან არასმენილმან, უკეთურმან მაჰმადიან ყოფილმან თაზისშვილმან ტარიელ მახვილითა მოკლა. ვინაითგან საქართველოს პირველი მღუდელმთავარი იყო, ვერ შეეხებოდა ხელი მოსიკუდიდ“.

დაობლებულ საკათალიკოსო ტახტზე აკურთხეს თეიმურაზის დის, ელენეს და ვახტანგ მეექვსის ძმის-იესეს ძე ოცდაოთხი წლის ანტონ პირველი (ერისკაცობაში თეიმურაზი). ამ ქმედებით უფალმა თეიმურაზს ქართლის ტახტის მემკვიდრე ჩამოაშორა, თუმცა თეიმურაზის სასულიერო ცხოვრება სულ სხვა მიზეზით დაიწყო. მამის გარდაცვალების შემდეგ, შვიდი წლის ასაკიდან იგი თელავის სასახლეში, თავის ბიძაშვილ-ერეკლესთან ერთად იზრდებოდა. თხუთმეტი წლისა დაინიშნა გივი ამილახვრის ასულზე. ამ დროს თბილისში ლაშქრით შემოსულმა თამაზ-ხანმა წაართვა საცოლე და სასიმამროც აიძულა უხმოდ დამორჩილებოდა მის ნებას. თავზარდაცემული თეიმურაზი ჯერ დავით გარეჯის მონასტერს შეეხიზნა, შემდეგ იმერეთს გადავიდა. ერთხანს იგი რუსეთშიც

იყო. შემდეგ ბერად აღიკვეცა გელათის მონასტერში, სადაც მალევე წინამძღვრად დაადგინეს ანტონის სახელით. მომდევნო წელს ქუთაისის მიტროპოლიტი გახდა, კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრებამდე კი დავით გარეჯის სავანეში მოღვაწეობდა.

კათალიკოს-პატრიარქად კურთხევისთანავე ანტონმა მიიღო ნადირ-შაჰის დასტური, ასევე დაუნიშნა წინარე კათალიკოსთა მსგავსად ათასი თუმანი.

იწყებოდა ახალი ერა...

... თითქოს საქართველო ხელახლა იბადებოდა... აგარიანთა[15] ტყვეობის შემდეგ, ეს მართლა სასწაული იყო - საუკუნენახევრის შემდეგ საქართველოს ტახტზე მჯდომი ქრისტიანი ხელმწიფე სპარსეთის შაჰს ატყობინებს შვილიშვილის (ერეკლეს ძე გიორგი), ქრისტიანი მემკვიდრის დაბადებას და იქიდან საპასუხოდ მოლოცვასა და საჩუქარს იღებს. რამდენიმე წლის შემდეგ სპარსეთიდან დაბრუნებულ თეიმურაზს თან ჩამოაქვს ფირმანი,[16] საქართველოს ისტორიული მხარის ყაზახ-ბორჩალოს დაბრუნების შესახებ. იწყება ნელა-ნელა ქვეყნის საზღვრების აღდგენა, თუმცა ეშმაკი მძვინვარებს და მისი შეგონებით გორისა და სამთავროს მიტროპოლიტმა რომანოზ ერისთავმა წმიდა ნინოს ჯვარი, რომელსაც ჩვენი ერის და სარწმუნოების ერთგული მამულიშვილები დი-

15 აგარიანნი - იგივე ისმაიტელნი, აბრაამის მოახლის - აგარის ძის ისმაილის შთამომავალნი.
16 ფირმანი - მაჰმადიანურ ქვეყნის მმართველის ბრძანებულება.

დი ხნის განმავლობაში მალავდნენ გერგეტის სამების ტაძარში, შემდეგ კი თეიმურაზ მეორემ გადმოაბრძანა ანანურის ღვთისმშობლის ეკლესიაში, ქართველ მეფეთა დაუკითხავად წაიღო რუსეთში და მიართვა თავის დას ანას, ვახტანგ მეექვსის შვილის - ბაქარის მეუღლეს. თეიმურაზი და ერეკლე დიდხანს ევედრებოდნენ ვახტანგ მეფის შთამომავლებს, უკან დაებრუნებინათ ეს უდიდესი სიწმიდე, მაგრამ უშედეგოდ. თეიმურაზმა, როგორც ქრისტეს მხედარმა, კარგად უწყოდა თუ რას ნიშნავდა საქართველოდან წმიდა ნინოს ჯვრის გატანა, მადლის უდიდესი ნაწილი განეშორებოდა ღვთისმშობლის წილხვედრს, რაც, რა თქმა უნდა, გარკვეულ სირთულეებს შეუქმნიდა ქვეყნის განვითარებას.

III

ზაქრო და მართა, რამდენიმე თანამებრძოლის თანხლებით, წანარიანს მიუახლოვდნენ. სოფლელებმა უკვე იცოდნენ ზაქროს გმირობისა და მეფე ერეკლეს მიერ მისთვის აზატობის ბოძების შესახებ, ამიტომ შეკრებილიყვნენ კვირაცხოვლის ეკლესიის ეზოში და ახლად დაქორწინებულების მოსვლას ელოდნენ. მამა მირიანს წინასწარ დაეჭირა თადარიგი პარაკლისის წასაკითხად. ვინაიდან უამრავი ხალხი იყო მოსული ტაძართან, მამაოს გადაეწყვიტა, რომ მსახურება ეკლესიის ეზოში ჩაეტა-

რებინა, რადგან ამდენი ადამიანი ტაძარში ვერ დაეტეოდა. მორწმუნეთა რაოდენობა მაინც და მაინც ბევრი არ იყო, უფრო ცნობისმოყვარეობის გამო შეკრებილიყვნენ წანარიანელები. მათ მეზობელი სოფლებიდანაც მიმატებოდათ უამრავი დედაკაცი და მამაკაცი და გაჰყურებდნენ შარას, სადაც სადაცაა უნდა გამოჩენილიყვნენ ზაქრო და მართა. მამაო კი დაფუსფუსებდა ეკლესიის ეზოში და დიაკვანსა და მორჩილს ბოლო დავალებებს აძლევდა:

- ნაკურთხი წყალი და უსუპი[17] გამოიტანეთ ტაძრიდან და ახლოს იყავით ჩემთან, რომ მერე თქვენი ძებნა არ დამჭირდეს. აქ ხალხი კიდევ დაემატება და წესრიგისკენ მოუწოდეთ და, რაც მთავარია, ყაყანი არ დაიწყონ, როგორც სჩვევიათ ხოლმე!

წანარიანის კვირაცხოვლის ტაძარი ძველთაძველი ეკლესია იყო კახეთის მხარეში. იგი ხევიდან ჩამოსულ წანარებს აუშენებიათ მეცხრე საუკუნეში და დაფუძნებულან კახეთის მიწაზე. ამ იბერო-კოლხური ტომის მოდგმას, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, არაბების შემოსევებისგან განადგურებული კახეთი ფეხზე წამოუყენებიათ, ჩამოუყალიბებიათ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და შემდეგ რატომღაც გამქრალან ისტორიის სარბიელიდან. როგორც ჩანს, ასე ინება სამყაროს შემოქმედმა. გაჭირვების ჟამს კახოს-კუხოსის ჯიშ-ჯილაგს ახალი და, რაც მთავარია, იბერიული სისხლი მიაწოდა. ამის შემდეგ წანარები აღარ იხსენიებიან არც

17 უსუპი - ნაკურთხი წყლის საპკურებელი

ხევში და არც კახეთში. როგორც ამბობენ მათ ნათესაური კავშირი ჰქონიათ სვანებთან, ხოლო საბოლოოდ შეერწყნენ კახელებს და ამ ძირძველ სოფელსაც წანარიანი შემორჩა სახელად. კვირაცხოვლის ეკლესია კი მრავალჯერ იქნა მტრის მიერ დანგრეული და შემუსვრილი, მაგრამ ღვთის სახლი დღესაც მყარად იდგა ქართველთა სისხლით და ძვლებით გაპოხიერებულ მიწაზე და ადიდებდა უფალს. მით უმეტეს ახლა, როდესაც მამა-შვილი მეფეების - თეიმურაზისა და ერეკლეს გონივრული და გააზრებული შემოქმედების შედეგად კახეთში მშვიდობამ დაისადგურა. ერთადერთი ლეკები არ ისვენებდნენ. პატარ-პატარა რაზმებით თავს ესხმოდნენ სოფლებს და ქართველი მეომრების მოსვლამდე რასაც გამოგლეჯდნენ მოსახლეობას, იმით კმაყოფილდებოდნენ და გარბოდნენ. თუმცა, ხშირ შემთხვევაში მდევარი ეწეოდა და ნატაცებს ართმევდა. ახლა კი, ნურსალ-ბეგის დამარცხების შემდეგ, ხალხმა ამოისუნთქა, რადგან იცოდნენ, რომ ლეკები კარგა ხანს ვეღარ გაბედავდნენ ქართულ მიწაზე შემოსვლას. წარანიანელებს მტერთან ბრძოლის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. თაობებს გადაეცემოდა ყველაფერი ის, რაც საუკუნეების განმავლობაში მათმა წინაპრებმა გამოიარეს. სოფლელ ვაჟკაცებს შეეძლოთ პატარა თავდასხმების მოგერიება, მაგრამ დიდი ლაშქრის შემოსევის შემთხვევაში, მთებს მიაშურებდნენ ხოლმე და უღრან ტყეებში, წინასწარ მომზადებულ სამალავებს აფარებდნენ თავს. იქიდან კი მოულოდნელ

თავდასხმებს აწარმოებდნენ მათ სოფელში დაბანაკებულ მტერზე. ბარში თუ მტერს ებრძოდნენ, ტყეში ნადირს დასდევდნენ, რომელიც მარჩენალ ცხვარ-ძროხას უნადგურებდა. ასეთ გამუდმებულ ბრძოლაში იყვნენ წანარიანელები. მიუხედავად ამისა, არც დიდს და არც პატარას არასდროს ღმერთის მისამართით საყვედური არ დასცდენია და მუდმივად იმეორებდნენ დავით მეფსალმუნის სიტყვებს ,,ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან ...“, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ღვთის პირიდან გაგდებული კაცი რასაც მოეწეოდა. აკი, უღირსი საქციელის ჩამდენი კაცის მისამართით სწორედ ასეთ სიტყვებს იტყოდნენ ხოლმე წანარიანელი დედაკაცები: ,,ღვთის პირიდან გაგდებულიაო!“. მიუხედავად იმისა, რომ წანარიანელები ღმერთს მუდმივად ადიდებდნენ, არც წუთისოფელს ივიწყებდნენ, რომელსაც მათთვის უბედურების მეტი არა მოჰქონდა რა. სოფლელებმა კარგად იცოდნენ, რომ წუთისოფლისადმი ყურადღების მოდუნებას შეიძლება ისეთი სავალალო შედეგი გამოეღო, რომ მის გამოსწორებას მომავალი თაობების მუხლჩაუხრელი შრომა დასჭირებოდა. ვერაგია წუთისოფელი, მისი დაძლევა მხოლოდ ღმერთთან გამუდმებით მყოფ ადამიანს შეუძლია. ეს კი მხოლოდ მხურვალე ლოცვით არის შესაძლებელი, რაც მხოლოდ რწმენის მატარებელ ადამიანს შეეძლო.

ტაძრის ეზოში ხალხის რაოდენობამ საგრძნობლად იმატა. წყაროსთან მდგარ მუხის ხეზე მიყუდებული გაბ-

რო მის წინ ფეხებგაბოტებულ ქიტესას უყურებდა და თან ეღიმებოდა.

- რაო, გაბრო, რას იღრიჭები? - ჰკითხა გაღიმებულ თანასოფლელს ქიტესამ, - შენ რაღაცა იცი და არ მეუბნები. რაო, შენც აზატობა ხომ არ გიბოძა მეფე ერეკლემა? ჰაა!?

- აზატობა არა, ტახტის აზნაურობა მიბოძა! - გადაიხარხარა გაბრომ. მერე გამომცდელად შეხედა ქიტესას და ჰკითხა, - რაო, ქიტა, იმ ცეტს რას ელაპარაკებოდი?

- ვინ ცეტსა, კაცო? - გაიკვირვა ქიტესამ.

- ამ სოფელში ერთი ცეტია. რა არ იცი ვითომ, არა!? - მიუგო გაბრომ და მუხის ხის ქერქზე ბეჭების ფხანას შეუდგა.

- ჰოო! - ვითომ ძლივს გაიხსენა ქიტესამ და შეიცხადა კიდეც, - მამასახლისსა?

- ჰოო! ჰოო! მამასახლისსა! - თითქმის იყვირა გაბრომ და ზურგის ფხანა შეწყვიტა. მერე ქიტესასთან ახლოს მივიდა, თვალი თვალში გაუყარა და უკვე სერიოზულად უთხრა, - ბჯო! ქიტა! იტყვი, თუ გათქმევინო!?

ქიტესამ კარგად იცოდა გაბროს ხასიათი და როგორც იტყვიან: ,,ჩათრევას ჩაყოლა“ ამჯობინა.

- კაცოო, - დაიწყო ქიტესამ. - ზაქროი, გააზატების ამბავი რომ გაუგია, ძაან განაწყენებულა ...

- ჰაი დედასა! - შესძახა გაბრომ და თან გულიანად გაეცინა, - ვისზე განაწყენებულა!? მეფე ერეკლეზე!?

- ჰოო! მაშ ვისზე განაწყენდებოდა, ჩემზედა ხომ არა!? - შეიცხადა ქიტესამ, კომბალი მარჯვენა ხელიდან

მარცხენაში გადაიტანა, თავი მაღლა ასწია და განაგრძო, - ჰოო! მეფეზედა! მეფეზედა! აბა, მე რაში ვჭირდები! ...

- თუ არა ჭირდები, მაი რაღაი დაიდევ უკანა ეფრემაანთ ლეკვივითა! - შეუბრუნა სიტყვა გაბრომ. მერე კი ისევ ზურგით მუხის ხეს მიეყრდნო, ფხანა განაგრძო და ამჟამად უკვე მკაცრად ჩაეკითხა ქიტესას:

- მიდი! მიდი! აბა, რა გითხრა!? ჩამოფქვი ყიტაანთ წისქვილივითა!

- ჰოო! ჰოოდა, - განაგრძო ქიტესამ, - ყვარლიი ციხეითან ომში ჩვენი სოფლიი სამი ვაჟკაცი შეაკვდა მტერსაო, ეს მეოთხე გააზატაო, მე კიდენა ბატონ ბეგარა საიდან გადავუხადო თუ გამრჯე გლეხი არ მეყოლაო. იგე! ოთხი კაცი გამამაკლდა, მინდორში და ვენახში ვინღა ვამუშავო, მე ხო არ წავალო?

- ყოჩაღ მაგასა! - მიუგო გაბრომ, - მეფე ერეკლეი გამოუცხადა ომი!? მაგაი ხო არ ავიწყდება ლეკი სისხლი რო აქ, ჰა!? ი, ხმალი, ერეკლეი რო უჭირამ ხელშია და ავ მუსაიფ რო ეძახის, უქმად კი არა დევს ქარქაშშია!? ბატონმა გადმოათრია მთის ყელიდან, თითქოი აქ სამამასახლისო ხალხი არა გვყანდა.

- ისე მართალ ამბობ, გაბრო, - კბილებში გამოსცრა ქიტესამ, თან აქეთ-იქით გაიხედა, ხომ არავინ მითვალთალებსო და განაგრძო, - მართლა ლეკი ჯიშისაა, ხარბია და მტაცებელ-გამღლეტელი. აქ იმიტო არ მოვიდა, რომა წასაღები არაფერია და ეკლესიაი კიდენა ეგ არაფერ შაწირამს.

- ჰოდა, რაი დაიდევ ლეკვივითა! - შეუბღვირა გაბრომ ქიტესას, - დაანებე თავი, ეგ კარგ არაფერ გაგიკეთებს!... ამ ბატონებისთვინა კიდენა მაიცლის მეფე ერეკლე. ჯერ აჯი-ჩალაბისა და ნურსალ-ბეგის ჯავრი ჰქონდა ამოსაყარელი...

- მოდიან!... მოდიან!... - აყვირდნენ ეკლესიის გალავანზე შემომსხდარი სოფლის ბავშვები და ერთმანეთს ასწრებდნენ სიმაღლიდან ჩამოსვლას, რათა შარაგზაზე პირველები მისულიყვნენ და თავისი სოფლის გმირისთვის ახლოდან შეეხედათ.

ეკლესიისკენ კი ქვემოუბნიდან ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა კაცი მოჰქროდა. დიდიან-პატარიანა ყველა ადგილზე გაქვავდა. ვინ იყო და რა უნდა ეცნობებინა ხალხისთვის არავინ იცოდა. ყველას გონებაში ერთმა აზრმა გაუელვა: ,,ისევ ომი ხომ არ დაიწყო? ...“ ამასობაში მხედარი ტაძრის გალავანს მიუახლოვდა, მსწრაფლ ჩამოხდა ცხენიდან, ოფლი მოიწმინდა, ამოისუნთქა და ძლივს წარმოთქვა:

- მშვიდობა, ხალხო! ...

- თუ მშვიდობაა, ღმერთმა დაგლოცოი!... - გაისმა აქა-იქ ხალხში.

- ვიცი რისთვინაც შეიკრიბეთ, ხალხო! ... თქვენი გმირის - ზაქროს დასახვედრად მოსულხართ! - განაგრძო უცნობმა, - ზაქრო თავის ახლადდანიშნულ ცოლთან ერთად მოდის, მაგრამ თან ურმით მოასვენებს თქვენს

თანასოფლელებს, რომლებიც გმირულად დაეცნენ ლეკებთან ომში!...

ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა... ეს უცხო რამ არ იყო ხალხისთვის, არც აქ წანარიანში, არც კახეთში და არც საქართველოში, მაგრამ მოულოდნელმა ამბავმა ხალხის გულებში სევდას გაუხსნა გზა და ზეიმი გლოვით შეიცვალა...

...მალე ზაქროც გამოჩნდა. ჩამოქვეითებულიყო ცხენიდან, ერთი ხელი ურმისთვის მოეკიდა, ხოლო მეორე მართასთვის და ასე წარსდგა სოფლელების წინაშე...

...მამა მირიანმა მორჩილი იხმო და რაღაც ანიშნა, ხოლო ბიჭებს კი სთხოვა, რომ მიცვალებულები ტაძარში დაესვენებინათ...

...როგორც ყოველთვის, ზეიმის შემდეგ, სოფელში ფალავანთა შერკინება იმართებოდა ხოლმე. ახლა კი, მამაოს კურთხევით, მოჭიდავეებმა ნიჩბები და წერაქვები მოიმარჯვეს და ტაძრის გალავნის გარეთ საფლავების ამოთხრა დაიწყეს, დურგლებმა კი - კუბოების გაკეთება.

საღამოს კი, ტაძრის გალავანთან, მრავალჟამიერის ნაცვლად ეკლესიის მგალობელთა მიერ შესრულებული სულთათანა ისმოდა, დიაკვანი საცეცხლურით აკმევდა და გარს უვლიდა საფლავებს, მამა მირიანს კი მარჯვენა ხელში უსუპი, ხოლო მარცხენა ხელში ლოცვების წიგნი მოემარჯვებინა და ჩასავლელად მომზადებული მზის შუქზე ხმადაბლა ბუტბუტებდა: - წმიდათა თანა განუს-

ვენე, ქრისტე ღმერთო, სულნი სამშობლოს გადასარ-ჩენად გარდაცვალებულთა მონათა შენთა გიორგისა, იოანესი და მიქაელისა, განუსვენე მათ სადა იგი მიხე-დავს ნათელი პირისა შენისაი, სადა არა არს ჭირი, მწუ-ხარება, არა ურვა, არა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი. მიუტევენ მათ ყოველნი შეცოდებანი მათნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, მიანიჭე მათ სასუფეველი ცათაი და ზიარჰყვენ იგინი ნეტარსა და სამარადისოსა სიტკბოებით ცხორებასა აწ და მარა-დის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ!....

მზის ჩასვლამდე წანარიანელებმა სამივე გმირი მი-წას მიაბარეს და გადაინაცვლეს ტაძარში პანაშვიდის ჩა-სატარებლად

დილამდე ტაძარში ლოცვა არ შეწყვეტილა... გალო-ბა მით უმეტს: „სულთათანა აღსრულებულთა მართალ-თასა, სულთა მიცვალებულთა მონათა შენთა განუსვენე მაცხოვარ...“

იმ ღამეს სოფელში არავის ეძინა მამასახლისის გარდა.

IV

საქართველოს დაუძინებელი მტრის, ნურსალ-ბეგის დამარცხებამ მამა-შვილ მეფეებს საშუალება მისცა საქვეყნო საქმეებისთვის მიეხედათ. ოსმალეთს და სპარსეთს, თავიანთი ქვეყნების შიდა პოლიტიკური დაძაბულობის გამო, საქართველოსთვის დროებით არ ეცალათ, მხოლოდ მათი აგენტები დაძრწოდნენ ქართულ მიწაზე და თავიანთი აზიური ცბიერებით თავს აბეზრებდნენ სამეფო კარის მოხელეებს. ერთი შეხედვით ქართლ-კახეთში თითქოს მშვიდობა დამყარდა, მაგრამ ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ქართლის ტახტისთვის შიდა არეულობის დაწყება. მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი უკვე მეთერთმეტე წელიწადია მყარად იჯდა ქართლის ტახტზე, არ იყო გამორიცხული, რომ ის გაუთვალისწინებელი შეთქმულების მსხვერპლი გამხდარიყო. მას შემდეგ, როდესაც ათას შვიდას ორმოცდაშვიდ წელს თეიმურაზ მეორე იძულებული გახდა ირანს გამგზავრებულიყო შვილის - ერეკლეს მაგივრად, ქართლში უფრო მეტად გაღვივდა დინასტიური ბრძოლა, რომელსაც სათავეში ედგა ანტონ პირველის ძმა აბდულ-ბეგ იესეს ძე. თეიმურაზმა ერეკლეზე ნადირ შაჰის განრისხება თავის თავზე აიღო და როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი უყოყმანოდ გაემართა ისპაჰანისკენ. მას უცილობელი სიკვდილი ელოდა. ეს კარგად იცოდა მეფემ და ამიტომ

ირანში გამგზავრების წინ, ქვეყანაში არეულობის თავიდან აცილების მიზნით, ქართლის გამგებლობა ერეკლესა და აბდულ-ბეგს ჩააბარა. აბდულ-ბეგი ქართლის ტახტის კანონიერ მემკვიდრედ მიიჩნევდა თავს, თუმცა ამის უფლება თეიმურაზსაც ჰქონდა, რადგან მისი მეუღლე, თამარი ვახტანგ მეექვსის ასული იყო. აბდულ-ბეგმა ერეკლესაგან მოითხოვა, რომ უარი ეთქვა ქართლის ტახტზე. ანტონ კათალიკოსი თავდაპირველად ცდილობდა აბდულ-ბეგისა და ერეკლეს შერიგებას, ბოლოს კი მხარი აბდულ-ბეგს დაუჭირა. დინასტიური ომი არც დამოყვრებამ დააცხრო, რომელიც თეიმურაზის ირანში წასვლამდე შედგა. დედოფალ თამარის გარდაცვალების შემდეგ, თეიმურაზი აბდულ-ბეგის ნათესავზე - ანახანუმზე დაქორწინდა, ხოლო აბდულ-ბეგს ცოლად შერთო ერეკლე პირველის ქალიშვილი - ბეგუმი.

არც ამჟამად დატოვა უფალმა თავისი კეთილისმყოფელი და ისპაჰანში ჩასულ მეფეს ნადირ-შაჰი შეთქმულთა ხელით მოკლული დახვდა.

...აბდულ-ბეგი დამარცხდა...

...ქართლის ტახტისთვის ბრძოლა რუსეთში გაგრძელდა, სადაც დიდი ხანია ვახტანგ მეექვსის შთამომავლები არ ისვენებდნენ. რუსეთის ხაზინის ხარჯზე გაზულუქებული და სასახლის ლაბირინთებში დროსტარებას გადაყოლილი ტახტის მემკვიდრეები, აქტიურად იყვნენ ჩართული ქართლის შიდა საქმეებში, თუმცა მა-

თი წინაპრის - ვახტანგ მეექვსის მსგავსად მის დამოუკიდებლობაზე არ ფიქრობდნენ, მათთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვისი გავლენის ქვეშ იქნებოდა ქართლი ან რომელ რჯულზე მოექცეოდა, ოღონდ თვითონ ჩაეგდოთ სამეფო ხელში და განცხრომით ეცხოვრათ. ვახტანგ მეექვსის შვილის - ბაქარის შემდეგ, ახლა მისი ვაჟი - ალექსანდრე ბატონიშვილი გამოჩნდა ასპარეზზე, დაუმეგობრდა რუსეთის მომავალ იმპერატორ პეტრე მესამეს და მისი დახმარებით აპირებდა ქართლის ტახტზე ასვლას. ამ მიზნით იმპერატრიცა ელისაბედის სამეფო კარზეც მოიკიდა ფეხი. ამ დროს კი სამშობლოში ქართველი მეფეები მოზღვავებული მტრის შესაკავებლად ყველა მხარეს იქნევდნენ ხმალს და, მიუხედავად მრავალი გამარჯვებისა, ჭარში და განჯაში დამარცხდნენ. ამის შემდეგ, მეფეები იძულებულნი გახდნენ რუსეთისთვის ეთხოვათ სამხედრო დახმარება. ათანასე თბილელი ეპისკოპოსისა და სიმონ მაყაშვილის ელჩობა რუსეთში უნაყოფო გამოდგა. ორი წლის განმავლობაში ამაოდ ცდილობდნენ ქართველი ელჩები რუსეთის საიმპერატორო კარის გულის მოგებას. აღმოჩნდა, რომ ათას ცხრაას ორმოცდათოთხმეტ წელს, ალექსანდრე ბატონიშვილის ინიციატივით ჩაიშალა რუსეთის ხელმწიფესთან თეიმურაზ მეორის ელჩების მოლაპარაკება. უშედეგოდ დამთავრდა სხვა ისეთი ელჩობებიც, რომელიც თავიდან წარმატებისკენ იხრებოდა.

მას შემდეგ, რაც თეიმურაზ მეორემ, მუხრანელ ბაგრატიონთა ინტრიგების გამო, რუსეთიდან დახმარება ვერ მიიღო, გადაწყვიტა ამის გამომწვევი მიზეზების ძიება საკუთარი სამეფო კარიდან დაეწყო. ძალიან არ სურდა, დაეჯერებინა თავისი გარემოცვისთვის, მაგრამ ყველა სამხილი ბოლოს ანტონ კათალიკოსის გარშემო იყრიდა თავს და არცთუ უსაფუძვლოდ. რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში ქართლის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ის გახლდათ. მას შემდეგ, რაც გარეშე მტრების თავდასხმები მოგერიებული იქნა, ყოველ შემთხვევაში დროებით მაინც, აუცილებელი იყო საშინაო საქმეებში საფუძვლიანი გარკვევა. ამიტომ მეფეებმა სათათბიროდ კარის მოძღვარი ზაქარია გაბაშვილი იხმეს.

გაბაშვილები, „დროსა ნაბუქოდონოსორისასა“, პალესტინის გაბაონიდან[18] გადმოსახლებულან საქართველოში. ისინი ბიბლიური იობის ნათესავები ყოფილან და მსგავსად წმიდა სიდონიას წინაპრებისა, რჩეულ ებრაელთა რიცხვს მიეკუთვნებოდნენ. ჯერ მცხეთაში დასახლდნენ, ხოლო როდესაც ტფილისი გაშენებულა, ტფილისის ერთ-ერთი პირველ მკვიდრთაგანი ყოფილან. მათ ვრცელი მამულები ეჭირათ არა მარტო ტფილისსა და მის შემოგარენში, არამედ მთელს ქვეყანაში. მათ ბევრი სასიკეთო საქმე აქვთ გაკეთებული საქართველოსთვის, მათი აშენებულია ეკლესია ტფილისის წმიდა მთაზე და საუკუნეების განმავლობაში არ უღალატიათ ქრისტეს

18 გაბაონი - ერთ-ერთი უძველესი ქანაანურ-პალესტინური ქალაქი.

სარწმუნოებისთვის, ისევე, როგორც მათ წინაპრებმა არ უღალატეს მოსეს რჯულს და მაცხოვარი მესიად მიიღეს. თვითონ ზაქარია ხუცესი იყო „...ძველთა ფილოსოფიისა სწავლათა შინა გამოცდილი და ღვთისმეტყველებასაცა მიწევნილი, მშვენიერი რიტორი და უცხო მოქადაგე ... ეს იყო მშვენიერი მწერალი და მთხზველი მაღალსა ფრასსა ზედა, უცხო პიიტიკოსი და მღვდელობითა სრული, რომელიცა იქმნა მეფეთა მოძღვარიცა. მან იღვაწა ქიზიყსა შინა ქადაგებითა, რომელთა შორის შევიდა მცირედ ლეკიანობა და მოაქცივნა იგინი“.

თეიმურაზი და ერეკლე თელავის სასახლის სამეფო დარბაზში ისხდნენ. ზაქარია ხუცესი ეახლა მეფეებს, წესისამებრ მიესალმა, დალოცა და მორჩილებით დაელოდა ბრძანებას.

- დაბრძანდი, ხუცესო. - მიმართა თეიმურაზმა ზაქარიას და სავარძლისკენ მიუთითა.

ზაქარიამ მადლობა მოახსენა მეფეს, დაბრძანდა სავარძელში და წარმოთქვა:

- გისმენ, მეფეო. რით შემიძლია გემსახურო?

- ხუცესო, - დაიწყო თეიმურაზმა, - მოგეხსენება, ქვეყანა მუდმივად ომის მდგომარეობაში ვერ იქნება. ასეთი ყოფით გავნადგურდებით და გადავშენდებით. რა ხდება ჩვენს თავს? ასეთი რა ცოდვა დავიდეთ ღმერთის წინაშე, რომ თვით ერთმორწმუნე რუსეთმაც კი, მიუხედავად დაპირებისა, ჩვენთან ურთიერთობა გააცია?

ვახტანგის შთამომავლებს რომ უნდათ ქართლის ტახტი ვიცით, მაგრამ აქედან თუ არ ექნებათ ხელშეწყობა, ისინი მარტო ვერაფერს გახდებიან. რას ფიქრობ, რა ხდება ჩვენს თავს? რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან. სპარსეთი და ოსმალოც მალე დაიწყებენ სისინს, რამეთუ იქედნეს მოდგმისანი არიან ორივე. ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. კარგად ვიცი, რომ ლოცვას არ იშურებ ჩვენი სამშობლოსთვის და ჩვენთვის, მაგრამ როგორც კარის მოძღვარი მინდა, ჩაერთო საერო საქმეებშიც და გვერდში დაგვიდგე.

ზაქარიამ პირჯვარი გადაიწერა და მიუგო მეფეს:

- მეფეო, მზად ვარ გემსახუროთ და ამისთვის ჩემს სიცოცხლესაც უყოყმანოდ დავთმობ. ყველაფერი ღმერთზეა დამოკიდებული. კარგად მოგეხსენება, მადლის განშორებას რა შედეგის მოტანა შეუძლია ქვეყნისთვის

- წმიდა ნინოს ჯვრის წაღებას გულისხმობ? - სინანულმორეულმა იკითხა თეიმურაზმა, რადგან მისი ბრალიც იყო, რომ სათანადოდ ვერ დაიცვა ეს უძვირფასესი სიწმიდე. თუმცა რას წარმოიდგენდა, რომ თვით მაღალი იერარქიის სასულიერო პირი ჩაიდენდა ამ მიუტევებელ ცოდვას.

- არა მარტო, მეფეო, - მიუგო ხუცესმა, - ვახტანგის შთამომავლები ჯვარს არ დააბრუნებენ, ასე შემოთვალეს: ,,ჩვენ რომ დავბრუნდებით ქართლში, წინ წმიდა ნინოს ჯვარს წარვიმძღვარებთო, გავასუფთავებთ სამეფო

ტახტს მტაცებლებისგან და მერე საქართველოს ამ უპირველეს სიწმიდეს სვეტიცხოველში დავაბრძანებთო!“

- მე ტახტი არ მიმიტაცებია, მე ტახტი გადავარჩინე გათათრებას! - ამაყად წარმოთქვა თეიმურაზმა, - თუმცა, ტახტის მსურველი აქაც მრავლად მყავს ჩასაფრებული.

- მეც მაგის თქმა მინდოდა, მეფეო, - თქვა ზაქარია ხუცესმა, - ჩვენმა ზოგიერთმა მღვდელმთავარმა დაარღვია ქრისტეს მცნებანი, მოციქულთა და საეკლესიო კრებათა კანონები. უღალატა რუის-ურბნისის კრების განჩინებას: ,,არ გეცრუვებით შენ, ჩვენო სიწმიდით მშობელო კათოლიკე ეკლესიაო, არცა გაგცემთ შენ, ჩვენო სიქადულო - მართლმადიდებლობავ ...“

- ვინ გყავს მხედველობაში, ხუცესო? - სიტყვა შეაწყვეტინა ერეკლემ გაბაშვილს.

ზაქარია ხუცესმა კარგად იცოდა ერეკლესა და ანტონ კათალიკოსის ურთიერთდამოკიდებულება. ისინი ხომ ერთად იზრდებოდნენ ამ სასახლეში. მიუხედავ ად ამისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, სიმართლე ბოლომდე უნდა დადგენილიყო. ამიტომაც ზაქარიამ პირდაპირი პასუხი გასცა ერეკლეს:

- მისი უწმიდესობა - ანტონ კათალიკოსი, მეფეო.

- ეს სიცრუეა! - ხმამაღლა წარმოთქვა ერეკლემ და წამოდგა სავარძლიდან, - მე წავედი, მამავ ბატონო! არ მსურს ამ საუბარში მონაწილეობის მიღება!

თეიმურაზმა ახედა ერეკლეს და წყნარად, მაგრამ სიმკაცრეგარეული ხმით უთხრა:

- იყუჩე, მეფეო და შვილო ჩემო! დაბრძანდი! აქ ქვეყნის ბედზეა საუბარი და არა ბავშვობის მოგონებებზე!

ერეკლემ სათაყვანებელ მამას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია და ხმის ამოუღებლად დაეშვა სავარძელზე. თეიმურაზმა კი მშვიდად განაგრძო საუბარი:

- მსტოვრებს ანტონზე ათასნაირი ჭორები მოაქვთ ჩემთან, მაგრამ თქვენ კარგად იცით, მითქმა-მოთქმას მე არასდროს ავყოლილვარ, მაგრამ ერთმა შემთხვევამ ძალიან დამაფიქრა. ანტონის ერთ-ერთი სულიერი შვილი, ჩვენი ცნობილი თავადის ქალი დასნეულებულა. მის სანახავად ჩემი ასული მისულა. იმდენად გაუსაძლისი ტკივილები ჰქონია, რომ სნეულების გართულების ჟამს წამოუძახნია: ,,ჰოი, რომის წმიდა პაპავ, ილოცეთ ჩემთვის, რომ ეგოდენ ხანს ცრუმორწმუნოების სიბნელეში ვიყავიო“. ლეკების წინააღმდეგ ომიდან ახალი მობრუნებული ვიყავი, რომ მაშინვე მომახსენა: ,,ფრანგები მომრავლებულან შენს გარშემოო“. ასე, რომ ამ საქმეში თუ ანტონი მართლა გარეულია, ეს ქრისტეს წინააღმდეგ წასვლაა და უთუოდ დაღუპავს ჩვენს ქვეყანას. ხუცესო, ეს საქმე საფუძვლიანად უნდა შეისწავლო და თუ დადასტურდა, დროულად უნდა მივიღოთ სათანადო ზომები, თორემ ეს ახალი ჭირი, ჩვენთან ახლადდანერგილი სიტყვით რომ ვსთქვათ - წაგვლეკავს.

- მეფეო, ცდას არ დავაკლებ, ბოლომდე გავერკვევი, რა ხდება ჩვენს თავს ... - მიუგო ზაქარია ხუცესმა და

აღარ გააგრძელა სიტყვა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს რაღაცის თქმა უნდოდა და თავი შეიკავაო.

თეიმურაზი მაშინვე მიხვდა და ღიმილით უთხრა ზაქარიას:

- არ დაგიმთავრებია, ხუცესო, როგორც სჩანს სათქმელი კიდევ გაქვს და გისმენთ გულისყურით!

ზაქარიამ შეხედა მეფეს და ჩვეულებრივ განაგრძო საუბარი:

- თქვენთვის ახალი არაფერი მაქვს სათქმელი, უბრალოდ მინდოდა გამემეორებინა აქამდე მრავალჯერ თქმული, რომ ვახტანგის სამეფო ტახტისთვის უცხო არ არის ფრანგების სარწმუნოება და მათი მისიონერები. სულხან-საბამ კი ჯერ კიდევ, ევროპაში გამგზავრებამდე, საქართველოში ყოფნისას მიიღო ბასილის ორდენის წევრობა. ეს ორდენი მართლმადიდებელი მღვდელმსახურისაგან მოითხოვდა, მათივე ენით რომ ვთქვათ, მხოლოდ ორი რამის - ფილიოკვესა და რომის პაპის პრიმატის აღიარებას, გარეგნულად კი შეეძლო მართლმადიდებლის იერი შეენარჩუნებინა და ეკლესიაშიც დარჩენილიყო...

- ხუცესო, - გაეცინა თეიმურაზს, - მგონი შენც ფრანგულად დაიწყე ლაპარაკი. რა სიტყვებს გვეუბნები, იქნებ გადმოგვითარგმნო?

- რა თქმა უნდა, მეფეო, - გაეღიმა ზაქარიასაც, - ხომ იცი ნათქვამია: ,,თუ გინდა შენი მტერი დაამარცხო, მათი ენა უნდა იცოდეო“.

- ჰო! გეთანხმები, - მიუგო თეიმურაზმა, თან ერეკლეს გადახედა, მერე გაეღიმა და განაგრძო,- ჩვენ იმიტომაც ვისწავლეთ ოსმალოს და სპარსის ენა. ამჟამად ფრანგების ენის შესწავლაც მოგვიწევს, მანამდე კი შენ გვასწავლე ამ სიტყვების მნიშვნელობა.

- ფილიოკვე ლათინების სიტყვაა და ნიშნავს ,,და ძისაგან", რომელიც ფრანგებმა ნიკეა-კონსტანტინეპოლის სარწმუნოების სიმბოლოს ანუ მრწამსის ტექსტში ჩაამატეს, რაც ნიშნავს, რომ სულიწმიდა არა მარტო მამისგან, არამედ ძისგანაც გამოდის, ხოლო რომის პაპის პრიმატი - საქრისტიანო ეკლესიაზე მათ აღმატებულებაზე მიუთითებს. აი, აქედან იწყებენ და მერე ნელა-ნელა იტყუებენ ადამიანს თავის წიაღში.

- მწვალებლები ყოფილან და ეგ არის! - წარმოთქვა თეიმურაზმა, - ჩვენებური მიხედვა უნდა მაგათ, ჩემო ზაქარია. აბა, შენ იცი! მოიფიქრე რაიმე!

როდესაც ზაქარია ხუცესი გავიდა დარბაზიდან, ერეკლემ უთხრა თეიმურაზს:

- მე არ მჯერა, რომ ანტონმა ჩვენ გვიღალატოს!

V

წანარიანის მამასახლისი ალმასხანი, ამ მხარის ბატონმა სოფელ მთისყელიდან გადმოიყვანა, რადგან კარგად იცოდა წანარიანელების ერთობის ამბავი. ისინი ერთმანეთს გვერდში ედგნენ და ერთი პირი ჰქონდათ, ლხინშიც ერთად იყვნენ და ჭირშიც. გასაკვირი და მითუმეტეს საშიში აქ არაფერი იყო, მაგრამ ბატონს, თავისი სიწუწკიდან გამომდინარე, ეჭვის ჭია ღრღნიდა, ეშინოდა და გულში ფიქრობდა: ,,მოყვანილი მოსავალი არ დამიმალონო და ჩემი ბეღლების გავსების მაგივრად თავიანთი სტომაქები არ ამოიყორონო“. ამიტომაც გამოსავალი მოძებნა და წანარიანელებს მამასახლისად თავისზე უფრო წუწკი და ღვთის პირიდან გავარდნილი, მთისყელელი ალმასხანი დაუნიშნა. პირსისხლიანი შაჰ-აბასის შემოსევების დროს, მთისყელის მოსახლეობა მედგრად დაუდგა მომხვდურს და ბრძოლაში ბევრი სახელოვანი ვაჟკაციც დაეცა, ხოლო დარჩენილები დედაწულიანად დაატყვევეს და სპარსეთის გზას გაუყენეს ...

... დაცარიელდა სოფელი ... უპატრონოდ დარჩენილი ეზო-კარი ღვთის ანაბარა დარჩა ... ნადგურდებოდა ყველაფერი ...

სპარსელების წასვლის შემდეგ, განადგურებულ კახეთის სოფლებში ლეკებმა დაიწყეს თარეში და თუ რაიმე გადარჩათ წაუღებელი შაჰ-აბასის მეომრებს, ყვე-

ლაფერს იტაცებდნენ და თავიანთ აულებში მიჰქონდათ. ლეკების ერთმა რაზმმა მთისყელსაც მიაკითხა. მაოხრებლებს მოსწონებიათ სოფელი, ან კი რატომ არ მოეწონებოდათ ტყეებით გარშემორტყმული ულამაზესი ადგილი, სადაც დაუსრულებლად მოჩუხჩუხებდა ანკარა წყაროები და მჟავე წყლები, ჰქონდა შესანიშნავი სავარგულები, რომელზეც სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა კულტურის მოყვანა იყო შესაძლებელი. ღვინო ხომ საუკეთესო ჰქონდათ, მთისყელელთა წარაფი მთელს კახეთში იყო განთქმული. ასე, რომ ლეკებს ჩამოუყვანიათ თავიანთი ოჯახები და დასახლებულან ქართველთა ნასახლარებზე, ბატონსაც დასტური მიუცია, რადგან ისედაც გლეხებისგან დაცლილ კახეთში მუშახელი ჭირდა, გუთნის დედა სანთლით საძებნელი იყო. ლეკებში მიწათმოქმედნი ცოტანი იყვნენ, სამაგიეროდ სხვადასხვა ხელობის ოსტატები ბევრი ჰყავდათ. ასე იყო თუ ისე, შეეგუვნენ ახალ საცხოვრისს და ჩვეულებრივ ყოფა-ცხოვრებას მიჰყვეს ხელი. მერე მეჩეთის აშენების უფლება მოითხოვეს, რაზეც უკვე უარი მიიღეს. ეგ კი არა, ქართველებმა იქით მოსთხოვეს სარწმუნოების შეცვლა. აი, ამ დროს მთისყელელ ლეკთა უხუცესებმა გაიხსენეს წინაპრების მიერ გადმოცემული ამბავი მათი წარმომავლობის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, მათი მოდგმა გალეკებული ალბანელები ყოფილან, რომლებმაც ხაზარების შემოსევის შემდეგ დაღესტნის მთებს შეაფარეს თავი. ალ-

ბანეთში მათი სარწმუნოებაც ქრისტიანული ყოფილა, რომელიც თურმე მეხუთე საუკუნის ანტიოქიელი პატრიარქის, პეტრე მკაწვრალის მწვალებლურ სწავლებას ეფუძნებოდა და რომელიც ჯერ კიდევ ალბანელებამდე სომხებმა მიიღეს და თავიანთ ენაზე ხაჩეცარი უწოდეს. ასეთი რწმენით ცხოვრობდნენ თურმე ალბანელები დაღესტანში მანამდე, სანამ თემურ-ლენგმა ცეცხლით და მახვილით არ მიაღებინა მუსლიმანობა. ახლა კი ქართველები ისევ ქრისტიანობის მიღებას ავალდებულებდნენ. ამიტომ უხუცესებს მოუთხოვიათ: ,,თუ ისევ ქრისტეს სახელზე უნდა მოვინათლოთ, მაშინ ჩვენი წინაპრების სარწმუნოებაზე დავბრუნდებით და სომხურ ეკლესიებში ვილოცებთ, რომლებიც შენდება მეზობელ სოფლებშიო“. მთისყელელი ლეკების ეს მოთხოვნა ეპისკოპოსის ყურამდეც მისულა და მის ყოვლადუსამღვდელოესობას უთქვამს: ,, ჯერ კიდევ მამან ჩვენმა წმიდა მთაწმინდელმან გიორგიმ გვასწავლა: ,,ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ!“ ამიტომ კურთხევა ეძლევათ მოინათლონ მართლმადიდებლად სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა!“

მთისყელელ ლეკებს მეტი რა გზა ჰქონდათ, უმრავლესობა გაქრისტიანდა, ხოლო ვინც არ მოინათლა ახალ რჯულზე, უკან გაბრუნდა დაღესტანში. მას შემდეგ ერთ საუკუნეზე მეტი დრო გავიდა და აი, ასეთი გადანათლულ-გადმონათლული მოდგმის ნაშიერი მამასახლისად

დაუნიშნეს წანარიანელებს, სულით ხორცამდე ქართული ჯიშის ხალხს, რომლებიც ჯერ ღმერთს და სამშობლოს ემსახურებოდნენ და მერე საკუთარ თავს მიაგებდნენ პატივს. იმასაც ამბობდნენ, რომ თვითონ ბატონსაც დაღესტნიდან აქვსო ფესვები, ამიტომ ქართველები ღმერთისა და ერეკლე მეფის იმედადღა იყვნენ დარჩენილები.

ალმასხანს კი, რომელსაც ბატონის მხრიდან მხარდაჭერა ჰქონდა, წამოწოლილიყო თავისი სახლის ეზოში, დიდი მუხის ქვეშ გაშლილ ტახტზე და მტილში[19] მოფუსფუსე მსახურებს ადევნებდა თვალს. მერე ერთ-ერთი მათგანი იხმო და უბრძანა:

- ვეჟო! წადი და ჭიოტაანთ კატუა ამამიყვანე აქა! ეგრე უთხარ, მამასახლისსა აქვს შენთანა საქმეო!

მსახური, როგორც კი თვალს მიეფარა, ალმასხანმა ტახტზე გვერდი იცვალა და ფიქრები მოეძალა. ძალიან არ გაუხარდა ზაქროს გააზატება. გაუხარდა კი არა ეწყინა კიდეც, შურით აღივსო, როდესაც გაიგო, რომ თვითონ მეფე ერეკლემ სასახლის კარზე ხალხის წინაშე წარადგინა და ჯილდოც უბოძა. ,,ხალხი ეხლა მაგიი მხარ დაიჭერს, - ფიქრობდა ალმასხანი და თან ბოღმისგან სისხლი თავში აწვებოდა. მერე წამოიწია, ტახტზე ჩამოჯდა, ამოისუნთქა და ისევ განაგრძო ფიქრებში თავის თავთან საუბარი, - ხალხი კიდენა დიდი ძალაა, თუ პირი შაკრეი, ბატონიც ვერარაი გახდება მაგათთანა. სანამ ფრთები

19 მტილი - ბაღი

არ გაუშლია, მანამდე უნდა შეუკვეცო, როგორც საქათმეში ქათამსა, შემოღობილიდან რომ არ გადაფრინდეი, თორემა მერე ეძებე ... ჰაი, დედასა მტრისასა, პატრონსა შავი ცხვრისასა, ცხვრის ტყავიანი მგლისასა! ... მე ალმასხანი არ ვიყო თუ მაგაი დედა არ ვუტირო! ... მამინდომა აზატობა ბიჭმა! ...“

ალმასხანმა იქვე მდგარ ცივი წყლით სავსე კოკას დაავლო ხელი, მოიყუდა, დალია წყაროს წყალი, ულვაშებზე ხელი ჩამოისვა და ის იყო უნდა წამომდგარიყო, რომ ჭიშკარში ჭიოტაანთ კატუა გამოჩნდა მსახურთან ერთად. ეკატერინე-კატო, რომელსაც სოფელში ყველა მკითხავ კატუათი იცნობდა, ერთი დაგვალული, უსწორმასწორო სახის ქალი იყო. მის შემხედვარე ადამიანს ისეთი წარმოდგენა შეექმნებოდა მასზედ, რომ თითქოს მის მშობლებს ის, მოვალეობის მოხდის მიზნით, ნაძალადევად ჰყავდათ შექმნილი. თუმცა არავინ იცოდა, ვინ იყვნენ მისი მშობლები, რადგან სოფელში მცხოვრებმა უშვილო ცოლ-ქმარმა, რომელთაც ყველა ჭიოტაანთ ეძახდა და შვილსმონატრებულებმა, თელაველი ვაჭრისგან იშვილეს, მღვდელს მოანათვლინეს ეკატერინეს სახელზე, გაზარდეს და თვითონაც გავიდნენ წუთისოფლიდან. ობლად დარჩენილმა კატომ, თავი რომ ერჩინა, ვიღაც ქალაქელი მჩხიბავისაგან მკითხაობა ისწავლა და ამ თავისი ,,შემოქმედებით“ შოულობდა ლუკმა-პურს. თუმცა მკითხაობისა და მომავლის განჭვრეტისა რა მოგახსენოთ და ჯადოს გაკეთება მართლა მარჯვედ იცოდა. ამი-

ტომაც სოფელში მასთან ურთიერთობას თითქმის ყველა ერიდებოდა. თვითონ კი პირიქით, ყველას ეზოში ისე შედიოდა, როგორც საკუთარ სახლში, მხოლოდ ეკლესიას ერიდებოდა და მამა მირიანს კი, როგორც იტყვიან, სათოფე მანძილზე არ ეკარებოდა.

მკითხავკატუა ჭიშკარში შემოსვლისთანავე აქოთქოთდა:

- გამარჯობა და სიხარული, ჩვენო ბრძენო და ყველაი პატრონო მამასახლისო, როგორაი ბრძანდები შენი კვნესა მე! ამამიყვანეო, ეგრე მითხრა შენმა გამოგზავნილმა ბიჭმა და მენაცა სასწრაფოდ წამოველ ქა, ეგებ რამე უჭირს-მეთქი ჩვენ მამამარჩენალსა?

,,წადი შენი!“ - გაიფიქრა ალმასხანმა, - ,,ვითომ ძაან გულზე გეხატები!“ მერე კი ხმამაღლა გააგრძელა:

- ოოოო! ჩემო კატო, სადა ხარ რო დამეკარგე, ეგრე უნდა მაშა?

- არა მცალიან, შენი კვნესა მე, მამასახლისო, - უპასუხა კატუამ, - ამდენ გაჭირვებულ ხალხ შველა უნდა, მე კიდენა რამდენად გავიყო, ერთი გაჭირვებული და უბედური ქალი ვაარ! მაგრამა მაინცა ყველაი ვეხმარები.

- თუ გიფასებენ შრომასა? - გაეცინა ალმასხანს.

- აბა, რა გითხრა, მამასახლისო, - მიუგო კატუამ და მხრები აიჩეჩა, - ხან ასეა, ხან ისე.

- კარგი, - უცებ სერიოზული სახე მიიღო ალმასხანმა, - ერთი დავალება უნდა მოგცე და თუ ისე შეასრულებ, როგორც მე მინდა, კარგად გადაგიხდი.

- რას ამბობ, მამასახლისო, - ვითომ შეიცხადა კატუ-ამ, - თქვენ მაგაი როგორ გაკადრებთ, რომ საქმი გაკეთები სანაცვლოდ რამე გამოგართვა, მაშინ ხვალინდელი დღე არ გამითენდეი მე ბედშავსა.

- კარგი! ... კარგი! ... - დააწყნარა ვითომ აფორიაქებული კატუა ალმასხანმა, - ეგ მე ვიცი და ჩემი საქმეა, აი, შენ კი რაც იცი ის საქმე უნდა გააკეთო, მხოლოდ რასაც გეტყვი, სიტყვა არ დაგცდეი არსადა!

კატუამ თითებით თმები ჩამოიხოკა და კბილებში გამოსცრა:

- უიმე, ქა! რას ამბობ, მამასახლისო! მე ხომ იცი, ჯვარზე რომ გამაკრან ვერაფერ მათქმევინებენ!

- შენ ჯვარზე არავინ გაგაკრავს, - გაეცინა ალმასხანს, - ჯვარზე რომ გაგაკრან, საჯვარე უნდა იყო. ეხლა კი მისმინე!

ალმასხანი დაწვრილებით მოუყვა მკითხავკატუას ზაქროს ამბებს, როგორც ცოლის მოყვანისა, ისე გააზატებისა. ჭიოტაანთ ქალი თავჩაღუნული უსმენდა შურით დაბოღმილ მამასახლისს და ხარობდა, რომ ბოროტება გალაღებულიყო მასში. როგორც იქნა წანარიანშიც მოსულიყო ეშმაკთა მთავარი. ბედნიერი დღეები ელოდა კატუას. ფიქრებიდან მამასახლისის სიტყვებმა გამოაფხიზლა:

- აბა, რას იზამ! შენებურად მიმიხედავ ამ კაცსა!?

- როგორა, მამასახლისო? - ისე შეიცხადა კატუამ, თითქოს ვერ მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა.

- ჭრელადა! - იყვირა ალმასხანმა, - აქ ბალახი გასაგ-ლეჯად კი არ დაგიძახე! ჯადო უნდა გაუკეთო ისეთი, რო გამოათაყვანო, გაიგეე!

- ჰოო, გავიგე, მაშა, ... მაშა ... მაშ არ გავიგე!?

- ჰოდა მიხედე საქმესა! - ახლა უკვე წყნარად მიუ-გო ალმასხანმა ჭიოტაანთ ქალს და თვალებში ჩახედა, - კარგად გააკეთებ საქმესა, ოქრო-ვერცხლ მიიღებ, ვერ გააკეთებ და სოფლიდან გაგაგდებ! გაიგეე!

ალმასხანმა მსახური იხმო და ანიშნა, კატუა გაეცი-ლებინა. მერე მეორე მსახურს დაუძახა და უთხრა:

- წადი, გაყე უკანა! ი ბიჭი ცოტა ბრუციანია და კა-ტუამა ხელ არაფერი გააყოლოი, ხელმრუდე ქალია ეგ ჯოჯოხეთიი მაშხალა!

ალმასხანი ლეკების შთამომავალი იყო და იმდენად სისხლში ჰქონდა გამჯდარი სხვისი ქონების დატაცები-სადმი მიდრეკილება, რომ ყველა ადამიანში ქურდსა და ავაზაკსა ჰხედავდა და მუდმივად შიში ჰქონდა, არავის არაფერი მოეპარა მისთვის.

VI

სანამ ქართველობა გარეშე მტრების მოგერიებით იყო დაკავებული და ამისთვის საკმაოდ ბევრი სისხლი იღვრებოდა, ობლდებოდა და ნადგურდებოდა ოჯახები, ქვეყანაში კათოლიკე მისიონერების გვერდით კიდევ ერთი ჭირი - სომხური მონოფიზიტური სარწმუნოება ძლიერდებოდა. მან ფრთები ანტონ პირველის მმართველობის პირველ წლებში გაშალა. ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა საქართველოს იმ განაპირა მხარეებში, რომლებიც სომხეთს ესაზღვრებოდა და სადაც ძნელბედობის ჟამს ლეკები და თათრები დათარეშობდნენ, ხრამის ხეობა, ბორჩალოს და პირიქითა ალაზნის მხარე აივსო მონოფიზიტობის მქადაგებლებით, რომლებიც ცდილობდნენ, ქვეყნის გასაჭირზე რელიგიური დაშლაც დაერთოთ. ამ მოძრაობის სულისჩამდგმელი იყო სომეხთა კათალიკოსი ლაზარე ჭაუკელი, ანტონის თანამედროვე და თავგამოდებული მონოფიზიტი. იგი დაუახლოვდა ანტონს და ცდილობდა მის გადაბირებას. ასე, რომ კათალიკოსი ორმხრივი რელიგიური შეტევის ქვეშ აღმოჩნდა. ლაზარემ გამოსცა თავისი შრომა ,,დრაჰტ--ცანკალი“ ანუ ,,სასურველი სამოთხე“, რომელშიც ერთის მხრივ სომხურ ერესს ამართლებდა, ხოლო მეორეს მხრივ, განაქიქებდა მსოფლიო ეკლესიის მოძღვრებას იესო ქრისტეს პიროვნების შესახებ. ბოროტად იხსენი-

ებდა ქალკედონიის კრებას. ვალარშაპატს ანუ სომხურ ეკლესიას ყველა ეკლესიის თავად მიიჩნევდა, ხოლო სომეხთა კათოლიკოსს - ყველა ქრისტიანის უმაღლეს მბრძანებლად. ლაზარემ ეს წიგნი თავაზიანი წერილის დართვით ანტონსაც გაუგზავნა. იგი სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში, ქართველ სასულიერო პირთა შორის და გეენის ცეცხლში აგდებდა უმეცართ.

ანტონ კათოლიკოსმა მონოფიზიტების წინააღმდეგ მათივე მეთოდები გამოიყენა, მოკლე დროში შეისწავლა სომხური საეკლესიო-ისტორიული საღვთისმეტყველო მოძღვრებანი, აგრეთვე წმიდა მამათა თხზულებანი და შეუდგა სომხური მონოფიზიტური ერესის წინააღმდეგ მიმართული ნაშრომის ,,მზამეტყველების“ შექმნას, რომელიც მალევე დაასრულა. ამ საინტერესო ნაშრომში ანტონმა ნათლად აჩვენა, რომ სომხურ ეკლესიაში მკაცრად განსაზღვრული მოძღვრება არ არსებობს, რომ ზოგიერთი მწერალი იცავს მკაცრ მონოფიზიტობას, სხვები კი მხოლოდ ქალკედონიის კრებას უარყოფენ. სომეხ კათოლიკოსთა ერთი მესამედის შეხედულებები თითქმის არ განსხვავდება მართლმადიდებლობისაგან, ზოგიერთს კი საშუალო პოზიცია უკავია მონოფიზიტობასა და მართლმადიდებლობას შორის. ამავე ნაშრომში ანტონი სომეხთა კათოლიკოსის ლაზარეს თხზულებასაც განიხილავს და მის ყველა პუნქტს განაქიქებს. იგი ამბობს, რომ სიცრუის გზაზე შემდგარი ლაზარე იქამდე მივიდა,

რომ იესო ქრისტეს ღმრთაებრივი და კაცობრივი ბუნება ერთ ბუნებაში მოაქცია.

სომეხ მონოფიზიტთა წინააღმდეგ გამოცხადებულმა ბრძოლამ ანტონ კათოლოკოსი დააახლოვა ლათინელ პატრებთან, რომლებიც მას საჭირო ლიტერატურით ამარაგებდნენ. ამის გამო მან დაიწყო ლათინური ენის შესწავლა და გადაწყვიტა ლათინური სკოლების გახსნა. იგი დაუახლოვდა განსწავლულ მისიონერებს, განსაკუთრებით კი თბილისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარს - პატრ ნიკოლას, აგრეთვე კაპუცინელებს ფრანცისკოსა და ბონავენტურა პადუელს. ეს უკანასკნელნი ქართლიდან ახალციხეში იყვნენ გაძევებულნი, მაგრამ დედოფალ ანას შუამდგომლობით თბილისში ჩამოიყვანეს, როგორც ექიმები. ანტონი ხშირად სტუმრობდა მათთან და მრჩევლებადაც კი დაიყენა სასკოლო საქმის ორგანიზაციისთვის. ცბიერმა მისიონერებმა ისარგებლეს ამ ურთიერთობებით და დაიწყეს ანტონ კათოლიკოსის გადაბირება ფლორენციის უნიაზე.[20] გარეგნული რიტუალების მოყვარული ანტონი, როგორც ჩანს მოიხიბლა მისიონერების მცდარი აზრებითა და ცრუ დაპირებებით, ირწმუნა ფლორენციის კრების მსოფლიო-საეკლესიო აღმატებულება და გადაიხარა უნიის მხარეს.

ხუცესმა ზაქარიამ კარგად უწყოდა ეს ყოველივე, უფრო მეტიც, კათოლიკე მისიონერები თავის წრეში უკ-

20 უნია - გაერთიანება, კავშირი. ამ შემთხვევაში კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით.

ვე ავრცელებდნენ ცნობას, რომ ანტონ კათოლიკოსმა მიიღო რომის წმიდა სარწმუნოება და გორის უფროსი პატრი იერონიმე ნორჩელის წინაშე აღიარა კათოლიკე სარწმუნოებაო, რასაც თავისი ქვეყნის გამარჯვებად თვლიდნენ და უკვე მართლმადიდებელი სარწმუნოების დასამხობად საბოლოო შეტევისთვის ემზადებოდნენ.

,,მეფემ დროული გადაწყვეტილება მიიღო“, - ფიქრობდა ზაქარია, - ,,კათოლიკურ ხიბლში ჩავარდნილი ანტონისგან ბევრი რამ არის მოსალოდნელი. სასწრაფოდ შესაჩერებელია. ტახტის დაბრუნებისთვის ბრძოლამ სულ დააბრმავა. ისევ ევროპაში დაიწყეს მფარველის ძებნა და ვერ ხვდებიან, რომ უფსკრულისკენ მიექანებიან. უნიაზე ხელმოწერით რომმა ბიზანტიის დამხობას შეუწყო ხელი, ახლა კი ჩვენი ჯერი დადგა. ანტონის მხილება აუცილებელია, მაგრამ როგორ? მტკიცებულებებია საჭირო. ღმერთო, გამინათე გონება“.

ზაქარია შევიდა ეკლესიაში, დაიჩოქა ღვთისმშობლის ხატის წინ და შეუდგა ლოცვას.

მეორე დღეს,ზაქარია ხუცესს ეახლა, ბატონიშვილ გიორგის აღმზრდელი, ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბა ტუსიშვილი. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, საბამ სტუმრობის მიზეზიც მოახსენა ხუცესს:

- წუხელ მეფე თეიმურაზი დამესიზმრა, ხუცესო. შორიდან მიხმობდა. ვერაფერს მივხვდი, ისიც კი ვიფიქრე, რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. ახლად გაღვიძებული ამ ფიქრებში ვიყავი, რომ სამეფო კარის შიკრიკი მეახლა

და მამცნო: ,,მეფე თეიმურაზი გიხმობს სასწრაფოდო!“ მაშინვე გადაველ თელავს და ვეახლე მეფეს. ანტონ კათოლიკოსზე მესაუბრა და შენთან გამომგზავნა - ,,რაც შეიძლება დააჩქარეთ მხილებაო!“

- გუშინ მეც მელაპარაკა იგივეს. მთელი ღამე ლოცვაში გავლიე და ვევედრებოდი უფალს და ღვთისმშობელს დამხმარებოდნენ ამ საშურო საქმის მოგვარებაში. ვატყობ, რომ რაღაც გზა გამოჩნდა, რახან თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მოავლინა ჩემს საშველად.

- არ ვიცი, მე რამდენად დაგეხმარები, ხუცესო, მაგრამ ერთი რამ მოვიფიქრე.

- აბა, ყურადღებით გისმენ, მეუფე საბა. - მიუგო ზაქარიამ და წვერზე ხელი ჩამოისვა.

- ანტონმა, მაცდუნებელთა ჩაგონებით, თავისთან დაახლოებულ მღვდელმთავართა შორის დაიწყო საიდუმლოდ გავრცობა უნიისა, რომელმაც მალე გამოიღო მწარე ნაყოფი. ზოგიერთმა სასულიერო პირმა, მათ შორის უმაღლესმა მღვდელმთავარმაც კი, მიიღო უნია.

- არადა, ჩვენამდე ეს ამბები არც მოსულა, - გაიკვირვა ზაქარიამ, - ესე იგი მეფემ დროულად ბრძანა ამ საქმის მხილება და მოგვარება. დროის დაკარგვა არ შეიძლება, მეუფე საბა. აბა, რა გაქვს გულში?

- ამ დღეებში აღსარების ჩასაბარებლად უნდა ვეახლო ანტონს, - მიუგო საბამ ხუცესს, - და მაშინ გავანდობ, ვითომ ჩემს გულის ნადებს და სურვილს უნიის მხარდა-

ჭერისა და ლათინთა სარწმუნოების მიღებისა. ამ ტყუილს ღმერთი შემინდობს ალბათ, რადგან ქვეყნისა და მეფის კეთილდღეობისათვის არის მოფიქრებული.

მცირე ხანს ჩაფიქრდა მიტროპოლიტი, მერე თავი ასწია, პირჯვარი გადაიწერა და ჰკითხა ზაქარიას:

- აბა, რას მირჩევ, ხუცესო?

- სხვა გზა არ დაგვიტოვეს და იყოს ნება უფლისა, - წარმოთქვა დამწუხრებულმა ზაქარიამ. ჩემგან დასტური. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მეუფეო.

VII

ზაქრომ და მართამ ის ღამე ზაქროს მამის, გიოაანთ გიორგის მიერ აშენებულ სახლში გაათიეს. თავზე გადამხდარი ამბების გამო, გადაღლილ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მალევე ჩაეძინა და დილით მამლის მესამე ყივილზე, როგორც იქნა გაეღვიძათ. ჯერ კიდევ შუაწელამდე არ მისული შემოდგომის მზის სხივები, სახლის ფანჯრებში შემოჭრილიყო და უკვე კარგა გვარიანად ანათებდა ზაქროს სახლის იმ ორ პატარა ოთახს, რომელიც მამისგან ჰქონდა მემკვიდრეობით დატოვებული. სახლის ქვის კედლები თიხაში არეული თივითა და კირით იყო შელესილი, სახურავი ყავარით დაეფარებინათ, ასე, რომ ოთახები ზაფხულში ცხელი იყო და ზამთარში - ცივი.

სიცხეს ზაფხულში მთებიდან მონაბერი სიო აგრილებდა ხოლმე, ხოლო ზამთრის სიცივეს კი საძინებელ ოთახის კუთხეში სახელდახელოდ მიშენებული ბუხარი. სახლს წინ პატარა ეზო ჰქონდა, სადაც სარებზე ლამაზად დახვეული ვაზი იყო მიბმული და ალაგ-ალაგ ვარდები ჰყვაოდა, ხოლო სახლის უკან ხეხილის ბაღი გაეშენებინათ, რომელშიც ნაირ-ნაირი ხილის სურნელი ტრიალებდა. ყურძენიც და ხილიც მოსაკრეფი იყო, ან კიდევ ვინ მოკრეფდა, ამ სახლში ზაქროს მეტი არავინ ცხოვრობდა. დედ-მამა ახალი გარდაცვლილი ჰყავდა გიოანთ ბიჭს. მამამისი გიორგი აჯი-ჩალაბთან ბრძოლას შეეწირა, ხოლო დედამ - კევლიაანთ ანამ, ქმრის დაკარგვა ვერ გადაიტანა და გიორგის გარდაცვალებიდან წლისთავზე უფალს მიაბარა სული.

ობლად დარჩენილ ზაქროს ახლობლებმა და მეზობლებმა ორი წლის მანძილზე თავი მოაბეზრეს ერთი და იგივე თხოვნით - ქალი მოეყვანა, რათა ოჯახში სიცოცხლე არ ჩამქრალიყო, მაგრამ ვერაფერი შეაგნებინეს. სულ ომში იყო. დაძახებაც აღარ სჭირდებოდა, თითქოს გუმანით გრძნობდა, მტერი როდის შემოდიოდა მის სამშობლოში. მის ქარქაშმონატრებულ ხმალს გალესვაც აღარ სჭირდებოდა, მტრის თავებზე და სხეულზე თვითონ ილესებოდა. მუდმივად ომებში მოსიარულეს სოფლელებმა წანარიანელი ერეკლეც კი შეარქვეს, რადგან მეფე ერეკლესავით სულ ხმლით ავად მუსაიფობდა

მტერთან, დღე ცხენიდან არ ჩამოდიოდა და ღამე კიდევ ცხენის უნაგირზე თავდადებულს ეძინა. მათ ჯიშ-ჯილაგში მემკვიდრეობით გადადიოდა ქართული საბრძოლო ხელოვნება. ერთობ მოქნილი, სხარტი ვაჟკაცი იყო და ბრძოლის დროს ქორივით დასტრიალებდა მტერს, სანამ თავისას არ გაიტანდა, არ მოეშვებოდა. ამიტომაც მეფემ აზატობა უბოძა და თავის სადროშოში მიუჩინა ადგილი.

ახლადდაქორწინებული ზაქრო ეზოში გამოვიდა, შემოდგომის შეგრილებული ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, გაიხედა აღმოსავლეთისკენ, პირჯვარი გადაიწერა და ხმამაღლა წარმოთქვა:

- დიდება შენდა, უფალო! მადლობა ყველაფრისთვის, უფალო, და შემიწყალე მე ცოდვილი! ჯანი მიეც და ხელი მოუმართე ჩვენ მეფე ერეკლესა!

- ბჯო, ზაქრო! ისევ იმ ჭკუაზე ხარ, არა? - მოესმა ზაქროს მეზობლის ხმა.

- ჰო! ამირანა ძია! დილა მშვიდობისა! - გასძახა ზაქრომ მეზობელს, - რამე შემეშალაა!? ვერა ვთქვი ისეე!?

- მშვიდობა მოქცეი ღმერთმა, გიოაანთ ბიჭო!? - ასე მიმართავდა ხოლმე ამირანი ზაქროს, რადგან მამამისის მარტო მეგობარი და მეზობელი კი არ იყო, არამედ თანამებრძოლი, ჭირისა და ლხინის გამზიარებელი, - არაფერი შეგშლია, შვილო, უბრალოდ დაგავიწყდა, რომ ეხლა ცოლიანი ხაარ და ლოცვებში შენი მეუღლე, იგივე ჩვენი შვილი მართაც უნდა მოიხსენიო! მაშა! მაშა!

-სწორი ხაარ, ამირანა ძია! - გაეღიმა ზაქროს, - ჯერ კიდევ ვერ შევეგუე იმასა, რომა ქალი მოვიყვანე! ...

ამ დროს სახლიდან მართაც გამოვიდა, მიესალმა ამირანს და ზაქროსკენ გაიხედა, სანამ რაიმეს ეტყოდა, ქმარმა დაასწრო და ხმამაღლა წარმოთქვა:

- იგე, ამირანა ძია! ამ მზეთუნახავის სილამაზემ გონება დამაკარგვინა და იმიტომაც მამივიდა ეგრე! ამის შემდეგ ჩემზე წინ მართაი შევავედრებ ღმერთსა!

ამ სიტყვების გამგონე მართამ დაიმორცხვა, გულში კი ქოქოლა მიაყარა ზაქროს, მაგრამ გარეგნულად ეს არ გამოხატა, თმები შეისწორა, თავშალი მოიხვია და სახლში შებრუნდა. ლამაზი ქალი გახლდათ მართა. რომ ამბობენ ხოლმე: ,,ციდან მოწყვეტილი ვარსკვლავიო“, ალბათ ვინმეს, თავის დროზე ნანახი ჰქონდა ,,მოწყვეტილი ვარსკვლავი“ და ლამაზ ქალსაც მას ადარებდნენ, ალბათ ისეთს, რომელსაც სილამაზეში ნაკლს ვერ მოუძებნიდი. ასე იყო მართაც. ცალკე აღებულ ვერც ერთ ყვავილს ვერ შეადარებდი, უფრო ყვავილებით და სურნელებით უეცრად აფეთქებულ გაზაფხულს მოგაგონებდათ ეს ახალგაზრდა ქართველი ქალი, რომლის წინაშეც სილამაზის ქალღმერთად შერაცხული, ყველა დროის ღვთაება დაიჩოქებდა და თყვანსა სცემდა ...

... ხარობდნენ წანარიანელები, კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შემატებოდა მათ სოფელს ... მართლაც დიდი გამბედაობა სჭირდებოდა ადამიანს, რომ ამ ავ-ბედითობის

ჟამს შეექმნა ოჯახი. კაცმა არ იცოდა, ხვალ რას უმზადებდა განგება მტრებით გარშემორტყმულ საქართველოს, მაგრამ ღმერთს მინდობილი ქართველი კაცი ვალდებული იყო სამშობლოც დაეცვა უპირველეს ყოვლისა და ოჯახიც შეექმნა, რათა მიწა-წყლის დამცველები აღეზარდა ქვეყნისთვის.

შუადღე კარგახნის გადასული იყო, რომ ზაქროს ჭიშკართან ხმა გაისმა:

- მასპინძელო! ... მასპინძელო! ... გამოგვხედაამ!? ...

ზაქრომ გამოიხედა ფანჯრიდან და ჭიშკართან თავის ბავშვობის მეგობრები დაინახა - თედო და მიტო. სასწრაფოდ გავიდა ეზოში, გახარებულმა გააღო კარი და გადაეხვია მონატრებულ ძმებს.

- გილოცავთ, ძმაო! - მყივანა ხმით დაიწყო საუბარი თედომ, რომელსაც ეს ხმა ბავშვობიდან გამოჰყოლოდა, - გუშინ, იმდენ ხალხშია, შენამდე ველარ მოვედით, არც შენ და არც ჩვენ მაგიი ხასიათზე არ ვიყავით ბიჭების დაღუპვის გამო!

- რას იზამ, ძმაო, მეომრის ხვედრი ეგეთია. ბრძოლიდან ან გამოხვალ ან გამოგიყვანენ ცოცხალს ან მკვდარს, - თქვა ზაქრომ, თავი დახარა და გააგრძელა, - კარგი ბიჭები იყვნენ, ბოლომდე იბრძოლეი, ღმერთმა გაანათლოი მათი სულები!

- ჰა! შამოგვიშვებ სახლშიაა, თუ ჩვენი ხურჯინებით უკან გავბრუნდეთ!? - იკითხა მიტომ და თავზე ქუდი გა-

ისწორა, - რას იზამ, ამბობენ - სიცოცხლე და სიკვდილი ძმები არიანო! არავინ არ დავრჩებით ამ ქვეყნად, ამაი ხო წუთისოფელ ეძახიან და ეგრეც არის!

- რას ამბობ, კაცო!? - წამოიძახა ფიქრებში წასულმა ზაქრომ, - უნდა შამოხვიდეთ, თქვენზე უკეთესი ვინა მყავს. დედმამიშვილი მე არა მყოლია და მშობლებიც იმ ქვეყნად არიან. მოდით! მოდით! აბა, თქვენი ამბებიც მომიყევით.

ბიჭები იქვე სახლის კედელთან სახელდახელოდ მოწყობილ ჩარდახში გამართულ მაგიდასთან მდგარ სკამებზე ჩამოსხდნენ. მიუხედავად ზაქროს დაჟინებული თხოვნისა, სახლში არ შევიდნენ - ,,აქ გვირჩევნია, ჩვენი ბავშვობის შეკრების ადგილასო“. მერე ხურჯინები გახსნეს და ამოალაგეს: დედას პურები, შოთები, ნაზუქები, მრგვალად მოხარშული დედალი, შემწვარი წიწილები, გუდის ყველი, მშრალად მოხარშული ხორცი, ყველიანი კვერები და უმრავი სხვა რამ.

- რა იყო, ბიჯო, სახლში არაფერი დატოვეეთ? - გაეცინა ზაქროს, - რაღაცაი ჩვენც მოვამზადებთ.

- შენ რა უნდა მაამზადო, - წამოიყვირა თავისი მყივანა ხმით თედომ, - სახლში შენ არა ხარ და მეფე ერეკლე ხო არ გამოგიგზავნის საჭმელს თელავიდანა. იგე, ცოლი ხო მაიყვანე!? რამდენიმე დღეში შემოგივლით და შენი ქალის ნახელავსაც გავსინჯავთ. მაშა! - მერე მიხოს მიუბრუნდა და უთხრა, - შენ რაღაი დამდგარხარ ჩვენი

მღვდლი ჯორივითა, წადი იი ტიკი შემოიტა, ჭიშკართან რო დავტოეთ!

უცებ, ამირანის ხმა მოისმა სამეზობლო კუტიკარიდან:

- ვაჟკაცებო! შაიძლება მეც შემოგიერთდეეთ?

- მოდი, მოდი, ამირანა ძია! - აყვირდა ისევ თედო და თან იცინოდა, - შენ მაინც მოდი, თორემა ეს შეჩვენებული ჩვენ რძალ არ გვაჩვენებს, ეტყობა კოჭლია!

- შენთან კაცი არ მოიწყენს, თედო! - უთხრა ამირანმა და მაგიდაზე დოქით ღვინო და გობით ცხვრის მოხარშული ხორცი დადგა, რომელსაც ოხშივარი ასდიოდა, - მზეთუნახავია ჩვენი რძალი, მაგრამ თქვენი ამბავი რომ ვიცი, იმასაც მოაბეზრებთ თავსა.

- ვითომ რათაო? - იწყინა მიხომ, - ეგეთი ვირგლები და ბუგრებიც ხო არა ვართ, ჰაა!?

- ყველაფერი იქნებით, სანამ დედაკაცებ არ მაიყვანთ! - მიუგო ამირანმა და ორივეს ყურები აუწია, როგორც ამას ბავშვობაში უკეთებდა ხოლმე ამ ონავრებს. მერე ორივეს ხელი გადახვია და მამა-შვილურად უთხრა, - უკვე დროა, შვილებო, ისედაც ცოტანი ვართ ქართველები.

ამასობაში ზაქრო და მართაც გამოჩნდნენ. მაგიდაზე გადასაფარებელი სუფრა, თიხის თეფშები და ჯამები მოჰქონდათ.

თედო და ზაქრო, რომლებიც აქამდე ყელყელაობდნენ და ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად, მართას დანახვაზე დაიბნენ და უხერხულობის გასაფანტად,

თავები დახარეს და მიწას მიაშტერდნენ. ამირანს გაეცინა და პატარძლის გასაგონად ხმამაღლა წარმოთქვა:

- რაო, ვეჟო, დაკარგეეთ რამე? ცოლი მოსაყვანად მიწაი კი არ უნდა უყუროთ, გაიცით, ქვეყანაზე თვალი გაახილეთ, რამდენი ლამაზი დედაკაცი დადის ო!

- კარგი ჰო, ამირანა ძია, მთლად მიწაითან ნუ გაგვასწორებ, - ამოღერღა მიტომ, - რას იფიქრებს ახალი ძალუა?

ბიჭებმა მართას მდაბლად თავი დაუხარეს. ზაქრომ გააცნო მეუღლეს თავისი მეგობრები და მალევე შემოუსხდნენ გაშლილ სუფრას. წესისამებრ თამადად წლოვანებით უფროსი ამირანი აირჩიეს, უფლის დიდება წარმოთქვეს, ადღეგრძელეს სამშობლო, მეფეები, ნეფე-პატარძალი, სამშობლოსთვის თავდადებული ვაჟკაცები ... და მალევე დაამთავრეს სადილობა, რადგან სოფელში რამდენიმე დღის წინ ყვარლის ციხის აღების დროს დაღუპულ ბიჭებს გლოვობდნენ და ქეიფის არც დრო იყო და არც ხასიათი.

ზაქრომ ხელი გადახვია მეგობრებს, მადლობა გადაუხადა, ჭიშკრამდე მიაცილა და თან სიტყვაც დაადევნა:

- ბიჭებიი ორმოცი როგორც კი გავა, პირველივე კვირა დღეი, წირვიი შემდეგ, გეპატიჟებით ჩემთან და ჩვენებურად აღვნიშნოთ ჩემი დაოჯახება.

VIII

პირველ ოქტომბერს, თითქმის მთელი საქართველო შეიკრიბა ქვეყნის უძველეს დედაქალაქ მცხეთაში. მართლმადიდებელი ეკლესია სრულიად საქართველოს მრევლთან ერთად ზეიმობდა საუფლო კვართის და ღვთივბრწყინვალე და მირონმდინარე სვეტის დღესასწაულს. ხალხი ამ დღესასწაულს მცხეთობას ეძახდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან დღესასწაულამდე რამდენიმე დღით ადრე, დაიძვრებოდნენ ხოლმე მორწმუნენი, ზოგი ცხენებით, ზოგი ურმებით, ზოგიც ფეხით ღამის სათევად მიდიოდნენ მცხეთაში. ღამის წირვა-ლოცვასთან ერთად, სვეტიცხოვლის გალავნის გარეთ იკვლებოდა შესაწირი ცხვარ-ძროხა და რამდენიმე დღე ქეიფობდა და მხიარულობდა ხალხი. დილით კი სადღესასწაულო წირვას ქართლ-კახეთის კათოლიკოსი ატარებდა.

წელსაც ტრადიცია არ დარღვეულა და სადღესასწაულო წირვის ჩასატარებლად მისი უწმიდესობა ანტონ პირველი მობრძანდა სამღვდელო დასთან ერთად, რომელთაც ტრადიციული შეხვედრა მოუწყვეს ლიტურღიაზე დასასწრებად მობრძანებულ ქართლის მეფეს თეიმურაზ მეორეს და კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს. წირვის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო ტრაპეზი. ტრაპეზის დამთავრების შემდეგ, ანტონ კათოლიკოსმა

კიდევ ერთხელ დალოცა ქართლ-კახეთის მეფეები და შემდეგ თითოეული ეპარქიის მეუფე და მადლობა გადაუხადა ყველას. ბოლოს, კათოლიკოსთან კურთხევის ასაღებად, მიტროპოლიტი საბა ტუსიშვილი მივიდა. ხელზე ემთხვია ანტონს და სთხოვა:

- თქვენო უწმიდესობავ, აღსარების ჩაბარება მსურს ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე და როდის შეიძლება თქვენი შეწუხება.

- ხომ მშვიდობაა, მეუფეო? - ჰკითხა ანტონმა.

- ღმერთს დიდება, თქვენო უწმიდესობავ, არა გვიჭირს, თქვენი თანადგომით ვემსახურებით უფალს. - მიუგო მეუფე საბამ.

- მეუფეო, მომავალ კვირას წირვას ვატარებ ტფილისში, სიონის ტაძარში და იქ მოგისმენთ, - უთხრა კათოლიკოსმა და მერე დასძინა, - ფრიად სასწრაფო ხომ არ არის?

- არა, თქვენო უწმიდესობავ, - მორჩილებით წარმოთქვა საბამ, - კვირას გეახლებით სიონის ტაძარში და მოგახსენებთ ყოველივეს.

დრო არ ითმენდა, მაგრამ სიჩქარით შეიძლება საქმე გაფუჭებულიყო.

მიტროპოლიტი საბა მეორე დღეს თეიმურაზ მეფის ტფილისის სასახლეში შეხვდა ზაქარია ხუცესს და ანტონ კათოლიკოსთან შეხვედრის ამბავი მოუყვა.

- დიდი სიფრთხილე გმართებს, მეუფეო, - უთხრა ზაქარიამ, - კარგად ვიცი, რომ ტყუილის თქმა გიჭირს,

მაგრამ სამშობლოს და სარწმუნოების გადარჩენისა და კეთილდღეობისთვის ეს საშური საქმეა. ამ ცოდვას მოგიტევებს უფალი.

- ყველანაირად ვეცდები, ხუცესო, არ შევიმჩნიო.- მიუგო საბამ, - ისე, წირვაზე შევამჩნიე ნაძალადევად და ზერელედ ექცეოდა სიწმიდეებს. როგორც ჩანს, ღვთიური მადლი განშორებულია მისგან.

- ცბიერი მისიონერები ტვინს ურევენ ყველას, - გაცხარდა ზაქარია, - საკუთარ სამშობლოში რამდენს გვიბედავენ და იქ, მათ სათაყვანო რომში, რას შეგვამთხვევენ, კაცმა არ იცის. ჩვენს ზურგს უკან მუსლიმანებთან აქვთ კავშირი გაბმული და ორმაგ თამაშს თამაშობენ.

მერე ცოტა დაწყნარდა ხუცესი და ისევ განაგრძო:

- არ არის გამორიცხული, გამოცდა მოგიწყონ, ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, მეუფეო. არ შეგეშლება შენ ასეთი ურთიერთობები, საკმაოდ გამოცდილი ხარ. ღმერთმა ხელი მოგიმართოს და ეს ჩვენი დაწყებული საქმე წარმატებით დაგვაგვირგვინებინოს!

კვირას მეუფე საბამ ეპარქიაში ჩასატარებელ წირვაზე კურთხევა ტაძრის წინამძღვარს მისცა, თვითონ კი ტფილისში გაემგზავრა. დიდი ხანია სიონის უძველეს ტაძარში არ დასწრებია წირვას. შევიდა საკურთხეველში, ანტონ კათოლიკოსისგან კურთხევა გამოითხოვა, შეიმოსა და თავისი ადგილი დაიკავა. წირვის დროს, ისეთი შეგრძნება დაეუფლა, რომ ყველა ხატი, ბარძიმი, ფეშხუ-

მი და ანთებული სანთლებიც კი, მისკენ იხედებოდნენ. მის ირგვლივ თითქოს ყველა სიწმიდემ მოიყარა თავი და მეუფის აყვანა უნდოდათ ხელში. მეუფემ თავს ძალა დაატანა, რომ ხიბლში არ ჩავარდნილიყო, ფსკვნილი მოიმარჯვა და გამუდმებით შეუდგა იესოს ლოცვას: ,,უფალო იესო ქრისტე ძეო ღვთისაო შემიწყალე მე ცოდვილი“ ... იმეორებდა გამუდმებით და შვებაც იგრძნო.

წირვის დამთავრების შემდეგ, კათოლიკოსმა ანტონმა სახარების ირგვლივ იქადა, შემდეგ დალოცა მრევლი, ჯვარზე მრევლის მთხვევის კურთხევა რუსთველ მიტროპოლიტს უბოძა, თავად კი იხმო მეუფე საბა და აღსარებისთვის თავის სენაკში მიიპატიჟა, რომელიც იქვე ტაძრის გვერდზე მდებარეობდა.

- მეუფეო, - მიმართა ანტონმა საბას, - ჩემთან სენაკში ჩავიბარებ თქვენს აღსარებას და მერე ერთად ვიტრაპეზოთ.

- გმადლობ, თქვენო უწმიდესობავ, - მიუგო საბამ, - დრო რომ დამითმეთ და ჩემი ცოდვების მოსმენას ინებებთ.

კათოლიკოსი და მეუფე შევიდნენ სენაკში, ანტონმა საბას სავარძელში დაბრძანება შესთავაზა, თვითონაც მის მოპირდაპირედ დაბრძანდა და მიმართა მიტროპოლიტს:

- გისმენთ, მეუფეო, ქრისტეა ჩვენს შორის, ბრძანეთ!

- თქვენო უწმიდესობავ, ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით ძალიან ბევრი ვიფიქრე, ყველაფერი ავწონ-დავწონე და, ხალხური სიბრძნისა არ იყოს, ასჯერ

გავზომე და ერთხელ ვაპირებ გაჭრას. ამიტომაც გეახელით, რამეთუ ერთხელ და სამუდამოდ მინდა ავირჩიო სწორი ქრისტიანული გზა...

აქ მცირე ხნით შეჩერდა საბა და ანტონს შეხედა. კათოლიკოსი მიხვდა, რის თქმასაც აპირებდა მიტროპოლიტი, მაგრამ არ შეიმჩნია და უთხრა:

- განაგრძეთ, მეუფეო, გისმენთ მთელი გულისყურით.

- ასე, რომ გადავწყვიტე შევუდგე კათოლიკურ სარწმუნოებას, რადგან ის მიმაჩნია სრულ ჭეშმარიტებად. ასე რომ არ იყოს, რომის პაპის გავლენა ასე არ გაიზრდებოდა მთელს დედამიწაზე ...

- ესე იგი, მეუფეო, - შეაწყვეტინა სიტყვა ანტონმა, აღიარებ რომის პაპის პრიმატს ანუ მის აღმატებულებას საქრისტიანო ეკლესიაზე?

- დიახ, თქვენო უწმიდესობავ, - მიუგო საბამ, - ის მაცხოვრის მოვალეობას ასრულებს მიწაზე, ამიტომაც მოღვაწეობს რომში, წმიდა პეტრეს ტაძარში. უფალმა ხომ ამაღლებამდე წმიდა პეტრეს ჩააბარა ეკლესია. ჩვენი დიდი მასწავლებელი, აწ განსვენებული სულხან-საბაც ხომ ამას აღიარებდა და არც შემცდარა.

- გეთანხმები, - თქვა დანანებით ანტონმა, - სულხან-საბას არ მოუსმინეს ჩვენმა მღვდელმთავრებმა და მწვალებლობა დასწამეს, არადა რამდენი სიკეთის მოტანა შეეძლო მას ევროპელ ქრისტიანებთან ურთიერთობით.

კათოლიკოსი ერთხანს ჩაფიქრდა, მერე გამომცდელის თვალით შეხედა მიტროპოლიტს და ჰკითხა:

- მეუფეო, თუ აგრერიგად დაგაინტერესა ლათინების სარწმუნოებამ, მაშინ შენი შეხედულებაც გექნება ფილიოკვეზე,[21] რომელიც ჯერ კიდევ უარყო ნიკეა-კონსტანტინეპოლის საეკლესიო კრებამ, ხოლო კათოლიკებმა მრწამსში შესწორება შეიტანეს და ჩაამატეს სიტყვები ,,და ძისაგან". როგორ ფიქრობ სულიწმიდა მარტო მამისაგან გამოდის თუ ძისაგანაც?

მიტროპოლიტი არც დაფიქრებულა და პირდაპირ უპასუხა:

- რა თქმა უნდა, მამისაგანაც და ძისაგანაც.

- რატომ, მეუფეო? - იკითხა კათოლიკოსმა და თან სახეზე კმაყოფილება დაეტყო, - ესე იგი, ნიკეის მსოფლიო კრებაზე ჩვენი წმიდა მამები, მათ შორის ისეთებიც კი, რომლებიც მთელს საქრისტიანოში აღიარებულნი არიან უდიდეს წმიდანებად - ნიკოლოზ საკვირველმოქმედი, სპირიდონ ტრიმიფუნტელი და სხვები - შეცდნენ და ქრისტიანობის გამრუდების გზას დაადგნენ?

- არავინ იცის, - მიუგო საბამ, - ვინ რას ფიქრობდა გულში. არ არის გამორიცხული, რომ შემდგომში კრების გადაწყვეტილება არიოზელების[22] ან სხვა ავისმგმობელების ხელით შეცვლილიყო. ხოლო ჭეშმარიტების დადგენაში თვითონ სახარება გვეხმარება. წმიდა წერილში ხომ პასუხი ყველა კითხვაზეა გაცემული. მოგეხსენე-

21ფილიოკვე („და ძისაგან") - ნიკეა - კონსტანტინეპოლის სიმბოლოს (მრწამსი) ტექსტში ჩამატებული სიტყვა სულიწმინდის ძისაგან გამომავლობის შესახებ.
22 არიოზი - IV საუკუნის ყველაზე დიდი ერესიარქი.

ბათ, თქვენო უწმიდესობავ, თვით ქრისტეს საყვარელი მოწაფე იოანე მახარებელი წერს სახარებაში: ,,რქუა მათ იესუ კუალად: მშვიდობაი თქვენ თანა! ვითარცა მომავლინა მე მამამან, მეცა წარგავლინებ თქვენ. და ვითარცა ესე თქუა, შეჰბერა მათ და ჰრქუა: მიიღეთ სული წმიდაი“.

კათოლიკოსი დაფიქრებული უსმენდა მიტროპოლიტის წრფელ აღიარებას და შინაგანად გული სიხარულით ევსებოდა, რომ ასეთი, ყველასგან პატივცემული მღვდელმთავარი, მისი თანამოაზრე იყო. მართალია ანტონი ეთანხმებოდა საბას, მაგრამ ამის ხმამაღლა აღიარებისაგან ჯერჯერობით თავი შეიკავა და უთხრა საბას:

- მეუფეო, შენ ისე საფუძვლიანად შეგისწავლია ჩვენში მწვალებლებად სახელდებული ლათინების სარწმუნოება, რომ მგონი მეც მიპირებ გადაბირებას.

- თქვენი რწმენის საკითხი, თქვენივე გადასაწყვეტია, თქვენო უწმიდესობავ, - მთელი სერიოზულობით წარმოთქვა მიტროპოლიტმა, - მე კი, კათოლიკურ რწმენაზე გადავედი და ამიერიდან ვერავითარი ძალა, ვერც სიკვდილი ვერ დამაბრუნებს უკან. ამიტომაც ჩაგაბარეთ აღსარება. აწი, თქვენ გადაწყვიტეთ, რა სასჯელს დამადებთ, მე კი ცხონება მსურს და მას მხოლოდ ლათინთა ჭეშმარიტი სარწმუნოება თუ მომანიჭებს.

ანტონმა ჯვარი გადასახა მიტროპოლიტს და უთხრა:

- მეუფეო, ამ საკითხზე უნდა ვიფიქრო. მივიღებ გადაწყვეტილებას და გაცნობებთ უახლოეს ჟამს.

IX

სოფელში დაბრუნებიდან სულ რამდენიმე დღე იყო გასული, რომ ერთ ღამესაც ზაქროს ჭიშკართან ცხენის ჭიხვინი გაისმა. გიოაანთ ბიჭმა ფხიზელი ძილი იცოდა. შორიდან ცხენის ფლოქვთა თქარუნი როგორც კი შემოესმა, იქვე სასთუმალთან, ხელის გაწვდენაზე კედელთან მიყუდებულ თოფს წაავლო მარჯვენა და სმენად იქცა. დაუპატიჟებელი სტუმარი აშკარად მასთან იყო მოსული და არც შემცდარა.

- ზაქრო! - დაიძახა სტუმარმა და ცხენიდან ჩამოხდა.

- რომელი ხარ!? - გასძახა ზაქრომ და თოფზე ჩახმახი შეაყენა.

- იასე ვაარ, ბერთუბნელი - სიბოაანთი, ვეღარ მიცან ხმაზედა!?

ზაქროს დაძაბულობა მოეხსნა, კარი გააღო და გასძახა იასეს:

- დავაჟკაცებულხარ, ბჯო! ხმა დაგბოხებია, მართლა ვეღარ გიცან! ამ შუაღამისაი რამ მოგიყვანა, ხომ მშვიდობაა?

- მშვიდობა რომ იყოი, მყუდროებაი ხომ არ დაგირღვევდი! - სწრაფად უპასუხა იასემ, - გაემზადე უნდა წავიდეთ, ლეკებ ქვედა სოფლები დაურბევიათ, საქონელი გაურეკავთ და ჩვენ ბიჭებ ვაგროვებთ ახლომახლო სოფლებიდან, უნდა დავედევნოთ მაგ რჯულძაღლებ! მიდი გაემზადე, დანარჩენ გზაში გეტყვი!

რამდენიმე წუთში ზაქრო და იასე ცხენებს მიაგელ-ვებდნენ ქვედა სოფლებისკენ.

- ხალხიც დაუწიოკებიათ მაგ შობელძაღლებ და გა-უტაცნიათ! - ყვიროდა იასე და თან ავჟანდში გაყრილი ფეხებით აჩქარებდა ცხენს.

- მაშინ უნდა ვიჩქაროთ! - წამოიძახა ზაქრომ და ცხენი თვითონაც ააჩქარა, - თორემ თუ ჩაილური ხევზე გადაგვასწრეი, მერე ძნელი იქნება მაგათი დაჭერა!

- ეგ თადარიგიც დავიჭირეთ! - მიუგო იასემ, - ქიზიყ-ში გავუშვით მაცნე, რომ იქაურებმა გზა გადაუკეტონ, ამდენი საქონელით ვერსად დაიმალებიან!

აღმოსავლეთით ცა ოდნავ გაწითლდა. ალიონი იწყე-ბოდა ...

მართა მარტო დარჩა სახლში. ნერვიულობამ და შიშ-მა დაივანა მის სხეულსა და გონებაში. არ იცოდა, რა მოემოქმედებინა. არც ის იცოდა, როდის მობრუნდებო-და მისი ქმარი. ზაქრომ წასვლის წინ უთხრა: ,,თუ რამე დაგჭირდეი, ამირანა ძიაანთა გადადი და ყველაფერში დაგეხმარებიანო. არ შეგეშინდეი, მალე გავრეკავთ ლე-კებს და მოვბრუნდებიო“. ზაქროს დაქორწინებამდე არ დაუმალავს მართასთვის, რომ ის მეომარს მიჰყვებოდა ცოლად და ხშირად მარტო მოუწევდა სახლში დარჩენა, მაგრამ, როდესაც რეალურად დადგა ამ ფაქტის წინაშე, თითქოს შეეშინდა, თუმცა მაშინვე თავისი საყვარელი ქმარი გაახსენდა, მისგან დატოვებულმა სითბომ გაამ-

ხნევა და ქართველქალობის დედაკაცური შემართება შეჰმატა. ,,თუ ჩემი ქმარი მეომარია, მეც მეომარი უნდა გავხდე და გვერდში დავუდგე. ასე მესმის მე სიყვარული“. - ფიქრობდა მართა და თან წაბლისფერი ნაწნავებით ცრემლებს იწმენდდა. ამ დროს მეზობლის - ამირანის ხმა შემოესმა:

- მართა! მართა! სახლში ხაარ?

- დიახ, ამირანა ძია, გნებავთ რამე? - ჰკითხა მართამ.

- თქვენი კარგად ყოფნა, შვილო! - უპასუხა ამირანმა, - გავიგე წუხელ ზაქროს წასვლა და შენ არ შეგეშინდეი არაფრის. თუ რამე დაგჭირდება, დამიძახე და მანდ გავჩნდები. ეხლა კიდენა, მე და ჩემი დედაკაცი ვენახში მივდივართ და შუადღისთვის დავბრუნდებით. სახლში არავინ იქნება. ისე, რომ არ მოიწყინო, მალე მოვალთ.

მართამ მადლობა გადაუხადა ამირანს, ბედნიერი დღე უსურვა და სახლის საქმეებს მიუბრუნდა. მზე რომ კარგად გასწორდა ცაზე, მართა სარეცხის გასაფენად გამოვიდა ეზოში და ორღობეში ვიღაც ქალს მოჰკრა თვალი, რომელიც მეზობლების ეზოებში იყურებოდა და თითქოს რაღაცას ეძებდა. მართას ყურადღება არ მიუქცევია და საქმე განაგრძო. უცებ, ზურგს უკან, ჭიშკრის მხრიდან ქალის ხმა შემოესმა:

- ლამაზოო, მართა შენა ხაარ?

მართას ხმის გაგონებაზე სხეულში გააჟრჟოლა, რაღაც სიცივე იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია, შემობრუნდა

და თავაზიანი პასუხი დაუბრუნა დაუპატიჟებელ სტუმარს, რომელიც შუახნის იქნებოდა ალბათ, თუმცა თვალები ბებერი ქალისას მიუგავდა, ისე იყო მოჭუტული და გარშემო დანაოჭებული. დაუვარცხნელი თმები მხრებზე უსწორმასწოროდ ჰქონდა გადაშლილი და ტყიდან ახლადგამოვარდნილი ალის შთაბეჭდილებასა სტოვებდა. რაღაცას თავისთვის ბუტბუტებდა და ხანდახან ბებერი მამალივით ხმისჩახლეჩით წამოიყივლებდა ხოლმე. მერე თითქოს გაიფხორა და წამოიძახა:

- ამირანაანთა მქონდა საქმე და ეტყობა არ არიან სახლში. არადა, სოფლი ბოლოდან ამოველი. ნეტა მალე მოვლეენ?

- ვენახში არიან წასული, - უპასუხა მართამ, - დაიბარეს, მალე მოვალთო, ალბათ, შუა დღისთვის.

ქალმა ხელსახოცი ამოიღო კაბის ჯიბიდან, შუბლზე გადაისვა და ვითომ დაღლილმა თქვა:

- ძალიან დავიღალე, იქნება წყალი დამალევინო, ცოტაი დავისვენებ და მერე წავალ.

- მობრძანდით, დაისვენეთ და დაელოდეთ, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში. - შემოიპატიჟა სტუმარი მართამ და ჭიშკარი გააღო, - დაბრძანდით და ახლავე მოგხედავთ.

სტუმარი ქალი მკითხავკატუა იყო, რომელიც ზაქროს სახლში მოსახვედრად, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა. ამირანის ოჯახთან მას

არავითარი საქმე არ ჰქონდა. ისინი კატუას ეზოშიც არ შეუშვებდნენ, რადგან იცოდნენ როგორი მჩხიბავიც იყო. კატუას მიზანი იყო ზაქროს ოჯახში მოხვედრა და ეს მიზანი ნაწილობრივ მიღწეული იყო. ის უკვე ეზოში აივანთან მდგარ სკამზე იჯდა და წყლის მოსატანად წასულ მართას ელოდებოდა. ახლა მთავარი იყო, რომ სახლში მოხვედრილიყო, მამასახლისის დავალება შეესრულებინა და წინასწარ მომზადებული ჯადო საჭირო ადგილზე მოეთავსებინა. მზაკვრულ ფიქრებში ჩაძირულმა მკითხავკატუამ უცებ შენიშნა, რომ აივანზე გადაკიდული იყო გასამზეურებლად გამოტანილი ლეიბები და იქვე იდო ორი ბალიში, მათგან ერთი ცოტა დიდი იყო. ეშმაკის მოციქულმა კატუამ გაიფიქრა, რომ დიდი ბალიში ზაქროსი იქნებოდა და ის ამოიღო მიზანში. ამ დროს, მართაც გამოჩნდა, წყალი და ხილი მოართვა სტუმარს. კოკიდან წყალი თიხის ჯამში ჩამოასხა და მიაწოდა კატუას. ამ უკანასკნელმა ჯამი მოიმარჯვა და უთხრა მართას:

- წყლი ძალა მოგცემოდეს, შვილო, შენ ალბათ ჩვენი ახალი პატარძალი ხაარ, ჰო!?

- დიახ, დეიდა, ზაქროს ცოლი ვარ, - მიუგო მართამ და თან ჰკითხა სტუმარს, - კიდევ რამეს ხომ არ მიირთმევთ? საჭმელი ხომ არ გშიათ?

- არა, შვილო, - უპასუხა კატუამ, - ამ სიცხეში წყლი მეტი არა მინდა რა. ამდენი ოფლიანობისაგან ეს ხელსახოციც დამისველდა, მეორე კიდენა არ წამომიღია ...

- ახლავე მოგართმევთ, დეიდა, - არ დაამთავრებინა სიტყვა მართამ, - დედაჩემმა მზითევში იმდენი ხელსახოცები გამომატანა, რომ არც კი ვიცი სად წავიღო. გაჩუქებთ.

როგორც კი მართა ხელსახოცის გამოსატანად სახლში შევიდა, კატუამ დრო იხელთა, სიფრთხილისთვის აქეთ-იქით კიდევ გაიხედა და მგლის ქონში და სასაფლაოდან აღებულ მიწაში საგულდაგულოდ დამუშავებული თმისა და ძაფების შეკვრა ზაქროს ბალიშში ჩატენა.

ამასობაში მართაც გამოჩნდა, ლამაზად დაკეცილი ხელსახოცებით ხელში. კატუამ გამოართვა საჩუქარი და უთხრა:

- დიდი მადლობა, შვილო. ზაქროი ბედი ჰქონია, რომა შენისთანა ქალი შეხვდა. ბუნები ძალებმა დაგლოცოთ! ბედნიერები იყავით! მე კიდენა წავალ, როგორცა ჩანს ამირანაანი არ მოდიან და მერე ამოვაკითხავ.

მართამ მხრები აიჩეჩა და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

- დაგეცადათ ... რამე ხომ არ გეწყინათ? ...

- არა, შვილო, პირიქით, დიდი მადლობა, დაგლოცოი ბუნები ძალებმა!

გაკვირვებულმა მართამ თვალი გააყოლა ორღობეში დაღლილ, მაგრამ სწრაფად მიმავალ სტუმარს, რომელსაც სახელიც კი არ უთქვამს მისთვის და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- როგორი უცნაური ქალია, ვერაფერი გავიგე ან რას ნიშნავდა მაგის სიტყვები - ,,ბუნების ძალებმა დაგლოცოსო!“ ყველა ამბობს: ,,ღმერთმა დაგლოცოსო!“ ...

მკითხავკატუა კი მიიჩქაროდა მამასახლისის სახლისკენ და მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ალმასხანი კარგად დააჯილდოვებდა გაწეული სამსახურისთვის.

ნაშუადღევს ამირანი და მისი მეუღლე დაბრუნდნენ ვენახიდან. მართამ მომხდარის შესახებ ყველაფერი უამბო მეზობლებს. ამირანმა მაშინვე ჰკითხა:

- სახლში ხომ არ შეგიყვანია?

- არა, ამირანა ძია, ეზოში იჯდა. უცნაური ქალი იყო. რა სჭირდა ვერ გავიგე. - მიუგო მართამ.

- ჭირი და მოუსვლელში წასვლა სჭირს მაგაი. არც სახელი გითხრა, არა?

- არ უთქვამს. ვინ არის, ამირანა ძია? - იკითხა შეშინებულმა მართამ.

— მაგაი მკითხავკატუაი ეძახიან სოფელში, - უპასუხა ამირანმა, - სათოფეზე არ გაიკარო, ჯადოებიი გაკეთებიი ოსტატია. ეჰ! რატო არ ვიყავ აქა! კინწისკვრით გავაგდებდი აქედანა. კარგია, რომ სახლში არ შეიყვანე. ეგა, ვიღაციი დავალებით იქნებოდა მოსული. თუ კიდე გამოჩნდეი, უჩემოდ არ დაელაპარაკო.

სახლში მობრუნებული მართა მაშინვე ხატების კუთხესთან მივიდა და დედა ღვთისას შეავედრა თავისი ოჯახი. მხოლოდ ახლა მიხვდა, კატუა ღმერთს რატომ

არ ახსენებდა და მხოლოდ ერთი და იგივეს იმეორებდა: ,,ბუნების ძალებმა დაგლოცოსო!“ წუთისოფლის მთავარი ხომ ეშმაკია. მერე თავისი მამის ხელით გამოთლილი ჯვარი აიღო და სახლის შემოსასვლელ კარის ჩარჩოს ზედა ფიცარზე დაამაგრა, რათა ავი სულები არ შემოსულიყვნენ ოჯახში. საუბედუროდ, კატუას გაკეთებული ჯადო, რომელიც ზაქროს ბალიშში იყო მოთავსებული უკვე საწოლზე იდო და მსხვერპლს ელოდა.

X

მიუხედავად სამეფო კარის და სასულიერო პირების არასასურველი დამოკიდებულებისა მისიონერების საქმიანობისადმი, რომის პაპი ყველა საშუალებებით ცდილობდა საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელებას, რისთვისაც არაფერს იშურებდა, აგზავნიდა ცბიერებით ,,განსწავლულ“ სასულიერო პირებს, რომელთაც ჯადოქრობა უფრო ხელეწიფებოდათ, ვიდრე ადამიანებზე ზრუნვა.

ჯერ კიდევ იერუსალიმის პატრიარქი დისითეოზი სწერდა ვახტანგ მეექვსეს და ურჩევდა გამოესწორებინა თეიმურაზ პირველის დაშვებული შეცდომა და განედევნა ლათინი მღვდლები თბილისიდან, ჩამოერთვა მათთვის ეკლესიები და ლათინი ბერები არ გაეკარები-

ნა ახლოს - ,,ისინი, რომლებიც ერთ ცოდვილ და უწმინდურ ადამიანს აღიარებენ მეორე ღმერთად დედამიწაზე, ღუპავენ მართლმადიდებელ სამეფოებს და აძლიერებენ აგარიანელებს“ - წერდა პატრიარქი დისითეოზი.

ვინაიდან ქართლ-კახეთის მეფეებს ძირითადი ყურადღება გადატანილი ჰქონდათ მომხვდურისგან თავდაცვაზე და ამის გამო სისხლისმღვრელ ომებს აწარმოებდნენ მუსლიმანებთან, არ ეცალათ ჯეროვანი ყურადღება მიექციათ ქვეყანაში მიმდინარე რელიგიური პროცესებისთვის, სადაც კათოლიკე მისიონერები და მონოფიზიტი ვართაპეტები ქართული სამოციქულო ეკლესიის მრევლის გადაბირებით იყვნენ დაკავებულნი. თეიმურაზს და ერეკლეს ანტონ კათოლიკოსის იმედი ჰქონდათ, რომ ის არ დაუშვებდა ქართული ეკლესიის დარღვევას, თუმცა ხდებოდა პირიქით, ანტონი თვითონ აპირებდა ლათინთა რჯულზე გადასვლას და ამისთვის მოლაპარაკებებს აწარმოებდა მისიონერებთან. ამასობაში კი, რომის პაპის წარმოგზავნილებმა მრავალი მართლმადიდებელი მღვდელი და სამოცი თავადი მოაქციეს კათოლიკობაზე, მათ შორის დასავლეთ საქართველოს პატრიარქი - ბესარიონი.

ანტონ კათოლიკოსი იმდენად იყო აღფრთოვანებული მიტროპოლიტ საბას გადაწყვეტილებით კათოლიკური რჯულის მიღებასთან დაკავშირებით, რომ თავად ეახლა პატრ ნიკოლას, რათა პირადად ეცნობებინა ეს

სასიხარულო ამბავი. პატრი თავის რეზიდენციაში დახვდა ანტონს, მიესალმა და შეიპატიჟა სენაკში, რომელიც ტაძრის ეზოს კუთხეში მდებარეობდა. თუმცა არც კათოლიკოსს და არც მისი ამალის წევრებს არ შეუმჩნევიათ როგორ უთვალთვალებდა მათ ზაქარია ხუცესის მორჩილი. ის ტაძრის გადასწვრივ მდებარე ეზოში იდგა და თვალს არ აშორებდა მათ.

- როგორ ბრძანდებით, თქვენო უწმიდესობავ? - სენაკში შესვლისთანავე მიმართა ანტონს ნიკოლამ და სავარძელი შესთავაზა, - ფრიად გავიხარე თქვენი სტუმრობით. ალბათ მალე აღარ დაგვჭირდება ასეთი ფარული შეხვედრები, რამეთუ თქვენი შემწეობით და დახმარებით ჩვენი მისია აქტიურად მუშაობს ქვეყანაში და რომის პაპიც მიღწეული შედეგებით კმაყოფილია.

- ხომ კარგად გრძნობს თავს მისი მაღალყოვლადუწმიდესობა რომის პაპი?

- თქვენი მოკითხვა უკვე გავუგზავნე მას და ისიც მოვახსენე, რომ მალე თქვენი ვიზიტიც დაიგეგმება ვატიკანში, რათა მისმა მაღალყოვლადუწმიდესობამ გაკურთხოთ, როგორც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე მოქცეული საქართველოს პატრიარქი. - მდაბლად მოახსენა პატრმა ნიკოლამ და თავი დახარა ანტონის წინაშე.

ანტონს ფრიად ეამა ასეთი სასიხარულო ამბავი და ნიკოლას გაღიმებულმა მიმართა:

- დიდი მადლობა ჩემი ესოდენი გახარებისათვის, პატრე. მეც ხელცარიელი არ მოვედი თქვენთან და სასი-

ამოვნო ამბავი მოგიტანეთ, რომელიც უცილობლად წაადგება ჩვენს საერთო საქმეს.

ნიკოლა სმენად იქცა, ის ხვდებოდა, რომ კათოლიკოსის სტუმრობა ახალი ამბის მოსატანად, შემთხვევითი არ იყო და მოუთმენლად ელოდა, როდის ამცნობდა მას ამ სასიამოვნო ამბავს მისი უწმიდესობა.

- პატრე, იცით რა მოხდა? - წარმოთქვა გაღიმებულმა კათოლიკოსმა, - ჩვენს ბადეში ერთი დიდი, კეთილი თართი გაება.

- ვეღარ ვითმენ, - წამოიძახა ნიკოლამ, პირჯვარი გადაიწერა და განაგრძო, - ღმერთო, მაპატიე ცნობისმოყვარეობის ცოდვისთვის. ვინ არის ეს კეთილი თართი, თქვენო უწმიდესობავ?

- ვინ და მიტროპოლიტი საბა, - უპასუხა ანტონმა, - ტუსიშვილი, ნინოწმინდელი. იცნობთ თქვენ, ფრიად წარმატებული და ნიჭიერი ადამიანია, ბევრი სიკეთე აქვს გაკეთებული ჩვენი ეკლესიისთვის, თვითონ გამანდო და ახლა წერილებით ვეხმიანებით ერთმანეთს. თითქმის მთლიანად დაისწავლა კათოლიკური სარწმუნოების სიკეთენი და გეგმაც აქვს, როგორ უნდა მოხდეს ჩვენი სარწმუნოებიდან თქვენს სარწმუნოებაზე სასულიერო პირების გადაყვანა და მათი განსწავლა თქვენს სასულიერო სკოლებში.

ნიკოლას გაღიმებული სახე უცებ შეეცვალა და ანტონს მთელი სერიოზულობით დაუსვა კითხვა:

- თქვენო უწმიდესობავ, უკვე მიმოწერასაც აწარმოებთ?

- რა თქმა უნდა, პატრე. - ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიუგო ანტონმა.

ვატიკანის ინტრიგებში გამობრძმედილმა ნიკოლამ, რომელსაც ბევრი რამ ჰქონდა გაგებული ნინოწმინდელი მიტროპოლიტი საბას ნიჭიერების და მართლმადიდებლური სარწმუნოების დამცველის შესახებ, თვალები მოჭუტა, შეხედა კათოლიკოსს და დაეჭვებით წარმოთქვა:

- თქვენო უწმიდესობავ, ვშიშობ, ამ თართმა ბადე არ გაგლიჯოს და წვრილი და სუსტი თევზებიც თან არ გაიყოლიოს.

ანტონს გაეცინა და იკითხა:

- საიდან მოიტანე, პატრე?

- იქიდან, თქვენო უწმიდესობავ, რომ როგორც თქვენ ბრძანებთ - ჭკვიანმა და ფრიად წარმატებულმა მიტროპოლიტმა საბამ, შეიძლება ეს წერილები მეფეს წარუდგინოს და პრობლემები შეექმნას ჩვენს მიერ ესოდენ რუდუნებით დაწყებულ საქმეს.

- არა, არა, ჩემო ნიკოლა, - გაეცინა ანტონს, - ჯერ ერთი, საბა ამას არ გააკეთებს, რაშიც ღრმად ვარ დარწმუნებული, მეორე კი, მიუტანოს მეფეს, ამაში რა არის ცუდი, ჩვენი მეფეები იმედის თვალით უყურებენ რომს, რომელსაც შეუძლია ევროპის ქვეყნები ისე განაწყონ საქართველოს მიმართ, რომ დახმარება გაგვიწიონ აგარი-

ანელების წინააღმდეგ წარმოებულ ომებში და განავითარონ ჩვენი ქვეყანა.

- ღმერთმა ინებოს, - მიუგო პატრემ, - თქვენი ხედვა უფრო ღვთიურია და ალბათ ყოვლისშემძლე უფალი გაიღებს მოწყალებას და ყველაფერი კეთილად დამთავრდება. იმედია, რომ მეფეთა განწყობაც საჩვენო იქნება.

- ყველაფერი კარგად იქნება, ჩემო ნიკოლა, - წარმოთქვა ანტონმა, წამოდგა სავარძლიდან, პატრეს მხარზე ხელი დაადო და განაგრძო, - ასე, რომ შეგიძლია აცნობო რომის პაპს ჩვენი გამარჯვების შესახებ.

როგორც კი კათოლიკოსი, თავისი ამალით მიეფარა თვალს, ჩაფიქრებულმა ნიკოლამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ერეკლესი რა მოგახსენო, მაგრამ თეიმურაზი არავითარ შემთხვევაში არ იქნება თანახმა. მას მხოლოდ სიკვდილი თუ გააჩუმებს. ამიტომ რომს ჯერ არაფერს ვაცნობებ!

პატრე შევიდა ტაძარში, ხოლო ზაქარია ხუცესის მორჩილმა დატოვა თავისი სამალავი და მეფის სასახლისკენ მიმავალ გზას დაადგა.

XI

ალიონზე, როდესაც ზაქროს და იასეს ნაუცბათევად შეკრებილი მდევარი ქვედა სოფლებს გასცდნენ და ქიზიყისკენ მიმავალ გზას დაადგნენ, აქა-იქ მიმოფანტულ საქონელს წააწყდნენ. ბიჭები მაშინვე მიხვდნენ, რომ ეს უპატრონოდ დაგდებული ნახირი ლეკების მიერ გატაცებული საქონელი იყო. როგორც ჩანს ქიზიყელებმა ჩასაფრება მოუწყვეს ურჯულოებს და უკან გამოიქცნენ ქურდები ან კიდევ აქაურებმა დახოცეს. ცოტა კიდევ რომ ინათა, ზაქრომ მზვერავები გაგზავნა გარემოს დასათვალიერებლად. მხედრები მალევე მობრუნდნენ. როგორც ჩანს დაენახათ ლეკების ერთი რაზმი, რომელიც დროებით ტყეში დაბანაკებულიყო.

- ზაქრო, - მოსვლისთანავე მოახსენა მეთაურს კანჯარაანთ გლახომ, - იქა ყრიან ხევის ტყეში, ნაომარებსა ჰგვანან. როგორც სჩანს, ჩვენი ბიჭები დახვდნენ იქითობას და ბრძოლა გაუმართეს. ეს ნახირიც იმიტომ არი უპატრონოდ გაფანტული.

- რამდენი იქნებიან? - ჰკითხა იასემ,

- კარგად არა სჩანდა სიბნელეში, - მიუგო გლახომ, - მაგრამა ხუთი ათეული ან შეიძლება ცოტა მეტნი იქნებიან. დანარჩენი ალბათ დახოცეი, იმიტომა, რომა გარემო ალაგები კარგათ დავათვალიერეთ და არა სჩანდნენ. მდევარიც არა სჩანს.

- შეიძლება იბრძვიან. - თქვა ზაქრომ, - დაგვიანება არ შეიძლება, უნდა დავეცნეთ! ორი კაცი სოფლებში ავიდნენ და ხალხი წამოიყვანონ თავიანთი საქონლის მისახედად! რამდენნი ვრჩებით, აბა!?

- ოცდასამნი ვართ ჩვენი ჩათვლით! - უპასუხა იასემ.

- ჰოდა, ვეყოფით, მაგ წუნკლებსა! - იყვირა ზაქრომ და ცხენს მოახტა. მერე მარჯვენა ხელი ზევით ასწია და ყველას გასაგონად წარმოთქვა, - ორი მხრიდან დავეცეთ! მე ათი კაცით პირდაპირ შევიჭრები ტყეში, იასე, დანარჩენი შენ წაიყვანე და ტყეს ხევის მხრიდან მოუარე! კარგად იცი ეგ ადგილები! სულ ოთხი მოისარი გვყავს, ორი ჩემთან დარჩეი, ორი კი შენთან წამოვიდეი! შეიძლება გუშაგების შორიდან დახოცვა დაგვჭირდეი!

მერე თვალებით მეკოკიანთ გაბრო მოძებნა და დაუძახა:

- გაბრო, შენ ჩემთან წამოდი! შენი თვალები და მკლავები ჩვენ უფრო დაგვჭირდება!

მეკოკიაანთ გაბრო მოისარი იყო. საოცარი მხედველობა ჰქონდა. შენიღბული გუშაგის ადგილსამყოფელსაც კი რაღაც განსაკუთრებული გუმანით გრძნობდა და იშვიათად ისარი ან ტყვია მიზნისთვის აეცდინა.

ზაქრომ და იასემ ყველაფერი გათვალეს, ბიჭებს თავთავისი დავალება მისცეს და ფრთხილად დაიძრნენ ტყისკენ. როგორც კი მიუახლოვდნენ მტერს, გაბრომ მაშინვე შენიშნა ხეზე ასული გუშაგი, ზაქროს ანიშნა, იმა-

ნაც თანხმობის ნიშნად თავი დაუხარა და მალევე გაბროს ნასროლი ისრით განგმირული ლეკთა გუშაგი ხიდან ჩამოვარდა ისე, რომ დაყვირებაც ვერ მოასწრო. ამასობაში ზაქრომ თოფშემართული ხელი წინ გაიქნია და მხედრები მოსწყდნენ ადგილებს. როგორც კი მიუახლოვდნენ ტყეში დაბანაკებულ ლეკებს, თერთმეტივე თოფმა ერთად იგრიალა, ამას მოჰყვა იასეს მეომართა სროლაც... ლეკები აირივნენ... ამით ისარგებლეს ქართველებმა, შეიჭრნენ მტრის ბანაკში და ახლა უკვე ხმლები ჩართეს საქმეში... სისხლის და ოფლის სუნი ერთმანეთში აირია... ორ ლეკს უნდოდა გაქცევა, მაგრამ იასეს ბიჭებმა ბუჩქებიდან გამოათრიეს და ნაომარ მეომართა წრეში შეყარეს. ლეკებმა ხელები ასწიეს და რაღაცის ბუტბუტი დაიწყეს.

- რაო, რას ამბობენ, ზაქრო!? - ჰკითხა იასემ, - მაგათი ენა შენ იცი!

- ასე მალე არ გელოდებოდითო! - უპასუხა ზაქრომ, - ამათ, როგორც ჩანს, ყურადღება ქიზიყელებზე ჰქონდათ გადატანილი და მზვერავებიც სულ ახლახან გაუგზავნიათ იმ მხარეს. ასე, რომ დროული იყო ჩვენი თავდასხმა და ბიჭებიც ყველანი ფეხზე დგანან! ახლა აქ ჩავსაფრდეთ და დაველოდოთ მათ მზვერავებს, თუ ცოცხლები გამოუშვეი ქიზიყელებმა! ეგ ორნი კი გაუშვით უკან, რათა თავისიანებ ამბავი ჩაუტანონ, რაც გადახდათ თავს, რომ აქ მეორედ მოსვლა არ გაბედონ! თუმცა მაიცა, ჯერ არ გაუშვა!

სულ მალე სერზე ქიზიყელთა რაზმიც გამოჩნდა. ქართველებმა ერთმანეთს მტერზე გამარჯვება მიულოცეს.

- ბევრნი იყვნენ ეს რჯულძაღლები! - უთხრა ქიზიყელთა რაზმის მეთაურმა ზაქროს, - სამასამდე კაცი იქნებოდა თუ მეტი არა. ერთი კაცი მოგვიკლეს! კარგი ბიჭი იყო ცხონებული, ტყვია ყელში მოხვდა, გახურებულ ბრძოლაში ვერ მივხედეთ და სისხლისგან დაიცალა!

- ღმერთმა აცხონოს მისი სული! - თქვა ზაქრომ და პირჯვარი გადაიწერა, - ამათი მზვერავები ხომ არ შეგხვედრიათ!?

- ჰო! ხუთნი იყვნენ! - მიუგო ქიზიყელმა, - დავხოცეთ და მინდორში დავყარეთ! ნადირი მიხედავს! ნაძარცვი ჩვენებს ჩავაბარეთ, თქვენი ხალხი გამოუშვით და წამოიღონ! კარგად მოუხვეტიათ ყველაფერი! ეს მამასახლისები არ იცავენ თავის ხალხს, მარტო ჭამა-სმას არიან გადაყოლილები. ამხელა რაზმი შემოვიდა და სრულიად შემთხვევით გავიგეთ, ჩვენი ბიჭები კიდევ კარგი ადგილებზე იყვნენ და დროზე გადავუკეტეთ გზა. საქონელი კიდენა აქეთ გამოვრეკეთ! მიხედავენ პატრონები!

- მაგაზე უკვე ვიზრუნეთ! - მიუგო ზაქრომ, - ხალხი გავაგზავნე სოფლებში. აი, ეს ორი ლეკი კი მინდოდა თავიანთ აულებში გამეშვა ამბის წასაღებად, მაგრამ გადავიფიქრე, რადგან ჩვენი კაცი მოუკლავთ! შენ გადმოგცემ და რაც გინდა ის უყავ!

საღამოს ზაქრო წანარიანის გადასახვევთან დაემშვიდობა იასეს და მის ბიჭებს და სახლისკენ განაგრძო გზა.

შორიდანვე შენიშნა თავის სახლის სარკმელი, რომელიც სანთლის შუქით იყო განათებული. რამდენი ხანია სახლში დაბრუნებულს სიბნელე და სიცივე ხვდებოდა, ახლა კი ბედნიერი იყო, რომ მისი საყვარელი ადამიანი ელოდა ოჯახში. სავსე მთვარე თითქოს დედამიწაზე დაშვებას ლამობდა. ხალხში ხშირად იტყოდნენ ხოლმე, რომ სავსემთვარეობას საქმის გაკეთებას უნდა მორიდებოდი, რადგან წუთისოფელში ავი სულები დაძრწოდნენ და ადამიანებს ათასნაირ მახეს უგებდნენ. თუმცა არც ეს უკანასკნელნი ერიდებოდნენ ერთმანეთში ღვარძლის დათესვას, შურსა და ბოროტებას დაესადგურებინა კახეთში.

...მთვარე კი დაგორავდა წანარიანის მთების თავზე და ანათებდა ათასი ამბების მომსწრე მინდორ-ველებს...

XII

შემოდგომა იწურებოდა, გიორგობისთვე ბოლო დღეებს ითვლიდა. ტფილისში ზამთრის სუსხის სუნი ტრიალებდა. მიუხედავად ცივი ამინდისა ტფილისი, როგორც ახლა, ისე წელიწადის ყველა დროს, თავის ხიბლს არ კარგავდა, იყო თბილი და როგორც მას ამ ბოლო დროს ეძახდნენ - სიხარულის ქალაქი. დილიდანვე მთელი დატვირთვით მუშაობდნენ ხელოსნები, ბაზრებში საავაჭრო დახლებზე გლეხებს უკვე გამოფენილი ჰქონდათ

თავიანთი მოყვანილი ჭირნახული - ათასნაირი ხილი, ხორცი, ხორბალი. ცოცხალი პირუტყვი და ფრინველიც ჩამოერეკათ სოფლებიდან. ასე გეგონებოდათ, მთელი სოფელი ქალაქში ჩამოსახლდაო. ასეც იყო. სოფელში მიწის და მინდვრის სამუშაოები დამთავრებულიყო და გლეხებს თავისი ნაშრომის გაყიდვა ეჩქარებოდათ, რათა გამოზამთრებისთვის მომზადებულიყვნენ. მეფე თეიმურაზის ბრძანებით, გლეხებს მოწეული მოსავლის ყიდვა-გაყიდვის საქმიანობა შეუზღუდავად შეეძლოთ. რათა მომძლავრებულიყვნენ, რაც სოფლის ძლიერებასაც ნიშნავდა. როსტომ ხანის დაწესებულმა შეზღუდვებმა, დროთა განმავლობაში, ნელა-ნელა დაკარგა ძალა, რის გამოც გლეხმა ამოისუნთქა. მაშინ გლეხს აკრძალული ჰქონდა ვაჭრობა მთელი დღის განმავლობაში. როგორც კი მზე შუბისტარზე დადგებოდა, ნარიყალაზე ზარბაზანი დაიქუხებდა, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ გლეხს ვაჭრობა უნდა შეეწყვიტა და სოფელში წასულიყო. ამის გამო გლეხი იძულებული იყო დარჩენილი გასაყიდი საქონელი ბაზარში ბუზებივით შემოსეულ, როსტომ მეფის მიერ მომრავლებული კინტოებისთვის იაფად მიეყიდათ და დაბრუნებულიყვნენ სახლებში. კინტოები კი მთელი დღე დარბოდნენ ტფილისის ქუჩებში და ქალაქელებზე სარფიან ფასებში ყიდდნენ ქართველი გლეხის ოფლით და გაჭირვებით მოწეულ მოსავალს, საღამოს კი სათუქსუსოებს მიაკითხავდნენ ხოლმე თავიანთი ძირითადი საქმიანობისათვის.



თეიმურაზ და ერეკლე მეფეებმა ქალაქი ქალაქს დაამსგავსეს. მშვიდობამ თავისი შედეგებიც მოიტანა, ტფილისს უამრავი ადამიანი სტუმრობდა, უცხოელი ვაჭრების რიგი იდგა ქალაქის კარებებთან. შენდებოდა ახალი სავაჭრო რიგები, აქლემებისა და ცხენების სადგომები, წისქვილები და უამრავი სხვა რამ. ქალაქის სტუმრები პირველ რიგში ღვინის რიგებისკენ გაეშურებოდნენ ხოლმე, რომელიც რიყიდან ავლაბრისკენ მიმავალ აღმართზე იყო განლაგებული. სხვადასხვა ზომის ტიკებით გამოტანილ, მრავალფეროვნებით და საამო გემოთი განთქმულ ქართულ ღვინოს ხალხი ფუტკარივით ესეოდა, აქა-იქ სადღეგრძელოებიც გაისმოდა ხოლმე ...

მეფის სასახლისკენ მიმავალ ქვაფენილზე, რამდენიმე სასულიერო პირის თანხლებით, ზაქარია ხუცესი და მიტროპოლიტი საბა გამოჩნდნენ. ჩვეული სიდინჯით გამორჩეული მღვდელმთავრები ჩქარობდნენ. როგორც ჩანდა, მეფესთან გადაუდებელი საქმე ჰქონდათ. თეიმურაზი დარბაზონის გვერდით განთავსებულ მოსასვენებელ ოთახში ბუხართან მდგარ სავარძელში დაბრძანებულიყო და ფიქრებს მისცემოდა, როდესაც მსახურმა კარის მოძღვრისა და მიტროპოლიტის მობრძანება ამცნო. თეიმურაზი მაშინვე მიხვდა, რისთვისაც იყვნენ მოსული სასულიერო პირები და იხმო ისინი.

სასულიერო პირებმა წესისამებრ მოიკითხეს მეფე და პირდაპირ საქმეზე გადავიდნენ. ზაქარია ხუცესმა მოახსენა თეიმურაზს:

- მეფეო, რისაც გვეშინოდა დადასტურდა. ანტონ კათოლიკოსმა მიიღო ლათინთა სარწმუნოება და ახლა ემზადება, რომ იგი საყოველთაოდ აქციოს ...

- რით შეგიძლია ამის დამტკიცება, მოძღვარო!? - შეაწყვეტინა სიტყვა წარბშეკრულმა თეიმურაზმა ხუცესს.

ზაქარიამ საბას შეხედა, მერე უკან დაიხია და მეფეს უპასუხა:

- მიტროპოლიტი საბა მოგახსენებთ ყველაფერს, მეფეო.

საბა წარსდგა მეფის წინაშე და მოახსენა:

- მეფეო, აღსარების ჩაბარების შემდეგ, სადაც მე ანტონ კათოლიკოსის წინაშე შეგნებულად ვიცრუე ლათინთა სარწმუნოების მიღების თაობაზე, წერილებს ვწერდი მას და პასუხებსაც ვიღებდი. ეს წერილები თან მაქვს და თუ ინებებ მის წაკითხვას, დარწმუნდები ჩვენს სიმართლეში.

- დამიტოვეთ წერილები! - წარმოთქვა მეფემ, წამოდგა სავარძლიდან და განაგრძო, - მწუხრის ლოცვის შემდეგ შევიკრიბოთ და მივიღებ გადაწყვეტილებას! ლოცვის დაწყებამდე კი სასახლეში მოისვენეთ. მერე ერთად ვილოცოთ, ღმერთს შევავედროთ ჩვენი სამშობლო და ჩვენი ხალხი.

თეიმურაზს ლოცვაზე ეტყობოდა, რომ გაღიზიანებული იყო, მაგრამ არ იმჩნევდა. ჩვეული სიდინჯით ემთხვია ჯვარს, ხატებს და გავიდა სასახლის ეზოში. შეთანხმებისამებრ მეფე, ზაქარია ხუცესი და მიტროპო-

ლიტი საბა შეიკრიბნენ. თეიმურაზმა შეკითხვით დაიწყო საუბარი:

- მღვდელმთავრებიდან კიდევ ვინ არის ლათინთა სარწმუნოების წინააღმდეგი!?

ზაქარიამ პასუხი უმალ დააბრუნა:

- ალავერდელი მიტროპოლიტი ზენონი, რუისის მთავარეპისკოპოსი იოსები, კირილე სამთავნელი, მცხეთის ტაძრის წინამძღვარი - ეპისკოპოსი დანიელი ...

- საკმარისია! ეს უკვე მარტო სამშობლოსი კი არა, არამედ ღმერთის ღალატია! - თქვა ხმამაღლა მეფემ, მსახური იხმო და უბრძანა, - ეშიკაღასბაში მომიყვანეთ სასწრაფოდ!- მერე დარბაზონის აღმოსავლეთ კედელზე დაბრძანებულ ჯვარცმასთან მივიდა, დაიჩოქა მუხლებზე, შეხედა ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს, პირჯვარი გადაიწერა და აღელვებულმა წარმოთქვა:

- უფალო იესო ქრისტე, დაიფარე ჩემი სამშობლო და ჩემი ხალხი ამ განსაცდელისაგან. მართალია შენი შობის მარხვა იწყება და ჩვენ გვმართებს, ვიყოთ უფრო შემწყნარებლები და მიმტევებლები, მაგრამ მე ჩემი სარწმუნოების და სამშობლოს ღალატს ვერავის ვაპატიებ! ... სამართალი უნდა აღსრულდეს! ...

თეიმურაზი მცირე ხნით შეჩერდა, პირჯვარი კიდევ ერთხელ გადაიწერა და წარმოთქვა ლოცვა, რომელსაც ყველგან და ყოველთვის მუდმივად იმეორებდა:

- იხსენ, მაღალო მსაჯულო, ლაზარე ჯოჯოხეთით, მსგავსად მისა მეცა მიხსენ მღვიმით ბნელით, ქვესკნელით და გეენისა მწარისაგან მიხსენ მე, ქრისტე, გევედრები.

XIII

ზაქრო, როგორც კი თავისი სახლის ჭიშკარს მიუახლოვდა, ჩამოხდა ცხენიდან და ეზოში შევიდა. სანამ ცხენს დააბამდა, აივანზე მართაც გამოჩნდა. მთვარის შუქით განათებულ მიდამოში თავისი მეუღლე ადვილად შენიშნა, გაიქცა მისკენ და სიხარულით ცრემლმორეული გაიძახოდა:

- ზაქრო, ჩემო სიცოცხლევ, სად ხარ აქამდე! თვალები ამომიღამდა შენი ლოდინით! ...

გიოაანთ ბიჭმა მკერდში ჩაიკრა ძვირფასი მეუღლე, ცრემლიანი თვალები დაუკოცნა და სიყვარულმოწყურებულმა უთხრა:

- დედაკაცო! ... ნამდვილ ომში რომ წავალ მაშინ რაღაი იზამ? აქედანვე უნდა შეეჩვიო იმასა, რომა სანამ ფეხზე ვდგევართ მეფე ერეკლე არ დაგვასვენებს! ...

- რათა, ზაქრო! ... რათა! - მიუგო თვალცრემლიანმა მართამ და უფრო აქვითინდა. მერე ქმრის მკლავებში დაწყნარებულმა განაგრძო ტირილმორეული ჩივილი, - განა თქვენ ოჯახები არა გააქვთ!? განა ეს არ იცის მეფე ერეკლემა!?

- იცის, ჩემო მართა, იცის, მაი არ იცის, - უპასუხა ზაქრომ, - მაგან რომ იცის, ისე ნეტა ჩვენ ვიცოდეთ. სამშობლოი სჭირდება ჩვენი თავი და უნდა ვიბრძოლოთ, აბა, ბეგარისგან რატომ გვანთავისუფლებს? ეს არი ჩვე-

ნი ბეგარა. ხომ იცი ჩვენ სადღეგრძელოი როგორა სვამენ სამეფო და სახალხო სუფრაზედა?

შეკითხვაზე მართამ თავი ასწია მეუღლის მკერდიდან, შეხედა ზაქროს და თვალებით ანიშნა, რომ პასუხის მოლოდინში იყო ...

- ომის ბეგარაში დაღლილ - დახარჯულებ გაუმარჯოსო! - ხმამაღლა წარმოთქვა ზაქრომ, მართას ხელი გადახვია, ლოყაზე აკოცა და განაგრძო, - ახლა კი წამო, შინ შავიდეთ და რაღაცა მაჭამე, თორემა ლამი გული წამივიდეი შიმშილითა.

როდესაც ცოლ-ქმარი სახლისკენ გაეშურნენ, მართა უცებ შეკრთა, ხელიდან გაუსხლტა ზაქროს, წინ გადაუდგა და იყვირა:

- არა! შენ ვერ შემოხვალ სახლში!

ზაქრო ადგილზე გაშეშდა. არ იცოდა რა ეფიქრა. როგორც ჩანს ვიღაც იყო სახლში და ამან ხომ მთლად გადარია ომებში გამობრძმედილი ვაჟკაცი. ის იყო ხმლის ვადა მოზიდა, რომ ამ დროს მეზობლის - ამირანის ხმა შემოესმა:

- ზაქრო! ... დადექ, კაცო! ... მართალ გეუბნება მართა! ... მე უთხარ, რომ არ შეგიშვაი სახლშია! ...

გაოგნებულმა ზაქრომ აღარ იცოდა რა გაეკეთებინა, მაინც ჯიქურ იწევდა სახლისკენ, მაგრამ მართას მკაცრი მზერა უკეტავდა გზას. ბოლოს, ამირანს მიუბრუნდა ისე, რომ ხმლის ვადისთვის ხელი არ გაუშვია და ისევ მოზიდული ჰქონდა:

- რაო, ამირანა ძია!? რა ხდება!? აღარ იტყვიი?

ამირანი იქვე მდგარ სკამზე ჩამოჯდა, ამოისუნთქა და ზაქროსაც ანიშნა დამჯდარიყო, მაგიდაზე მდგარი კოკიდან წყალი დალია და დაწვრილებით მოუყვა ზაქროს, რაც მოხდა კატუას დაუპატიჟებელი სტუმრობის დროს.

- ჰოოდა, - გააგრძელა საუბარი ამირანმა, - არ ვიცით იმ ღვთის პირიდან გაგდებულმა სად ჩადო ი ჯადო! ამიტომაცა ღამე მართასა ჩემ დედაკაცთანა სძინამს ...

- მაგ, რაღაცა ჯადოებისა არა მჯერა! - შეაწყვეტინა საუბარი ზაქრომ ამირანს, - მოიგონებთ ხოლმე ათას სისულელესა! რა ჯადო!? ... რის ჯადო!? ... ეგ რომა მართალი იყოი ირანი შაჰსა და ოსმალოი სულთან გაუკეთებდნენ და ისინი კიდენა ჩვენ თავ დაგვანებებდნენ ...

- მაიცა, მაიცა, ზაქრო! - წამოიძახა ამირანმა, - მაგათ ჯადო რაი დააკლებს, თვითონ არიან ეშმაკი მოციქულები და ჯადობაზები! ეგ ჩვენნაირი ხალხის განადგურებისთვინ არი მოგონილი და ბევრი მაგარი ვაჟკაცი-ცა ჰყაავს წაქცეული! დამიჯერე, ზაქრო, შენ ჩემ ხელში ხაარ გაზრდილი და გული შემტკივა შენთვინა. იმ კატუამა რაღაც უბედურება დააგდო აქა და ეს უნდა გავიგოთ აუცილებლადა. შენი თავი თუ არ გეცოდება, მართა შეიცოდე, ხო იცი, როგორ უყვარხარ!?

მართას სახელის ხსენებაზე ზაქრო დაწყნარდა და ამირანს ჰკითხა:

- აბა, რაი მირჩევ, ამირანა ძია?

- კატუაი უნდა ველაპარაკოთ, ცოტაც შევაშინოთ და დაფქვავს ყველაფერსა, - უპასუხა ამირანმა, - შენ თუ გერიდება მე გამამყე და მე დაველაპარაკები!

- ოღონდ დედაკაცთან ნუ მაჩხუბებ რაღაცა ჯადოზე, - მიუგო ზაქრომ და თან გაეცინა, - და სადაც გინდა გამოგყვები!

შუაღამე უკვე დიდი ხნის გადასული იყო. გათენებამდე ბევრი დრო აღარ რჩებოდა. ამირანი და ზაქრო ფეხით გაუყვნენ კატუას სახლისკენ მიმავალ გზას და ალიონამდე, იქვე ახლოს, დიდი მუხის ქვეშ ჩამოსხდნენ. რამდენიმე დღის ნაბრძოლ და დაღლილ ზაქროს ჩაეძინა, მაგრამ ამირანმა მალევე გააღვიძა და სახლიდან გამოსული კატუა დაანახა, რომელმაც სოფლის მინდვრებისკენ გასწია, სადაც მწყემსებს საძოვარზე სოფლის ნახირი გამოერეკათ. ამირანი და ზაქრო შორიახლო გაჰყვნენ კატუას, მერე კი ბუჩქებს ამოეფარნენ და იქიდან აკვირდებოდნენ, რას მოიმოქმედებდა ეს ღვთის პირიდან გაგდებული ქალი. კატუამ მენახირე ვანუას მიაკითხა, რომელიც მამასახლისის საქონელსა და ცხვარს მწყევსავდა. ვანუამ ნახირიდან ერთი მეწველი ძროხა გამოარჩია, თოკი მოაბა და კატუას მისცა. ეს უკანასკნელი ძროხასთან ერთად ისევ სახლისკენ წავიდა, ხოლო ზაქრომ და ამირანმა ვენახებზე გამავალი ბილიკებით მოჭრეს გზა და კატუას თავის სახლის ჭიშკართან დახვდნენ, თუმცა, ეზოს მთავარ შესასვლელს პირობითად

თუ დაარქმევდით ჭიშკარს, რადგან ფიჭვის წვრილ ტოტებზე მიკრული ფიჩხით, რაღაც მოძრავი ღობე, ბოსტნის საფრთხობელას უფრო მოგაგონებდათ, ვიდრე ეზოს ჭიშკარს.

ამირანის და ზაქროს დანახვაზე კატუას ხასიათი წაუხდა და დამჭკნარი სახე ისე დაეღრიჯა, რომ კიდევ კარგი დღე იყო, თორემ ღამით მის დანახვაზე მრავალჭირგამოვლილ ამირანსაც და ზაქროსაც გული აუფრილდებოდათ და ხმალ-ხანჯლებს მოიმარჯვებდნენ.

- დილა მშვიდობისა, კატუავ! - მიესალმა ამირანი.

- ძალიან გინდა ჩემი მშვიდობა! - უპასუხა კატუამ, თოკით ძროხა მოქაჩა და კაცებისთვის გვერდის ავლა სცადა.

ამირანმა ძროხას რქებში ჩაავლო ხელები, ადგილზე გააქვავა და ისევ კატუას მიუბრუნდა:

- ამი გარეშე შენ არსად წამსვლელი არა ხარ და თუ არ მოგვისმენ, აი, ხანჯალი, აქვე გამოვჭრი ყელსა და მერე ივიშვიშე! ...

- რა გინდა!? - როგორც იქნა მიაქცია ყურადღება დილაადრიან მოსულ სტუმრებს კატუამ, - მე თქვენ არ დამიპატიჟნიხართ!

- არც შენ იყავ დაპატიჟებული ჩემთან და ზაქროითან, - საუბარს სიმკაცრე შეჰმატა ამირანმა, - მაგრამ მოხვედი და გვაინტერესებს, რა გინდოდა!?

კატუამ კიდევ ერთხელ მოქაჩა თოკი და რადგან არაფერი გამოუვიდა, თოკი ამირანს მიაგდო და ჭიშკრისკენ გაიწია. ამირანმა კი ზაქროს გასძახა:

- ბჯო! მაიტა ერთი ხანჯალი და გამოუსვი ამ ძროხასა! ამაი ძროხა რად უნდა, თავი თავითვინ ვერ მოუვლია!

კატუა უცებ შეჩერდა და იკივლა:

- ხელი არ ახლოთ! მაგ ძროხითვინა იმხელა საქმე გავუკეთე ...

უცებ კატუამ ენაზე იკბინა და გაჩუმდა. ამირანს მეტი არც უნდოდა და მაშინვე მიაძახა:

- ვისა! ... აბა, ამოღერღე, შე ალქაჯო! ...

- ვისა და! ... ვისა! ...

ისევ გაჩუმდა კატუა. ამირანი კი აგრძელებდა:

- ალბათ იმას, ვინც ეს ძროხა მოგცა! ნეტა ვისია!? აბა, ერთი, ვკითხოთ მენახირე ვანუასა!? დიდის ამბით რომ გადმოგცა თავისი თოკითა!

კატუას სახე აელეწა და მიხვდა, რომ სიმართლის თქმას ვერსად გაექცეოდა და ეს ორი გამწარებული კაცი ,,ძროხას ქათამივით დააკლავდნენ“. მერე იფიქრა: ,,თავს მოვიმკვდარუნებო“, მაგრამ ესეც გადაიფიქრა: ,,ვაი, თუ მართლა მოვკვდე ან მომკლანო“ და ბოლოს ამოიკნავლა:

- სიმართლეი გეტყვით, ოღონდ არ გამცეთ, თორემ მეც მამკლავს მამასახლისი და ძროხასაც წამართმევს!

- მამასახლისი!? - გაიკვირვა ზაქრომ და უკვე სერიოზულად დაფიქრდა, რომ აქ საქმეს სხვა გაგრძელებაც შეიძლება ჰქონოდა, - აბა, აბა, რაო მამასახლისმა!?

კატუამ ყველაფერი დაწვრილებით მოუყვა ამირანს და ზაქროს, სახლშიც გაჰყვა და ჯადოს ადგილსამყოფელიც აჩვენა და თან გააფრთხილა:

- ჯადოი გამოლოცვა მე არ შემიძლიან, მე მხოლოდ გაკეთება ვიცი. თან მგლიი ქონზე და საფლავიი მიწაზეა დამზადებული და მაგიი ძალიი დაკარგვა მხოლოდ მღვდლიი ლოცვაი შეუძლიან.

ირგვლივ სიჩუმემ დაისადგურა. ყველანი კატუას უყურებდნენ და ერთი აზრი უტრიალებდათ თავში: „ასეთი ბოროტება როგორ უნდა გააკეთოს ადამიანმა. თუმცა ამ ალქაჯს ადამიანს ვერ დაარქმევ, რადგან ამ ბინძური საქმის გამკეთებელს ჩადენილის გამო სინანულიც არ გამოუთქვამს და ისევ ძროხას მისტირის“.

სიჩუმე ისევ კატუამ დაარღვია:

- მე ყველაფერი გითხარით და აღარ დამაბეზღებთ ხომა?

- ჩვენ რომ შენნაირები ვიყოთ, - უთხრა ამირანმა, - დაგავალებდით, რომ ჯადო მამასახლისისთვინ გაგეკეთებინა, მაგრამ ჩვენ ქრისტიანები ვართ და შურისგებაი გვიკრძალავს უფალი. ამიტომ ღმერთსა ვართ მინდობილები და შენი ჯადოი გამოლოცვი შემდეგ ღმერთი რასაც გვეტყვის, იმაი გავაკეთებთ. ახლა კი მოგვწყდი აქედანა და დღეიდან შენი ლანდიც კი არ დავინახო ჩვენ ეზო-ყურეზედა, თორემ აღარც დავფიქრდები ისე გამოგჭრი ყელსა, შე ეშმაკის ნაჭლიკარო!

XIV

ანტონ კათოლიკოსის ღალატი ივერიის ეკლესიისადმი გაცხადდა. ამით განაწყენებულმა და დამწუხრებულმა მეფემ დაუყოვნებლივ დააპატიმრა ანტონი. სასულიერო პირების მოთხოვნით, მეფემ ქალაქიდან გააძევა კათოლიკე ბერები, მათ შორის მთავარი დამნაშავე ნიკოლა. მისიონერები გააძევეს გორიდანაც. მათ წაართვეს ტაძრები და გადასცეს მართლმადიდებლებს. ლათინელმა პატრებმა და მისიონერებმა შეკრიბეს თავიანთი სამწყსო და გადაიხვეწნენ ახალციხეში, რომელსაც ათაბაგები მართავდნენ და მისიონერები მშვიდად ცხოვრობდნენ. მეფემ გადამწყვეტი ზომები მიიღო საიმისოდ, რათა მართლმადიდებლობაზე დაებრუნებინა ის ცთომილნი, ვინც მის სამეფოში დარჩა. უღარიბეს მშობელთა ბავშვები კი თვითონ აიყვანა აღსაზრდელად.

დაპატიმრებული ანტონ კათოლიკოსი დილეგში ჩასვეს და გაკრიჭეს. ხალხში სხვადასხვა ამბები ვრცელდებოდა, ზოგნი ამბობდნენ კათოლიკოსს უპატიოდ მოექცნენო, უფრო მეტიც - სცემეს და სისხლი ადინესო. სამეფო კარზე კი ფარულად, მაგრამ დიდი გულისწყრომით ჩურჩულებდნენ: ,,შეუთქვესო კახთ ანტონს ფრანგობა მტერობითო“.

მომხდარით ერეკლე მეფე ერთობ გაღიზიანებული გახლდათ. კახთბატონი და ანტონი ბავშვობიდან ერთად

იზრდებოდნენ თელავის სასახლეში. მიუხედავად ნათესაობისა ერეკლე მას სისხლხორცეულ ძმად მიიჩნევდა და ყველა მისი სიკეთისა და ჭირის თანამოზიარე გახლდათ. ანტონისთვის, ერეკლეს საყვარელი ანტონისთვის, სხვას რომ ეკადრებინა ასეთი რამ, ალბათ კახთბატონი თავს შეაკლავდა, მაგრამ მამის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა და ამიტომაც დარდსა და წუხილს გულში იკლავდა. თუმცა ზაქარია გაბაშვილზე იყო გაბრაზებული, იცოდა, რომ ამ საქმეში მისი ხელი ერია. ისედაც გულზე არ ეხატებოდა მათი გვარი, რადგან ეს უკანასკნელნი თავისი წარმოშობიდან გამომდინარე, ხანდახან უხეშად ერეოდნენ სახელმწიფო საქმეებში და ახლაც გაილაშქრეს ბაგრატოვანთა წინააღმდეგ, რამაც ქართლ-კახეთის მართლმადიდებლების მწყემსი დილეგისთვის გაწირეს. ყველაფერ მომხდარს ერეკლე მრავალჯერ აანალიზებდა, მაგრამ მაინც ვერ ხვდებოდა, რისი მიღწევა სურდა ზაქარიას და ამიტომ ბრძანა, მასთან მოეყვანათ ხუცესი. თეიმურაზ მეფის კარის მოძღვარი ეახლა ერეკლეს და უაღრესი მორჩილებით მოემზადა მეფის სიტყვის მოსასმენად.

- ხუცესო! - აუღელვებლად დაიწყო საუბარი ერეკლემ, - ვხედავ და მესმის, რომ შენს საწადელს მიაღწიე, მაგრამ ერთხელ თუ მაინც დაფიქრებულხარ იმაზედ, რომ ამ ქმედებით ქვეყანაში და ეკლესიაში არეულობა შემოიტანე!?



- მეფეო, - წყნარად მიუგო ზაქარიამ, - კარგად მოგეხსენება ეს თეიმურაზ მეფის ბრძანება გახლდათ.

- და თეიმურაზ მეფემდე ვინ მიიტანა ეს საქმე!? - მკაცრად წარმოთქვა ერეკლემ და თვალი თვალში გაუყარა ზაქარიას.

გაბაშვილმა თვალი ვერ გაუსწორა ერეკლეს არწივისებურ გამოხედვას, რომელი მზერითაც კახთბატონს ბევრი მტერი დაუჩოქებია ბრძოლის გარეშე, ხოლო ვისაც ეს არაფრად ჩაუგდია, ერეკლეს ხმალთან ჰქონია მუსაიფი. ზაქარიამ ეს ყოველივე კარგად იცოდა და, მიუხედავად ამისა, მაინც აუღელვებლად უპასუხა:

- ჩვენი სამშობლოს და მართლმადიდებლური სარწმუნოების ინტერესებიდან გამომდინარეობს ეს ყველაფერი და ყოველივე კარგად მოეხსენება თქვენს მშობელ მამას - თეიმურაზს, მეფეო. ჩვენ ჩვენით არ გადაგვიდგამს არც ერთი ნაბიჯი და ეს შენ კარგად მოგეხსენება, მეფეო, როდესაც თელავის სასახლეში შედგა ერთობლივი საუბარი ...

- კარგად მახსოვს! - იყვირა ერეკლემ, - ანტონი, როგორც მოღალატე პირველად შენ ახსენე, ხუცესო! ... შენ დააეჭვე მამაჩემი ანტონის ღალატში! ... მეფემაც გისმინა და დაგიჯერა, რადგან მისი მოძღვარი ხარ და თავისი თავდადებული მორწმუნეობის გამო ენდობა შენს სიტყვას! ...

ზაქარიამ დახრილი თავი ასწია, გასწორდა ბეჭებში და ყოველგვარი ყოყმანისა და აღელვების გარეშე უპასუხა ერეკლეს:

- მეფეო, მე ტყუილი არ მითქვამს და არც ცილისწამებისთვის მიმიმართავს. ჩემი რწმენიდან გამომდინარე, ასეთ უწმინდურობას არასდროს ვიკადრებ, ეს დიდი ცოდვაა, განსაკუთრებით სასულიერო პირებისთვის. ეს პირდაპირი გზაა ჯოჯოხეთისკენ ...

- და შენი ასეთი ქმედებით, ქვეყანას რომ მიაქანებ ჯოჯოხეთისკენ ამაზე არ გიფიქრია!? - ისევ იყვირა ერეკლემ, - რას იფიქრებს ჩვენზე რუსეთი, რომელთანაც ერთმორწმუნოებით ვიქებთ თავს და დახმარებას ვთხოვთ!? ამ დროს ქვეყნის პირველ სასულიერო პირს, თან სამეფო გვარის წარმომადგენელს, დილეგში ვაგდებთ!? ... რას იფიქრებენ ევროპელი ხელმწიფენი!? ... რას იფიქრებს რომის პაპი!? და ბოლოს ჩვენი მტრები, რომლებიც მუმლივით გარს გვახვევია!? ... არ იტყვიან, შიგნით ვერ მოუგვარებიათ საქმე და ჩვენთან ურთიერთობას ლამობენო!? ... ეს არ არის ჯოჯოხეთის უფსკრულებისკენ წასვლა!? ...

თავდაპირველად ზაქარიამ იფიქრა, შენდობა ეთხოვა ერეკლესთვის ასეთი კადნიერებისთვის, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა, თითქოს გონება გაუნათა და საუბარიც დააწყებინა:

- მომიტევე, მეფეო ჩემი ასეთი კადნიერება, მაგრამ მსურს, რომ ჩემი აზრი გამოვთქვა ყოველივე მომხდარის გამო ... თუ ნებას დამრთავთ, რა თქმა უნდა.

- ბრძანე, ხუცესო, - მწარე ირონიით მიაძახა მეფემ, დარწმუნებულმა, რომ ზაქარიას აღარაფერი ჰქონდა სათქმელი.

მეფეო, - დაიწყო მშვიდად საუბარი ზაქარიამ, - შენ ფრიად შეწუხებული ხარ, რომ მომხდარიდან გამომდინარე რას იფიქრებენ ჩვენზე რუსეთის, ევროპის, ჩვენი მტერი ქვეყნების ხელმწიფენი, რომის პაპი და სხვანი და სხვანი ... - აქ მცირე დროით შეჩერდა ზაქარია, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი, აშკარად ეტყობოდა, რომ არ სურდა საუბრის გაგრძელება, მაგრამ თავს ძალა დაატანა და განაგრძო, - მე კი ასე ვფიქრობ, მართლმადიდებლური სარწმუნოების გამრუდებისა და რომის პაპის ღმერთად მოხსენიების გამო რას იტყვის ჩვენზე სამყაროს შემოქმედი - მამა, ძე და სული წმიდა? ჩვენს წინაპრებს არაერთხელ დაუშვიათ უდიდესი შეცდომები სარწმუნოების გამრუდებისა და ღმერთის სასჯელსაც არ დაუგვიანია ...

- ჩვენი წინაპრების განსჯაც დაიწყე, ხუცესო!? - იწყინა ერეკლემ, - მაინც ვის გულისხმობ, იქნებ გაგვანათლო!?

ზაქარია თითქოს ნანობდა, რომ ასე ღრმად შევიდა მეფესთან საუბარში, რაც შეიძლება არ დამთავრებულიყო მშვიდობიანად, მაგრამ შინაგანი ძალა, რომელსაც ვიღაც უხილავი მართავდა, არ აძლევდა უფლებას შეეწყვიტა საუბარი. ხუცესი მიხვდა, რომ უფლის ანგელოზი იდგა მის გვერდით და გამხნევებულმა განაგრძო საუბარი:

- მეფეო, რადგან ჩვენს შორის საუბარი შეეხო ესოდენ სათაყვანოს - ჩვენს დედა ეკლესიას, კიდევ ერთხელ გავკადნიერდები, პატიებას ვთხოვ ჩვენი წინაპრების სულებს და მოგახსენებთ, რომ ქრისტეს დაბადებიდან მეცამეტე ასწლეულში დედა ეკლესიაში შეაღწიეს ანტიქრისტეს მიმდევრებმა და გააყალბეს იგი. ეს გამოიხატა იმაში, რომ ჩვენი სათაყვანო წმიდა თამარ დედოფალი სამების მეოთხე წევრად შერაცხეს, ხოლო ძე მისი რაცხეს ქრისტეს სწორად. მემატიანეც ხომ გვამცნობს: ,,ტაბახმელისა, ბეთლემ მყოფელმან, მუნ შვა ძე ხვთისა“. მართლმადიდებლობის გამრუდებამ უდიდესი სასჯელი მოუვლინა საქართველოს ჯერ ჯალალედინის და მერე მონღოლების სახით. ჩვენც იგივე მოგველის თუ დროზე არ აღვკვეთეთ ლათინების და მხითარების თარეში, საქართველო კვლავ აღმოჩნდება ახალ მონღოლთა ბრჭყალებში, რაც საბოლოოდ გაანადგურებს მას.

ერეკლეს გაეცინა და მიუგო ზაქარიას:

- ხუცესო! ანტონი თუ გამართლდა, ხომ იცი, რაც მოგელის!?

- ღვთისა და სამშობლოსათვის მე ყველანაირი სასჯელისთვის მზად ვარ, მეფეო. - უპასუხა ზაქარიამ და პირჯვარი გადაიწერა.

XV

კვირას, ზაქრო და მართა ჩვეულებისამებრ სოფლის კვირაცხოვლის ეკლესიაში წირვას დაესწრნენ. მსახურების შემდეგ ცოლ-ქმარი მამა მირიანს დაელოდნენ და აუხსნეს, რა განსაცდელიც შეამთხვია მათ კატუამ. მამა მირიანმა თავი დახარა და სინანულით წარმოთქვა:

- ჩემი ბრალია, უნდა გამეფრთხილებინეთ, რომ მორიდებოდით მაგ ღვთის პირიდან გავარდნილ ალქაჯს. ისე, ზაქარია, შენ რაღა დაგემართა? გაგეფრთხილებინა მართა, რომ მორიდებოდა მაგ ჯადობაზს.

- რა ვქნა, მამაო, - ხელები გაშალა ზაქრომ და მიუგო მოძღვარს, - არა მჯერა მე მაგ ჯადოებისა და რა ვქნა?

- ახლა ხომ დაიჯერე!? - უსაყვედურა მამა მირიანმა და თვალებში ჩახედა თავის სულიერ შვილს.

- რა ვიცი, მამაო? ... - წარმოთქვა ზაქრომ და მამაოს თვალი აარიდა.

- შეიძლება ერთი რამ გკითხო, ზაქარია? - ჩვეული სიდინჯით განაგრძო მამაომ.

ზაქრომ მამაოს შეკითხვას ღიმილი შეაგება, რაც თანხმობას ნიშნავდა.

- შენ მეომარი კაცი ხარ, ზაქარია, და მრავალჯერ გაგიმარჯვია მტერზე. მიპასუხე, აბა - ამით რას ამარცხებ?

- ჩემი სამშობლოს მტერს? ... - გაოცება გამოხატა ზაქრომ.

- ანუ? - არ მოეშვა მამა მირიანი.

- ანუ ... ანუ ... - ენა დაება ზაქროს და ხელის თითები უცბად მუშტებად გადაექცა. სიტყვები რომ ვერ იპოვა, მარჯვენა ხელი ინსტინქტურად იმ ადგილისკენ წაიღო, სადაც ხმალი ეგულებოდა, თუმცა ის ეკლესიის გარეთ ჰქონდა საიმედო ადგილზე გადამალული, რადგან ტაძარში იარაღით შესვლა არ შეიძლებოდა.

ბოლოს, სიტყვების მაძებარი რაინდი, უხერხული მდგომარეობიდან ისევ მამამ იხსნა:

- ანუ ... ამ ქვეყნად არსებობს სიკეთე და ბოროტება. შენი ხმალი კი, რომელსაც ახლა შენ ეძებდი, ბოროტების დასამარცხებლად გჭირდება ხომ? ესე იგი, ბოროტება არსებობს და ის ეშმაკის ხელშია, როგორც ხვითო და როცა უნდა მაშინ აათამაშებს გველის მეშვეობით. აი, ეგ ჯადოც, რომელიც კატუამ შენს სახლში დატოვა იგივე მტერია, მხოლოდ არა ხილული და რომელსაც ვერც ხმლით და ვერც ტყვიით ვერ განგმირავ, რადგან ცოცხალ მტერზე უფრო ვერაგია.

- აბა, რა უნდა ვქნათ, მამაო? - იკითხა აღელვებულმა მართამ.

- დამშვიდდი, შვილო ჩემო, - დააწყნარა მართა მამა მირიანმა, - ლოცვაზე ძლიერი იარაღი ამ ქვეყნად ჯერ არავის შეუქმნია და ვერც შექმნის, რადგან ყველაფერი ღმერთის ხელშია და მისი ნებით აღესრულება. ლოცვას კი მაშინ აქვს დიდი ძალა, როდესაც ადამიანი მას რწმე-

ნით წარმოთქვამს. მაცხოვარიც ხომ ამას გვეუბნება სახარებაში ,,უკეთუ გაქუნდეს სარწმუნოებაჲ, ვითარცა მარცუალი მდოგვისაჲ, ჰრქუათ მთასა ამას: მიიცვალე ამიერ იქი, და მიიცვალოს, და არარაჲ შეუძლებელ იყოს თქვენ მიერ. ხოლო ესე ნათესავი არარაჲთ განვალს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“...

ახალგაზრდები გულისყურით უსმენდნენ მოძღვარს და მოუთმენლად ელოდნენ მისგან რჩევას, რომელიც მათ ამ გაუგებარი მდგომარეობიდან გამოიყვანდა. მამა მირიანი კი აუღელვებლად განაგრძობდა:

- ჩვენმა დედა ეკლესიამ ამ საშინელებას, რომელსაც ჯადოქრობა ჰქვია, მღვდელმოწამე კვიპრიანე კართაგენელის ლოცვა დაუპირისპირა, რომლის წაკითხვაც ხშირად მოგიწევთ. როგორც ვიცი მართამ იცის კითხვა და დილა-საღამოს წაიკითხეთ ხოლმე ეს ლოცვა, რომელსაც დაგიწერთ, ხოლო მე ეკლესიაში ვილოცებ, რათა ჯადომ ძალა დაკარგოს და მერე დაწვით ეს საზიზღრობა და ფერფლი წყალს გაატანეთ. იცოდეთ, შვილებო, რომ ჯვარს წინ ვერანაირი ბოროტება აღუდგება. ბოროტმა შეიძლება დროებით დათრგუნოს სიკეთე, მაგრამ ბოლოს მაინც სიკეთე იმარჯვებს, რადგან მასში სიყვარულია და სიყვარული კი ღმერთია.

შემდეგ კი მამა მირიანმა ზაქროს და მართას ანტიოქიელი წმიდანების, კვიპრიანეს და იუსტინას ამბავი მოუყვა, თუ როგორ იძლია ჯვრით მოგვებისგან განს-

წავლული ყველაზე ძლიერი ჯადოქარი კვიპრიანე, რომელმაც ამის შემდეგ ქრისტე იწამა და მის სადიდებლად მოწამეობრივად აღესრულა. მერე მამაომ პარაკლისი წაიკითხა, დალოცა ზაქრო და მართა და მათ ახლადშექმნილ ოჯახს ბედნიერება და გამრავლება უსურვა.

როგორც კი მწუხრი გადავიდოდა, ზაქრო და მართა დაიჩოქებდნენ ხოლმე ხატების წინ და მართა მამა მირიანის დაწერილ სავედრებელ ლოცვას კითხულობდა მღვდელმოწამისა კვიპრიანე კართაგენელისა მიმართ ჯადოქრობის საწინააღმდეგოდ:

- ჰოი წმიდაო, სათნო-მყოფელო ღუთისაო, მღუდელ-მოწამეო კვიპრიანე, მსწრაფლ-შემწეო და მლოცველო ყოველთა შენდამი მოლტოლვილთათვის, მიითვალე ჩუენ უღირსთაგან სადიდებელი ესე, ევედრე უფალსა ღმერთსა ჩუენსა, რათა მოგვმადლოს ჩუენ, უძლურებათა შინა განმტკიცებაჲ, მწუხარებათა შინა ნუგეშისცემაჲ, და მოგვანიჭოს ჩუენ ყოველი სარგებელი ცხოურებისა ჩუენისათვის აღავლინე უფლისა მიმართ მრავალ-ძალი ლოცვაჲ შენი, რათა დაგვიცვას ჩუენ ყოველთაგან შეცოდებათა, გვასწაოს ჩუენ ჭეშმარიტი სინანული, გვიხსნას ჩუენ ტყვეობისაგან ეშმაკთა და ბოროტთა სულთა მანქანებათაგან და ყოველთა მაჭირვებელთა ჩუენთაგან. გვეყავნ ჩუენ მცველად შეურყევლად, ყოველთა ხილულთა და უხილავთა მტერთაგან, მოგვანიჭე ჩუენ განსაცდელსა შინა მოთმინებაჲ და ჟამ-

სა სიკუდილისა ჩუენისასა შეწევნაჲ მოგვივლინე მაწამებელთა ჩუენთაგან, რომელნი შეგვემთხვივნეს ჰაერთა შინა საზვერეთასა, რათა შენს მიერ ძღვანებულნი, მივიწივნეთ ზეციურსა იერუსალემსა, და ცათა სასუფეველსა შინა ღირს ვიქმნეთ ყოველთა წმიდათა თანა დიდებად ყოვლად-წმიდისა სამებისა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

სულ მალე ზაქროს და მართას ახლადშექმნილი ოჯახის ცხოვრება ჩვეულ კალაპოტში ჩადგა, თუმცა ზაქროს მამასახლისის ვერაგობა გულში ჰქონდა ჩარჩენილი და არც აპირებდა მისთვის ეპატიებინა ეს მზაკვრობა.

XVI

თეიმურაზ მეფის დავალებით დაიწყო ანტონ კათოლიკოსის საქმის შესწავლა. დილეგში მასთან დასაკითხად აგზავნიდნენ სასულიერო პირებს, მათ შორის აქტიურობდა ორი არქიმანდრიტი, რომლებიც ცდილობდნენ მისთვის ურწმუნოება დაებრალებინათ. წარგზავნილ არქიმანდრიტებს კათოლიკოსისათვის უკითხავთ: ,,სწამდა თუ არა მას ღმერთი?“ რაზეც მას პასუხი არ გაუცია. იგივე შეკითხვა კიდევ ორჯერ დაუსვიათ ანტონისთვის. კათოლიკოსმა კარგად იცოდა, რომ საეკლესიო კანონებით, თუკი იგი თავს ვერ იმართლებდა - გაასა-

მართლებდნენ. ამიტომ ფსალმუნის სიტყვებით გაუცია პასუხი: ,,თქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა: არა არს ღმერთი ...“. როგორც ჩანდა ანტონი არ აპირებდა მონანიებას, ამიტომაც გადაწყდა მისი გასამართლება.

ქრისტეს აქეთ ათას შვიდასორმოცდათხუთმეტი წლის თექვსმეტ დეკემბერს მცხეთაში, საქართველოს ძველ სალოცავში, შეიკრიბა ორივე სამეფოს ყველა ეპისკოპოსი. კრებაზე მოვიდნენ თეიმურაზ და ერეკლე მეფეები. აქვე მოიყვანეს დაპატიმრებული ანტონ კათოლიკოსი, მხოლოდ იგი კრებაზე არ დაუშვეს, საგანგებო ადგილზე ჰყავდათ დაკავებული. საეკლესიო კანონის თანახმად, მასთან დასაკითხად შეუშვეს ისევ ის ორი არქიმანდრიტი. ანტონმა მტკიცედ აღიარა ქართველთა სარწმუნოებისგან განსვლა და ლათინთა მიმართ მიდრეკა. მან აგრეთვე წარმოადგინა თავისი აღზრდილი ხუთი მღვდელი, რომლებმაც ასევე ლათინთა სარწმუნოება აღიარეს. მეფეებს ისღა დარჩენოდათ, რომ მიეღოთ კრების გადაწყვეტილება, რაც დაამტკიცეს კიდეც.

1. “ქრისტეს აქეთ ჩღნე. დეკენბერს ივ.

,,ქ. ჩვენ ცხებულმან მეფემან საქართველოისამან თეიმურაზ და ძემან ჩვენმან მეფემან კახეთისამან ირაკლიმ ესე აღთქმა და პირი დავამტკიცეთ და უცვალებელად დავდევით კრებასა შინა. ვპოეთ ანტონი კათალიკოზი რომაელთა სარწმუნოებათა აღმსარებელად და ჩვენთა სარწმუნოებათა შეურაცხ მქმნელად, ამას ზედა

შევიკრიბენით საბრძანებელთა შინა ჩვენთა ქართლისა და კახეთისა მიტროპოლიტნი და ეპისკოპოსნი. არქიმანდრიტნი და წინამძღვარნი, აგრე ორთავე სამეფოთა მთავარნი და დარბაზის ერნი. მიუვლინეთ მოციქულნი, ვკითხეთ და ვამხილეთ მისი ბოროტი ცთომილებაი. ხოლო მან საანჯმნოდა აღიარა ჩვენისა სარწმუნოებისაგან მიდრეკა და ლათინთა სარწმუნოებისა აღსარება დაამტკიცა. ესე აწ შეკრებულმან წმიდამან კრებამან უგულებელ ჰყო და ანტონი კათალიკოზი სამოციქულოისა საყდარსა და კათოლიკე ეკლესიისაგან ჯეროვნად აღვფხვართ და კათალიკოზობისაგან განვაყენეთ. აწ ესე პირი დავამტკიცეთ, უკეთუ სამეოხოთა სიტყვათა რომელმანმე ჩვენ მეფემ თეიმურაზ, ანუ ძემან ჩვენმან მეფემ ირაკლიმ და ყოველთა საქართველოთაგან ანუ მთავარმან ქენებითა ანუ რომლითამე მიზეზითა ესე აღთქმული შევცვალოთ და კუალად მისი კათალიკოზად დადგინებაი მოვინდომოთ, რისხვასამცა შევცვივით წმიდასა და ერთ არსისა სამებისასა და ყოველთა მგმობართა თანა დაიწესების ცხოვრებაი ჩვენი და წმიდათა დიდთა მსოფლიოთა კრებათაგან ხვებულად შეჩვენებითამც აღვიხოცებით”.

2. “ქრისტეს აქეთ ჩღნე.დეკენბერს ივ.

ცხად იქმნა საქართველოსა შინა ანტონი კათალიკოზისა ქართველთა სარწმუნოებათაგან განდგომა და ლათინთა სარწმუნოებისად მიდრეკა. ამას ზედა დიდად აღძრნეს მეფენი და სრულნი საქართველოისა სამღვდელო

და საერონი ერნი. ამასვე ჟამსა მეფემან საქართველოისამან, ღმრთივ ცხებულმან თეიმურაზ და ძემან მისმან მეფემან კახეთისამან ირაკლიმ, შეკრიბნეს ორთავე სამეფოთა მიტროპოლიტნი, ეპისკოპოსნი, არქიმანდრიტნი და წინამძღვარნი. აგრეთვე მთავარნი და დარბაზის ერნი. მოციქულნი მიუვლინეს კათალიკოზსა და ჭეშმარიტი სარწმუნოება ჰკითხეს. ხოლო მან მტკიცედ აღიარა ქართველთა სარწმუნეობისაგან გასვლა და ლათინთა მიმართ მიდრეკა. მასვე ჟამსა წარმოადგინნა თავისნი აღზრდილნი ხუთნი ვინმე სამღვდელონი და მათ უფროსად ხმა ამაღლებით აღიარეს აღმოსავლეთთა ეკლესიისაგან განყენება და ლათინთა სარწმუნოებისა შეწყნარება. რა მეფეთა ესე დაიმტკიცეს, რომელ შესცთეს, ესე ანტონი მასვე ჟამსა კათალიკოზობისაგან განაყენეს და წირვისაგანმცა განკვეთეს. აგრეთვე თანააღმსარებელნი მისნი მიიყვანეს წინაშე მეფეთა და კრებისა. დასაჯეს, თმანი და წვერნი აღკვეცეს. შემდგომად დღეთა რაოდენთამე კუალად ცნობად მოვიდა, სინანულად იწყო და აგრეთვე ქართველთა სარწმუნოების აღსარებაი, ფიცი და აღთქმაი დაუდვა. მაშინ სრულად წარმოთქვა, რომელ ათვრამეტი თვე, დაეყო მათსა წვალებასა შინა აღსარებითა და ზიარებითა, რადგან მოიქცა და ეგრეთვე სინანულად მოვიდა, მოძღვარი უჩვენეს და სინანულად განაკანონეს რადგან ათვრამეტი თვე ჰქონდა წვალებასა შინა სხვასა სინანულისა გარეთ, ათვრამეტივ თვე წირვისაგან დააყე-

ნეს. მერმელა შემდგომაც ათვრამეტისა თვის შეიწყნარეს და წირვა მისცეს და ესე აღთქმაი, ფიცი და შეჩვენებაი წიგნით დაამტკიცეს, რომელ არს რომელთამ მიზეზითა და სინანულით ამისი კათალიკოზობა აღარ იქნას. გარნა ესრეთ შეიწყნარეს რომელ თუ უნდეს აქავე დადგეს, თუ არა რომელსამე მართლმადიდებელთა სამთავროის შინა მოვიდეს. შემდგომად ამა რიცხულთა აღსარებისა წირვისაგან ნუღარავინ დააყენებენ შეიწყნარონ და ჟამი აწირვინონ: რადგან კათალიკოზობისა მიცემა წიგნთა და შეჩვენებით დაამტკიცეს, ორის სასჯელით აღარ დასაჯეს, ამისთვის წირვაი მისცა კრებამან".

3. "ქ. ესე მტკიცეს შეურყეველი და შეუცვალებელი წიგნი დიდის ფიცითა და აღთქმის დადებით მოგართვი მე ყოვლად უღირსმან ანტონი თქვენ ღმრთივ ცხებულსა ქართველთა მეფესა თეიმურაზს და კახთა მეფეს ირაკლის და ორთავე სამეფოთა წმიდათა მიტროპოლიტთა და დიდებულთა მთავართა. ამა პირსა ზედა, [ამა]ცოდვათა ჩემთა სიმრავლეთა უგუნურებით შეცდომილ ვიქმენ და ლათინთა ბოროტად მადიდებლობაი პირითა ჩემითა ყ[ოვლად] ცხადად აღვიარე. ამის ძალით თქვენის მწყემსობისა და კათალიკოზობისაგან სამართლად გარდამაყენეთ, ჭეშმარიტის ბრჭ ხოლო უკანასკნელ ცნობად რა მოველ და ვცან ჭეშმარიტი სარწმუნოება, ვიწყე ტირილად, გოდებად და სინანულად და ამასთან უ[არ] ვყავ ბოროტად მადიდებელთა ლათინთა და აღვიარე ჭეშ-

მარიტი მართლმადიდებლობა აღმოსავლეთისა. ამას ზედა იქმნენით ჩემ ზედა და რაოდენნი თვენი და ჟამნი დამეყვნეს ლათინთა მწვალებელთა თანა, ეგოდენ ჟამნი განმიწესეთ ცთომათა ჩემთა შენანებად. და ათვრამეტისა თვისა რიცხვისა შემდგომად ღვდელმოქმედების ხელყოფა მიბრძანეთ ძმებრითა თანალმობითა. აწითგან მეცა ამა ხელწერილსა დავსდებ წინაშე კეთილმსახურთა მეფეთა და წინაშე წმიდისა კრებისა: შემცაჩვენებელ ვიყო და შეკრულ მამისა და ძისა და ყოვლად წმიდისა სულისაგან და წმიდათა შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან, თუმცა კიდევ მე ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მივექცე, ანუ ფარულად გულსა შინა ვიპყრა და ზაკვით სახესა ვიჩემებდე, ანუ პაპა ჰრომისა ყოვლისა სოფლისა მწყემსად და უფროსად მწამდეს, ანუ სული წმიდა მამისა და ძისაგან აღვიღო და არა მხოლოდ მამისაგან გამომავალი, გინა სულთა ცოდვილთა ცეცხლითა [განწმედა] მრწამდეს, ანუ შემდგომად მღვდლობისა შურისგებისათვის მეფე ანუ ეპისკოპოსი, ანუ მღვდელი ვსწყეო საქართველოისა შინა, კრულმცა ვიყო ათორმეტთა მოციქულთა მადლისაგან და ნაწილი ჩემი დამცადებულ არს ორგულთა თანა”.

ვინაიდან ანტონმა შეინანა თავისი საქციელი, კვლავ აღიარა მართლმადიდებლური რწმენა, ფიცი და აღთქმა დადო, სასჯელი შეუმსუბუქეს, მღვდელმთავრად აღადგინეს და თვრამეტი თვით ეპიტიმია დაადეს, ოღონდ კვალად ძალაში დარჩა კრების გადაწყვეტილე-

ბა: ,,რომელთამე მიზეზითა და სინანულით ამისი კათალიკოზობა აღარ იქნას ... რომელ თუ უნდეს, აქვე დადგეს, თუ არა რომელსამე მართლმადიდებელთა სამთავროსა შინა მოვიდესო“.

XVII

როგორც იქნა ზაქრომ ოჯახისთვისაც მოიცალა და ერეკლე მეფის ნაბოძები მიწების მოვლა-პატრონობა გადაწყვიტა. ვინაიდან მისი წინაპრები, როგორც მეომრები, მუდმივად მიწასთან მუშაობას არ იყვნენ შეჩვეულნი და ძირითადად მეფის წყალობითა და ალაფიდან მიღებული წილით საზრდოობდნენ, ზაქრომ გადაწყვიტა დახმარებისთვის, ისევ თავისი მეზობლისთვის, ამირანისთვის მიემართა. ამირანი მარანში შესულიყო და ყურძნის დასაწურად მამაპაპურ ქვევრს ასუფთავებდა. გაუხარდა ზაქროს სტუმრობა, მაშინვე ამოვიდა ქვევრიდან და მეზობელს მიეგება:

- მშვიდობა შენ მოსვლაი, ზაქრო. ისე ვაარ შენ სახლში ყოფნაი გადაჩვეული, რომ ეზო-ყურეზე რომ დაგინახამ ხოლმე, ეგრე მგონია ეხლა დაბრუნდა-მეთქი ომიდანა. აბა, როგორა ხარ?

- ღმერთის წყალობით და თქვენი გვერდში დგომით არა მიშავს, ამირანა ძია, - გაუღიმა მეზობელს ზაქრომ და მარჯვენა მხარზე ემთხვია, - ეტყობა რთვლისთვინ

ემზადები, ბარაქა მოგცეი ღმერთმა და სულ ლხინში მოგახმაროი მოწეული ჭირნახული.

- გაიხარე, ჩემო ზაქრო, დიდი მადლობა, - მიუგო ამირანმა, - ძაან კი დამიგვიანდა ყურძნი მოკრეფა. ენკენის თვის დადგომამდე ვწურავდი ხოლმე მაგ დალოცვილსა და ამ წვიმები გადამკიდე ვეღარ შაველ ვენახშია და შენ კი იცი, არც შეიძლება ავდარში ყურძნი დაკრეფა, მზე თუ არ ჩაიყვა მაგ დალოცვილსა ქვევრშია, ისე კარგი ღვინო არა დგება. ერთი კი კარგი ქნა წვიმამა, გვალვა გამოვლილი და მტვერდადებული ყურძენი გარეცხა და ეხლა იგეთი ბროლივითაა, რომა მარტო ყურებით დატკბები. მაგრამა შამაშინა კიდეცა ამ ავდარმა. თელავი მხარეი ძაანა ქუხდა და კიდევ კარგი სეტყვა არ მააყოლა, თორემა ბატონი რისხვასა რა გადაურჩებოდა.

- ეგ არ ვიცოდი თუ ყურძნი დაკრეფი დროი მზიანი ამინდი უნდა იყოი? - გაიკვირვა ზაქრომ.

- მაშა, შვილო, - განაგრძო საუბარი ამირანმა, - მზე ყველაფერსა ჭირდება. პაპაჩემი ამირანა იტყოდა ხოლმე, თურმე ადრე, ჩვენი წინაპრები სანამ ქრისტიანები გახდებოდნენ, მზესა სცემდნენ თაყვანსა. მზეო სინათლესაც გვაძლევს და სითბოსაცაო. ამ სამივემა თურმე ჩვენი საჭმელი და სასმელი არა ნახა, ისე არ შეგვერგება და არც ბარაქა გვექნებაო.

- სამებასავითა ყოფილა, ამირანა ძია, - წამოიძახა ზაქრომ და პირჯვარი გადაიწერა, - ეგეც ეგრე არ არი? მამისაგან გამოდის ძე და სული წმიდა.

- მაშა, მაშა, შვილო! - გაეხარდა ამირანს, თვითონაც პირჯვარი გადაიწერა და უთხრა ზაქროს, - იმიტომაც ეძახიან ამ დალოცვილ ღვინოსა ქრისტეი სისხლსა. დაიცა, დაიცა მალე მოვრჩები ქვევრი გარეცხვასა და მერე გავსინჯოთ, შარშანწინდელი ღვინო მააქ გადანახული, იგეთია, როგორც მირონი. უნდა გაგასინჯო.

- რას ამბობ, ამირანა ძია, - გაეცინა ზაქროს, - მაგითვინ არ მოვსულვარ, საქმე მააქ შენთანა, თან ხო იცი, ჩემი დალევა არ შეიძლება ...

- რას ამბობ, ზაქრო!? - გაოცდა ამირანი, მერე აქეთ-იქით გაიხედა და ზაქროს ხმადაბლა უთხრა, - ცოლი ვის არ მოუყვანია, კაცოო!? ...

- არაა ... მაგითვინ არა, ამირანა ძია, - გაეცინა ისევ ზაქროს, - ჩემი სამსახური ხო მეფის ჯარისკაცობაა. მე და ჩემნაირებმა არ ვიცით როდის დაგვიძახებს მეფე ან კიდევ მტერი როდის დაგვეცემა. ამიტომ სულ ფხიზლად უნდა ვიყოთ და შრომითაც არ უნდა დავიღალოთ ისე, რომ მერე ხმალი ან მუშტი ვერ ვიხმაროთ რიგიანადა.

- ჰოო ... მართალი ხარ, შვილო, ეგ აღარ იფიქრა ამ ჩემმა ბებერმა თავმა, - თქვა ამირანმა და კეფაზე დაიდო ხელი, მერე გაეღიმა და განაგრძო, - ცოტა შეიძლება, ორი-სამი ჯამი ღვინო პირიქით ჯანს შეგმატებს. მაშა! ...

- კარგი, კარგი, ამირანა ძია, - გახალისდა მეზობელთან საუბრით გამხიარულებული ზაქრო, - კარგი ჩახოხბილი ჩემზე იყოს, ახლახანს მოამზადა მართამა. იმ დღეი

სანადიროდ ვიყავ ჭალაშია და კარგი მსუქანი ხოხბები მოვინადირე ... - აქ უცებ შეწყვიტა საუბარი გიოაანთ ბიჭმა, კეფა მოიფხანა და განაგრძო, - ცოტაც და დამავიწყდებოდა რისთვინ მოველ შენთანა ...

- დაიცა, ... დაიცა, ... - დააწყნარა ზაქრო ამირანმა, - აი, ამ საქმეი უცებ მოვრჩები და სუფრაითან ვისაუბროთ ...

ამირანის ეზოს ბოლოს დიდი კაკლის ხე იდგა. ეს ისეთი ადგილი იყო, რომ მთიდან მუდმივად სიო ქროდა, გვერდზე კი პატარა ნაკადული მოედინებოდა. ამირანს აქ მაგიდა და სკამები გაემართა. ასე, რომ მშვენიერი საქეიფო და დასასვენებელი ადგილი იყო. ამირანი და ზაქრო მისხდომოდნენ მაგიდას და ამირანის საგანგებოდ გადანახულ შარშანწინდელ ღვინოს შეექცეოდნენ.

- კარგი ხელი ჰქონია შენ ქალსა, - ამბობდა ამირანი და თან მართას მომზადებულ ჩახოხბილს მიირთმევდა, - იფ, ... იფ, ... მართლა გემრიელია. მოდი აბა, გიოაანთ ბიჭო, ჩვენი დედაკაცები ვადღეგრძელოთ, რომლებიცა ჭირშიაც და ლხინშიაც ჩვენთან არიან ...

- გაუმარჯოი ჩვენ დედაკაცებსა! - თქვა ზაქრომ და ჯამიდან ცოტა ღვინო მოსვა, მერე ულვაშებზე დარჩენილი სასმელი თითებით მოიწმინდა და განაგრძო, - მართლა საუკეთესო ღვინოა! მზეჩაყოლილი არაა? ... ამირანა ძია! ...

- მაშა! ... მაშა! ... - იცინოდა ამირანი და ჩახოხბილს მწვანილი და ახლადამოყვანილი ყველი დააყოლა ...

მეზობლები სერობას რომ მორჩნენ, ამირანმა ზაქროს ჰკითხა:

- აბა, რა საქმე გქონდა, ზაქრო?

- კაცოო! - დაიწყო ზაქრომ, - დედაკაციი მოყვანა კარგია, მაგრამ ოჯახსა შენახვა ხომ უნდა? მე, ჩემი საქმის გადამკიდე ხან სადა ვარ და ხან სადა? ცოცხალი დავბრუნდები თუ სადმე ბრძოლის ველზე დავეცემი, მხოლოდ ღმერთმა იცის. ოჯახ კიდენა შენახვა უნდა. ერეკლე მეფემა მიწა მიბოძა, უფრო სწორედა ბატონს დაავალა მიწის გაცემა... - აქ ზაქრო ოდნავ შეყოყმანდა, ჩვეულებისამებრ კეფაზე ხელი მოიკიდა, მოიფხანა და განაგრძო, -ჰოოდა რა უნდა გავაკეთო? ... მიწის მოვლა-პატრონობის საქმე მე არ ვიცი. ისიც არ ვიცი, რომ მკითხონ რომელი მიწა გინდა, რომელი ავირჩიო ... იქნება დამაკვალიანო რა და როგორ მოვიმოქმედო, ჰაა?

ამირანმა წარბები ზევით ასწია, თვალები დააფახულა და დინჯად დაიწყო საუბარი:

- წესითა, ჯერ მამასახლისთან უნდა მიხვიდე ...

- მამასახლისთანა!? - შეაწყვეტინა ზაქრომ სიტყვა ამირანს.

- ჰო! ჰო! ... მამასახლისთანა! ... - უპასუხა ამირანმა.

- რას ამბობ, ამირანა ძია!? - ისევ შეაწყვეტინა სიტყვა ზაქრომ, - იმაითან რო მივიდე, ხო თავი წავაცალე!?

- გაჩერდი! იყუჩე, ბალღო! - ხმაში სიბრაზე შეურია ამირანმა, - ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ იმ კატუაი საქ-

მეზე არაფერ ეტყოდი მამასახლისსა, მაგი დროც დადგება, დადექ, ბჯო! ეფრემაანთ ყარამანასავით თუ პალომოგლეჯილი ჯორივით დაიწყე სირბილი, მაგითა მარტო მტერ გაახარებ! ...

ჰო! კარგი, ... კარგი, ... ამირანა ძია! გავიგე. - თქვა ზაქრომ და ორივე ხელი ზევით ასწია.

- ჰოოდა, - განაგრძო ამირანმა, - მიდი მამასახლისთანა და უთხარ, რაც გიბოძა მეფე ერეკლემა და სად გინდა მიწიი აღება ...

- რავი აბა, სადა ჯობია მიწიი აღება ან რამდენი უნდა ვუთხრა? - აღელდა ზაქრო, - იმ მიწიი დამუშავებაში თუ არ დამეხმარებით, ტყუილად დავშვრები. არადა ოჯახიითვინ ლუკმა-პური ხო მინდა, თქვენც სარგებელი გექნებათ და იქიდან ბატონიც ბეგარაი ვერ მოგთხოვთ, რადგან იმ მიწაი ჩემი სახელი ერქმევა.

ამირანი დაფიქრდა. ულვაშები თითებით გაისწორა და უთხრა ზაქროს:

- შენ ჯერ მამასახლისთან მიდი და უთხარ, რომა ჭალაში მოგცეი მიწა. იქ ხორბალსაც მოვიყვანთ და ვენახსაც ავაშენებთ.

- და, რამდენიო, რომ მკითხოი? - არ ცხრებოდა ზაქრო.

- ეგრე უთხარ, გვერდაზე რაც მიწაა, ის მეყოფათქო. - უპასუხა ამირანმა და ზაქროს მხარზე ხელი მამაშვილურად დაარტყა.

მთიდან მონაბერი შემოდგომის სიო მალამოდ ედებოდა მრავალჭირნახულ კახეთის ველებს... ნანატრ სიწყ-

ნარეს და მშვიდობას დაესადგურებინა ომებით დაღლილ ქართველთა ოჯახებში ...

XVIII

პატიმრობიდან განთავისუფლებული ანტონი გარეჯში, დავითის ლავრაში გაემგზავრა. სურდა, განმარტოვებულიყო კლდეში გამოკვეთილ სენაკში, დაფიქრებულიყო თავის ცოდვებზე, გაეანალიზებინა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა და მომავლის გეგმები დაესახა. ლავრის წინამძღვარს დაეჭირა თადარიგი და კათოლიკოსყოფილისთვის მოემზადებინა სენაკი, რომელიც მონასტრის ზედა ეზოს თავზე აღმართულ კლდეში გამოეკვეთათ და იქ მხოლოდ ხის კიბით იყო შესაძლებელი ასვლა. გარეჯელი ბერები ჩვეულებრივად დახვდნენ ანტონს, ბერული პატივი მიაგეს, მასთან ერთად მოილოცეს მონასტერში განლაგებული სიწმიდეები, იტრაპეზეს და შემდეგ დაეხმარნენ სენაკში დაბინავებაში. ანტონის სენაკი მცირე ზომის იყო. აღმოსავლეთის მხარეს, კედელზე, სალოცავი კუთხე იყო ხატებით გაწყობილი, იდგა ერთი მაგიდა და ერთი სკამი, ხის ტახტი, რკინის ღუმელი და ხის თაროები წიგნებისთვის. ანტონმა კლდიდან გამონაჟური წყალი - ,,დავითის ცრემლები“ მოითხოვა, რომელიც ჯერ კიდევ წმიდა დავით გარეჯელმა მხურვა-

ლე ლოცვის შედეგად ითხოვა უფლისგან. წყლით შუბლზე ჯვარი გამოისახა, შემდეგ თვალებზე გადაისვა და მოსვა კიდეც. „დავითის ცრემლები“ სამკურნალო წყალი გახლდათ, რომელიც ადამიანს ღვთიური აზროვნების უნარს აძლევს და, ამასთან ერთად, აუმჯობესებს მხედველობას.

ანტონ კათოლიკოსყოფილის გარეჯის უდაბნოში წასვლა შემთხვევითი არ იყო. მან კარგად იცოდა, რომ გარეჯი ოაზისი იყო ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოებისა, ფუძე ქართული ბერმონაზვნური ცხოვრების აღორძინებისა. მან რამდენიმე დღე მარტოობაში და გამუდმებულ ლოცვებში გაატარა უდაბნოს მონასტერში, რომელიც გარეჯის ლავრის თავზე ქედს იქით არის განთავსებული და სადაც განდეგილი ბერები დღე და ღამე მღვიძრებაში, მარხვაში მოსაგრეობენ და ლოცულობენ სამშობლოსა და ერის გადარჩენისთვის. როგორც ჩვეულებრივი ბერი მუდმივად ესწრებოდა ღამისთევის ლოცვებს აღდგომის ტაძარში და დიდხანს იყო დაჩოქილი შაჰ-აბასის მიერ მოწყვეტილი ექვსი ათასი ბერის წმიდა ნაწილების წინ. ფეხით გადადიოდა მოპირდაპირე ქედზე მდებარე დოდორქის მონასტერში, რათა მოელოცა პირველი ქართველი მღვდელმონაზონის დოდო გარეჯელის საფლავი, რომელიც მღვდლად თვით წმიდა დავით გარეჯელმა აკურთხა და ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ემსახურებოდა უფალს ამ მონასტერში. ახლა კი ეს წმიდა ადგილი იავარქმნილი იყო ლეკთა

შემოსევების შედეგად. ვერ უპატრონა მას ქვეყანამ. თუ რამ საეკლესიო სიწმიდეები და ქონება დარჩენილიყო მონასტერში, გადაუნაწილებიათ დავითის ლავრასა და ნათლისმცემლის მონასტერში, ხოლო ბერები, ვინც მომ-ხვდურთა რისხვას გადაურჩა სხვადასხვა მონასტრებ-ში წასულან. ანტონი უკვე მერამდენედ მოდიოდა აქ და არავინ შეხვედრია. ერთხელ, ღირსი დოდოს საფლავის მოლოცვის შემდეგ შეამჩნია, რომ კლდეში გამოკვეთი-ლი ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის გვერდით ნაპრალში ვიღაც მოძრაობდა. ანტონი გაირინდა. უცებ ნაპრალი-დან ბერი გამოვიდა. მისთვის მოულოდნელი იყო აქ ადა-მიანის გამოჩენა, ამიტომ პირჯვარი გადაიწერა და გა-მოსძახა სტუმარს:

- მშვიდობა შენდა! ვინ ხარ, მოყვასო!?

- გარეჯელი ბერი ვარ, დავითის ლავრიდან? - უპასუ-ხა ანტონმა, თან გონებით უფალისგან შენდობა ითხოვა სიცრუის გამო. მაგრამ არ სურდა, უცნობი ბერისთვის თავისი ვინაობა გაემხილა.

- მაგათ ყველას ვიცნობ, - მიუგო ბერმა, - ალბათ ახალი ხარ?

- კი, ასეა, - უპასუხა ანტონმა, - ერთი თვე არ არი ჯერ.

- მაშინ ვიცნობდეთ ერთმანეთს, - ბერულად მიე-სალმა უცნობი, - მე ბერი მიქაელი ვარ. ვერ მივატოვე მონასტერი, ვერ შევძელი. არ შემიძლია ღირსი დოდოს საფლავი დავტოვო ურჯულოების ხელში. აქვე გამოვკ-ვეთე სენაკი და ვარ ღმერთს მინდობილი.

- მე ანტონი მქვია, - მიუგო კათოლიკოსყოფილმა, - მეგონა, რომ მონასტერი მიტოვებული იყო. დიდება უფალს, რომ დოდო გარეჯელს შენი სახით დაუტოვა მცველი.

- მე რისი დამცველი ვარ, ძმაო ანტონ, - გაეღიმა მიქაელს, - ღირს დოდოს უფალი მფარველობს. ჩვენი საძმოც გამრავლებული იყო, სანამ წინამძღვრად ახლანდელი კათოლიკოსი იოსებ ჯანდიერიშვილი გახლდათ. როგორც კი ის რუსთველ ეპისკოპოსად აღამაღლეს, ჩვენმა მონასტერმაც ნელა-ნელა დაიწყო დაცლა.

ანტონს არ ეამა კათოლიკოს იოსების ხსენება. ის ხომ მის მოწინააღმდეგედ მოიაზრებოდა. თუმცა, ახლა მას ის უფრო აინტერესებდა, ასე რუდუნებით და სიყვარულით რატომ იხსენიებდა ეს ბერი. ასეთი რა გააკეთა მეუფე იოსებმა, რომ მის ღვაწლს დღესაც არ ივიწყებენ? ამიტომ შეეკითხა ბერს:

- ძმაო მიქაელ, მე იოსებ ჯანდიერიშვილის მოღვაწეობაზე არაფერი მსმენია, რადგან ძალიან შორიდან ჩამოვედი და იქნებ მომიყვე მისი მოღვაწეობის შესახებ?

- გამიხარდება კიდეც, რომ ვილაპარაკო ისეთ ადამიანზე, რომელსაც მოყვასასადმი სიყვარულის, სიკეთის და დახმარების ქმნა უდიდეს სიხარულს ანიჭებდა, - ხმამაღლა წარმოთქვა მიქაელმა და სტუმარი სენაკში შეიპატიჟა, სენაკში, რომელშიც ერთი კაცი გაიმართებოდა, თუმცა გაჭირვების შემთხვევაში მეორეც შეიძლება ჩამომჯდარიყო იატაკად წოდებულ ხის ორიოდე მორზე.

მიქაელმა სარკმელთან მდგარი კოკიდან წყალი ჩამოუსხა ანტონს და ნაჭერში გახვეული პურის რამდენიმე ნაჭერი შესთავაზა, თან უთხრა:

- ბერი ხარ, ძმაო ანტონ, და ბერულ ტრაპეზს არ დამიწუნებ. სანამ გაზაფხული მოვა და უფლის შეწევნით მცენარეები მოგვივლენენ ჭამადს, მანამდე ასეთი საკვებით გავდივარ იოლას. ამისთვის კი უფალს ყოველთვის მადლობას ვწირავ. ახლა უკვე, ღმერთის შეწევნით, ღირსი დოდო ზრუნავს ჩვენზედ.

ანტონმა მადლობა გადაუხადა მიქაელს მასპინძლობისთვის, მცირეოდენი წყალი მოსვა და უთხრა:

- იოსებზე აპირებდი თხრობას და იქნებ განაგრძო. ძალიან დამაინტერესა მისი უწმიდესობის ისტორიამ. თუნდაც იმან, ასეთ პირობებში როგორ ახერხებდა მონასტრის წინამძღვრობას, საძმოს მოვლა-პატრონობას და მომხვდურის მოგერიებას?

- იოსებს სასწაულთქმედების ნიჭი ჰქონია მიმადლებული ღვთისგან, - დაიწყო მიქაელმა, - ერთხელ მისი დიაკონი მუცლის სიმსივნით დაავადდა. ავადმყოფობა ისე გართულდა თურმე, რომ სიკვდილი გარდაუვალი იყო. როდესაც მღვდელმთავარი სნეულთან შევიდა, ავადმყოფი ვეღარც სუნთქავდა და აღარც ლაპარაკი შეეძლო. იოსებმა იხილა სენი და შეელმა[23] გულსა მის ლმობიერსა, დაუტევა სნეული და სამლოცველოში განმარტოვდა ლოცვად. მხურვალე ლოცვის შემდეგ ის ავადმყოფთან

23 შელმობა - ლმობა - ტკივილი

დაბრუნდა და, რადგან კაცთაგან განდიდებას ერიდებოდა, ჩვეულებრივად თქვა, რომ ასეთი სნეულების დროს წამლად თხილის ჯოხის ნახშირის მიღება იყო საჭირო. ცეცხლში შეაგდო თავისი თხილის ჯოხიდან გამოთლილი კვერთხი, წყალში გალესა, ჯვარი გადასახა და სნეულს დაალევინა. სიმსივნე იმ წუთსვე დაუცხრა, მესამე დღეს კი ავადმყოფი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა. იმდენად ძლიერი ლოცვა ჰქონდა, რომ წინასწარ ხედავდა და გრძნობდა მტრის მოახლოებას და სანამ მტერი მონასტრამდე მოაღწევდა, საეკლესიო სოფლებიდან დამხმარე ძალა უკვე მონასტრის მისადგომებთან იდგა და მომხვდურს არ აკარებდა ღირსი დოდოს სიწმიდეს. მონასტერში უამრავი ბერი მოსაგრეობდა. ხოლო როგორც კი წაიყვანეს რუსთველ ეპისკოპოსად, ჩვენი საქმეებიც უკან-უკან წავიდა, თითქოს ჩვენთვის მოიცალეს ლეკებმა, ვეღარ აუდიოდით მათი თავდასხმების მოგერიებას და აი, ამ დღეში ჩავცვივდით. ახლა კი მღვდელმთავარი იოსები კათოლიკოსად დაუდგენიათ ანტონის მაგივრად და როგორც ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვრმა გვამცნო, მიუხედავად კათოლიკოსობის ტვირთისა და პატივისა, იგი მაინც უდიდეს ასკეტ ბერად დარჩენილა. ასე გვითხრა ქადაგებაში წინამძღვარმა: მამამთავროობასა შინა რაოდენ დაუგებდნენ ცხედარსა, ნიშანსა დასდებინ იდუმალ და იხილონ ხვალისად, რომელ ყოვლადვე არ დაწოლილ იყვის ცხედარსა, არამედ ღამეყოველ ილოცვის მარტოებით ლმობიერადო.

- გამოუცდიათ კიდეც, - გაელიმა ანტონს, - უფალმა ინებოს, რომ ქვეყნისთვის სასიკეთოდ მოექცეს ჩვენი დედა ეკლესია. ახლა კი დაგტოვებ, ძმაო მიქაელ, მშვიდობიან დღეს და ღამეს გისურვებ. დიდი მადლობა მასპინძლობისთვის. ალბათ, კიდევ შემოვივლი მოსალოცად.

გარეჯისკენ გზადმიმავალი ანტონი ბევრ რამეზე დაფიქრდა. კათოლიკოსის ტახტიდან ასე არ ჩანდა მონასტრების დღევანდელი მდგომარეობა. როგორც აღმოჩნდა, მისმა დაპირისპირებამ თავადებთან საეკლესიო მამულების მიტაცების საქმეში უკუშედეგი გამოიღო და ეს აისახა მონასტრების გაღატაკებასა და დაცლაში. აკი აფრთხილებდნენ, ქართველ თავადთა მხარდამჭერი შაჰები, ჯერ კიდევ ნადირ-შაჰიდან დაწყებული, შაჰ-ისმაილი და შაჰ-იბრაჰიმი, თავისი სიგელებით უბრძანებდნენ ანტონს, არ ჩარეულიყო საეკლესიო მამულების საქმეში. ანტონი კი პირიქით ჩაერია, რამაც თავადთა გაღიზიანება გამოიწვია და შაჰების მხარდაჭერით უფრო გააძლიერეს საეკლესიო მამულების მიტაცება და უფრო მეტიც, მასზე საეკლესიო ყმებს ამუშავებდნენ, რამაც მონასტრებს შესაწირიც დაუკარგა, დამცავი ძალაც და საბოლოოდ მონასტრების დაქცევა გამოიწვია და ისინი ღმერთის იმედად დატოვა. ხოლო ეკლესია-მონასტრებისთვის, მათივე მამულებიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი ძღვნად იგზავნებოდა ირანის შაჰის კარზე.

ანტონი დავითის ლავრისკენ მიმავალ სერზე შეჩერდა და გადახედა უდაბნოს ქვიშით ათასნაირ ფერებით მორთულ მთებს და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- ვატყობ, ლათინების სარწმუნოების მიღების გარდა, კიდევ ბევრ რამეში დამადანაშაულებენ, რაშიც ნამდვილად არ მიმიძღვის ბრალი და დროა გავეცალო აქაურობას.

XIX

ალმასხანი სახლის აივანზე ხალიჩებით მოფარდაგულ ტახტზე წამოწოლილიყო და ნებივრობდა. მოურავიც იქ ჰყავდა და დავალებებს აძლევდა. ამ დროს ორღობიდან ცხენის ჭიხვინი მოესმა.

- აბა, გადი, ვეჟო, გაიგე ვინ მოვიდა! - უთხრა მოურავს ალმასხანმა და ტახტზე წამოჯდა, - ბატონის გამოგზავნილი იქნება ალბათ!?

მოურავი ჩავიდა ეზოში და მალევე ამოსძახა ალმასხანს:

- მამასახლისო, ჩვენი ზაქროა! შენი ნახვა უნდა!

ზაქროს სახელის გაგონებაზე ალმასხანს ჟრუანტელმა დაუარა. გაახსენდა კატუასთვის მიცემული დავალება და უმალ ის იფიქრა: ,,ემანდ ვინმემ რამე ხომ არ გაიგოო ...“. მერე წამოდგა და მოურავს დაუძახა:

- შამოვიდეი! ეხლავე ჩამოვალ ეზოშია!

ზაქროს დანახვაზე ალმასხანმა ხელები გაშალა, ვითომ ძალიან გაუხარდა მისი ხილვა და აღფრთოვანებულმა წარმოთქვა:

- მოდი, ჩემო ზაქრო, მოდი. გამარჯობა! რა ძაან ძვირი სანახავი გაიხდი! ხანდახან ჩვენც გამოგვიარე ... ეგრე უნდა, გიოაანთ ბიჭო!?

,,რა ძაან დაშაქრებულა ეს ჩვენი მამასახლისი“ - ფიქრობდა ზაქრო, - ,,ალბათ ჰგონია, რომ თავისაი მიაღწია და მალე მამიშორებს. მაგრამ დღეი არა ღირს ჩხუბი... მაგისთვინაც მოვიცლი“. მერე თვითონაც გაუღიმა ალმასხანს, მიესალმა და უთხრა:

- აბა, რა ვქნა, მამასახლისო? შენ იმდენი საქმე გააქ რო არ მინდა, მოგაცდინო...

- მაშა, მაშა! - შეიფერა ალმასხანმა, რომელიც ჭამისა და ნებივრობის გარდა არაფერს აკეთებდა, - ბატონის სამსახური ადვილი არ არი, ზოგჯერ თავი მოსაფხანი დროც კი არა მაქ, მააშ!... იქ მოსავალიო, იქ გადასახადებიო... ამხელა სოფლი პატრონობა ადვილი არა ყოფილა... მააშ!...

,,სოფელ წურბელასავით აზიი ეს ღვინის ტიკივით გაბერილი საფრთხობელა და კიდევ აქეთ მეწუწუნება“, - ფიქრობდა ზაქრო და სიმწრისაგან ხელის გული ხმლის ვადაზე ჰქონდა შემოჭერილი. მამასახლისს არ გამოჰპარვია ზაქროს ეს ქმედება და ისევ ღიმილით ჰკითხა:

- ისე ხაარ მიჩვეული ხმალსა, რომა მშვიდობიანობის დროსაცა ველარ ელევი, არა?

- ჰოო, მამასახლისო, ხო იცი ნათქვამია: ,,ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო“. ისე, ბევრი თავი კი დაუგორებია ამ მადლიანსა, - თქვა ზაქრომ, ქარქაშიდან ამოიღო თავისი ფრანგულა და ხელში შეათამაშა.

ალმასხანს სახეზე თეთრმა ფერმა გადაჰკრა, თუმცა მალევე გადაუარა შიშმა, რადგან ზაქრომ ხმალი ისევ ქარქაშში დააბრუნა.

- აბა, რაზე შეწუხებულხარ, ზაქრო? - საქმიანად დაიწყო საუბარი მამასახლისმა.

- მიწიი თაობაზე მინდა დაველაპარაკო ბატონ - უპასუხა ზაქრომ, - ჰოდა, ჯერ შენთან მოველ, როგორც სოფლის მამასახლისთან, რო იცოდე და თან რომელი მიწა მინდა, ისიც მინდა გითხრა და მერე ბატონთან წავალ სათხოვნელადა.

- აბა, რომელი გინდა? - წაისისინა მიწებზე გაწუწკებულმა ალმასხანმა.

- იგე ჭალაში, გვერდაზე რომ მიწაა მთლიანად მინდა ავიღო. რა ვქნა, ოჯახ მოვეკიდე და შენახვა ხო უნდა? - უპასუხა ზაქრომ და მამასახლისს თვალი თვალში გაუყარა.

ალმასხანმა თვალი აარიდა ზაქროს გამომწვევ მზერას, გაიარ-გამოიარა ეზოში და მერე როგორც იქნა ამოიღო ხმა:

- ვეჟო, მაგ მიწაზე მე მააქ თვალი დადგმული და...

- რამდენზელა გაქ დადგმული თვალი!? - შეაწყვეტინა სიტყვა ზაქრომ - იმოტოლა მიწები გააქ რომა, იმასაც ვერ აუდიხარ და ახლა ჭალაი გვერდაც შენ გინდა წაიღო!?

- ინდე, შენ კიდევა ხევში აიღე... - მონახა გამოსავალი ალმასხანმა.

- ხევში რა მინდა, - აუწია ხმას ზაქრომ, - ტურებსა ვდიო იმ ხრიოკ ადგილებშია!?

- აბა, სხვაგან ბატონი არ იძლევა და... - აწუწუნდა ალმასხანი.

- ბატონ მე დაველაპარაკები! - გადაჭრით თქვა ზაქრომ და წელზე ქამარ-ხანჯალი შეისწორა.

ზაქროს ამ მოქმედებამ ალმასხანი ისევ შეაკრთო, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა მიწებზე გაწუწკებული სოფლის თავი:

- ბატონი მაგ მიწაი არ მოგცემს.

- ვითომ რათაო? - იკითხა ზაქრომ

- იმიტომა, რომა თავიითვინ უნდა! სჯობს ისევ ხევში აიღო. გვერდაზე თხოვნითა ხევიც არ დაიკარგო!

ზაქრო მიხვდა, რომ ალმასხანი ტყუილს ლაპარაკობდა, ამიტომ ფარულად სცადა მისი შეშინება და უთხრა:

- იმიტომ ვაყრევინებ ამ ლეკებსა თავებსა, რომა ჩემთვინ ერთი გოჯი მიწა არ გაიმეტოი ბატონმა. აი, ამ ხმალსა ბევრი ლეკი ყაავ მოკლული და ბევრსაც გაიყოლებს კიდევა!

ამ სიტყვებით ზაქრომ ალმასხანს თავისი ლეკური წარმოშობა გაახსენა. მერე ხმალი ქარქაშიდან ცოტა-თი ამოწია, ისევ ჩააბრუნა, ჭიშკართან დაბმულ თავის ცხენს შეახტა და ორღობეში გაჰქუსლა.

მამასახლისმა ზაქროს ნათქვამი კარგად გაიგო. ეს მუქარა იყო. ერთხანს ჩაფიქრებული გაჰყურებდა ორ-ღობეში ზაქროს ცხენის მიერ ამტვერებულ გზას, მერე მოურავს დაუძახა და უბრძანა:

- ბიჭი გააგზავნე კატუაითან, ეხლავე ამამიყვანოი აქა!

XX

ნაშუადღევს გარეჯის ლავრასთან მხედარი მიიჭრა, მსწრაფლ ჩამოხდა ცხენიდან, მონასტერში შესასვლელ თაღთან პირჯვარი გადაიწერა, დიდი მეტანია გააკეთა და უმალ გაუჩინარდა ლავრის წიაღში. მალევე გაისმა ხმამაღალი შეძახილი:

- მეფე ერეკლე მობრძანდება, მამებო! მიეგებეთ კახთბატონს! ...

თითქოს ნიშანს ელოდნენო, ისედაც მღვიძარებაში მყოფი ბერები, ყველა ერთად გამოიჭრა, ზოგი სენაკე-ბიდან, ზოგი სატრაპეზოდან. მონასტრის წინამძღვარი მაშინვე მიეახლა მალემსრბოლს და ჰკითხა;

- ახლოს არის მეფე თუ? ...

- ფრიად ახლოს! ასე, რომ მიეგებეთ.

მონასტრის საძმო ჯვრით, ხატებითა და ბაირაღებით ხელში გავიდნენ მეფის დასახვედრად. მათ შორის ანტონიც იყო და მორჩილად ელოდა მეფე ერეკლეს მობრძანებას. საძმოს წინ მონასტრის წინამძღვარი იდგა ხავერდზე დაბრძანებული ჯვრით ხელში. მარჯვნივ და მარცხნივ ბერები იდგნენ ანთებული კელაპტრით და საცეცხლურით. უკან ბაირახტარებს ორი ბაირაღი აღემართათ მაცხოვრისა და ღვთისმშობლის გამოსახულებით, ხოლო შუაში ჩამდგარ ბერებს წმიდა დავით გარეჯელის და წმიდა ლუკიანეს ხატები ეპყრათ ხელთ. მეფის ამალა გამოჩნდა. წინ დროშებით ხელში მეფის მედროშეები მოაგელვებდნენ ცხენებს. წინამძღვარმა სამრეკლოზე მდგარ მორჩილებს მდაბლად დაუხარა თავი და აწკრიალდა ლავრის ზარები.

აგერ, კახთბატონიც გამოჩნდა თავის თეთრ ცხენზე ამხედრებული. როგორც კი მოუახლოვდა მონასტერს, ელვისუსწრაფესად ჩამოხდა ცხენიდან, ჩქარი ნაბიჯებით მიუახლოვდა ლავრის წინამძღვარს, მხედრულად დაიჩოქა და ემთხვია წინამძღვრის მიერ გამოწვდილ ჯვარს. მერე წამოდგა და მონასტრის საძმოსთან ერთად შევიდა ლავრაში. გადახდილი იქნა უფლის სადიდებელი პარაკლისი. შემდეგ კი ერეკლე და ანტონი განმარტოვდნენ ერთ-ერთ კოშკში, რომელიც ჯერ კიდევ კახთა მეფის ალექსანდრე მეორის მიერ იყო აგებული. ანთებულ

ბუხართან პირისპირ დასხდნენ ერთად აღზრდილი ბიძაშვილები, რომლებიც შესაძლოა, ხვალ ერთმანეთის მტრები გამხდარიყვნენ. თუმცა, ეს რომ ასე ყოფილიყო, ერეკლე აქ არ ჩამოაკითხავდა ანტონს. საუბარი ერეკლემ წამოიწყო:

- მეუფეო, შენი ჯანმრთელობის და მოღვაწეობის შესახებ კარგი ამბები მომდის, მაგრამ უკეთუ შენს გონებასა და გამოცდილებას ჩვენს ქვეყანას არ მოახმარ, გაგვიჭირდება ფრიად.

- ამას ყველაფერს ვაკეთებდი, - მიუგო ანტონმა, - მაგრამ ზაქარიას ცრუ დასმენებით მამამან თქვენმან თეიმურაზმან არ ინება ჩემი მოღვაწეობის გაგრძელება, რამეთუ ჩემში ჯერ კიდევ ტახტის შემცილებელს ხედავს და არცთუ უმიზეზოდ. შენ ხომ მაინც იცი, რომ ქართლის ტახტის პირდაპირი მემკვიდრე მე ვარ. მაგრამ მე, ქვეყნის სასიკეთოდ, დავთმე მეფობა. თეიმურაზმა კი სამაგიერო ასე გადამიხადა.

- აქ ტახტზე სასაუბროდ არ მოვსულვარ, ანტონ, - მიუგო ერეკლემ, - თუმცა, მაგ საკითხში არ გეთანხმები, რადგან შენმა წინამორბედებმა ტახტი მიატოვეს და რუსეთს გაიქცნენ, მამამან ჩემან კი, როგორც შენ მას უწოდებ, ხანჯლის პირზე გაიარა და ქართლის ტახტი, როგორც ქრისტიანმა შეინარჩუნა. ნადირს[24] რომ ცოტაც დაცლოდა, თეიმურაზს ამის გამო სიკვდილით დასჯიდა და შენ კარგად

24 ნადირი - ნადირ შაჰი

იცი, ჩემს მაგივრად სპარსეთს მიმავალ თეიმურაზს, გზაში მოუსწრო ნადირის სიკვდილმა. ამით ქართლის ტახტიც გადარჩა და საქართველოც. ამ ყველაფერში კი უფლის ხელი ერია, იმ უფლისა, რომლის ღალატიც შენ დააპირე, ვიღაც რომის პაპის მისიონერების შთაგონებით.

- მე ამით მსურდა მხითარისტების[25] დამარცხება, რომელთა შემოყვანასაც შენ უწყობ ხელს, ამასთან გასვლა ამ აზიური ველურობიდან ევროპულ სრულყოფილებაში.

- თეიმურაზი მართლმადიდებლობის ერთგულია, - თქვა ერეკლემ და პირჯვარი გადაიწერა, - ის წინაპრების სარწმუნოებას არ უღალატებს და ეს ყველაფერი დროის ამბავია. მე კი მინდა, რომ შენ გვერდში დამიდგე. დროებით ჩაუდექი სათავეში რომელიმე სამწყსოს მღვდელმთავრის უფლებით და ჩემთან სასახლეში გააგრძელე საქმიანობა. ყველაფრით უზრუნველყოფილი იქნები. მე მჭირდება შენი დახმარება, ისე როგორც ბავშვობაში მეხმარებოდი, როცა მოძღვარი მტუქსავდა ხოლმე სწავლაში ჩამორჩენის გამო. მე მაშინ საბრძოლო ხელოვნება ხელმეწიფებოდა, როგორც ახლა, ხოლო შენ სწავლა და მჭერმეტყველება.

ანტონს გაეღიმა, მის თვალწინ გაირბინა ბავშვობის წლებმა, რომელიც სავსე იყო თელავის სასახლეში ბედნიერებით, სიხარულით და ობოლი თეიმურაზისადმი მზრუნველობით. ახლა კი იჯდა, თავის, ერთდროს თა-

25 მხითარისტები - სომხური საეკლესიო კონგრეგაცია, რომელიც ხელს უწყობდა ვატიკანის გავლენის განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში

ნასწორი ბიძაშვილის წინ, უფლებააყრილი და ისმენდა მრავალჯერ ნათქვამს, რაც საბოლოოდ მისი გამოყენებით და შემდეგ დამცირებით მთავრდებოდა. ანტონმა თავი ასწია, თავიდან კუნკულ-ბარტყული[26] მოიხსნა, ერეკლეს შეხედა თვალებში და უთხრა:

- მე გადავწყვიტე, რუსეთს წავიდე და სინოდს შევვედრო დამადგინოს მღვდელმთავრად. ამისთვის თქვენი წერილი დამჭირდება, რადგან ჩემი დასჯის ამბავი უკვე საქვეყნოდ არის ცნობილი.

ერეკლე შეცბა. არ მოელოდა ანტონისგან ასეთ წინადადებას, მაგრამ ვერც წინააღმდეგობა გაუწია და მრავალ ბრძოლების გადამტანმა მეფემ უცებ წამიერი უმწეობა იგრძნო. მხოლოდ ეს აღმოხდა:

- მე უშენოდ ვერ ვიქნები... თორემ ბოლოს გამოჩნდება... მე უშენოდ არა მეამება რა...

გარეჯის უდაბნოში ზამთრის ცივი ქარი ქროდა. სიცივე ძვალსა და რბილში ატანდა...

...ქართლ-კახეთის სამეფო, გარეშე მტრებისგან დროებით მიტოვებული, შიდა ბრძოლების ბურუსში გახვეულიყო...

26 კუნკულ-ბარტყული - ბერის თავსაბურავი

XXI

- ნეტა რა უნდა ჩემგანა ქა? ... - ქოთქოთებდა კატუა და ხვნეშა-ხვნეშით მისდევდა ალმასხანის გაგზავნილ ბიჭს, რომელიც ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა ორღობეში, - დაიცა ქა! ... ველარ გეწევი ... ცოტა ნელა იარე, გული ამამვარდა დედაკაცსა!

- გული არა გააქ და რა უნდა ამოგვარდეი, კატუავ! - იცინოდა ბიჭი და უფრო და უფრო უმატებდა სიჩქარეს.

როგორც იქნა მიაღწიეს მამასახლისის სახლამდე. კატუას სახეზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა და ძლივს სუნთქავდა. ალმასხანი აივანზე გადმომდგარიყო და იქიდან უცქერდა კატუას საცოდაობას. ბოროტი რის ბოროტია თუ ბოროტებას ბოროტება არ დაუმატა. ალმასხანმა კატუას ხელით ანიშნა ამოდი ზევითო. მერე იჯდა და დიდ სიამოვნებას იღებდა კატუას კიბეებზე ასვლის სანახაობით. დაღლილი დედაკაცი ძლივს ადიოდა საფეხურებზე. ერთ ადგილას დაუცდა კიდეც ფეხი და დროულად კიბის სახელურისთვის რომ არ მოეკიდა ხელი, დაგორდებოდა და ალბათ სულსაც ვერ დაიყოლებდა ეზომდე. ალმასხანი კი ტკბებოდა ამ სანახაობით და თან ვაშლს მიირთმევდა. როგორც იქნა ააღწია კატუამ აივნამდე და იქვე მდგარ ხის ბოძს მიეყრდნო. ალმასხანმა სკამიც კი არ შეთავაზა, პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- რა ქენი, აბა!?... ძროხა იწველებაა!?

- მაშა, მაშა, მამასახლისო, - ძლივს დაიწყო ლაპარაკი კატუამ, - იგეთი კარგია, იგეთი, რომა ავ თვალს არ ენახვება ...

- შენზე მეტი ავი თვალი ვიღაი უნდა ქონდეი? - გადაიხარხარა ალმასხანმა, - მალე მოკლავ შენ მაგ ძროხასა შენი ავი თვალითა ...

- უი, მე, მამასახლისო, რას ამბობ, - შეიცხადა კატუამ, - ეგ ძროხა რო მამიკვდეი, ხო მშიერი დავრჩი. ძლივ ამოვისუნთქე ქალმა ...

- ჰოდა, მოგიკვდება, თუ შენმა დაწყებულმა საქმემ არ გაამართლა! - უცებ შეიცვალა ალმასხანი და აგრესიაზე გადავიდა, - რასა შვრება ი შენი გაკეთებული ჯადო, როდიი უნდა დაიწყოი მოქმედება!?

- ქაა! - გაიკვირვა კატუამ, - აქამდეც უნდა დაეწყო, მგლი ქონზეა დამზადებული, ღორისაზე კი არა ...

- და რაი უზამს, რო დაიწყებს მოქმედებასა!? - აყვირდა ალმასხანი.

- ჯერა გაგიჟდება, ქა! - მთელი სერიოზულობით უპასუხა კატუამ, - მერე კიდენა, ჭკუა გამოეცლება და დაბეჩავდება, მაშა!

- რავი, აბა! - ყვიროდა ალმასხანი, - მე მაგას გაგიჟებისა ვერაფერი შევატყვე და ვერც დაბეჩავებისა. აი, აქ იდგა ეზოში და ხმალზე იწევდა, ხან ხანჯალზე წაივლო ხელი ...

- ჰოდა, გაგიჟებულა, ქა! - წამოიძახა აღტაცებულმა კატუამ, - იგე, უმოქმედია ჯადოსა!

- დედაკაცოო! - იყვირა ალმასხანმა, ტახტიდან წამოხტა და ჩაკბეჩილი ვაშლი ესროლა კატუას, - მე თუ მამკლა, ეგეთი გაგიჟება რათ მინდა! ... იცოდე, სანამ მე მამკლამს, მანამდე შენ მოგკლავ და იმ ძროხასაც ზედ დაგაკლავ! ... არ ვიცი, რაც გინდა ისა ქენი, მამაშორე ეგ კაცი! ... ეხლა კი გაიცი აქედანა! ... მამწყდი თავიდანა! ...

ნაშუადღევს ზაქრო ბატონის სასახლეში იყო უკვე. ბატონმა კარგად მიიღო, შეუქო ვაჟკაცობა, მიწის მიცემაზეც დასტური უთხრა:

- ერეკლე მეფის სიტყვას მე როგორ გადავალ. აიღე იმდენი მიწა, რამდენსაც დაამუშავებ, სადაც გინდა. მხოლოდ მე ჩემს კაცს გამოვაგზავნი, რომ დამიდგინოს რამდენი დღიური იქნება და მერე მეფის ხელმოწერილ საბუთსაც გამოგიგზავნი.

ზაქრომ მადლობა გადაუხადა ბატონს და გახარებული გაუდგა წანარიანისკენ მიმავალ გზას.

XXII

მიუხედავად იმისა, რომ კათალიკოსყოფილი, მონანიების შემდეგ, საეკლესიო კრებამ მღვდელმთავრის ხარისხში აიყვანა, ანტონმა კარგად იცოდა, რომ რუსეთში მას არა თუ მღვდელმთავრად მიიღებდნენ, არამედ შესაძლოა, არც კი შეეშვათ სახელმწიფოში თუ ხელთ არ

ექნებოდა მეფეთა მიერ გაცემული დამადასტურებელი წერილები. ამის გამო იგი მეფე თეიმურაზს გულისამაჩუყებელ წერილებს უგზავნიდა, მიეცა აღნიშნული საბუთი და გამოთქვამდა მზადყოფნას, კიდევ ერთხელ, მოენანიებინა ჩადენილი ცოდვანი.

თეიმურაზ მეფემ კარგად იცოდა, რისთვისაც უნდოდა ანტონს რუსეთში წასვლა. ქართლის ტახტის დაბრუნებისათვის მებრძოლი ვახტანგის მემკვიდრეები, ათასნაირ ინტრიგებს ხლართავდნენ რუსეთის სამეფო კარზე, რამაც არაერთხელ შეაფერხა კართლ-კახეთისთვის დახმარების გაწევა. ანტონის ჩასვლა რუსეთში ასევე გამოიწვევდა დაბრკოლებებს ორი მართლმადიდებლური ქვეყნების ურთიერთობაში. მისი არგაშვება და საქართველოში დატოვება შესაძლებელია უფრო უარესი გამომდგარიყო ქვეყნისთვის, რადგან ქართლ-კახეთიდან გაძევებული ლათინები ყველა გზებით ცდილობდნენ უკან დაბრუნებას და ამ საქმეში რომის პაპიც კი ჩართეს თავისი კარდინალებით. რელიგიური ბრძოლა არა მარტო ევროპის ქვეყნების, არამედ რუსეთის ყურადღებასაც მიიქცევდა და ეს ყოველივე არა მხოლოდ სამეფო ტახტის, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობასაც საფრთხეს შეუქმნიდა, მით უმეტეს, რომ გარეშე მტრებთან ერთად მხითარისტები ტურებივით იყვნენ ჩასაფრებულნი და ქვეყნის შიგნით არეულობა მათ წისქვილზე დაასხამდა წყალს.

ბევრი ბჭობის შემდეგ მეფეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, მიეცათ ანტონისთვის უფლება რუსეთში გამგზავრებისა და თან აღეჭურვათ იმ წერილებით, რომელსაც ის ითხოვდა. ერეკლე ბოლომდე თავს იკავებდა ანტონის თხოვნის დაკმაყოფილებაზე, არ უნდოდა მისი გაშვება, მაგრამ საერთო თანხმობას წინ აღარ აღუდგა, მით უმეტეს მამის გადაწყვეტილების შემდეგ, რადგან თეიმურაზმაც ბევრი ფიქრის შემდეგ გასცა დასტური. ისიც კარგად მოეხსენებოდა კახთბატონს, რომ თვითონ ქვეყნის საგარეო და საშინაო საქმეებს ხშირ შემთხვევაში ხმლით აგვარებდა, მაგრამ იყო საჭირბოროტო საკითხები, რომელსაც აზრი და გონება უფრო უმკლავდებოდა, ვიდრე ქარქაშიდან ამოღებული ,,ავი მუსაიფი“.

ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი წლის ოთხ აპრილს მოწვეულმა კრებამ დაადგინა, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - დაამტკიცა, მეფეთა მიერ გაცემული ცნობა-წერილი:

,,განჩინება კათალიკოზს ანტონის ზედა – დამხობად, განდევნად და წირვისაგან დაყენებად და კუალად შენდობა და მიტევება და რუსეთს გაგზავნა მისი.

წელსა განხორციელებიდან სიტყვისა ღვთისა 1755 წ. თვესა დეკენბერსა 16. ჩვენ მეფემან ქართველთამან თეიმურაზ და ძემან ჩუენმან მეფემან კახთამან ერეკლემ და ორთავე ამის სამეფოისა ეპისკოპოსთა მოგივლინენით არხიმანდრიტი ორნი შენ – ანტონის კათალიკოზსა

ჩვენსა, გამოკითხვად, თუ რომლისა სარწმუნოებისა ხარ. ამისათვის, რომელ გვესმოდა და ჭეშმარიტცა იყო ლათინთა სარწმუნოებისა მიმართ მიდრეკა შენი და იღვწიდიცა შეწონებად მათდა იდუმალ ერისა. მაშინ მოვლინებულთა ჩუენ მიერ არხიმანდრიტთა არღარა დაუფარე და საანჯნოდ აღიარე წვალებაი ლათინთა და საუწყებოდ ჩვენდა გამოუცხადე; და ვითარცა ესე ვსცანით, მყის დაგამხევით საყდრისაგან შენისა და შენთანა ერთხმანი სამღვდელონი დავსაჯენით და ერისკაცნი უზიარებელ ჰყვენით.

ხოლო შემდგომად რაოდენთამე დღეთა მოეგე გონებასა ცნობად ჭეშმარიტებისა სარწმუნოებისა და იწყე გოდება და ტირილი და შევრდომა და თხოვად შენდობისა და უარ ჰყავ ბოროტი ცთომილება შენი და განჰხმე სიდრკუე და სარწმუნოება ლათინთა, რომელიცა შეგეწყნარა და აღთქმითა და ფიცითა და შეჩვენებითა დაგვაკერენ არღარა მიდრეკად გმობათა მიმართ ლათინთა.

ამას ზედა ვითარ შვენოდა პირველსა მახლობელსა და ჩვენ მიერ სიყვარულსა შენსა, ფრიად საყვარელი ჩვენდა იქმნენ, გარნა საყდარსავე აღსვლა შენი ცხოვრებისა შინა შენსა არღარა იქმნებოდა, ორთავე მეფეთა კრებისა ფიცით ესრეთ დაგვემტკიცა.

ხოლო განგიწესეთ კანონად დაცადება, შეწირვისაგან უსისხლოისა მსხვერპლსა თვეთა ათვრამეტთა და მემრეღა შეწირვად საღმრთო ლიტურღიისა. ესეოდენი თვენი დაგეყვნეს განდრეკილებასა შინა ლათინთა მიმართსა და კუალად შემდგომად თვეთა სამთა განცხად-

ნა ფრიადი სინანული შენი და ყოვლითურთ უცხო ყოფა წვალებისაგან პაპის მოსავთა ლათინთასა და სრულიად აღმოსავლეთის ეკკლესიის სარწმუნოება იპოვებოდა შენთანა, თვინიერ ყოვლისა იჭვისა.

და ფრიად წადიერ იქმენ ყოვლითურთ კეთილმსახურსა და ყოვლითურთ მართლმადიდებელსა იმპერიასა რუსეთისასა წარსვლად, რომელიცა უმეტეს გულსავსე გყოფდა მართლმადიდებლობასა შენსა. ამას ზედა ყოველთავე ერთობით მეფეთა და კრებამან შევამოკლეთ კანონნი, რომელნიცაა განგვეწესნეს, რათა ღირს იქმნე უსისხლოისა მსხვერპლსა შეწირვად. ყოვლად წმიდასა საუფლოსა დღესა აღვსებისასა, რომელსა დღესა აღსდგა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და ესრეთ პატივითა მღვდელმთავრობისათა წარგზავნეს და ღირს არს შეწყნარება შენი მღვდელმთავრად მართლმადიდებლად და სადაცა მიხვიდე დაუყოვნებელად ხელყოფად საღმრთოსა ლიტურღიისა ყოვლისა სამღვდელმთავროისა მოქმედებისა, ვითარცა მღვდელმთავარი. აქავე აღგისრულებიეს საღმრთო ჟამის წირვა, სამთავროსა ჩვენისა და მშვიდობით წარხველ.

ხოლო სამღვდელონი კაცნი, რომელნიცა შენთანა ერთხმა იყვნეს ლათინთა ცთომასა ზედა, მათცა განმართნეს მიდრეკილებანი თვისნი და შენთანვე აღიარეს მართლმადიდებლობა და მათცა შეუნდევით მღვდელობად და მსახურებად საღმრთოსა საიდუმლოსა დღესა საუფლოსა აღდგომისასა”.

თბილისიდან, გორიდან და ამ ამბებიდან მცირე ხნით ადრე რაჭიდან გამოყრილი კაპუცინები,[27] ყოველ ღონეს ხმარობდნენ უკან დასაბრუნებლად, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. მათთვის არავის ეცალა. ბოლოს, პარიზის ელჩმა ვერჟერმა ისღა მოახერხა, რომ ახალციხეში შეხიზნულები ოსმალეთის კერძო მოხელეთა ხარკისგან განთავისუფლებულიყვნენ და თან გააფრთხილა: ,,საქართველოს ის ნაწილი, საიდანაც განიდევნენ კაპუცინები, სულთანს არ ექვემდებარებაო“.

ასე, რომ ღმერთის შეწევნით და თეიმურაზ მეფის გონივრული მოქმედების შედეგად ქართლ-კახეთი გაიწმინდა კათოლიკე მისიონერებისაგან, თუმცა მათი მრევლის ნაწილი დარჩენილი იყო სამეფოში. თეიმურაზ მეფე იმდენად გულმოწყალე და შემწყნარებელი გახლდათ, რომ როდესაც კათოლიკე დედაკაცებმა ერეკლეს ხვეწნა-მუდარით სთხოვეს კათოლიკე მღვდლის ჩამოყვანა, თეიმურაზმა დართო ნება და ახალციხიდან ერთი მღვდელი გამოიწვიეს, რათა შეესრულებინა კათოლიკეებისათვის სულიერი მსახურება. როდესაც დროებით ჩამოსულმა მღვდელმა დაამთავრა თავის საქმე, წასვლისას ის მეფემ დაასაჩუქრა და ისე გააცილა.

ახლა კი მხითრისტების ჯერი დადგა, რომელნიც მართლმადიდებლების და კათოლიკების ბრძოლას შორიდან უყურებდნენ და აკვირდებოდნენ, სასწორი ვის მხარეს გადაიწევდა.

27 კაპუცინები - კათოლიკური ორდენი

XXIII

მამასახლისისგან გამოძევებულმა კატუამ მოსვენება დაკარგა. ზაქროს თავს რაიმე რომ მომხდარიყო მთელი სოფელი გაიგებდა და, რა თქმა უნდა, ამბავი კატუამდეც ამოაღწევდა. სოფელში კი სიწყნარე სუფევდა და ხალხი ჩვეული ყოფიერებით ცხოვრობდა. მოსავალი დაბინავებული ჰქონდათ და საშობაო მარხვისა და გამოზამთრების სამზადისს შესდგომოდნენ. სოფლის ორღობეებში დილა-საღამოს ნახირი თუ ჩაივლიდა ან კიდევ ტყიდან შეშით დატვირთული ურემი თუ გაიჭრიალებდა ხოლმე. გარეთ სხვა არაფერი ხდებოდა. სოფლელები, სიცივის გამო, ძირითადად სახლებში საქმიანობდნენ ან კიდევ ერთმანეთთან სტუმრობით ირთობდნენ თავს.

კატუასთან სტუმრად არავინ მიდიოდა, ყველას ეშინოდა, ჯადო რაიმე არ გაგვიკეთოსო. იგივე მიზეზით არც თავიანთ ოჯახებში უშვებდა მას ხალხი. ასე, რომ ვერ იგებდა, რა ხდებოდა გიოშვილების ოჯახში, იმოქმედა თუ არა მისმა გაკეთებულმა ჯადომ. მამასახლისსაც დიდი ხანია არ მოუკითხავს. ასეთ გაუგებრობაში ყოფნა გაუსაძლისი გახდა კატუასთვის. მუდამ სხვის მოწყალებაზე მიჩვეულ კატუას შეშაც არ ჰქონდა სახლში, რომ მამა-პაპურ ბუხარში დაენთო და გამთბარიყო. ადრე თავისი შელოცვა-გამოლოცვით ლუკმაპურსაც შოულობდა და შეშასაც, მაგრამ მას შემდეგ რაც სოფელში მამა

მირიანი მოვიდა და აუკრძალა მჩხიბაობა და ხალხიც გააფრთხილა, რომ არ გაჰკარებოდნენ ამ ღვთის პირიდან გავარდნილ დედაკაცს, კატუას ყოვლისშემძლეობა დასამარდა და მშიერ-მიგდებულიც დარჩა. მამასახლისის ნაჩუქარი ძროხა ასაზრდოებდა ამ უბედურს, მაგრამ უჭმელობისგან ისიც დაჩიავებულიყო და ამ ზამთარს, როგორც ჩანდა, ვერ გადაიტანდა. იმედად ალმასხანიღა დარჩენოდა, მაგრამ იმასთანაც ვეღარ მიდიოდა, რადგან არ იცოდა მისმა დაწყებულმა საქმემ რა შედეგი გამოიღო. გადაწყვიტა გიოაანთ უბანში მალულად ჩასულიყო და იქნებ შორიახლოდან მაინც შეემჩნია რაიმე, რომელიც მამასახლისთან მისვლის მიზეზად გამოადგებოდა.

სახლიდან გამოსულმა კატუამ ბოსელში დაბმულ მამასახლისის მიერ ნაჩუქარ და მოუვლელობისგან უკვე გასაცოდავებულ ძროხას გახედა, რომელიც კატუას გამო მწყემსებს ნახირშიც აღარ მიჰყავდათ. საქონელმა კატუას დანახვაზე უკანასკნელ ხმაზე დაიბღავლა, რის სანაცვლოდაც ჯადობაზმა დედაკაცმა ქოქოლა მიაყარა და დაფეთებული ჭიშკრისკენ გაიქცა.

ორღობეში, სადაც იშვიათად თუ გაივლიდა ვინმე, მაინც და მაინც წუნკალაანთ ყარამანას გადაეყარა. ,,ფერი ფერსა მადლი ღმერთსაო“ ამათზე იყო ნათქვამი. აბა, სხვა ვინ ამოივლიდა ამ ორღობეში. ყარამანამ როგორც კი თვალი მოჰკრა ჭიშკრიდან გამოსულ კატუას, ერთი მაგრად შეუკურთხა, თან ზედ მიაყოლა ,,ფუი

ეშმაკსო!“ და იქვე მდგარ მუხის ხეს ზურგით აეკრა. კატუას თვალს რა გამოეპარებოდა და ხის უკან დამალულ ყარამანას მიაძახა:

- რაღა შენ გადამეყარე საქმეზე მიმავალს, შე მართლა წუნკალო! დავითარსე და ეგ არი! მეხი კი დაგეცეს მაგ თავზედა და ოჯახიანად ამოწყდი!

აი, ამ წყევლის შეეშინდა ყარამანას და იმიტომ დაიმალა, თორემ კატუას რა უნდა დაეშავებინა მისთვის, სცემდა თუ რა!? ახლა დამალვას აღარ ჰქონდა აზრი, წუნკალაანთ ბიჭიც გადმოვიდა ორღობის შუაში, დოინჯი შემოიყარა და უყვირა მისკენ მომავალ კატუას:

- აბა, რა საქმეზე მიდიხარ, შე ალქაჯო!? ემანდ არ მითხრა, სოფელში მირონი უნდა გავიღოო!?

- ეგ შენი წუნკალა ტვინის საქმე არ არი, მე სად წავალ და სად არა!? გამატა გავიარო, თორემა!? - შესსისინა ყარამანას კატუამ.

- თორე რა!? - დაუბრუნა პასუხი წუნკალაანთ ბიჭმა, - ემანდ ანგელოზები არ დამიფრთხო!?

კატუამ, საგანგებოდ კაბაზე მიკერებული ჯიბიდან, რაღაც ცხენის კუდის მსგავსი ბეწვებიანი რამ ამოიღო, ყარამანასკენ გაიქნია და მიაძახა:

- ინდე, ეგეც შენა და შენ ანგელოზებსა! ... აგატა, ბასარა, ბაუმა, აიმართა, ბაიმართა ... აფსს ... აფსს ...

ყარამანამ ფერი დაკარგა, გვერდზე გადახტა და აკანკალებული გაიძახოდა:

- ეგ რაღაა, დედაკაცო! ... შე მართლა ღვთის პირიდან გავარდნილო!? ... რასაი ჩმახავ!?

- აი, ესენი არიან ჩემი ანგელოზები! - ჩაიხითხითა კატუამ და თავისი გამეჩხერებული და გაყვითლებული კბილები გამოაჩინა, - დაბლები, ჩლიქებიანები, თმაგაწეწილები და გამურულები. წუხელ მეხვეწებოდნენ: ,,თავშესაფარი არა გვაქ, გვიშველეო!“ ჰოოდა, ამაღამ შენ სახლში დაიბუდებენ და ახალი ანგელოზებიც გეყოლებათ!

ყარამანამ დააპირა წამოდგომა, მაგრამ ვერ შეძლო. თითქოს რაღაც ძალას დაეწებებინა მიწაზე ... კატუა კი აუღელვებლად გაჰყვა ორღობის გზას ...

სულ მალე კატუა გიოაანთ უბანს მიუახლოვდა, მაგრამ არ შევიდა შიგნით. მარჯვნივ გაუხვია და იქვე მდებარე გორისკენ მიმავალ გზას აჰყვა. ბუჩქებში მონახა სამალავი, საიდანაც კარგად ჩანდა ზაქროს კარ-მიდამო და დაიწყო ყურადღებით დაკვირვება თუ რა ხდებოდა გიოაანთ ბიჭის ოჯახში.

დღე ისე მიილია, რომ კატუამ ზაქროს ოჯახში სათავისო ვერაფერი დაინახა, პირიქით ცოლიც და ქმარიც უფრო გაყოჩაღებულნი და გალაღებულნი იყვნენ, როგორც ერთმანეთთან, ისე მეზობლებთან და სტუმრებთან ურთიერთობაში. იმ დღეს ოთხი შეიარაღებული ცხენოსანიც ესტუმრა ზაქროს, დიდხანს ისაუბრეს ეზოში და მერე დასცილდნენ ერთმანეთს. როგორც ჩანდა, ჯადოს ზაქროზე არც უმოქმედია. ასე რომ, კატუას ახა-

ლი სადარდებელი გაუჩნდა. ბოლოს შესცივდა, ამიტომ იძულებული გახდა წასულიყო სახლში. გამწარებულმა ღობიდან რამდენიმე ფიჩხის კონა ამოაძრო, ცეცხლი დაანთო ბუხარში, მერე ძროხას, რაც დარჩენილი რძე ჰქონდა ცურში, ჩამოწველა, აადუღა, დალია და ტახტზე უსწორმასწოროდ დაყრილ და ბოლისაგან აყროლებულ ქვეშაგებში გაეხვია.

დილით სოფელში ხმა დაირხა: ,,წუნკალაანთ ყარამანას დამბლა დაეცაო, უგონოთა წევს, ერთ ადგილს მიშტერებია და ვერაფერს აგებინებენო. ოჯახს კიდენა მთელი ღამე არა სძინებიაო.“

მიძინებულ სოფელს სალაპარაკო გაუჩნდა. ყველა ერთი და იმავეს ამბობდა:

- ეგ იმი ბრალია, გაცემა რო არ უყვართ, არც ერში და არც ბერში. ღმერთმაც დასაჯა. ტყუილად ხომ არ ეძახიან წუნკალაანთ ...

XXIV

ათას შვიდას ორმოცდათექვსმეტი წლის აპრილში ანტონ კათოლიკოსყოფილი ოცდაერთკაციანი ამალით გორიდან რუსეთს გაემგზავრა. გზა რთული და ხანგრძლივი გამოდგა. ფიქრის დროც საკმაოდ ჰქონდა ანტონს. ძნელია იმის თქმა, ანტონს შურისძიების წყურვილი

ამოძრავებდა თუ არა, თუმცა მისი ამალის წევრები აშკარად ხედავდნენ და გრძნობდნენ, როგორ იზრდებოდა მასში გარეგნული ბრწყინვალება და მის საპირისპიროდ როგორ იხრწნებოდა შინაგანი კაცი, რომელიც დიდხანს თავს ვერ დამალავდა, რაც საბოლოოდ, როგორც სხვა შემთხვევებში უფლის, სამშობლოს და ერის ღალატით დამთავრდებოდა. წმიდა წერილი კი გვასწავლის: ,,ვისაც უყვარს სიცრუვე, მას სძულს სული თვისი“ და საკუთარი თავის მოძულე, მოყვასის სიყვარულს ვერასდროს შესძლებს.

იობ მრავალვნებულის შთამომავალმა ზაქარია ხუცესმა, ანტონის დაფარული თვისებები სააშკარაოზე გამოიტანა და ეს გახდა სწორედ მათ შორის უთანხმოების რეალური მიზეზი. ანტონის მომხრეები ვერ აცნობიერებდნენ ან საერთოდ მალავდნენ კათოლიკოსის უნიათობას. ზოგნი გრძნობდნენ ანტონის დანაშაულს, მაგრამ იმდენად მოხიბლულნი იყვნენ მისი ახალი აზროვნების დამკვიდრებით, ევროპული განათლებისკენ გზის გაკვლევითა და მეცნიერული საქმიანობით, რომ ზაქარია ხუცესს წარმოაჩენდნენ სასახლის ჩინებისათვის მებრძოლ, ჯიუტ და ლამის ვერცხლისმოყვარე პიროვნებად.

ანტონის ასეთი ქმედება კი ისევ ტახტისთვის ბრძოლა იყო. ფიქრებში ჩაძირული ანტონი ბოლოს მაინც მთავარს უბრუნდებოდა. ის საქართველოში ქართლის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე გახლდათ. ახლა ეძლეოდა

შანსი შეერთებოდა რუსეთში მცხოვრებ თავის ნათესავებს, ქართლის ტახტის მემკვიდრეებს, ვახტანგ მეექვსის შთამომავლობას.

თერთმეტი თვის მგზავრობის შემდეგ ანტონი და მისი მცირერიცხოვანი ამალა ჩავიდა პეტერბურგში. მესამე დღეს ანტონი გამოცხადდა რუსეთის წმიდა სინოდში. ეს იყო მისი პირველი წარდგენა სინოდში. რუსეთის უმაღლეს სასულიერო ორგანოს უნდა გადაეწყვიტა, დაეტოვებინა თუ არა ანტონი რუსეთში და თუ დატოვებდა, სად მიეცა საცხოვრებელი ადგილი. როგორც ჩანდა, სინოდის წევრები მაინცდამაინც კეთილი თვალით არ უყურებდნენ რომაული სარწმუნოებით შეცდენილ კათოლიკოსყოფილს. მათ ჯერ კიდევ ახსოვდათ უნიაზე ხელმომწერი მიტროპოლიტ ისიდორეს მოღალატედ შერაცხვის ამბავი, რომელსაც კიევში ჩასულს ჩაქოლვას უპირებდნენ, თუმცა ბოლოს გაძევება აკმარეს. ვინაიდან პეტრე პირველმა რუსეთის პატრიარქის თანამდებობა გააუქმა, ამიტომ უმაღლეს სასულიერო პირთა კრებამ საკითხის გადაწყვეტა იმპერატრიცას მიანდო. ვახტანგ მეექვსის შვილიშვილმა, ბატონიშვილმა გიორგიმ, რომელმაც კარგად იცოდა. რა ხდებოდა რუსეთის სინოდში, ანტონს ურჩია იმპერატრიცასაგან პატიება ეთხოვა.

რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული ღირსეული მემკვიდრე გახლდათ პეტრე დიდისა. იგი თავდაუზოგავად ემსახურებოდა ქვეყანას და ზრუნავდა

რუსი ხალხის გაძლიერებისათვის. იმდენად ერთგული გახლდათ მართლმადიდებლობისა, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ებრაელ ვაჭრებსაც კი აუკრძალა შემოსვლა იმ მიზეზით, რომ ,,არ მსურს ქრისტეს მტრებისგან მივიღო საინტერესო მოგებაო“.

რუსეთის დედაქალაქი თანდათან ლამაზდებოდა და მშვენდებოდა. იმპერატრიცას რეზიდენცია ზამთრის სასახლეში მდებარეობდა, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ სულ მშენებლობის პროცესში იყო. ახლაც ცნობილი არქიტექტორი ბართლომეოს რასტრელი მეხუთე სასახლეს აშენებდა. ანტონს ასეთი გრანდიოზული სასახლე არსად ენახა, ამიტომ დიდხანს იდგა სასახლის წინ მდებარე მოედანზე, შესცქეროდა ამ საოცრებას და ფიქრობდა: ,,ასეთ დიდ და ძლიერ ქვეყანასთან კავშირი კი არა, არამედ ქვეშევრდომობაც კი ბედნიერების მომტანი იქნება ჩვენი გაუბედურებული სამშობლოსათვის... ვახტანგის მემკვიდრეები უნდა გაძლიერდნენ იმპერატრიცას ფრთების ქვეშ და მერე აუცილებლად მივაღწევთ საწადელს, ასე, რომ თეიმურაზი ...“

- თქვენო უწმიდესობავ, - ანტონს რუსეთზე და სამშობლოზე ფიქრები შეაწყვეტინა ბატონიშვილმა გიორგიმ, რომელიც სულ ახლახანს გამოვიდა ზამთრის სასახლიდან, - დროა შევიდეთ სასახლეში, გველოდებიან.

ანტონს ადიუტანტი შეუძღვა იმპერატრიცას მისაღებში, ეახლა ელისაბედ პეტრეს ასულს, მოახსენა დაგეგმილი აუდიენციის შესახებ და შემდეგ მიიპატიჟა სტუმარი.

ანტონი ყველა ეტიკეტის დაცვით წარსდგა რუსეთის ხელმწიფის წინაშე და მოახსენა:

- გმადლობ, თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, რომ მე უღირსს დამითმეთ მცირეოდნი დრო თქვენი ამ ქვეყნად სუფევიდან.

- დაბრძანდით, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ! - ბრძანა იმპერატრიცამ, - ჩვენ, რუსები სტუმართმოყვარე ერი ვართ, მით უმეტეს იმ ხალხისთვის, ვინც უძველესი დროიდან ადიდებს და ემსახურება ქრისტეს!

იმპერატრიცას მიმართვის შემდეგ, რომელმაც მას უწოდა მაღალყოვლადუსამღვდელოესობა და არა უწმიდესობა, ანტონი მიხვდა, რომ ელისაბედ პეტრეს ასულმა ყველაფერი დაწვრილებით იცოდა საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. ამიტომ კათოლიკოსყოფილი შეეცადა თავისმართლების საშუალებით ერთგვარი თავდასხმა განეხორციელებინა ქართლ-კახეთის მეფეებზე.

- თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, - მშვიდად მიუგო ანტონმა, - საქართველოს არასდროს გადაუხვევია ქრისტეს გზიდან და არც გადაუხვევს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მას მეგობრობის ხელს ისეთი ძლევამოსილი სახელმწიფო უწვდის, როგორიც რუსეთია...

იმპერატრიცამ თავი მაღლა ასწია და ანტონს შეაწყვეტინა სიტყვა:

- ჩვენ, როგორც მართლმადიდებლები, კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ მესამე რომად ვაცხადებთ

რუსეთს, რადგან პირველმა რომმა დააქცია მეორე რომი ანუ კონსტანტინეპოლი. მიუხედავად რომის პაპისადმი ჩვენი პატივისცემისა, მათ მიერ გამრუდებულ ქრისტეს გზას არასდროს სცნობს რუსეთი. იმ შემთხვევაში თუ მოინანიებენ და შემობრუნდებიან ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე, მაშინ ჩვენ ხელმეორედ გადავხედავთ მათთან ურთიერთობას. თქვენ როგორ ფიქრობთ, მეუფეო?

ამ სიტყვების შემდეგ ანტონი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ რუსეთის ხელმწიფე საფუძვლიანად იყო გარკვეული საქართველოში მიმდინარე მოვლენებში და გადაწყვიტა, პატიების ნაცვლად ისევ თავისმართლებით გასულიყო ფონს.

- თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, - მიმართა ანტონმა ელისაბედ პეტრეს ასულს, - როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი სამკვიდრო უცხო ტომთაგან განიცდის დიდ შფოთს, არეულობასა და მღელვარებას. ამის გამო ღვთით ბოძებული სამწყსო არ უნდა მიმეტოვებინა, მაგრამ როდესაც თავადებს ცოდვების მონანიებისაკენ მოვუწოდებდი და ვურჩევდი, უკეთურებაზე ხელი აეღოთ, ეს ვერ აიტანეს და მოიწადინეს ჩემი დამხობა, რასაც მიზეზის გარეშე ვერ მიაღწევდნენ. ამიტომაც დამადანაშაულეს და გამომიცხადეს, სადაც გნებავს წადიო. ვინც ახლა ქართლ-კახეთში მეფობენ, ტახტის მემკვიდრენი არ არიან. ქართლი ეკუთვნის პაპაჩემს და ჩემი გვარის სამკვიდროა. მართალია ბერი

ვიყავი, მაგრამ სულ მონასტერში არ მიცხოვრია. ყველა თავადი და პატივდებული ადამიანები, ვინც ბიძაჩემის - ვახტანგ მეექვსის და მამაჩემის - იესეს აღზრდილები იყვნენ, განაწყენების ჟამს მე მომმართავდნენ და მეც ყოველთვის ვამშვიდებდი, რის უფლებასაც ჩემი თანამდებობა მაძლევდა. ამას მეფე ვერ იტანდა და ერთხელაც გადაწყვიტა ჩემი დამხობა. მოიგონა მიზეზი, ცილი დამწამა და დამადანაშაულა. ამის შემდეგ დავკარგე ხარისხი და წამოვედი ძიებად ჭეშმარიტებისა, რომელიც ამჟამად რუსეთში სუფევს.

ელისაბედ პეტრეს ასული არ მოელოდა ანტონისგან, რომ არ დაასახელა საქართველოდან წამოსვლის ნამდვილი მიზეზი. ამან იმპერატრიცას გულისწყრომა და ანტონისადმი გულგრილი დამოკიდებულება გამოიწვია. მიუხედავად ამისა მაინც ჰკითხა:

- ივერიის მეფის სიგელი თუ გაქვთ თან?

- დიახ, თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, - მიუგო ანტონმა, - თან წამოვიღე მეფის სიგელი თავისუფალი მგზავრობისათვის, ჩემი ტიტულის მოწმობა და იერუსალიმისა და ანტიოქიის პატრიარქთა სიგელები ბერძნულ ენაზე.

იმპერატრიცამ ოდნავ დახარა თავი, რაც შეხვედრის დამთავრებას ნიშნავდა. ანტონის გასვლის შემდეგ ადიუტანტს მიმართა:

- მეუფე ბოლომდე არ ამბობს სათქმელს. მისმა საუბარმა არ მოახდინა ჩემზე სასიამოვნო შთაბეჭდილე-

ბა. ჩვენი აგენტების მოწოდებული ინფორმაცია უფრო სანდოა, ვიდრე მეუფის მონათხრობი. ამიტომ საკითხი გადასაწყვეტად სინოდს გადაეცით და თვალყური ადევნეთ მის ურთიერთობას ქართულ სათვისტომოსთან!

XXV

წანარიანის მამასახლისს დილაადრიან ბატონის მოურავი ეწვია. ალმასხანს გაუკვირდა მისი ასეთი ნაუცბათევი მოსვლა და ეზოში შემოსულ მოურავს აივნიდან გაკვირვებულმა გადასძახა:

- ვეჟო, ხო მშვიდობაა ჩვენს თავსა!? ბატონი როგორა ბრძანდება?

- კარგად, ალმასხან, კარგადა! - ამოსძახა მოურავმა და კიბეებზე მკვირცხლად აირბინა. მერე მამასახლისს ხელი ჩამოართვა, მოიკითხა და უთხრა:

- ბატონმა შემოგითვალა, დღესვე მეახლოსო.

- მერე მაგისთვინა შენ რათა სწუხდებოდი? - მიუგო მლიქვნელობაში გაწაფულმა ალმასხანმა და თან გაუღიმა მოურავს, - ბიჭი გამოგეგზავნა, განა არ მოვიდოდი?

- მე სხვა საქმეზე გამომაგზავნა ბატონმა, - უპასუხა მოურავმა, - ზაქრო გიოშვილის შერჩეული მიწა უნდა ვნახო და მერე ბატონი მეფესთან უნდა წავიდეს მიწის დასამტკიცებლადა. გეცოდინება, ერეკლეს ბრძანებაა ზაქროს მიწა მივცეთ.

- ჰოო! მაშა, მაშა, - წამოიძახა ალმასხანმა, - ვიცი, ვიცი, მაშა.

როგორც კი მოურავი ჭიშკრიდან გავიდა და თვალს მიეფარა, ალმასხანი მოიღუშა, ნერვიულობისაგან აკანკალებული თითები ულვაშზე გადაისვა და ჩაილაპარაკა:

- მაინც მიაღწია თავისას და ეს მიწა წამართვა. ვნახოთ, ვინ ვის აჯობებს! დღეი ვეახლო ბატონსა, ეგ გლეხუჭა ძაან თავ გავიდა და ყოველთვინ ვერ უშველიი მეფე!

ნაშუადღევს ალმასხანი უკვე ბატონთან იყო და სადილს შეექცეოდა. როგორც კი დანაყრდა, მუცელზე ხელები გადაისვა და ნასიამოვნებმა უთხრა ბატონს:

- ძაან სადილი კი იყო, ბატონო, დიდი მადლობა. ღმერთმა ბარაქა და ხვავი არ მოგაკლოი.

- თუ ეგრე ერთად ვიქნებით, არც ხვავი მოგვაკლდება და არც ბარაქა! - ხმამაღლა წარმოთქვა ბატონმა და წითელი ღვინით სავსე ჯამი გამოცალა, მერე ულვაშები თითებით შეისწორა და განაგრძო, - ბევრი საქმეები გვაქ გასაკეთებელი, ჩემო ალმასხან, ბევრი.

- გეთანხმები, ბატონო, მაგრამა ... - უცებ შეგნებულად საუბარი შეწყვიტა ალმასხანმა, რათა ბატონის მხრიდან სათქმელის მიმართ ინტერესი გამოეწვია და გამოუვიდა კიდეც. ბატონმა გაკვირვებულმა ჰკითხა:

- რაო, ალმასხან, რამე გაქვს სათქმელი?

- ჰოო, ბატონო, მაგრამა... - ისევ გაწელა სიტყვა ალმასხანმა.

- დიდხანს გელოდო!? - იწყინა ბატონმა და მკაცრი გამომეტყველებით ალმასხანს აგრძნობინა თავისი უპირატესობა.

ამის შემდეგ მამასახლისი აცუნდრუკდა, ბატონის რისხვა არ დავიმსახუროო, ბეჭებში გასწორდა და ადუდღუნდა:

- აი, ბატონო... კარგი მიწების მიცემა გლეხებზე ჩვენ ბარაქაზე არ იმოქმედებს ცუდადა?

- ზაქროს მიწაზე ამბობ ალბათ, ხომ? - ჰკითხა ბატონმა.

- ჰოო, ბატონო. თქვენი მოურავი იყო დილას ჩამოსული წანარიანში და ეგრე თქო, ბატონმა მიბრძანაო...

- ჰო, ჩემი დავალებით ჩამოვიდა, - მიუგო ბატონმა, - ამიტომაც დაგიძახე, საქმე მაქვს შენთან.

ალმასხანს გაუხარდა და მაშინვე გონებაში აზრმა გაურბინა: ,,ეგებ ზაქროს მოშორება ამასაც უნდა და რამეს აპირებსო“. მერე ბატონისკენ გადაიხარა და დიდი ხნის შეთქმულივით მოშინაურე ხითხითით უთხრა:

- გისმენ, ბატონო, შენი კვნესა მე.

- მეფე ერეკლემ, - დაიწყო დინჯად საუბარი ბატონმა. მერე უცებ მარჯვენა ხელი წინ გამოწია და ალმასხანს თითი დაუქნია, - მხოლოდ ეს ყველაფერი ჩვენში უნდა დარჩეს! ...

ალმასხანმა ღაბაბი დაბლა ჩამოსწია, გაიფხორა, თვალები დააფახულა და ამ მოქმედებით ბატონს აჩვენა, რომ მისი უერთგულესი კაცი იყო. ბატონმა კი განაგრძო:

- ერეკლემ დიდი ხანია დაიწყო თავისი ერთგული და მამაცი ადამიანების გააზნაურება და გააზატება. ხომ გახსოვს ქიზიყელი ბოსტაშვილის ამბავი მთელს ქვეყანას მოედო. ეხლა ეს თქვენი ზაქრო. ჩემთან ამბები მოდის, რომ ეხლა ზაქრომ აიყოლია სოფლის ჯანღონით სავსე ახალგაზრდები და მთელი დღეები ლეკებს დასდევენ, მერე ერეკლეს გაჰყვებიან ლაშქრობაში, თავიაანთ მიწებს აქაურ გლეხებს დაამუშავებინებენ, სარჩო-საბადებელს გაუჩენენ სოფლელებს, გადასახადებს არ გადაიხდიან, გლეხი ჩვენ მიწებზე აღარ იმუშავებს. მოგვიწევს გადასახადების ძალით ამოღება, რაც ბოლოს ერეკლეს გულიწყრომას გამოიწვევს. ისედაც ჩვენზე გული აქვს აცრუებული, ხალხს ლაშქარში არ მაწვდით - მიმალავთო! ... მე რაღა ვქნა!? ყმა საომრად გავუშვა თუ მიწაზე ვამუშაო! ... იგე! წავიდა ზაქარია ლაშქარში და იქიდან ბატონად დაგვიბრუნდა! ... აბა, უთხარ რაიმე გადაბრუნებული! ... გამოდის, რომ მეფეს უპირისპირდები! ...

ალმასხანი უსმენდა ბატონს, მართალია ბევრი ვერაფერი გაიგო რა უნდოდა, მაგრამ ერთს კი მიხვდა, რომ შეიძლება მოსალოდნელი შეთქმულების მსხვერპლი გამხდარიყო. ბატონი კი განაგრძობდა:

- ტფილისში დიდი ამბებია, ალმასხან. კათოლიკოსი ანტონი განკვეთეს. თეიმურაზ მეფე რუსეთზეა განაწყენებული, რომ შეპირებული დახმარება არ გაუწია, მგონი წასვლასაც აპირებს რუსეთის ხელმწიფესთან. არც

ერეკლეს სცალია ჩვენთვის, დღე და ღამე ლეკებს დასდევს. ისე, რომ ამ არეულობით უნდა ვისარგებლოთ და როგორც ამბობენ: ,,მღვრიე წყალში თევზი უნდა დავიჭიროთ!“ ეს თევზი კი ოქროსია ...

ოქროს ხსენებაზე ალმასხანს თვალები გაუფართოვდა და ისედაც ნახევრადტვინგაწყალებულს პირზედ რა სიტყვებიც მოადგა ის წარმოთქვა:

- როგორა, ბატონო? ...

- როგორა და ხალხის გაყიდვა უნდა დავიწყოთ! მე ჩემს ყმებს თუ ჩემთვის ვერ გამოვიყენებ რაღად მინდა!? ტფილისიდან, სამეფო კარის დიდმა ხალხმა შემომითვალეს, თუ მოხდენილ გოგო-ბიჭებს გამომიგზავნით, კარგად გადაგიხდითო. თან ლეკები და ოსები არ იყვნენ, აუცილებლად ქრისტიანი ქართველებიო. ქართლის საზღვარზე მალულად და შეფერხების გარეშე გაგვატარებენ, ტყვეებს კი მცხეთასთან ახლოს ჩაიბარებენ და იქვე გადაგვიხდიან ოქროს. თან საქმე საჩქაროა, რადგან თურმე, იმერეთის მეფე სოლომონი ტყვეთა ვაჭრობის აკრძალვას აპირებს და თურქი, რომელიც ანაკლიაში ელოდებათ, დიდხანს ვერ დაიცდისო.

ალმასხანი უსმენდა ბატონს და ვერ გაეგო მაინც და მაინც ის რატომ შეარჩია ამ საქმისთვის. ბატონი მიუხვდა მამასახლისს, რომ ორჭოფობის ჭია ღრღნიდა და მოულოდნელი შეკითხვა დაუსვა:

- ალმასხან! შენ მამასახლისობა და ქონება გინდა!?

ამ სიტყვების გაგონებაზე ალმასხანს გააჟრიალა და უცებ წარმოიდგინა თავისი თავი გლახაკად, რომელიც დადის სიცივეში სოფელ-სოფელ და ხმელ ან დაობებულ პურს ითხოვს... უცებ, მოვიდა გონზე და ბატონს თავი დაუხარა ისე, რომ ხმა არ ამუღია, ხოლო ბატონი კი განაგრძობდა:

- ჰოდა, თუ გინდა, ამ საქმეს შენ უხელმძღვანელებ! ამ ამბავში ჩვენ არ გამოვჩნდებით. ახალგაზრდა ლეკის ბიჭები დავიქირავე, მაგრამ მათ ვერც ფულს ვანდობ და ვერც გაყიდულ ტყვეებში აღებულ ოქროს. ეს ყველაფერი შენ თავზე უნდა აიღო! ... პირველი გატაცება შენი სოფლიდან, მთისყელიდან იქნება. მდევარი გინდაც დაედევნოს ვერ დაეწევა, რადგან სულ სხვა გზით გადავლენ ქართლში. სანამ ამ გზის არსებობას გაიგებენ მდევრები, ჩვენ კიდევ მოვასწრებთ ხოხბიაურიდან და კლდისძირიდან ტყვეების გატაცებას ... გაიგე, ალმასხან!? ... თუ ზაქრო და მაგის ბიჭები სალაშქროდ გამოიძახეს, მერე წანარიანიდანაც გავიყვანთ გოგო-ბიჭებს.

ალმასხანი, რომელსაც ოქრო ძალიან უყვარდა, გონებაში უკვე ქისებს ითვლიდა, თუმცა უცებ ერთი კითხვა დაებადა:

- კი, მაგრამ, ბატონო, ე ამდენი გოგო-ბიჭები რომ გავყიდოთ, მიწაი ვინღა დაგვიმუშავებს?

- ეგეც მოვიფიქრე, - ამაყად წარმოთქვა ბატონმა, - ამ ბოლო დროს, ერეკლემ კახეთში სომხების შემოყვანა

დაიწყო და არც თუ ცოტა შემოჰყავს. სომხებს ეკლესია და მიწები მიეცი და შენს ყველა ნებასურვილს შეასრულებენ. თან ვაჭრობაშიც გაწაფულები არიან და ოქროც უყვართ. ქართლში მაგრად მოიკიდეს ფეხი და იქაური თავადებიც კმაყოფილები არიან. ჰოდაა! აქაც მაგათ დავასახლებთ. შენ რა, ვერა ხედამ, რომა ეს ჩვენი ჯიში არ გვემორჩილება და მხოლოდ მეფისა სჯერათ და სწაამთ! ...

- ბატონო, - წამოიძახა ოქროს გაგონებაზე ალმასხანმა, - მოდი სომხები წანარიანშიც ჩავასახლოთ.

- მანდ არაფერი გამოვა, - ჩაიქნია ბატონმა ხელი, - ის თქვენი მღვდელი საბა ტუსიშვილის ნათესავია. ჯერ ერთი სომხებს არ შემოუშვებს და მეორე კიდენა, ეკლესიის გადაცემაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. მაშინვე ზაქარია გაბაშვილამდე მივა თქვენი ამბავი და ზაქარია კი იცი ვინც არის. მაგან კათოლიკოსი მოიშორა და ჩვენ რას გვიზამს!? ... ამიტომ სოფელში შენ თავი ისე დაიჭირე, ვითომ მაგათი მომხრე ხარ და გვერდში უდგეხარ. დღეს მოთმინება სჯობს, ხვალისაზე კიდენა ხვალ ვიფიქროდ!

ალმასხანი ძალიან დაფიქრებული წამოვიდა ბატონისგან. აღარ იცოდა, უნდა გახარებოდა ბატონის შეთავაზებული საქმე თუ - არა. ოქრო ძალიან უნდოდა, მაგრამ მის მოსაპოვებლად ხანჯლის პირზე სიარული კი - არა. ისე, როგორც ნათქვამია: ,,დღევანდელი კვერცხი უჯობდა ხვალინდელ ქათამს“, თუმცა უარის თქმის შემთხვევაში, შეიძლება საქმე ისე შეტრიალებულიყო, რომ

ბატონს მისთვის „დღევანდელი კვერცხიც“ წაერთმია. ამიტომაც იძულებული გახდა ,,ჩათრევას ჩაყოლა ემჯობინებინა“. უცებ, ზაქრო გაახსენდა. ცხენის აღვირი მოზიდა, გაჩერდა, თავი გადაიქნია და ჩაიბურტყუნა:

- შენ მაინც არ დაგიძმაკაცდები! კატუა მალე გაგაგიჟებს და დაჩოქილი მოხოხდები ჩემთანა ...

XXVI

- იმპერატრიცა ვერც უნიატებს[28] იტანს და ვერც მხითარისტებს, - თქვა ბატონიშვილმა გიორგიმ, როგორც კი ანტონისგან ხელმწიფესთან შეხვედრის შედეგები მოისმინა, - მათ მწვალებლებს ეძახის, ქრისტე მეორედ გააკრეს ჯვარზეო.

ანტონი თვითონაც კარგად ხვდებოდა, რომ ელისაბედ პეტრეს ასულის სახით, მას რუსეთში მართლმადიდებლობის კიდევ ერთი ,,მაღალი კედელი“ დახვდა. თავის ბედზე კიდევ ერთხელ გამწარებული, ავიდა მორთმეულ ეტლზე, შეხედა თავის სისხლსა და ხორცს - გიორგი ბატონიშვილს და უთხრა:

- მძულს თეიმურაზი, მძულს იმპერატრიცა და ყველა ის, ვინც ამ საუკუნოვანი სიბნელიდან ვერ გამოსულა!

- თქვენო უწმიდესობავ, - მიუგო ბატონიშვილმა, - არ ინერვიულოთ, ყველაფერს მოვაგვარებთ. სინოდში

28 უნიატები - საეკლესიო უნიის მიმდევრები

ჩვენი ხალხი გვყავს, რაზეც გვინდა იმაზე მოვაწერინებთ ხელს, მერე კი ვიზრუნებთ ჩვენი კუთვნილი ტახტის დაბრუნებაზე.

ანტონის შეხვედრა იმპერატრიცასთან კი შედგა, მაგრამ მას გაგრძელება მოჰყვა ხელმწიფის კარზე იმ ჩინოვნიკებთან, ვისაც დავალებული ჰქონდა კავკასიასთან ურთიერთობა. მათ კარგად იცოდნენ ანტონის გაკათოლიკებისა და ქართლის ტახტისთვის გაჩაღებული ბრძოლის შესახებ. რუსეთის სამეფო კარს აწყობდა ქართველების ასეთი დაპირისპირება ერთმანეთთან, რაც მათი დასუსტების ხარჯზე რუსეთის გავლენის გაძლიერებას გამოიწვევდა ქვეყანაში. ამიტომ სინოდს გაეგზავნა საიდუმლო წერილი იმის თაობაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია ამოეღოთ ანტონისგან და ვითომ სინოდის წევრების დიდი წინააღმდეგობისა, მაინც დაეკმაყოფილებინათ კათოლიკოსყოფილის თხოვნა.

სინოდმა ანტონისაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა იმის თაობაზე, თუ რატომ დატოვა საქართველო და რას ეძებს რუსეთში? ან როგორია მისი რელიგიური რწმენა? თექვსმეტ მარტს ანტონმა სინოდს წარუდგინა თორმეტი მუხლისგან შემდგარი განმარტება ანუ ,,სიმვოლო სარწმუნოებისა“. ეს წერილი, როგორც რელიგიური კრედო, სინოდმა დამაკმაყოფილებლად სცნო, მაგრამ მასში ჯერ კიდევ არაფერი იყო ნათქვამი საქართველოდან ანტონის გაძევების მიზეზის შესახებ. ამ ბარათმა ეჭვი გაუ-

ჩინა სინოდის წევრებს და მოსკოვის არქიეპისკოპოსმა ჰკითხა ანტონს:

- მეუფეო, თქვენ ყველაფერს წერთ ახსნა-განმარტებით ბარათში, მაგრამ თავს არიდებთ მთავარ კითხვას - მიიღეთ თუ არა რომის სარწმუნოება?

- თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, - უპასუხა ანტონმა, - მე ისედაც ვაპირებდი წმიდა სინოდისადმი ახალი ახსნა-განმარტებითი ბარათის მორთმევას და ნება მიბოძეთ ყველაფერი წერილობით მოგახსენოთ.

ანტონმა კვლავ გვერდი აუარა მთავარ კითხვას, თუმცა სინოდი დათანხმდა ანტონის თხოვნას და სხდომა გადადო. კათოლიკოსყოფილმა პასუხის გაცემაზე შეგნებულად თქვა უარი, არ უნდოდა, რომ წამოსცდენოდა რაიმე ისეთი, რომელიც მის სინოდში გაწევრიანებას და დასახულ გეგმებს შეუშლიდა ხელს. ოცდაათ აპრილს ახალი განმარტებითი ბარათი წარადგინა სინოდის სხდომაზე, სადაც აღარ ესხმის თავს თეიმურაზ მეფეს, აღარაფერს ამბობს თავის გვარის პრეტენზიებზე სამეფო ტახტის მიმართ. უფრო მეტიც, ბრალს სდებს ქართლის მოხელეებს კონსტანტინე მუხრან-ბატონს, ჯიმშერსა და სულხანს: ,,მეფემ ამ მოხელეებს დაუნაწილა ქართლი და მათაც ხელი მიჰყვეს მოსახლეობის შევიწროვებას. მე გამოვექომაგე ჩაგრულებს, რისთვისაც თავადებმა და მეფემაც შემიძულეს, კათოლიკობა დამწამეს და გამაძევეს“.

- თქვენი განმარტებით, მეუფეო, - წარმოთქვა კიევის არქიეპისკოპოსმა, - გამოდის, რომ თქვენ არ მიგიღიათ რომის სარწმუნოება და დაგწამეს?

- თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, - უპასუხა ანტონმა, - მე რომ კათოლიკობა მიმეღო, მაშინ თეიმურაზ მეფე ნუთუ არაფერს დაწერდა ამის შესახებ თავის წერილში, რომელიც მე გამომატანა?

აქაც იცრუა ანტონმა. მას მხედველობაში ჰქონდა ის წერილი, რომლის ტექსტიც თვითონ შეადგინა და რომელზეც ხელის მოწერა თეიმურაზს დიდი მუდარის შემდეგ გამოსთხოვა და იქვე დაამატა:

- თეიმურაზ მეფემ განშორებისას ისიც მთხოვა, რომ მელოცა მისთვის. მას რომ ჩემი გაკათოლიკებისა სჯეროდეს, მაშინ ლოცვა-კურთხევას როგორ მთხოვდა? ან კიდევ ერეკლე მეფე, რუსეთისკენ მომავალს, რატომ გამომიგზავნიდა ასეთ წერილს: ,,შენ საქართველოს ეკლესიის მარილი და მეფეების გვირგვინი გაგვეცალე. ღმერთმა მრავალ წელს გაცოცხლოს და მეც შენი სიწმიდის ლოცვით იმდენი მოწყალება მიბოძოს, რომ უშენოდ არ მომკლას“.

სინოდმა მოუსმინა ანტონს, მაგრამ გადაწყვეტილება არ მიუღია.

XXVII

მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში თეიმურაზი და ერეკლე, ხოლო იმერეთში სოლომონ პირველი ქვეყნის ფეხზე დაყენებას და განვითარებას ცდას არ აკლებდნენ და ამისთვის სისხლს ღვრიდნენ სამშობლოს მტრებთან უთანასწორო ომებში, ზოგიერთი სამეფო კარის მოხელე და თავადთა გარკვეული ნაწილი ტყვეთა ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული. გამდიდრების წყურვილით ზნედაცემული ადამიანები იტაცებდნენ ქალსაც და კაცსაც, ყრმასაც და ხნიერსაც, აზნაურსაც და უაზნოსაც. ყველაზე ძლიერ ფასობდნენ ახალგაზრდები - ლამაზი, მშვენიერი, გონიერი და ღონიერი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ასული უმშვენიერეს სამკაულად უნდა მოვლენოდა სულთანთა, ხონთქართა და შაჰთა ჰარამხანებს. იგი უნდა ყოფილიყო მუსლიმ მბრძანებელთა ხასა, გამართლების შემთხვევაში - თანამეცხედრე, თურქი და სპარსი შვილების გამჩენი და საქართველოს მტრებად აღმზრდელი. მოტაცებული და გაყიდული ქართველი ბიჭები, შემდგომ უბადლო ვაჟკაცები, ისლამის უმამაცესი და უერთგულესი მეომრები ხდებოდნენ, თურქეთში - იანიჩარები, ეგვიპტეში - მამელუქები, სპარსეთში - ყიზილბაშები.

იტაცებდნენ ყველგან, გზაში, ყანაში, წყაროზე, სამწყემსურში, წისქვილში, ეკლესიაში და სახლში მიხდო-

მით. იტაცებდნენ ოსმალონი, სპარსნი, ლეკნი და თვით ქართველნიც. არც გაღატაკებული მოსახლეობა აკლებდა ხელს და ადვილად იშორებდა თავიდან ოჯახის წევრს, ჰყიდდა შვილს, დედას, დას, რათა აღებული გასამრჯელოთი თავი სიღატაკისგან ეხსნა. ქართველ ტყვეებს ჰყიდდნენ სტამბოლში, ახალციხეში, ანაკლიაში, ტრაპზონსა და სხვადასხვა ადგილებში მოწყობილ, ადამიანებით ვაჭრობის ბაზრობებზე.

მიუხედავად ასეთი განუკითხაობისა საქართველოს მოსახლეობა, ავი თუ კარგი, მდიდარი თუ ღარიბი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი ჩვეულებრივი ცხოვრებით მიჰყვებოდა ქვეყნიერების დინებას, ქორწინდებოდნენ, შვილებს აჩენდნენ, ზრდიდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ და სიცოცხლის ბოლომდე გახლართულნი იყვნენ წუთისოფლის მთავრის მიერ მოქსოვილ ბადეში. სხვადასხვა სარწმუნოების ერთმანეთში აღრევამ და გამდიდრებისადმი ლტოლვამ, მოსახლეობის უმრავლესობას დაავიწყა, რომ სამყაროს შემოქმედი გახლდათ წმიდა სამება, რომლის დაწესებულ კანონების უგულებელყოფა კარგს არაფერს მოუტანდა არც ქვეყანას და არც ხალხს. ამიტომაც, სამწუხაროდ, ადამიანთა გატაცებაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ...

როგორც ყველგან, კახეთშიც მოსავლის დაბინავების შემდეგ, ქორწილების დრო დგებოდა. გიორგობამდე უნდა მოესწროთ ვაჟების დაქორწინება და ქალე-

ბის გათხოვება, რადგან შემდეგ საშობაო მარხვისთვის მომზადებულიყვნენ. სოფელ მთისყელის ზემოუბანში, ერთ-ერთი გლეხის ეზო-ყურე და სახლ-კარი ხალხით იყო სავსე. მოყვასიაანთ გოგიტას ცოლად მოჰყავდა აპარეკაანთ დარიკო. ხორც-წვენისა და მწვადების საამო სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. თონიდან ახლად ამოღებულ შოთებს ალაგებდნენ სანოვაგით უხვად დატვირთულ საქორწილო სუფრაზე, სადაც კიდევ რამდენიმე სახის სხვა პურიც იყო ლამაზად ჩაწყობილი: დედას პურები, მურასა, კაკალა და საგარეჯო პურის მოტანაზეც ეზრუნა თვითონ უხვი პურადობით განთქმულ ოჯახის უფროსს - მოყვასიაანთ ლუარსაბს.

-კაცოო, ლუარსაბ! აღარ დავსხათ ხალხიი? - უთხრა ოჯახის უფროსს საკუთარმა უმცროსმა ძმამ გიორგიმ, რომელიც ხელმძღვანელობდა ქორწილის მიმდინარეობას, - დაიღალნენ ლოდინითა!?

- მამასახლისს ველოდები, შემპირდა, თამადად დაგიდგებიო და ... - აბა, არა სჩანს! ... უპასუხა ძმას აღელვებულმა ლუარსაბმა.

ამ დროს ეზოში მამასახლისის ხელის ბიჭი გამოჩნდა, ლუარსაბთან მივიდა და ყურში ჩასჩურჩულა:

- მამასახლისს თელავში დაუძახეს და ვერ მოვა. სხვა ვინმე ნახოს თამადათაო.

ლუარსაბი საგონებელში ჩავარდა: ,,ხალხი ქორწილში დროის გასატარებლად და საქეიფოდ დავპატიჟე და

თამადობა როგორ დავავალო ვინმეს, ეს ხომ უპატივცემულობა იქნებაო“ და გადაწყვიტა, თვითონ ეთამადა საკუთარი შვილის ქორწილში, თან ფიქრობდა: ,,განა ამისთანა რა საქმე გამოუჩნდა იმ ოჯახქორსა, რომა ეგრე უცბად გაიქცა თელავშია?“

ქორწილის უხვი პურადობა მალე გადაიზარდა ხელგაშლილ ნადიმში, რასაც დალოცვილი კახური სიმღერები და გოგ-ბიჭების ცეკვა-თამაში მოჰყვა. ისეთი ლხინი გაიმართა, რომ ლამის გიორგობისთვის ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავები დაბლა, დედამიწისკენ დაიხარნენ, რათა მთისყელიალენთა ლხინისთვის ეყურებინათ და იმ ჰანგებით დამტკბარიყვნენ, რომელთა ხმოვანებამაც თვით ნახევრადჩაბნელებული მთვარეც კი მთლიანად გააკაშკაშა.

ერთმანეთის გამოცეკვებით აღტკინებული და სასიამოვნო სიმხურვალით აცეცხლებული გოგო-ბიჭები, რომელთაც ქორწილში მირთმეული მცირეოდენი ღვინოც ერთგვარ სითამამეს ანიჭებდა, ნელა-ნელა გაიკრიფნენ მოყვასიაანთ ეზო-ყურედან და სოფლის ორღობეების სიბნელეში არჩიეს თავიანთი გახურებული სხეულის გაგრილება.

ქორწილი კი მართლა ქორწილობდა და ხელგაშლილი ნადიმიდან ლაღ ღრეობაში გადადიოდა. მაყრიონის თავკაცმა, როგორც კი თამადის მიერ მიწოდებული ყანწი ჩამოცალა, კარგად შეზარხოშებულმა ულვაშზე ხელი გადაისვა და ყველას გასაგონად წარმოთქვა:

ტურფანი სხედან ჩარდახსა არიგებ-ჩარიგებული,
წინ ლურჯი სუფრა უშლიათ, ზედ ღვინო მორიგებული,
პურსა იჭამენ და ღვინოი სმენ, სიმღერაი არ იტყვიანო,
არ ვიცი ვისა იგლოვობენ, არ ვიცი არ იციანო! ...

- მართალია! ... მართალი! ... დაუძახეთ გოგო-ბიჭებსა! ... იმღერონ, იმღერონ! ... - გაისმა აქეთ-იქით.

ამ დროს, სახლში სირბილისაგან დაღლილი და ფერდაკარგული შიოაანთ მიტო შემოიჭრა, ძლივს მოითქვა სული და როგორც იქნა აუწყა მომხდარისაგან გაშეშებულ და გაჩუმებულ მექორწილეებს:

- ლეკები, ხალხო! ... ლეკები! ... ჩვენი გოგოები და ბიჭები მოიტაცეს! ... მე დავუსხლტი ... ღმერთმა მიშველა! ...

- მდევარი! ... მდევარი ...! - იყვირა ვიღაცამ.

ბიჭებიდან, ვინც მდევართა რაზმში იყო ჩარიცხული, ოთხი მათგანი თელავში მიმავალ მამასახლისს გაუყოლებია. ერთი ქორწილში იყო და მაშინვე გაიქცა ბიჭების შესაკრებად ...

გამთენიისას მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა. გამტაცებლების კვალსაც ვერ მიაგნეს.

შიოაანთ მიტოს მამა ელიზბარი, რომელიც ქორწილში რატომღაც ღვინოს ცოტას სვამდა, უცებ წამოდგა, მასპინძელი გარეთ გაიხმო და უთხრა:

- ლუარსაბ! ძაან ეჭვები გამიჩნდა და წანარიანში უნდა ჩავიდე ბიჭებთანა. არავისთან არაფერი არა თქვა და ჩემს შეტყობინებაი დაელოდე. არც მამასახლის-

თან სიტყვა არ დაგცდეი! ყველაი უთხარ: ,,არ ვიცი სად არის-თქო! ...

ელიზბარი ცხენს შეახტა და გაჰქუსლა წანარიანისკენ ...

ზაქრო ეზოში ტრიალებდა, როდესაც ელიზბარი ცხენით მიადგა მის ჭიშკარს, უმალ ჩამოხდა და შევიდა ეზოში. ზაქრომ ხელები გაშალა და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

- მშვიდობა შენს მოსვლას! ...

- ეგ არის, რომ არა გვაქვს მშვიდობა, ჩემო ზაქრო ...

ელიზბარი ზაქროს დაწვრილებით მოუყვა მთისყელში დატრიალებული უბედურების შესახებ და ბოლოს, მომხდარით დათრგუნულმა ზაქროს თვალებში შეხედა და უთხრა:

- შენი სასოებაღა დამრჩენია, ჩემო ზაქრო, იქნებ გვიხსნა გაჭირვებისგან ...

ელიზბარს სიტყვაც კი არ ჰქონდა ბოლომდე დამთავრებული, რომ ზაქრომ უცებ დაადგა უნაგირი ცხენს და ორივემ გაჰქუსლეს სოფლის შარაზე.

ზაქროს რაზმი უცებ შეიკრიბა, დათქმულ ადგილზე, მდინარის პირას. ზაქრო ჩქარობდა, ამიტომ პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

- ძმებო! ლეკებმა დაიწყეს თარეში და ჩვენს ხალხს იტაცებენ! დღე და ღამე მორიგეობა დააწესეთ სოფლის ყველა შემოსასვლელთან! მათე, შენ ბერთუბანში უნდა წახვიდე იასესთან. მოუყევი ყველაფერი. მაგან მოკლე

გზა იცი კაწარეთიდან ქართლში გადასასვლელი და თავის ხალხით სასწრაფოდ ჩავიდეი სამთავისში. იქ ტყვეებით მოვაჭრე ქარავანი, ახალი ტყვეების შესავსებად, ორი დღე ჩერდება. ჩვენები იქ იქნებიან და გამოიხსნაი. მხოლოდ თავისთან წაიყვანოი ბერთუბანში, ისე, რომ არავინ არაფერი გაიგოი!. ყველაფერი რომ დამთავრდება, მერე ჩვენ გადმოვიყვანთ სახლებში. ათი კაცი ეყოფა მაგ საქმეს. მე აქ უნდა დავრჩე და მივხედო ჩვენს სოფლებ. ამ საქმეი სხვა სუნი უდიი. არავიი არაფერი უთხრათ, თორემ ხელ შეგვიშლიან ...

- რა იცი, ზაქრო, რომ მაინცდამაინც ქართლისკენ გაიტაცებდნენ, - იკითხა მათემ, რომელიც უკვე ბერთუბანში წასასვლელად ემზადებოდა, - იქნებ დაღესტნისკენ გაიტაცეი!?

- არა, - მიუგო ზაქრომ, - იქით აღარ მიჰყავთ! ჯერ ერთი იმიტომა, რომა ერეკლემ გადასასვლელებში მორიგე რაზმები ჩააყენა, მეორე კიდენა - ლეკეთში გადაყვანილ ტყვეებში გამოსასყიდის მისაღებად დიდხანს უხდებათ ლოდინი. ქართლში კი მაშინვე უსწორდებიან ვაჭრები და ეგრე მიდი-მოდიში შოულობენ ოქრო-ვერცხლსა. ტყვეებით ვაჭრობით იგეთი ხეირი ნახეი, რომა პირუტყვიი გატაცებაი აღარა ჰკადრულობენ ...

XXVIII

ათას შვიდას ორმოცდაჩვიდმეტი წლის დეკემბერში, ეპისკოპოს პლატონის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთის წმიდა სინოდმა ანტონი დანიშნა ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიის არქიეპისკოპოსად. ამ დროს რუსეთში მხოლოდ ოთხი არქიეპისკოპოსი მოღვაწეობდა. ასეთ პატივს ყველას როდი მიაგებდნენ რუსეთის იმპერიაში. ეს ნიშნავდა, რომ მას რუსული საქმე უნდა ეკეთებინა.

ეპარქიაში განწესების წინ კათოლიკოსყოფილი კვლავ დებს ფიცს, რომელიც მისთვის ჩვეულებრივ მოვლენად იყო გადაქცეული, როგორც კაცისა, რომელიც მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალებით იყო შემოსილი: ,,შემდგომად აღვიქვამ, რათა არავინ ჩემისა ვნებითისა ნებითა, გინა რომელისამე ჩემთანა მტერობითა, გინა ჩემთა მათთანა სახლეულითურთ, გინა შევაჩვენო, არცა განვაშორო ეკლესიისათა, თვინიერ უკეთუ ვინმე თავი თვისი გამოარჩინოს დამარღვეველად მცნებათა ღმრთისითა, გინა წინააღმდეგად ეკლესიისა მწვალებელად გამოჩნდეს და სიტყვათაებრ ქრისტესთა შემდგომად სამგზის მხილებისა არა მორჩილ იქმნას არცა განემართოს და იგიცა სახლეულით შეჩვენებული და განკვეთილ იქმნეს წინააღმდეგ სამართლით ვექცეოდე სიტყვისაებრ პავლე მოციქულისა ... ხოლო უკეთუ ჩემ მიერ აქა აღთქმულთა რომელთამე გარდავხდე, გინა საღმრთოთა კანონთა და

წესსა აღმოსავლეთისა მართლმადიდებლისა ეკლესიისა, მაშინღა განკვეთილ ვიქმნე ყოვლისა ხელმწიფებისა და ხარისხისა ჩემისაგან, თვინიერ ყოვლისა შემსმენელობისა სიტყვისა და უცხო ვიქმნე ნიჭისა ზეციერისა“.

მას შემდეგ, რაც ანტონმა დაიკავა სასულიერო თანამდებობა რუსეთის სინოდში, ისევ დაიწყო ინტრიგების ხლართვა, როგორც მეფე თეიმურაზთან, ასევე ზაქარია ხუცესთან. ეს იმას ნიშნავდა, რომ ორივე ამოიღო მიზანში.

თეიმურაზ მეფისადმი მიწერილი წერილები გაცილებით უფრო ფრთხილია. იქ არ არის ის დამრიგებლური და მკაცრი ტონი, რასაც ვერ მალავს ზაქარია ხუცესისადმი მიწერილ წერილში. თეიმურაზ მეფეს ანტონი მოტრფიალე და მონანულ დამნაშავედ აჩვენებს თავს, რომელიც ცდილობს ცრემლებით წარიხოცოს თავისი დანაშაული და აღიდგინოს მეფის უწინდელი ნდობა: ,,რათა მოვიღომცა ღირსებაი, ძველისა მოწლეობისა, რომელი მაქუნდა ...“.

თეიმურაზი წერილებს ყურადღებას არ აქცევდა. მან კარგად იცოდა ანტონის დამოკიდებულება მისადმი - იგი თავისას არ მოიშლიდა არასდროს. ხშირად იტყოდა ხოლმე:

- მაგას ისე აქვს სულში გამჯდარი ლათინთა სარწმუნოება, რომ მასში ამ უწმიდურობას ვერავინ წარხოცავს თუ თვითონ არ მოიწადინა. როდესაც გადაწყვეტს ღირსეულად მოინანიოს მართლმადიდებლობის წინაშე

ჩადენილი ცოდვები და არა ფარისევლურად, აი, მაშინ გადმოხედავს უფალი და აკურთხებს!

ანტონი კი რუსეთიდან წერილს წერილზე აგზავნის. მომხრეებს ანუგეშებს და სასოებას აძლევს. მამხილებლებთან ნიადაგს სინჯავს მომავალი ურთიერთობებისათვის, ერეკლეს კი საამურ სურათებს უხატავს რუსეთის ფუფუნებისას. მეფეთმოძღვართანაც ცდილობს ურთიერთობის გარკვევას: ,,ვიკითხავ თქვენსა წმიდასა და უზადოსა ცხოვრებასა. ვითხოვ თქვენისაგან მამობრივსა სიყვარულსა, რათა განაახლო ჩემდამო პირველი იგი სიყვარული და სიმშვიდისა უროსა შემუსრო კერპი სიძულვილისა და თანად ჰქმნა მეცა ეგე ორთავემ ნამუსრევი იგი ბოროტისა მის კერპისა ძაღლთა მივუყარნეთ“.

ანტონი აქტიურად თანამშრომლობდა ვახტანგ მეექვსის ოჯახთან. შვიდი წელიწადია, რაც ქართლის ტახტის მემკვიდრე ბაქარი აღარ იყო ამ ქვეყნად. ანტონი ხშირად იტყოდა ხოლმე:

- ფრთამოტეხილი არწივივითა ვარ. ბაქარი რომ ცოცხალი იყოს, ვერავინ დაგვიდგებოდა წინ, რუსეთის დახმარებით თეიმურაზს ჩამოვაგდებდით ტახტიდან და აღვადგენდით სამართლიანობას!

XXIX

იასე თავისი ბიჭებით მიჰქროდა ქართლის მინდვრებზე. ზაზა გვარიძიშვილი, რომელსაც მთელი გზის მანძილზე ხმა არ ამოუღია, კრიჭა ჰქონდა შეკრული და სიმწრისაგან ფერიც კი ჰქონდა დაკარგული, როგორც იქნა ალაპარაკდა:

- იასე! მე და ოლაგირი წინ წავალთ, შევხედავთ ვინ არიან და რამდენი!?

- წადით, მაგრამ არ დაიწყო შენებური შევარდნები და უთანასწორო ბრძოლა. ხომ იცი, კოკაი წყალი ყოველთვინ არ მოაქ!

ზაზას ხმა არ ამოუღია და ოლაგირთან ერთად დაწინაურდა, თუმცა მალევე მობრუნდნენ. მეომრები გაჩერდნენ და ზაზას შეხედა ყველამ, რას იტყოდა.

- დაცვაში ორმოცდაათამდე კაცი ჰყავთ.

- ქართველები არიან? - ჰკითხა იასემ.

- არა! ოსმალოები!

- მადლობა ღმერთს, რომ ქართველები არ არიან და ძმათა სისხლისღვრა არ მოგვიწია! - გაუხარდა იასეს და ხელი ხმალზე გაიკრა. მერე ისევ ზაზას მიუბრუნდა, - აბა, რას იტყვი, დავხოცოოთ!?

- ამაზე საუკეთესო დროი ვერა ვნახავთ, - უპასუხა ბრძოლის ჟინს აყოლილმა ზაზამ, - წასასვლელად ემზადებიან და დაცვის ხალხიც მაგათ ეხმარება ტვირთის აბარგებაში. ისე, რომ მოდუნებულნი არიან.

- ჩვენები მანდ არიან? - იკითხა პატარძეულელმა ზაქარიამ.

- რა მნიშვნელობა აქვს იქ არიან თუ არა. ჩვენები თუ არა, სხვა ჩვენები ხომ არიან! — გაეცინა იასეს, ხმალი იშიშვლა, ჰაერში დაატრიალა და იყვირა:

- ოთხი თოფი დააცალეთ და როგორც ერეკლე იტყვის ხოლმე: ,,ჰკა მაგ წუნკლებსა!“

კახელები ჯიქურ შეიჭრნენ ჯერ კიდევ ნახევრად აბარგებულ ქარავანში და დაიწყეს შეიარაღებული კაცების უმოწყალო ჟლეტვა. ზოგი გაიქცა, ზოგმა დამალვა სცადა ...

- არავინ დაინდოთ ტყვეების გარდა! - იყვირა იასემ და მისკენ გამოქანებულ მახვილშემართულ თურქს ხმლის ერთი მოქნევით თავი გააგდებინა.

როდესაც ბრძოლა მორჩა, მეომრებმა ტყვეებისთვისაც მოიცალეს, რომლებიც პატარა გორის ძირას, ერთმანეთზე ბორკილებით გადაბმულნი ჰყავდათ დაყრილი.

- მთისყელის ხალხი აქ არიაან!? - იკითხა იასემ.

- ჩვენა ვაართ ბატონო! - უპასუხა შავგვრემანმა და მაყვლისფერთვალება გოგონამ.

- ყველანიი! - გაიმეორა იასემ.

- ყველანი ბატონო! - უპასუხა ისევ იმ გოგონამ და მოულოდნელი სიხარულისგან თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა.

- ბატონ ნუ მეძახი, - გადაიხარხა იასემ, - მეც შენსავით გლეხი ვაარ! და არც ასაკით ვარ ძალიან დიდი შენზე.

ბიჭებმა ტყვეებს ხელბორკილები მოხსნეს, ქარავნის ცხენებიც შეკაზმეს. ასე, რომ ცხენები ყველას ჰყოფნიდა, მათ შორის ალაფისა და ტყვიაწამლის წამოსაღებადაც საკმარისად იყო. ყველაფერი რომ მოაწესრიგეს, იასე შეახტა ცხენს და ყველას მიმართა:

- მთისყელის ხალხი ჩვენ გამოგვყვება! დანარჩენები თუ გინდათ ჩვენ გამოგვყევით, თუ გინდათ წადით სახლებში, იარაღი გაქვთ და არ გაგიჭირდებათ გზაში!

იასე თავისი ,,ამალით“ გვიან მობრუნდა ბერთუბანში, დააბინავა სტუმრები და დილაუთენია მაცნე გააგზავნა წანარიანში ზაქროსთან. ეს უკანასკნელი გზაზე გადაეყარა იასეს თანამებრძოლს.

- აბა, რას მეტყვი სასიხარულოი!? - შორიდანვე დაუძახა ზაქრომ სტუმარს.

- ყველაფერი კარგად არის, ჩვენთან არიან! თან უკლებლივ! - უპასუხა ბერთუბნელმა და დაწვრილებით მოუთხრო ზაქროს ყველაფერი.

სამი დღე-ღამე თვალი არ მოეხუჭა გიოაანთ ბიჭს. ტყეებსა და მინდვრებში დახეტიალობდა და ჩასაფრების ადგილებს ათვალიერებდა. მერე ბიჭები განაწესა ამ ადგილებში და შესაბამისი რჩევა-დარიგებაც მისცა. მიუხედავად ასეთი დაღლილობისა, ბერთუბნიდან მოტანილმა სასიხარულო ამბავმა ისე აღაფრთოვანა, რომ თავისი ცხენი ყალყზე შეაყენა და ცეკვაც კი დააწყებინა. მერე ჩამოხდა ცხენიდან, დაიჩოქა, პირჯვარი გადაიწე-

რა, მადლობა შესწირა უფალს, გადაეხვია ბერთუბნელს და გახარებულმა წარმოთქვა:

- მაგრები ხაართ, ძმებო! იასე ხომ არის და არის, მაგაი ვენაცვალე! ეგრე უთხარ - ზაქროზეა შენი პატივისცემა-თქო!

- რას ამბობ, ო! - გადაიხარხარა ბერთუბნელმა, - იასემა თავი თავსა უკვე სცაა პატივი. ერთ თქვენებურ გოგოი დაადგა თვალი, შავგვრემანსა და მაყვლითვალებასა. მე მგონია, აქეთ აღარ გამოუშვებს ... მოგვიწევს ქეიფი ქორწილშია.

გაგონილის შემდეგ ზაქრომ განცვიფრება ვეღარ დამალა:

- ეგეც მეორე სასიხარულო ამბავი! ლეკებს უმადლოდეს ლეკებსა! ...

მთისყელში ლუარსაბი და ელიზბარი წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ. ჯერ მამასახლისს მიაკითხეს და დახმარება სთხოვეს. მამასახლისმა წაივიშვიშა, ვითომ ძალიან განიცადა მომხდარი, მერე ხელები გაშალა და უთხრა გლეხებს:

- ძაან მეწყინა, ეს ამბავი რომ გავიგე... მაგრამა მე რა შემიძლიან, აბა! ... ერთად წავიდეთ ბატონთანა, იმაი უფრო მეტი ძალა ააქ და იქნება მოწყალება გაიღოი და დაგვეხმაროი! ...

ბატონმაც მამასახლისივით გაშალა ხელები, მერე ზეცისკენ აღაპყრო და დამწუხრებულმა ხვეწნა-მუდარა

დაუწყო უფალს. ბოლოს დაფიქრდა და ვითომ ძალიან შეწუხებულმა უთხრა გლეხებს:

- ყველას კართან როგორ უნდა დაიბუდოს ამ უბედურებამ. მეფე ერეკლეს ვეახლები, დავუჩოქებ და ვთხოვ, გვიხსნას ამ უბედურებისაგან. ის ყველგან მისწვდება გამტაცებლებს. იგრე ვთხოვ, როგორც ჩემი შვილებისთვინა, არ დავაკლებ ცდასა ... ხომ იცით რა გულიცა აქვს მეფესა!? ...

ლუარსაბმა და ელიზბარმა მადლობა გადაუხადეს ბატონს, დაემშვიდობნენ და მამასახლისთან ერთად თავიანთი სოფლის გზას დაადგნენ.

სულ მალე, ბატონის ჭიშკარს წანარიანის მამასახლისი ალმასხანი მიადგა. როგორც კი შევიდა ბატონის მოსასვენებელში, შიდა ოთახიდან მისმა მფარველმა იყვირა:

- ვინმემ ხომ არ დაგინახა აქ მომავალი!?

ყვირილზე ალმასხანი შეკრთა და შეშინებულს უნდოდა ბატონის წინაშე მოხრილიყო, მაგრამ სიმსუქნის გამო ვერ შეძლო. ისიც ვერ გაიგო განრისხებული პატრონი საიდან ყვიროდა. ტვინ და სხეულარეულს სისხლი სახეზე მოაწვა და მთლიანად გაწითლებულმა ძლივს წაილუღლუღა:

- არა, ბატონო, შენი კვნესა მე, ორღობიდან ჩამოველ, არავინ შამხვედრია... გარემოსაც ვათვალიერებდი და იქაც არავინ ჩანდა...

- აბა! როგორ არის საქმე!? - რიხიანად დაიწყო საუბარი ოთახიდან გამოსულმა ბატონმა, მერე ბუხრის-

კენ წავიდა, იქვე მდგარ სკამზე დაჯდა და ალმასხანსაც ანიშნა დამჯდარიყო მოპირდაპირე მხარეს.

- ისეა, ბატონო, როგორც შენ გაგიხარდება. ყველაფერი რიგზეა.

ალმასხანმა თავისი კოტიტა თითებით ჩოხის შიგნით, ორივე მხარეს დაკერებული ჯიბეებიდან სამ-სამი ოქროთი სავსე ქისა ამოიღო და ბატონს წინ დაულაგა. რაც გინდა ცუდ ხასიათზე ყოფილიყო ბატონი, ოქროს დანახვაზე თვალები უფართოვდებოდა და შინაგან წონასწორობას კარგავდა. ახლაც, ყველა ქისა სათითაოდ გახსნა, გადათვალა ოქროს მონეტები, მერე ისევ ქისებში დააბრუნა და წუთიერი ნეტარებიდან მობრუნებულმა ალმასხანს უთხრა:

- კარგია, მამასახლისო! დავალება პირნათლად შეგისრულებია და ჯილდოც გეკუთვნის... თუმცა ნახევარს ვერ მოგცემ, რადგან მე ბატონი ვარ და მეტი მეკუთვნის!...

ამის შემდეგ ბატონმა აიღო ორი ქისა და ალმასხანს გადაუგდო. ეს უკანასკნელი, ვერ ვიტყვით დაიჩოქაო, უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა - დაეხეთქა იატაკზე და ასევე ოქროს დახარბებულმა შეჰღაღადა თავის მფარველს:

- მადლობა, ბატონო, რომ მე ულირსი ასე უხვად დამაჯილდოვე. ღმერთმა არ მომიშალოი შენი წყალობა...

ბატონი ზევიდან უყურებდა თავისავით ღვთის პირიდან გაგდებულ არამზადას და ფიქრობდა: ,,ისე, როგორ კარგად ასრულებს ერთგული მსახურის როლს,

თვით დიდ მეფეთა კარის მასხარებსაც კი შეშურდებოდათ მისი“. უყურა, უყურა ამ ქონის და ხორცის გროვას და უთხრა:

- ადექი, ადექი, ალმასხან. შენ ხომ იცი, მე შენთვის ყველაფერი მემეტება, რადგან ძაღლივით ერთგული ხარ.

ძაღლთან შედარება არ მოეწონა მამასახლისს, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ბატონს რომ ეთქვა - ყეფა დაიწყეო, ამასაც გააკეთებდა, ოღონდ არ დაეკარგა ის, რაც ჰქონდა. რის ვაივაგლახით წამოდგა მამასახლისი და ახალი დავალების მოლოდინში თვალებში მიაშტერდა პატრონს.

- ხვალ ღამით ხოხბიაურს დაეცემიან, - თქვა მოულოდნელად ბატონმა და წარბები შეკრა, - სოფლის წმიდა გიორგის ეკლესიაში გიორგობის ღამის თევის წირვა-ლოცვა ტარდება. ტაძრიდან გამოსული მრევლი როგორც კი გაიფანტება ორღობეებში, იქიდან გაიტაცებენ ქალ-ვაჟებს, რამდენსაც შეძლებენ. შენ დახვდები ხევში, მიტოვებულ წისქვილთან. როგორც ახლა გაგისწორდნენ, ისევ ისე გადაგიხდიან, ერთ სულში - ნახევარ ქისას. დანარჩენი შენ იცი, გაიგე!?

- გავიგე, შენი კვნესა მე... ყველაფერ გავაკეთებ... - ამოიკნავლა ალმასხანმა, ბატონს თავი დაუხარა და ოქროს ქისებიანად გაიძურწა ოთახიდან.

წანარიანისკენ მიმავალი ალმასხანი, თავისი საქციელის გამო, თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

- ვითომ ჩემზედ მეტი რით არის ეს ჩვენი ბატონი. შუაზე არ გამიყოფს ოქროსა, ვითომ რათაო!? ეგრეც ვიცოდი და ის ერთი ქისა იმიტომაც დავიტოვე ჩემთვინა, მაგრამ იმაი მაინც ერთით მეტი შეხვდა... ეს სადაური სამართალია... აბა, ეხლა ვნახოთ... მე სიკვდილზე მაგზავნის და თვითონ კიდენა ბუხრი პირასა თბება... ვნახოთ... ვნახოთ...

წანარიანში კი ბოროტება ზეიმობდა... არც კატუა იჯდა გულხელდაკრეფილი. მამასახლისის ნაჩუქარი ძროხის დაკარგვის შიშით, ზაქროსთვის კიდევ ორი ჯადო დაამზადა. ერთ საღამოს, როგორც კი დაინახა, რომ ზაქრო ცხენით გავიდა სახლიდან, თან შეიარაღებული, მიხვდა, რომ ის მალე არ მობრუნდებოდა უკან და ერთი ჯადო ჭიშკრის თავზე გადებულ ხარიხაზე დადო, იმ ვარაუდით, რომ ჭიშკარში გადი-გამოდიოდა ცოლიც და ქმარიც და ჯადო აუცილებლად იმოქმედებდა, ხოლო მეორე სახლის უკანა კედლის ძირში, ჩხირზე დამაგრებული შეარჭო ლიბოში. ღმერთმა არ მიატოვა თავისი შვილი და მოხდა ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი რამ. გარიჟრაჟზე ჩიტი დაფრინდა ჭიშკრის თავზე. ჯერ ნისკარტით ათამაშა ჩალის პატარა კონაში გახვეული კატუას ,,ნობათი“, მერე ჩაავლო ნისკარტი და გაფრინდა. ხოლო ლიბოში ჩარჭობილი ჩხირი ვირთხამ დაღრღნა და შესანსლა.

XXX

ანტონის წასვლის შემდეგ, მასზედ განაწყენებული სამღვდელოება მზად იყო სხვა მრავალი ეპისკოპოსი და მეფე ერეკლეც კი, ანტონისადმი თანაგრძნობის გამო, კათოლიკებად მოეხსენიებინა. ცხადია, ეპისკოპოსები და მით უმეტეს მეფე კათოლიკები არ იყვნენ. ანტონის ტახტიდან გაძევების შემდეგ, ბრძოლა დაიწყო ქართლ-კახეთის კათოლიკოსობისათვის. როგორც ჩანდა და ამას მოარული ხმებიც ადასტურებდა, ტახტზე ასასვლელად ემზადებოდა ალავერდელი, მაგრამ საეკლესიო კრებამ გამოირჩია და კათოლიკოსად დაადგინა იოსებ ჯანდიერიშვილი, რომელსაც თავისი უაღრესი თავმდაბლობის გამო არასდროს ჰქონია სურვილი ტახტზე ასვლისა, მაგრამ კრების გადაწყვეტილებას წინ ვერ აღუდგა. იოსები უფრო ბერული ცხოვრებისა და მოღვაწეობისაკენ იყო მიდრეკილი და უფლისადმი თავისი გულმხურვალე ლოცვებით სასწაულებს ახდენდა. ალბათ, მისი არჩევა კათოლიკოსად უფრო იმ მიზეზით იყო განპირობებული, რომ უფალთან ახლოს მყოფი ეპისკოპოსი აღადგენდა და სწორი მიმართულებით წაიყვანდა ქვეყანაში სასულიერო საქმიანობას. ამასთან დაცხრებოდა ეპისკოპოსებში ვნებათა ღელვა ქართლ-კახეთის კათოლიკოსის ტახტისადმი ლტოლვისა. თუმცა მოხდა პირიქით. იოსებ ჯანდიერიშვილის აღსაყდრებამ გაანაწყენა ალავერდე-

ლი და მისი მომხრეები, რომელთაც ახალი კათოლიკოსის დასუსტების მიზნით, მართლმადიდებლობისთვის შეუფერებელი ცილისწამება წამოიწყეს. თუ აქამდე ისინი ანტონის დასამხობად იღვწოდნენ, ახლა ეს რისხვა ახალი კათოლიკოსისადმი მიმართეს და მხარი არ დაუჭირეს მის კანდიდატურას. ალავერდელმა კრებაზე პირდაპირ განაცხადა:

- იოსები მეუდაბნოე ბერია და სჯობს იქიდან ილოცოს ქვეყნისათვის და ხალხისათვის. ეს უფრო წაადგება ჩვენს საქმეს!

ალავერდელს მხარი დაუჭირეს ნინოწმინდელმა და ბოდბელმა ეპისკოპოსებმა. თუმცა საბოლოო სიტყვა მაინც ზაქარია ხუცესს ეკუთვნოდა და მოკლედ განაცხადა თავისი სათქმელი:

- ეპისკოპოსი იოსები, თავისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, დღეს სჭირდება ჩვენს საკათოლიკოსო ტახტს, ხოლო ვინც მის წინააღმდეგ წავა, როგორც ჩანს შინაგანად მაინც იზიარებენ ყოფილი კათოლიკოსის მრწამსს და არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში ისინიც ფრანგებად გამოვაცხადოთ!

- ხუცესო, - მიუგო ბოდბელმა ეპისკოპოსმა, - სჯობს თვითონ იოსებისგან მოვისმინოთ რას ფიქრობს ჩვენზე და ვინაიდან კრება არ ითვალისწინებს ჩვენს აზრს, ხომ უნდა ვიცოდეთ, რას აპირებს ახლად აღსაყდრებული კათოლიკოსი!?

ყველამ იოსებს შეხედა. ჯანდიერიშვილმაც არ დააყოვნა პასუხი და განუცხადა კრებას:

- არცა ვწირავ ეპისკოპოსთა და არცა ვენდობი ფრანგთა!

კათოლიკოსის ამ სიტყვებმა იმდენად გაამწვავა სიტუაცია კრებაზე, რომ მეფე ერეკლეც ჩაერთო კამათში. მან იოსების ეს ბრალდება უსამართლოდ მიიჩნია, მაგრამ მამისა და ზაქარია ხუცესის გამო, აღარ დაძაბა მდგომარეობა და განაწყენებულმა დატოვა კრება.

ამის შემდეგ ქართლ-კახეთში რატომღაც ტრადიციად დამკვიდრდა, რომ სასულიერო თუ პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის ,,მიენიჭებინათ“ ავადსახსენებელი ,,წოდება“ - კათოლიკობა და კვლავ ვერავინ აცნობიერებდა იმ საშიშროებას, რომელიც ამ ბრძოლის უკან იდგა. ეს იყო სომეხი მონოფიზიტების მცდელობა, როგორც ქართლ- კახეთის, ასევე რუსეთის სამეფო კარზე გავლენის მოსაპოვებლად. ,,სასწორის მაყურებელთა“ მწვალებლობის უარესი ტალღა უქადდა წალეკვას, როგორც საქართველოს სახელმწიფოებრიობას, ასევე მართლმადიდებლობას და ამას წინ ვერ აღუდგებოდა ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიაში ანტონის დაწერილი და ქართველების მიერ კათოლიკურ თხზულებად მიჩნეული ,,მიწყალეს“ და ,,აპოლოღიას“ დაწვა. ამას სჯობდა ქართველები გაერთიანებულიყვნენ ამ მოუცილებელი ჭირის წინააღმდეგ და გაეხსენებინათ წმიდა გი-

ორგი მთაწმინდელის სიტყვები სომხური ეკლესიის შესახებ: ,,ბოროტსა სარწმუნოებასა სახელცა ნუ ედებინ!“

XXXI

წმიდა გიორგის ბორბალზე წამების დღესასწაული, მთელს საქრისტიანოში, მხოლოდ საქართველოში აღინიშნებოდა, რადგან ჩვენი სამშობლოს განმანათლებელის - წმიდა ნინოს ბიძაშვილი - წმიდა გიორგი საქართველოში ფრიად აღიარებული წმიდანი გახლდათ და მის საპატივცემულოდ ქართველებს მთელს ქვეყანაში სამას სამოცდახუთი სალოცავი ჰქონდათ აგებული. ამასთან, ბორბალზე წამება საქართველოს ტრაგიკულ ისტორიასაც ასახავდა, რაც მას საუკუნეების სიღრმიდან დღემდე გაევლო - ტანჯვა-წამება, დარბევა, მონებად გაყიდვა და მრავალი სხვა უბედურება. რომ არა წმიდა გიორგის დახმარება, საქართველოს შეიძლება დღემდე ვერ მოეღწია. ყველა იმ ომებში, სადაც ჩვენი სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა, წმიდანი ხილულად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ამიტომ ქართველებმა ის თავისი ქვეყნის მფარველად მიიჩნიეს და მთელი ერი დღემდე მასთან დაკავშირებულ დღესასწაულებს დიდი სიხარულით აღნიშნავდა.

ვინაიდან ხოხბიაურის მეზობელი სოფლებიდან, წმიდა გიორგის სახელობის ტაძარი მხოლოდ ამ სოფელ-

ში იყო, ამიტომ დღესასწაულის ღამის წირვა-ლოცვაზე მრევლი ხოხბიაურში სხვადასხვა მხრიდან მოდიოდა. ეკლესიის შიგნით და ეზოში უამრავი ადამიანი იდგა ლოცვაზე. ტაძარს ბადრი მთვარე დაჰნათოდა ზეციდან, თითქოს ისიც იღებდა მონაწილეობას წირვა-ლოცვაში. არც ეს იყო შემთხვევითი, ქართველები ხომ უხსოვარი დროიდან მთვარეს წმიდა გიორგის ღვთაებასთან აიგივებდნენ.

აი, ასე გულმხურვალედ და თავმდაბლობით ადიდეს კახელებმა, მთვარესთან და ვარსკვლავებთან ერთად, ღმერთი და ,,ტყვეთა განმანთავისუფლებელი და გლახაკთა ხელის აღმპყრობელი, სნეულთა მკურნალი და მეფეთა უძლეველი წინამბრძოლი, ღვაწლით შემოსილი დიდი მოწამე ...“ - წმიდა გიორგი.

წირვის შემდეგ, უფროსი თაობის ადამიანები სადღესასწაულო ტრაპეზის მისაღებად დარჩნენ ტაძარში, ხოლო ახალგაზრდები კი სიცილ-კისკისით გაემართნენ შინ...

... რომ არა სოფელში ზაქროს და მისი რაზმის წევრების მიერ მოწყობილი საგუშაგოები, ხალხისთვის ეს ბედნიერი დილა შეიძლება ჯოჯოხეთად ქცეულიყო ...

ჩასაფრებულმა ბიჭებმა ადამიანებზე სანადიროდ შემოპარული ლეკები ყოველგვარი ხმაურის გარეშე გაატარეს ხოხბიაურისკენ. ყველა შესასვლელი კარგად შენიღბული ჰქონდათ. ასე, რომ ლეკები, თავისი ნადავლით რომელ მხარესაც გინდა გაქცეულიყვნენ, ყველგან ზაქროს რაზმელები დახვდებოდნენ. წინა შემთხვევიდან

გამომდინარე, ქართლისკენ მიმავალი გზა უფრო მეტად იყო გამაგრებული და თვითონ ზაქროც იქ იმყოფებოდა.

რიჟრაჟი არ იყო ჯერ კიდევ დაწყებული, რომ ხოხ-ბიაურის ორღობეებში წივილ-კივილი ატყდა... დადგა საბედისწერო ჟამი... როგორც ჩანდა ნარჩევი ლეკები ჰყავდათ დაქირავებული, თავის ბინძური საქმის კარგად მცოდნენი, რადგან მცირე დროის მანძილზე მოამთავ-რეს ახალგაზრდების დაწიოკება და მალევე გაკოჭილი და ცხენებზე შეგდებული ადამიანებით გაჰქუსლეს ქარ-თლისკენ მიმავალი გზისკენ. ზაქროს გუმანმა არც ამჯე-რად უმტყუნა. ყველა ლეკი იმ ბილიკისკენ მიაჭენებდა ცხენს, რომელიც ხევში მიტოვებულ ძველ წისქვილთან მთავრდებოდა და მერე უკვე პატარა მთის გადავლით ტყეში იკარგებოდა. ასე, რომ მტაცებლები მთას თუ გა-დაივლიდნენ და ტყეში შეაღწევდნენ, მათი დევნა, თან სიბნელეში, ძნელიც იყო და სახიფათოც, რადგან შეიძ-ლება სულაც ბრმა ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო ჯან-ღონით სავსე მეომარი.

ზაქრომ, დაზღვევის მიზნით, რამდენიმე ბიჭი მიტო-ვებულ წისქვილთანაც გააგზავნა. მხოლოდ, მათ შორი-დან უნდა ეთვალთვალათ, რადგან წისქვილში შეიძლება რაიმე მახე ყოფილიყო დაგებული. ხოლო საჭიროების შემთხვევაში ბრძოლაშიც ჩაერთვებოდნენ.

საბედნიეროდ, ირიჟრაჟა... მთვარესაც ჯერ კიდევ შერჩენოდა დედამიწის გასაკაშკაშებელი ელვარება ... ასე, რომ კახელები უკვე კარგად ხედავდნენ სამიზნეს...

ლეკები სამეულებად იყვნენ დაყოფილნი. სულ თხუთმეტი დათვალეს. პირველმა ჩასაფრებამ გაატარა ყველა და მერე უკან აედევნენ. შუა ჩასაფრებამ ორი სამეული გაატარა, ხოლო დანარჩენები, უკან დადევნებულ პირველ ჩასაფრებასთან ერთად, ისრებით ჩახოცეს. მესამე, ანუ ბოლო ჩასაფრების ბიჭებმა, წინ მიმავალი ორი სამეულიდან, მეორე სამეული ისრებით ჩახოცეს, ხოლო პირველ სამეულს წრე შემოარტყეს და ტყვედ აიყვანეს... ზაქროს გუმანმა აქაც გაამართლა. ლეკთა რაზმის უფროსი ამ სამეულში აღმოჩნდა და ის მიუძღვოდა წინ თავის რაზმს ქართლისკენ ...

- სამივე შეკარით და წისქვილში შეყარეთ! - დავალება მისცა ზაქრომ ბიჭებს, - მოკლულები გაჩხრიკეთ, შეიძლება რაიმე წერილი ჰქონდეთ! ჩვენი გოგო-ბიჭები დააწყნარეთ ჩვენ მოსვლამდე!

როგორც კი ხევის მხრიდან წისქვილს მიადგნენ, უკან ტყეში ჩასაფრებულმა ბიჭებმა ხმაური ატეხეს. ზაქრომ გასძახა:

- რას აფორიაქდით! ჩვენა ვართ, ვერა გვხედაამთ!?

პასუხად სიცილ-ხარხარი მოესმათ ზაქროს და მის რაზმელებს. ზაქრომ ბინდბუნდში ტყიდან მომავალი თავისი ბიჭები იცნო, ვიღაცას მოათრევდნენ და სიცილს ვერ იკავებდნენ. ზაქროს ცნობისმოყვარეობამ სძლია და სანამ ტყიდან მომავალი ბიჭები ხევზე გადმოვიდოდნენ, კიდევ ერთხელ გასძახა:

- ვინ არის!? მანდაც იპოვეთ უჯიშოო!?

- უჯიშოზე უარესი! - გაისმა ერთ-ერთი წანარიანელის ხმა, - ზაქროოო! შენი ძმაკაცი ვიპოვეთ!

- ვინ ჩემი ძმაკაცი! აღარ იტყვით ვინ არიი!?

- ალმასხანაა! ... ალმასხანა! ... ეტყობა სახლში ვერ იძინებს და აქ გამოსულა სუფთა ჰაერზედა! ...

ლეკებმა სიცოცხლის ჩუქების პირობით, ყველაფერი აღიარეს. რა თქმა უნდა, ყველა კვალი ბატონთან მიდიოდა. ალმასხანზე გადასაცემი ოქროც გამოაჩინეს. გაკოჭილ და წისქვილის კუთხეში მიგდებულ ალმასხანს ოქროს ქისების დანახვაზე, როგორც სჩვეოდა, თვალები გაუფართოვდა. იქვე მდგარმა წანარიანელმა კოლამ შენიშნა მამასახლისის ეს გამოხედვა, წიხლი უთავაზა და ,,დაამშვიდა“:

- თვალებიი დაჭყეტა თელავში ნახე, შე უღმერთოვ! თან მეფე ერეკლე როგორ ვერ იტანს ლეკების ოქროი მონებსა!

ზაქრომ ორი თანამებრძოლი გააგზავნა ბერთუბანში იასესთან, რათა მთისყელელი გოგო-ბიჭები წამოეყვანათ, ხოლო თვითონ თავის რაზმელებთან და ტყვეებთან ერთად ბატონის სასახლისკენ გაემართა.

XXXII

ტფილისში, ქვედა კალას უბანში, ჯვრის მამის ეკლესიის გვერდით, ჯერ კიდევ მიმდინარეობდა ღვთისმშობლის ქართული ტაძრის გადაკეთება სომხურ ეკლესიად. ათას შვიდას ორმოც წელს, სომხებმა ისარგებლეს ქართლში უმეფობით და ქრთამის, დიდი ფულის გადახდის შემდეგ, იყიდეს ეს შესანიშნავი ტაძარი, რომელიც დედა ღვთისას სახელზე იყო ნაკურთხი. ხაჩეცარები[29] ასეთ ადგილებზე გამიზნულად ყიდულობდნენ ტაძრებს და ამას თავისი მიზეზები ჰქონდა. ისინი ცდილობდნენ, საქართველოში ეყიდათ ან აეშენებინათ სალოცავები განსაკუთრებით ძლიერი სიწმიდეების გვერდით, სადაც შემდეგ საცხოვრებლად თავის თანამემამულეებსაც ასახლებდნენ. კარგად იცოდნენ, რომ მეხუთე საუკუნეში ქრისტეს ღალატის ანუ მონოფიზიტობის აღიარების შემდეგ, მათ განეშორათ უფლის მადლი და სხვის საკუთრებაზე მონადირე სომხები ღვთიური მადლის მოპარვას ამ გზით ფიქრობდნენ. ამასთან, ბოროტის მიმდევარნი, ყველანაირი გზით ცდილობდნენ სხვათა, განსაკუთრებით ქართველების მოქცევას გამრუდებულ სარწმუნოებაზე.

ვახტანგ გორგასალმა თავისივე აგებულ ჯვრის მამის ტაძარს გოლგოთა უწოდა. ეს კარგად იცოდნენ სომხებმა და ხალხს ასე მიმართავდნენ:

29 ხაჩეცარები - სომხური მონოფიზიტური სწავლების ერთ-ერთი მწვალებლობა

- შემოდით ჩვენს ეკლესიაში. აქ ღვთისმშობელი - ნორაშენი სუფევს, რომელიც გოლგოთაზე, ჯვარზე გაკრულ იესოს გვერდით იდგა და ლოცულობდა. თქვენც ილოცეთ, შეგეწევათ და გაჭირვებისგან გიხსნით. ლოცვას კიდევ ჩვენ გასწავლით. მხოლოდ ჩვენ ვიცით, როგორ უნდა მიაწვდინოთ წმიდა მარიამს თქვენი ხმა.

ამასთან, სამსახურსაც ჰპირდებოდნენ იქვე გაშლილ სავაჭრო დახლებზე:

- თუ ჩვენს სარწმუნოებაზე გადმოხვალთ, აქ გამუშავებთ დახლიდარებად, ფულს იშოვით, ოჯახებს შეინახავთ და თან ყოველდღე სიონის ზარებს მოუსმენთ, რომელიც ბედნიერებას მოგანიჭებთ!

სომეხთა კათოლიკოსმა, ლაზარე ჭაუკელმა, ქართულ ტაძარს სომხური იერსახე მისცა და მალე დაამთავრებდა მის შეკეთებას. მერე კი გადმოსახლებას აპირებდა სუბგევორქის ეკლესიიდან ნორაშენში.

მეფე თეიმურაზს გულს უკლავდა სამეფოში სომხების ასეთი გაპარპაშება, მაგრამ კათოლიკების გადამკიდეს ჯერ მათთვის არ ეცალა. თან ერეკლესაც უწევდა ანგარიშს, რადგან ის საქართველოში სომხების დასახლების წინააღმდეგი კი არა, მომხრეც კი იყო, რადგან მუდამ ომებში მყოფს ეკონომიკურად ზურგის გამაგრება სჭირდებოდა. ამ საქმის ოსტატები კი სომხები იყვნენ, ეხერხებოდათ ვაჭრობა და ფულის შოვნა. როგორც იტყვიან ხოლმე: ,,ქვაზე რომ დასვა, იქაც ფულს იშოვნიანო“.

ამ დროს კი, სომხები თავის საქმეს აკეთებდნენ. კათოლიკოსმა ლაზარემ ანტონის გადაბირება რომ ვერ მოახერხა, ამ უკანასკნელის დასუსტების მიზნით, ყველანაირ ბინძურ ხერხს მიმართავდა. ამისთვის მან ფართო აგენტურული ქსელი შექმნა, როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. ახლაც, ამ საკითხთან დაკავშირებით, მოწვეული ჰყავდა სტუმრად სომეხი კათოლიკე მღვდელი ფილიპე ყაითმაზაშვილი.

ტაძრის სატრაპეზოში, მაგიდასთან ისხდნენ ორი სომეხი - კათოლიკე და მონოფიზიტი სასულიერო პირი. შეექცეოდნენ ქართულ პურ-ღვინოს და ბჭობდნენ იმაზე თუ როგორ დაექციათ მათი გადამრჩენელი ქართველთ ქვეყანა და შეებილწათ ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება.

- პატრე, - დაიწყო საუბარი ლაზარემ და თან თეფშზე მტკვარში ახლადდაჭერილი და მოხარშული თევზი გადმოიღო, - ერთ დროს, ეს თევზიც დაცურავდა აღმა-დაღმა, მაგრამ ბოლოს ჩემს წინ აღმოჩნდა თვალებგათეთრებული და უძრავ მდგომარეობაში.

- ღმერთმა შეგარგოს, თქვენო უწმიდესობავ. - მიუგო ფილიპემ და თვითონაც გადაიღო თევზი.

- ღმერთი მაშინ შემარგებს ამ თევზს, როცა ყველა ჩვენს მოწინააღმდეგეს ამ მდგომარეობაში ვიხილავთ! - თქვა ლაზარემ და თევზს თავი მოაგლიჯა, - ძველების ნათქვამია: ,,ვინც არ არის ჩვენთან, ის ჩვენი მტერია!“

- მართალი ბრძანდებით, თქვენო უწმიდესობავ, მტრებით ვართ გარშემორტყმულნი. - დაუდასტურა კათოლიკოსს ფილიპემ და თვითონაც მოაგლიჯა თევზს თავი.

- ჰოოდა, ჩემო ფილიპე, - განაგრძო ლაზარემ საუბარი, - ანტონის რუსეთში გაძევებით, გამარჯვებისკენ ჩვენ პირველი ნაბიჯი უკვე გადავდგით. მალე ერთობლივი და შეთანხმებული მოქმედებით, კიდევ ერთ თევზს გავაცურებთ აღმა, ცივი წყლებისკენ. ამბობენ, ცივი წყლების თევზი უფრო გემრიელიაო.

ფილიპე ბოლომდე ვერ ჩაწვდა კათოლიკოსის გადაკრულ საუბარს, თუმცა მიხვდა, რომ ლაზარე ცივ წყლებში რუსეთს გულისხმობდა და თავის თავში დასარწმუნებლად წარმოთქვა:

- ამბობენ, რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული ფრიად მორწმუნე და ჭკვიანი ქალიაო? ...

- მაგრამ მაინც ქალია და დიდი სომხეთის აღდგენაში ხელს ვერ შეგვიშლის! - დაამთავრა ლაზარემ ფილიპეს მიერ წარმოთქმული წინადადება და დაამატა, - რუსეთი დიდ ომს იწყებს, ამიტომ ჩვენ ზურგში უნდა გავაქტიურდეთ, რასაც ძალიან ადვილად მოვახერხებთ. პეტერბურგში ჩვენი ხალხი ამ საქმეზე უკვე მუშაობს ...

მზე შუბის ტარზე იდგა ... სიონის სამრეკლოზე სამეუფეო ზარები დარეკეს ...

ლაზარემ და ფილიპემ ერთმანეთს შეხედეს და გაიღიმეს...

გულში რომელს რა ჰქონდა ჩადებული მხოლოდ ღმერთმა იცოდა ...

XXXIII

ბერთუბნიდან იასემ, თავისი რაზმის წევრები გამოაყოლა შინისკენ მიმავალ მთისყელის ტყვედნამყოფ გოგო-ბიჭებს. ლეკების უცაბედი თავდასხმების გამო, გზებზე სიარული დღისით და განსაკუთრებით ღამე სახიფათო გახდა. თითქოს მიწიდან ამოდიანო, ისე უცბად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ლეკები. მას შემდეგ, რაც გამორჩენის მიზნით, ქართველები თვითონ აძლევდენ მტერს სამიზნედ თავისიანებს, ლამის დედაკაცებმაც იარაღით დაიწყეს სიარული.

ცხენებზე ამხედრებულებმა დროულად ჩააღწიეს ხოხბიაურში და ახლობლებს მონატრებულებმა დიდხანს ვერ იჯერეს გული მათთან შეხვედრით. სიხარულის ცრემლები ასველებდა ხოხბიაურის მადლიან მიწას. მხოლოდ ბეზარაანთ მიხო და მისი მეუღლე იდგნენ გაქვავებულები და გაფართოებული თვალებით თავიანთ შვილს ეძებდნენ. ბოლოს, მიხომ ზაქროს მიაკითხა და დაბნეულმა და აკანკალებულმა ჰკითხა:

- კაცოო ... ზაქრო ... აკი ყველანი დააბრუნესო? ... მა ჩემი გოგო? ... - და ცრემლები წამოსცვივდა უკვე ხანშიშესულ მიხოს.

ზაქრო აწრიალდა ... დაიბნა მრავალჭირგამოვლილი ვაჟკაცი და ბერთუბნელებისკენ გაიხედა, რომლებსაც ღიმილი მოჰფენოდათ სახეზე.

- რაღაცასა მალავთ თქვენა!? - ჰკითხა გიოაანთ ბიჭმა, - ქალი სად არი!? არ მაიყვანეეთ!?

- ვინ გამოგვატანა როო? ... - მხრები აიჩეჩეს და ახარხარდნენ ბერთუბნელები.

- აბა, ყველა აქ არი და ჩემი შვილი ვერ გაანთავი-სუფლეთ? - ატირდა მიხოს დედაკაცი და თავზე ხელები შემოირტყა.

- არაო, დეიდა ... - ახარხარდა ბერთუბნელი ვასუა, - ეგ ქალი ჩემთვინ მინდაო, ეგრე თქო იასემა ... გათხოვდა შენი სალომე ბერთუბანშია! ... გათხოვდა, მაშა! ... თანაც თავიი ნებითა! ...

ზაქრომ მიხოს ბეჭზე ხელი დაარტყა და უთხრა:

- ქორწილში გვიქეიფია, მიხო ძია! ისე კარგი სიძე კი შაგხვდა ხო იცი!?

მერე ბერთუბნელებს მიუბრუნდა და გასძახა:

- ჰა! დაიდგა უღელი იასემა!?

- როგორც დაინახა მაშინვე თვალი დაადგა მაგ ოხე-რამა! - გაეცინა ვასუას, - ქართლიდან დედოფალივით წამაიყვანა, ცივ ნიავ არ აკარებდა. ეგრე თქო: ,,სიდედ-რ-სიმამრთანა ბოდიში მამხადე, მალე ვინახულებთ მე და სალომე. აბა, რა ვქნა ამ ლეკიანობიი გადამკიდე ვერა ვტოვებ სოფელსაო“.

როგორც კი ყველა შეიკრიბა, ბატონის სახლისკენ დაიძრნენ. წინ თოკებით გაკოჭილი ლეკები და ალმას-ხანი გაირეკეს. მალე მამასახლისმა ფეხით სიარული ვე-ღარ შეძლო და ზედ შუა გზაზე გაიშოტა.

- ე, მანდ ხელში არ შამოგვაკვდეი ეს ქონებიი გროვა! ადექით და ურემზე დადეთ! - გასძახა ზაქრომ ბიჭებს და მათრახი დასცხო მიწას.

- იყოი, დავტოვოთ აქა, იქნება ლეკებმა გაიტაცონ! - იცინოდნენ ბიჭები და ალმასხანს ურმისკენ მიათრევ-დნენ.

- ვის რად უნდა ეი გასიებული, დღეში ერთი სავსე ხურჯინი საჭმელი არა ყოფნის! მუშაობა ამაი არ უყვარს და მუქთად კიდენა არავინ შაინახამს! ...

ამასობაში ბატონის სახლსაც მიადგნენ, მაგრამ იქ არავინ დახვდათ. იქაურმა გლეხებმა ზაქროს უთხრეს:

- დილით ადრე წავიდა სახლეულთან ერთად.

- სად წავიდა? - იკითხა ზაქრომ.

- აბა, რა ვიცით. ჩვენ ხომ არ დაგვიბარებდა სად მიდიოდა? მამასახლისიც გაჰყვა, იმანაც თან წაიყვანა ცოლ-შვილი.

ზაქრომ ბატონის სახლში ბიჭები ჩააყენა და ხალხი სახლებში გაუშვა. რამდენიმე რაზმელი და სოფლის თავკა-ცები დაიტოვა და ტყვეებთან ერთად თელავისკენ გასწია...

მომხადის გამო, მეფემ ბატონზე ძებნა გამოაცხადა. წანარიანის, მთისყელის და ხოხბიაურის მიწები ხაზინის საკუთრებად გამოაცხადა, ხოლო მამასახლისების არჩე-ვის ნება ხალხს მისცა ...

წანარიანში დაბრუნებულებს ახალი ამბავი დაახვედ-რეს. ეზოში გამოსულ კატუას მამასახლისის ნაჩუქარი

ძროხა გამოსდგომია. ქალი გაქცეულა ჭიშკრისკენ, ბარბაცით მიმავალს საქონელი წამოსწევია, რქებით წელში დასჯახებია და ღობეზე აუგდია. კატუა იქვე დარჭობილ სარზე დაგებულა და სულიც დაულევია. სოფლელ ჭორიკანა დედაკაცებს უთქვამთ: ,,ძროხა უჭმელობისაგან თხას დაემსგავსა, მერე გაუბრაზდა და ბოლო მოუღოო“.

წანარიანელები წინააღმდეგნი წავიდნენ კატუას სოფლის საძვალეზე დაკრძალვისა, ამიტომ მისი სახლის ეზოში გათხარეს მიწა და დაასაფლავეს. არც წესი აუგიათ და ჯვარიც არ დაადგეს საფლავზე, რადგან ბოროტისაკენ იყო მიდრეკილი...

ზაქრომ სამივე სოფელში ადგილობრივი მაცხოვრებლებისაგან რაზმები შეადგინა და მტრისგან დასაცავად სადღეღამისო მორიგეობა დააწესა, სოფლებში ახალი მამასახლისებიც აირჩიეს. წანარიანის მამასახლისად, როგორც იქნა დაითანხმეს და ზაქროს მეზობელი ამირანი დანიშნეს...

კახეთში ახალი დროება იწყებოდა... მეფე ერეკლე ქვეყანასა და ხალხზე ფიქრობდა, ხოლო ხალხს დიდი სასოება ჰქონდა კახთბატონისა...

ნაწილი მეორე

I

მიუხედავად ქართლ-კახეთის მეფეების დიდი მცდელობისა, ოსმალოსგან მხარდაჭერილი და ქართველი თავადების ხელშეწყობით გათავხედებული ლეკები კვლავ განაგრძობდნენ წერტილოვან თავდასხმებს ქართულ მიწა-წყალზე. შედარებით მცირე ბრძოლები თანდათან ფარტომასშტაბიან ომებში გადაიზარდა. მტერი არ ისვენებდა. დაღესტნელთა ჯარი ერევნამდე მივიდა და გზად ყველაფერს ანადგურებდა. შინდისთან გადახდათ დიდი ბრძოლა ქართველებს. ყოველდღიურ თავდასხმებს იგერიებდნენ ქართლში, ქიზიყში, კუმისის, ბოლნისის მიდამოებში. სომხითი და საბარათიანო თითქმის მთლიანად დაიცალა. ტფილისის გარშემო დასახლებებსაც უტევდა მტერი, თუმცა უმეტეს შემთხვევაში დამარცხებულნი ბრუნდებოდნენ უკან. ერეკლეს, რომელსაც ამ დროს უკვე ,,აშვებული ლომი“ შეარქვეს სახელად, ხმლისთვის ქარქაში აღარ სჭირდებოდა, რადგან მუდამ მტერთან ბრძოლაში იყო მისი ,,ავი მუსაიფი“. მას შემდეგ, რაც ათას შვიდას ორმოცდათორმეტ წელს, თეიმურაზ მეფემ რუსეთის ხელმწიფისგან მაჰმადიანი მეზობლების ოსმალეთისა და სპარსეთისაგან მფარველობა ითხოვა,

გაგზავნილი ელჩების - სვიმონ მაყაშვილისა და ათანასე თბილელის მეშვეობით და უარი მიიღო, ოსმალეთმა მთელი თავისი ძალისხმევა მიმართა კავკასიაში პოზიციების განმტკიცებისათვის. ლეკებიც ამ მიზნით აამოძრავა და მთელ საქართველოს წალეკვას უქადდა. რუსეთს კი, მიუხედავად ერთმორწმუნეობისა, არავითარი სურვილი არ ჰქონდა საქართველოს გულისათვის ოსმალეთს და სპარსეთს წაჩხუბებოდა. ამიტომ ქართველებს გამოსავალი ადგილზე უნდა მოეძებნათ და ამიტომაც ათას შვიდას ორმოცდათვრამეტ წელს, იმერეთის, ქართლისა და კახეთის მეფეებმა გორში თავდაცვითი კავშირი დადეს.

- ოსმალოს მე ომი გამოვუცხადე, - მიმართა თეიმურაზს და ერეკლეს სოლომონმა, - და არ გავჩერდები სიცოცხლის ბოლომდე.

- ხრესილის ბრძოლამ ეს დაადასტურა, მეფეო, - მიუგო თეიმურაზმა, - ამიტომაც მთელი ქვეყანა ალაპარაკდა შენს გმირობაზე.

- უარესს ამზადებს სულთანი, - განაგრძო სოლომონმა, - ამიტომ მჭირდება თქვენი თანადგომა, მეფენო. ლეკებმა მოუხშირეს თავდასხმები ქართლის მიწა-წყალზე. ვიცი, რომ თქვენ მცდელობას არ აკლებთ მათი თარეშის ასალაგმავად, მაგრამ მაინც შემოაღწიეს იმერეთში. კარგად იცით, ახალციხის ფაშამ შემოგვისია ლეკები. იმდენად მოულოდნელი იყო მათი გამოჩენა, რომ ჯარის შეკრება ვერ მოვასწარით და იავარჰქმნეს

ჩვენი უდიდესი სიწმიდე გელათი. სოფლები გაძარცვეს და ზოგიერთის გადაწვაც მოახერხეს. მეორედ კი ვძლიეთ მათ ჯარს, მაგრამ როდემდე, მაშინ როცა ოსმალო კარზეა მომდგარი. თუ დროულად არ გავაჩერეთ, ეს ღვთის პირიდან გაგდებული ლეკები, ზურგს დამისუსტებენ და გამიჭირდება დიდ გველეშაპთან - სულთანის ფაშებთან ბრძოლა.

- კახეთში იმდენად ვეღარ ბედავენ თარეშს, მეფეო, - თქვა ერეკლემ, - რამდენიმე თავადი დავსაჯე ღალატისათვის, ქართლისკენ გადმოსასვლელი მოკლე გზებიც გადავუკეტე, მაგრამ ახლა სომხითის გავლით ამოდიან. მოღალატეებს რა დალევს. მაგათაც მოვუვლით!

- შენ მოფიქრებული გექნება ალბათ, რა ძალა უნდა დაუპირისპირო მაგათ? - ჰკითხა სოლომონმა ერეკლეს, თან გაულიმა და მხარზე ხელი დაადო, - შენს ვაჟკაცობაზე უკვე მთელს დუნიაზე ლაპარაკობენ.

- მაგათთან პატარ-პატარა ბრძოლებით ვერაფერს გავხდებით, - უპასუხა ერეკლემ, - რადგან მცირე ჯგუფებით მაგათი გადაადგილება ზოგჯერ შეუმჩნეველი ხდება და სად ამოძვრებიან მიწიდან მხოლოდ ღმერთმა იცის.

- რა გაქვს ჩაფიქრებული, მეფეო? - გაეცინა თეიმურაზს, რადგან კარგად იცოდა თავისი შვილის საბრძოლო ნიჭი. როგორც ყვარელში გაასულელა ლეკები, ახლაც რაღაც მახეს უმზადებდა მათ, - აბა, გვითხარ.

- კარგად იცით, ლეკები გარდა იმისა, რომ მტაცებლები არიან, სიხარბის ნიჭითაც ჰყავს დაჯილდოვებული

ეშმაკს, - მიუგო ერეკლემ მეფეებს, - ამიტომ უნდა შემოვიტყუოთ შუაგულ ქართლში. დიდი რაოდენობის ჯარს ეგენი, ფაშას მფარველობით, ახალციხეში მოუყრიან თავს ...

- რა მიზეზით აპირებ შემოტყუებას? - შეაწყვეტინა სიტყვა თეიმურაზმა და ცნობისმოყვარეობით შეპყრობილი მოუთმენლად ელოდა ერეკლეს პასუხს.

- ჭორი დავაგდოთ, რომ ატოცის ციხეში მეფეებმა დროებით განძი გადამალეს და მერე აქედან რუსეთში აპირებენ გადატანასო. ხომ იცით ძველების ნათქვამია: ,,თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდან მოვაო“...

ერეკლეს ნათქვამზე თეიმურაზს გაეღიმა და იკითხა:

- მაინცდამაინც რატომ ატოცი?

- ჯერ ერთი იმიტომ, - უპასუხა ერეკლემ, - სოლომონს შორ გზაზე არ მოუწევს სიარული, მეორე, ხალხს მოგვაშველებს, რადგან ჩვენ დიდი რაოდენობის ჯარის გამოყვანას ვერ შევძლებთ იმიტომ, რომ თბილისის შემოგარენიდან მეომრებს ვერ მოვხსნი, ხალხში შიში ჩამოვარდება და მათი მითქმა-მოთქმა მტერს ეჭვებს გაუჩენს. მესამე, სულთანი ჩვენს ერთობას დაინახავს და ეს ჩვენს წისქვილზე დაასხამს წყალს.

ერეკლეს გეგმამ გაამართლა. ატოცის ციხეს რვა ათასიანი ჯარით ალყა შემოარტყა ლეკთა კოხტა ბელადმა. მეფეებმა სასტიკი დამარცხება აგემეს მტერს ჯერ ატოცის და შემდეგ დვანის ციხეებთან. კოხტა ბელადმა გაქცევით უშველა თავს.

ათას შვიდას ორმოცდაცხრამეტი წლის შვიდ დეკემბერს სოლომონ პირველმა მოიწვია დასავლეთ საქართველოს საეკლესიო კრება, საქუთათლო აღადგინეს და მიმობნეული მრევლი დააბრუნეს. მალევე საეკლესიო და საერო ფეოდალების საერთო კრებაზე, სოლომონმა ახალციხის ფაშის საპასუხოდ, ტყვეების გაყიდვასთან დაკავშირებით, დაადგინა: ,,სანამდის სული გვედგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს ! ...“, რის გამოც განრისხებულმა ფაშამ თურქთა ლაშქარი დაძრა დასავლეთ საქართველოს ასაოხრებლად მოლა აბდულა ფაშას სარდლობით.

კიდევ ერთხელ, ამჟამად უკვე ცხინვალში, შეიკრიბნენ ქართლის, კახეთის და იმერეთის მეფენი. მათ კარგად იცოდნენ, რომ ოსმალთა ურიცხვ ლაშქარს მარტო ვერ გაუმკლავდებოდნენ, ამიტომ გადაწყდა, რომ რუსეთში გაეგზავნათ ელჩობა, რომელსაც თეიმურაზ მეორე წარუძღვებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამ პერიოდისათვის ერთ-ერთი მძლავრი სახელმწიფო იყო და კარგად შეიარაღებული ჯარი ჰყავდა, პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორე დიდ საშიშროებას უქმნიდა. ასეთ დაძაბულ ვითარებაში რუსეთი ოსმალეთის გაღიზიანებას ერიდებოდა. ეს უკანასკნელი კი პირდაპირ მოითხოვდა მისგან არ ჩარეულიყო საქართველოს საქმეებში, არ ეწოდებინა საქართველოს მმართველებისთვის მეფე და მუდმივად აკონტროლებდა რუსეთის ნებისმიერ მოქმედებას საქართვე-

ლოს ტერიტორიაზე. ამასთან რუსეთის ურთიერთობას საქართველოსთან და განსაკუთრებით ქართლთან ხელს უშლიდნენ ვახტაგ მეექვსის მემკვიდრეები, რომელთაც რუსეთის საიმპერატორო კარზე უამრავი თავისი ხალხი ჰყავდათ მოსყიდული და ჯერ კიდევ ცდილობდნენ ქართლის ტახტის დაბრუნებას. ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდნენ, მათთვის სულ ერთი იყო, რა ბედი ეწეოდა ღვთისმშობლის წილხვედრს.

თეიმურაზ მეფემ ღრმად ჩაფიქრებულმა შეხედა სოლომონს და ერეკლეს და დამწუხრებულმა წარმოთქვა:

- როდესაც წმიდა დავით გარეჯელმა იერუსალემის შემოგარენიდან სამი ქვა წამოიღო, წმიდა ქალაქის პატრიარქს ზეციდან ეუწყა, რომ ამ ქვების წაღებით ქალაქი უფლის მადლს დაკარგავდა და ამიტომაც დაადევნა ხალხი და ორი ქვა დაატოვებინეს წმიდა მამას. მას რომ სამივე ქვა წამოეღო, დღეს ალბათ იერუსალემი აღარ იქნებოდა, ან თუ გადარჩებოდა, იქ ეშმაკი დაიდებდა ბუდეს. ამ დღეში ვართ ახლა ჩვენც. ვახტანგმა გარეჯის სიწმიდეები, ბერთუბნის მონასტრის აღსავლის კარი და კიდევ ბევრი რამ თან წაიღო რუსეთსს. შემდეგ დაუკითხავად გაიტანა მისმა ხალხმა ნინოს ჯვარი, რომლის მადლიც საუკუნეების განმავლობაში მტრებისგან იფარავდა საქართველოს.

- ჩვენი მტრები პირველ რიგში ასეთ სიწმიდეებს ანადგურებდნენ და ანადგურებენ, - თქვა დანანებით სო-

ლომონმა, - რადგან იციან, რომ ჩვენი ძალა რწმენაშია. ისე, რომ რთული გზა გელოდება, მეფეო.

- უფრო რთული, მეფეო, - მიუგო თეიმურაზმა, - იქ საქართველოს სამი მტერი მელოდება. ერთი, რომელზეც ახლა ვსაუბრობდი და ორიც - ლათინები და მხითარისტები. ისინი მყარად სხედან იმპერატრიცას კარზედ. მადლობა უფალს, რომ ეს რთული გზა მე მარგუნა წილად!

II

წანარიანში მეფის შათირი[30] მოვიდა და სოფლის ცენტრში შეკრებილ გლეხებს ამცნო:

- ერეკლე სალაშქროდ მიდის ყარაბაღს და თავის მეომრებს უხმობს ტფილისქალაქში. მე სხვა სოფლებში მივიჩქარი და გადაეცით ბიჭებს, დილაუთენია დაადგნენ გზას!

ზაქრომ სასწრაფოდ შეკრიბა თავისი რაზმის წევრები. ხუთი მათგანი ადგილზე დატოვა სოფლის დასაცავად, რადგან იცოდა, ომიანობის დროს ლეკები ხშირად დაეცემოდნენ ხოლმე მოხუცებისა და ქალ-ბავშვების ამარა დატოვებულ სოფლებს. ამირანმაც შემოიკრიბა თავისი თაობის ვაჟკაცები, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ ასაკი წამოსწეოდათ, ომებში გამობრძმედილებს ჯერ კიდევ უჭრიდათ ხმალი და თვალის მიზანსაც

30 შათირი - შიკრიკი

არ უჩიოდნენ. ზაქრომ საღამოს მიაკითხა მეზობელს და მისალმების შემდეგ უთხრა:

- ამირანა ძია, შენი იმედი მაქ. მართალია უძილო ღამეები გექნება, მაგრამ რას იზამ, ჩვენ თავ ჩვენ თვითონვე უნდა მივხედოთ! ესა ყოფილა გლეხი კაცის ბედი, შრომა და ომი!

- მაგაზე არ იდარდო, ჩემო ზაქრო, - მიუგო ამირანმა და მხარზე ხელი დაადო ზაქროს, - თქვენ იმ ურჯულოებ მიხედეთ, ერეკლე მეფეი რომ ეყელყელავებიან, სოფელ ჩვენ ვუპატრონებთ და ყველაი და ყველაფერ ხელუხლებელ დაგახვედრებთ.

- მალე მოვათავებთ ყველაფერ, გავუსწორდებით თათრებსა და პირდაპირ სახლში დავბრუნდებით! - თქვა ზაქრომ, გაუღიმა ამირანს და განაგრძო, - მერე ერთად მივხედოთ სოფელ, რაღაც-რაღაცეები მოვიფიქრე ჩემი უქნარა ჭკუითა და იქნება ამოვიდეთ ამ ჩვენი გაჭირვებული ყოფიდანა. ხალხი გააღარიბა ლეკები თარეშმა.

ამირანი და ზაქრო დაემშვიდობნენ ერთმანეთს, თუმცა იმ ღამეს არცერთს არ ეძინა. ვერც სერს დაუდეს გული და ვერც ლოცვასა. ქვეყნის თავზე თითქოს უჩინარი ღრუბელი ჩამოწოლილიყო. მიუხედავად ერეკლეს წარმატებული ბრძოლებისა და სამეფო ხელისუფლების განმტკიცებისა, ქართლ-კახეთი თითქოს რაღაც უხილავ მარწუხებში იყო მოქცეული და როგორც დაჭრილ არწივს ვერ შეეძლო ფრთების გაშლა და ცაში განავარდება,

ასევე ქვეყანაც დათრგუნული იყო და განვითარებისკენ კუს ნაბიჯებით მიდიოდა. თეიმურაზის და ერეკლეს მიერ თავდაუზოგავი ბრძოლის შედეგად დამყარებულ მშვიდობიანობის დროს, იმის მაგივრად, რომ თავადები გვერდში დასდგომოდნენ მეფეებს, პირიქით, დაიწყეს ყმების დამალვა, რათა ისინი ომში არ წასულიყვნენ და არ დაჰკარგოდათ ფიზიკური ძალა წარმოებისა და განსაკუთრებით მიწის დამუშავებისთვის. მალულად მოქმედებდნენ ტყვეების გაყიდვის საქმეშიც. მიუხედავად აკრძალვისა, მაინც ახერხებდნენ სხვადასხვა გზებით მათ გადაყვანას ბაზრობებზე. ეგვიპტე გაივსო ქართველი მამელუქებით, ხოლო თურქეთი ქართველი იანიჩარებით. ზოგი გადასახადების დამალვასაც ახერხებდა და ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის განვითარებაზე. პირველ რიგში ფერხდებოდა მორიგე ჯარის ჩამოყალიბება, საბრძოლო იარაღის წარმოება, რაც ჰაერივით აუცილებელი იყო ქვეყნისთვის. დრო კი მიდიოდა...

ირიჟრაჟა თუ არა, ზაქრო გამოემშვიდობა ფეხმძიმე მართას და თავისი რაზმით დაადგა ტფილისისკენ მიმავალ გზას. გზად ბერთუბანში უნდა გაევლო და იქიდან მეზობელი სოფლების მეომრებთან ერთად შუა დღისთვის განჯის კართან უნდა შეერთებოდა დანარჩენ ქართველთა ლაშქარს.

ხუთიათასამდე მეომარი შეიკრიბა ტფილისის განჯის კართან. მათ ხილვას არაფერი სჯობდა. სულ ნარ-

ჩევი ბიჭები იყვნენ, ბრძოლებში გამოცდილებთან ერთად, ახალწვეულებიც ჩანდნენ, რომელთა გამორჩევაც გამოცდილ თვალს არ გაუჭირდებოდა. მიხვრა-მოხვრაშიც ეტყობოდათ, რომ თავის ადგილს ვერ პოულობდნენ მეომრებში. ძველები ერთმანეთის მოკითხვაში გართულიყვნენ და არავის ეცალა ახალწვეულებისთვის. ზაქროს და იასეს გამოჩენამ ხომ აახმიანა მთელი ლაშქარი:

- როგორ ხარ, ვაჟავ!? - შემოესმა ზაქროს ზურგიდან, - ყვარლის შემდეგ აღარ მინახავს შენი თავი!

გიოაანთ ბიჭმა ნაცნობი ხმა რომ გაიგო შემობრუნდა და მგელიკა ლიქოკელი შერჩა ხელში. გაეხარდა მგელიკას დანახვა, რომელსაც შუბით ბრძოლაში ბადალი არ ჰყავდა. მისი ბრძოლაში შესვლა მტრისთვის დამღუპველი იყო. ხუთ-ექვს მომხვდურს მარტო უსწორდებოდა. იმდენად სწრაფად და ოსტატურად იყენებდა შუბს, რომ მტერი ფარის დახვედრებასაც ვერ ასწრებდა, ხმლის მოქნევაზე ხომ ზედმეტი იყო საუბარი. ცხენიც ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ ბრძოლიდან გამოსულს ერთი ნაკაწრი არ ჰქონდა.

- კარგად, მგელიკავ, - მიუგო ზაქრომ თანამებრძოლს და გადაეხვია, - სულ რომ იმას მეუბნებოდი, ქალი მოიყვანე, ქალიო, იგე, დავქორწინდი და შვილსაც ველოდები. შენ როგორა ხარ?

- მომილოცავს, ვაჟავ! - წამოიძახა გახარებულმა მგელიკამ, ზაქროს მარჯვენა ხელი დაჰკრა მხარზე და

განაგრძო, - ეხლა უკვე ნამდვილ ვაჟკაც ხარ! გფარავ-დეს ყველა სალოცავი მთისა და ბარისა! მეტი შრომა მო-გიწევს, ოჯახს მარტო ხმლით ვერ შეინახამ!

- ვიცი, მგელიკა, ვიცი, - მიუგო ზაქრომ, - მეფემ მიწა მიბოძა და იმით გავალ იოლას. ჩვენ ბიჭებს კიდენა უფლე-ბა მისცა კახეთიდან ქართლში ვაჭართა ქარავნების გაცი-ლებისა და პატარა ლუკმა-პურს შოულობენ. თან აკვირ-დებიან, ვაჭრებმა მალულად ტყვეები არ გადაიყვანონ.

- გაუმარჯოს მეფე ერეკლესა! - ხმამაღლა წამო-იძახა მგელიკამ, - არავისა გვტოვებს უპატრონოდ და ულუკმაპუროდ! ...

უცებ ვიღაცამ დაიძახა:

- მეფე ერეკლე მობრძანდება! ... მეფე ერეკლე! ...

განჯის კართან გამოჩნდა თეთრ ცხენზე ამხედრე-ბული მეფე. ორმოცი წლის ერეკლეს ასაკი არ ეტყობო-და, ახალგაზრდა ჭაბუკის შეხედულება ჰქონდა, გეგონე-ბოდა ყმაწვილკაცობის ასაკიდან ახლახანს გამოვიდაო. მის შემხედვარე ვაჟკაცს ძალა უასმაგდებოდა და მზად იყო სამშობლოსა და მეფის გულისთვის კავკასიონის მთებიც კი გადაედგა. ხოლო მისი ხმის გაგონებაზე, ყვე-ლაზე სუსტიც კი გოლიათად წარმოიდგენდა თავს და, რაც მთავარია, მეომრებს სწამდათ მისი. ის ერთგული და ყველას პატრონი გახლდათ, ამიტომაც იყო, რომ ქართ-ველთა ლაშქარი ათჯერ მეტი რაოდენობის მტერს ადვი-ლად უმკლავდებოდა და გამარჯვებას აღწევდა.

ერეკლემ შემაღლებულ ადგილას შეაგდო ცხენი, კარგად გასწორდა უნაგირზე და მიმართა თავის ერთგულ მეომრებს:

- ღმერთის და სამშობლოს სახელით მოგესალმებით, ჩემო ერთგულო მეომარნო! თქვენ იცით, მე არ მიყვარს ბევრი ლაპარაკი. ეს საქმე კარგად, თქვენი იარაღის დარად, ჩემს ხმალს ეხერხება! ყარაბაღის ხანი გაგვიორგულდა! რადგან ჩვენი კეთილი სიტყვა ვერ შეისმინა, მოუწევს ჩვენს ხმლებს ელაპარაკოს! ამისთვის შეგკრიბეთ აქ! დროა ერთხელ და სამუდამოდ ზოგიერთმა სახანოებმა გაიგონ, რომ მათ ჩვენს იქით გზა არა აქვთ. მაშ, მივაკითხოთ და ჩვენი თვალით ვნახოთ რა ხდება ყარაბაღში!

- ამინ! - ერთიანად დასჭექეს მეომრებმა და იარაღის ჟღარუნმა შეძრა იქაურობა.

მალევე ქართველთა ლაშქარი დაადგა ყარაბაღისკენ მიმავალ გზას ...

III

სანამ ერეკლე სახანოებში წესრიგის დამყარებით იყო დაკავებული, თეიმურაზი რუსეთის გზას დაადგა. მცხეთაში სვეტიცხოველი მოილოცა. დიდხანს იყო მუხლმოდრეკილი მირონმდინარე სვეტის წინ და მაცხოვარს ავედრებდა სამშობლოსა და ხალხს. ფიცი დადო ვახტანგ გორგასლის საფლავთან, რომ ბოლომდე იბრძოლებ-

და სამშობლოს დაცვისა და მისი კეთილდღეობისთვის. ტაძრიდან გამოსულს თვალი არმაზის მთისკენ გაექცა, მთისკენ, სადაც საქართველოს სახელმწიფოებრიობის პირველი მარცვალი დაითესა. სადაც განისვენებდა ქართლის დამაარსებელი ქართლოსი. იმ ქართლისა, რომლის სამეფო ტახტიც დღეს, ღვთისმშობლის ნათესავებს - ბაგრატიონებს, საჯილდაო ქვად გადაექციათ. უცებ, თეიმურაზის თვალწინ მთა უფრო ამაღლდა და ზედ გამოისახა ქართველთა წარმართული ღვთაება არმაზი, აზონის მიერ აღმართულ გაც და გაიმთან ერთად. არმაზს ბივრიტის[31] თვალი უფრო უბრწყინავდა, ვიდრე ზურმუხტისა. მეფე ვერ მიხვდა წარმართული ღმერთის ამ მინიშნებას. პირჯვარი გადაიწერა, მთასაც გადასახა და ხილვაც გაქრა.

- ღმერთო დიდებულო! - აღმოხდა თეიმურაზს, - რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე? ... გაც და გაიმ ჩვენი მტრები არიან ... ფარნავაზის მიერ აგებული არმაზი გაქრისტიანებამდე თავზე ედგა ქართლს ... რა არის ბივრიტის თვალის გაბრწყინება!?

გაოცებული მეფე შემობრუნდა, მოპირდაპირე მთაზე აგებულ ჯვრის ტაძარს შეხედა, კიდევ ერთხელ გადაიწერა პირჯვარი და თავის ამალას ანიშნა დაძრულიყვნენ.

დარიალისკენ მიმავალი მეფე დროდადრო ჩერდებოდა, შემობრუნდებოდა ხოლმე მცხეთისკენ და თუ მი-

31 ბივრიტი - ბაცი, ცისფერი ქვა, რომელსაც მომწვანო ფერიც გადაჰკრავს.

სი სახის გამომეტყველებიდან ვიმსჯელებთ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ თითქოს რაღაც უხილავს ეძებდა საქართველოს ძველი სატახტო ქალაქის თავზე. მალე მცხეთაც მიეფარა თვალს და მეფის ამალა ტაატით აუყვა არაგვის ხეობას.

გაზაფხულის მზე ნელ-ნელა ეშვებოდა ცის თავანზე. უკანასკნელი სხივის გამონათებამ ანანურის ციხის შიგნით მდებარე ტაძრის გუმბათი ააელვარა და მიეფარა მრავალტანჯული საქართველოს მთებს. მეფეს ციხისთავი მიეგება და შეუძღვა სიმაგრეში. თეიმურაზისთვის უცხო არ იყო ანანურის ციხესიმაგრე. ის დევნილობაში აქ აფარებდა თავს და მისი თითოეული კუთხე-კუნჭული კარგად იცოდა. მეფემ მაშინვე ღვთისმშობლის ეკლესიას მიაშურა. ტაძარში უამრავი სანთელი ენთო. მწუხრის ლოცვა აღევლინებოდა. თეიმურაზი საკურთხეველში შევიდა, მიეახლა ღვთისმშობლის ხატს, მუხლი მოიყარა და ლოცვა დაიწყო:

- მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო, რაითა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრებაი ნათესავისა ქრისტეანეთაისაი. ამინ!

ლოცვის დამთავრების შემდეგ, თეიმურაზმა ტაძარში განმარტოება ისურვა. მოკრძალებით მიეახლა ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ხატს, მუხლი მოიდრიკა და შეჰღაღადა:

- წმიდაო ნინო, შენდობას ვითხოვ მე ცოდვილი, რომ ვერ დავიცავი შენს მიერ მოძღვნილი უდიდესი სიწმიდე - ჯვარი ვაზისა ...

- სინეზ - თეიმურაზ! - უცებ მოესმა მეფეს. თავი ასწია, ხატს შეხედა, რომელიც არაამქვეყნიური ნათებით ბრწყინავდა, ხოლო ხმა საიდან ისმოდა, ეს ვერ აღიქვა მომხდარით დაბნეულმა გვირგვინოსანმა, თითქოს ტაძრის კედლები ლაპარაკობდნენ, - ჩემს მიერ ქართლისთვის შეწირული ჯვარი გერგეტის სამებიდან არ უნდა გადმოგებრძანებინა აქ! მისი ადგილი იქ იყო სამების ტაძარში! ...

უცებ, ირგვლივ სიჩუმემ დაივანა, რითაც ისარგებლა თეიმურაზმა და ცრემლმორეულმა შეჰღაღადა წმიდა ნინოს ხატს:

- მაპატიე სიტყვისა ღმრთისა მსახურთა თანამოსაგრეო და ანდრიას ქადაგებისა წარმართებაო, ჩვენო განმანათლებელო და სულისა წმიდისა ქნარო წმიდაო დედოფალო ნინო ...

- ... და რატომ? იცი სინეზ!? - შეაწყვეტინა სიტყვა მეფეს უხილავმა ხმამ, - ის ჯვარი ქართველთა მიწიერი სამების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია! შენ დღეს იხილე არმაზის მთა ანუ ქართლოსის მამული, რომელიც მას ღმერთმა უწყალობა. იხილე არმაზის ანუ ფარნავაზის ქანდაკება, რომელიც მან დაუტოვა უკვე ქვეყნად ჩამოყალიბებულ ქართველთა მიწა-წყალს და რომე-

ლიც დაიმსხვრა იმ ვაზის ჯვრის ძალით, რომელიც დედა ღვთისამ მიბოძა და რომელსაც შენი და შენი გარემოცვის უყურადღებობით, ვახტანგის მემკვიდრეები დააატარებენ რუსეთის სხვადასხვა ადგილებში. იმ ჯვარმა სძლია წარმართობას ქართლში. ასე, რომ ღმერთის შეწევნით ქართლოსმა მამული შექმნა, ფარნავაზმა - დამწერლობა ენისა ქართულისა, ხოლო ძლევამოსილმა ჯვარმა ვაზისამ - სარწმუნოება... მამული, ენა და სარწმუნოება, ეს მიწიერი სამება დაგანახა შენ დღეს უფალმა. ამიტომაც ინახებოდა ვაზის ჯვარი გერგეტის სამებაში. რამდენიმე დღეში, როდესაც ახვალ გერგეტს, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდები... რომანოზი კი, რომელიც ჯვრის მოპარვით და მისი გადაცემით ვახტანგის მემკვიდრეებისათვის, სამომავლოდ საკათოლიკოსო ტახტის მისაკუთრებას ცდილობდა, საუკუნო სასჯელს მიიღებს. ესეც იცოდე, რომ ანტონი წინ აღუდგება ვაზის ჯვრის დაბრუნებას, რადგან ის დააბრკოლებს მას თავის მიზნების განხორციელებაში...

ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, თეიმურაზი იმდენად დაითრგუნა, რომ ხატისკენ ახედვა ვეღარ გაბედა... მალე ყველაფერი საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა და მეფეც წამოდგა ფეხზე. მის გონებაში უამრავმა აზრმა გაირბინა, რომელიც ვაზის ჯვრის გარშემო ტრიალებდა. ჯვარი დროულად იყო დასაბრუნებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი და ახალი უბედურებები არ ასცდე-

ბოდა ღვთისმშობლის წილხვედრს... ისედაც ცოდვების მორევში ბრუნავდა ქართველთა ბედის ბორბალი ...

სამი დღის შემდეგ მეფე თავისი ამალით სოფელ გერგეტში ავიდა. თეიმურაზმა გერგეტის სამების მოლოცვა ისურვა და ამალის რამდენიმე წევრთან ერთად ფეხით გაემართა მაღალ მთაზე აგებული სამების ტაძრისკენ.

მოხევეები ,,კაცნი მბრძოლნი ძლიერნი, ახოვანნი. ჰაეროვანნი ...“ ყოველთვის გამოირჩეოდნენ სარწმუნოებრივი შემართებით. იქაური ეკლესია-მონასტრები ანცვიფრებდნენ ადამიანებს თავიანთი სილამაზითა და მიუწვდომლობით. აქ თითქოს საგანგებოდ აშენებდნენ ტაძრებს ისეთ ადგილებში, სადაც მისვლაც კი უკვე აღმსარებლობას უტოლდებოდა.

თეიმურაზმა ეს ყველაფერი კარგად იცოდა და ამიტომაც მოთმინებით, მდუმარებით და იესო ქრისტეს ლოცვით მიუყვებოდა ციცაბო აღმართს მიმავალს სამების ტაძრამდე, რომელიც თითქოს ცასა და ქვეყანას შორის იყო გამოკიდებული და ღვთიური აკვნის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მეფემ მოილოცა ეკლესია, კიდევ ერთხელ დაფიქრდა წმიდა ნინოს გამოცხადებაზე და საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ვაზის ჯვარი არ უნდა გადაებრძანებინა გერგეტიდან ანანურში.

პარაკლისის გადახდის შემდეგ მეფე და მისი მხლებლები გამოვიდნენ ტაძრიდან. თეიმურაზს მყინვარისკენ გაექცა თვალი, რომელიც კედელივით იყო აღმართული

ქვეყნის სადარაჯოზე და თავისი ჭაღარა თავით მედიდურად დაჰყურებდა ღვთისმშობლის წილხვედრი მიწის მტერს და მოყვარეს. ამოუხსნელი სილამაზე და საიდუმლო ინახებოდა მასში და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ის ღვთიური ამირანის სამფლობელო გახლდათ.

მეფე და მისი მხლებლები როგორც კი მოემზადნენ სოფელ გერგეტში დასაბრუნებლად, მათ წინ გახუნებული ანაფორით შემოსილი ბერი გამოჩნდა. მან მუხლი მოიდრიკა მეფის წინაშე და კურთხევა გამოსთხოვა. მეფემ წამოაყენა უცნობი ბერი და გაოცებულმა ჰკითხა:

- არავინ ჩანდა ირგვლივ, ხუცესო, და ასე უცებ საიდან მოხველ?

- აქვე ვიყავ, მეფეო, და რომ დაგინახე გამოვეშურე. მინდოდა, მონატრებული ქრისტიანი მეფისგან დალოცვა მიმეღო.

თეიმურაზს გაეღიმა. მოეწონა ხუცესი. თავად ღრადმორწმუნე ქრისტიანმა ამ უბრალო ბერისგან გამომავალი ძალა და განსაკუთრებული სითბო იგრძნო, ისეთი, როგორიც მხოლოდ წმიდანებს აქვთ. მის წინ გაჭაღარავებული, ნაოჭებმომრავლებული, გამხდარი ბერი იდგა. მეფემ უკვე მორიდებით ჰკითხა:

- შენი სახელი გვითხარი, ხუცესო?

- მე იოსები ვარ, მეფეო, მოხევე ...

- მსმენია შენზე, იოსებ, - შეაწყვეტინა სიტყვა თეიმურაზმა, - ამ ტაძარში მსახურობ, მამაო?

- არა, მეფეო, - უპასუხა მოხევემ, - მე ცოდვილი ამ სიწმიდეს როგორ გავეკარები. მე აი, იქ, მყინვარებში ვარ, - და ხელით მყინვარისკენ ანიშნა მეფეს, - იქიდან ვევედრები უფალს და ვლოცულობ.

- აქ საქმეზე ჩამოხვედი ალბათ? - იკითხა მეფემ.

- წუხელ ანგელოზი გამომეცხადა, მეფეო, - მიუგო მოხევემ, - მითხრა, მეფე თეიმურაზი მოდის გერგეტში, წადი და გზა დაულოცე რუსეთისკენო. მე ცოდვილი რისი დამლოცველი ვარ, აქეთ შენ უნდა დამლოცო, მაგრამ შენი ხილვა მინდოდა და შენდობას ვითხოვ, რომ ჩემი აქ მოსვლით შენი მეუფება დავაბრკოლე.

- რას ამბობ, ხუცესო, - შეიცხადა თეიმურაზმა, - პირიქით, მადლი თქვენგან გადმოდის ჩვენზე და ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. აბა, რას გვეტყვი ახალს?

- ვიცი, მეფეო, რა გასაჭირიც ადგას დღეს ჩვენს სამშობლოს. ანგელოზმა მაუწყა, რომ ჩვენი ხსნა, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ღმერთს შეუძლია იმ სიწმიდეების მეშვეობით, რომელიც მან უბოძა ჩვენს ქვეყანას. ანანურიდან წმიდა ნინოს ჯვრის გატაცებამ დააბრკოლა ჩვენი სამშობლო და მრავალი განსაცდელი მოუვლინა მას და კვლავაც მოუვლენს. ბეთლემის ქვაბულში ინახება უფლის აკვანი და მამამთავარ აბრაამის უსვეტო კარავი, რომლის მცველად უფალმა მიმავლინა და იშვიათად თუ ჩამოვდივარ იქიდან. ეხლა ჩემი მფარველი ანგელოზია იქ. ანგელოზის პირით უფალმა დამავალა მამამთავარ

აბრაამის კარვის ნაჭერი გადმომეცა შენთვის ან ერეკლე მეფისთვის, რათა ზეციური მხედრობა შეეწიოს ჩვენს სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში ...

მოხევემ საუბარი შეწყვიტა, ანაფორის გულის ჯიბიდან ნაჭერში გახვეული სიწმიდე ამოიღო, მეფეს გადასცა და თავდახრილმა წარმოთქვა:

- აი, ამისთვინ გეახელ, მეფეო.

თეიმურაზმა მიირქვა სიწმიდე, მუხლი მოიდრიკა და მადლობა შესწირა უფალს. მერე წამოდგა და უთხრა მოხევეს:

- დიდი მადლობა, ხუცესო. მე ახლა რუსეთს მივდივარ და ამ სიწმიდეს თან არ წავაბრძანებ. არ ვიცი, იქ რა მომელის ან როდის და როგორ დავბრუნდები სამშობლოში. თუ არ გაგიძნელდება, იქნებ ჩემს შვილს - მეფე ერეკლეს გადასცე ეს უფლის საჩუქარი ხელიდან ხელში და ის მიხედავს.

- კარგი, მეფეო, როგორც მიბრძანებ, - მიუგო მოხევემ, - ჩავალ ქალაქს და მივართმევ სიწმიდეს მეფე ერეკლეს. თქვენ კი გზას დაგილოცავთ.

მეფეს გაახსენდა წმიდა ნინოს სიტყვები: ,,რამდენიმე დღეში, როდესაც ახვალ გერგეტს, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდები ...“. თეიმურაზმა შეხედა ხუცესს, მის თვალებში ამოიკითხა, რომ რაღაცის თქმა უნდოდა მოხევეს და ვერ გაებედა. მეფემ გვერდზე გაიხმო იოსები და უთხრა:

- გატყობ სათქმელი ვერ დაამთავრე, ხუცესო. შეგიძლია პირდაპირ მითხრა, რაც გულში გიდევს.

მოხევემ თვალებში შეხედა თეიმურაზს. მეფემაც თვალი გაუსწორა მოხევეს და უცებ შეცბუნდა. ხუცესის თვალებში მთელი სამყარო ჩანდა. ეს კი იმის ნიშანი იყო, რომ მის წინ უბრალო ხუცესი არ იდგა, არამედ წმიდანი, რომელიც უფლის კურთხევას აღასრულებდა კავკასიონის მყინვარებში.

- სინეზ, - წარმოთქვა მოხევემ ისე, რომ მეფისთვის თვალი არ მოუცილებია, - შენ იქ მიდიხარ, სადაც მტრების ხროვა გელოდება. სინეზი გონიერ ადამიანს ნიშნავს და ამიტომ გამოგარჩია უფალმა. ფრთხილად იყავი, მეფეო. რუსეთი თავის თავს მესამე რომად მოიხსენიებს. რომმა კი წმიდა მოციქულებიც კი არ დაინდო. ღმერთმა დაგლოცოს და ხელი მოგიმართოს, მეფეო.

მოხევემ ჯვარი გადასახა თეიმურაზს, თავი მდაბლად დაუხარა და წავიდა.

თეიმურაზმა დიდხანს უყურა მყინვარისკენ მიმავალ მოხევეს და გონებაში ისევ მისი სიტყვები უტრიალებდა. გაიხსენა თავისი მფარველი ანგელოზი სინეზი, რომელიც მესამე საუკუნეში იმპერატორ ავრელიანეს ზეობისას და პაპის სიქსტის დროს რომის ეკლესიაში მკითხველად მსახურობდა. უფლის რჩეული, ქრისტეს სარწმუნოების მხნე აღსარებისთვის, საშინლად აწამეს და ბოლოს თავი მოჰკვეთეს ...

IV

ტფილისის სიონის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში, ქართლ-კახეთის კათოლიკოსმა იოსებმა, საველდრებელი პარაკლისი წაიკითხა მთავარანგელოზისა მიქაელისა და შესთხოვა მას ზეციური მხედრობის მეშვეობით დახმარებოდა ერეკლე მეფეს ყარაბაღის ლაშქრობაში, დაესაჯა აგარიანები და მშვიდობით დაბრუნებულიყო სამშობლოში.

მეფე ერეკლეს სახელი, როგორც უბადლო მხედართმთავრისა, უკვე გასცდა საქართველოს საზღვრებს. მუსლიმანების გარემოცვაში მოქცეული ქვეყნის თვითგადარჩენისთვის ბრძოლა მოითხოვდა ისეთ წინამძღოლს, რომელსაც ერთობლივად უჭრიდა, როგორც ჭკუა-გონება, ასევე ხმალი. თეიმურაზისა და ერეკლეს მეფობამდე ბევრმა გვირგვინოსანმა სცადა ამ მოჯადოებული რკალის გარღვევა, მაგრამ მათი მცდელობა ან ნაადრევი სიკვდილით ან კიდევ ქვეყნიდან გაქცევით დამთავრდა. მხოლოდ მამა-შვილმა მოახერხა უფსკრულის პირას მდგომი ქართლ-კახეთის გაერთიანება და ფეხზე დაყენება, თან ისე, რომ მათ, სხვა წინამორბედი მეფეებივით, არ შეუცვლიათ რჯული. ოსმალები, სპარსელები და კავკასიის ზოგიერთი ხალხი მუმლივით ესეოდა ღვთისმშობლის წილხვედრს, მაგრამ ვერაფერს აკლებდნენ. ერეკლეს სახელი, მისი გმირული საქმეები-

დან გამომდინარე, მალევე გასცდა ქვეყნის საზღვრებს და ევროპელთა ყურადღებაც მიიპყრო. თვით ბრიტანელები, რომლებიც მსოფლიო ბატონობაზე აცხადებდნენ პრეტენზიას, ერეკლეს გმირობით გაოცებულნი საქვეყნოდ აცხადებდნენ: ,,ის აღმოსავლეთის გამოცდილი პრინცია. მისი გამაოგნებელი გულადობა შესანიშნავად ერწყმის ბრძენკაცურ სიმშვიდეს, უკიდეგანო გამოცდილება, უძლეველი ვაჟკაცობა, სანიმუშო ღირსება, კეთილშობილებით სავსე სამართლიანობა და უსაზღვრო სივრცე აზროვნებისა. მისმა ღირსებებმა ის საკუთარი ხალხისა და ჯარისკაცების კერპად, მეზობლების აღფრთოვანების საგნად და მტრების შიშის ზარად აქცია. მთლიანობაში ეს პიროვნება ისეთ დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მას საკუთარი სასახლის ღირსეულ პრინცად და არმიის შესანიშნავ გენერლად აღიქვამ. სხვა რა უნდა იყოს მისგან მოსალოდნელი? პრინცისგან, რომელმაც საკუთარ თავში ამდენი ბრწყინვალე თვისება გააერთიანა; რომელიც ძლევამოსილად ფლობს საქართველოს და სპარსეთის სომხეთის ორ დიდებულ სამეფოს. ვისაც გააჩნია ყველაზე დიდი უპირატესობა იყოს აღმოსავლეთის უმამაცესი ერების მთავარსარდალი, იმ ხალხისა, რომელიც საკუთარი პრინცისა და ქრისტიანული რწმენის დასაცავად დაუფიქრებლად თავს გაწირავს“.

ერეკლე კი წინ მიიწევდა. მას, საბრძოლო ხელოვნებაში, იმდენად დაოსტატებული მეომრები ჰყავდა,

რომ შეეძლო მცირერიცხოვანი ჯარით დაემარცხებინა რიცხობრივად ათჯერ მეტი მოწინააღმდეგე. ახლაც მიდიოდა ყარაბაღისკენ განდგომილი ხანის დასასჯელად.

- რას იტყვი, ბაღათერ, ყარაბაღის ხანს რა აქვს ჩაფიქრებული!? - გადაულაპარაკა ერეკლემ მის გვერდით მიმავალ მედროშეს, რომელიც ამაყად იჯდა ცხენზე და ზევით ჰქონდა აზიდული საბრძოლო დროშა. ბაღათერი არ მოელოდა მეფისგან ასეთ შეკითხვას და მეყსეულად დაიბნა კიდეც. თუმცა პასუხის გაცემა მაინც მოახერხა:

- ეგ ნამდვილად არ ვიცი, მეფეო, რა აქვს ჩაფიქრებული, მაგრამა ერთი კი ვიცი, რომა აი, ამ დროშასა მაგათ ციხეზე ავაფრიალებ! მერე დაჯდეს დედაკაცივითა ეგ ხანი და იფხანოს! ...

ერეკლემ გულიანად გადაიხარხარა, შეხედა ბაღათერს და უთხრა:

- მაგარი ხალხი ხართ ხევსურები, ბრძოლაში ხმალი გიჭრით და სიტყვაში რითმა! აბა, მაშინ ხანი ხანსა შემოვსტყორცნოთ! ისე, რომ ფხანვა დაავიწყდეთ მაგ აყროლებულებს!

ბაღათერი ბავშვობიდან თელავის სასახლეში ერეკლესთან ერთად იზრდებოდა. მამამისი თორღვა თეიმურაზ მეფის თანამებრძოლი გახლდათ. მეფეს დევნილობაში ხშირად შეუფარებია თავი ხევსურეთში თორღვას ოჯახისთვის. ჟამიანობისას თორღვას ოჯახობა შავ ჭირს შეუწირავს, მხოლოდ ბაღათერი გადარჩენილა,

რომელიც თეიმურაზს თელავში წამოუყვანია და ისე ზრუნავდა მასზედ, როგორც საუთარ შვილზე. ერეკლე მას გვერდიდან არ იცილებდა და მისი ღირსეული მედროშეც იყო. ბაღათერს ბევრჯერ აუფრიალებია გამარჯვების დროშა მტრის თავზე და ახლაც მზად იყო ეს გაეკეთებინა თუ ამას მისი ძმადნაფიცი და მეფე უბრძანებდა.

ყარაბაღის ხანმა უკვე იცოდა, რომ ქართველთა ჯარი მისკენ მოემართებოდა და სულაც არ აპირებდა ციხის გალავნის შიგნით ჩაკეტვასა და იქიდან ბრძოლას. წინასწარ შეთანხმებულიყო განჯისა და ერევნის ხანებთან ერეკლეს წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე და ახლა მათ ელოდებოდა. სამი სახანოს ჯარები სულ მცირე ხუთჯერ მაინც აღემატებოდა ერეკლეს ლაშქარს და ამიტომაც გაშლილ მინდორზე ბრძოლაში გამარჯვებას იმედოვნებდა ყარაბაღელი. ის კი ფიქრობდა, მაგრამ მანამდე ერეკლეს მოფიქრებულიც ჰქონდა ყველაფერი და დაწყებულიც. მეფემ კარგად იცოდა შეთქმულების ამბავი და ამიტომ რამდენიმე დღით ადრე ხუთას-ხუთასი მეომარი გააგზავნა განჯისა და ერევნისკენ, რომლებიც ქალაქის სიახლოვეს უნდა დაბანაკებულიყვნენ და სახანოებში ხმა გაევრცელებინათ ლეკების მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ. სანამ განჯის და ერევნის ხანები გაერკვეოდნენ საქმეში და რამეს მოიფიქრებდნენ, ერეკლემ ძირითადი ჯარი გაატარა ყარაბაღისკენ და პირისპირ აღმოჩნდა აჯანყებულებთან. რა თქმა უნდა, განჯის

და ერევნის ხანებმა, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯარები აღარ დაძრეს ყარაბაღისკენ, ქართველებთან შებმაც, ერეკლეს მოსალოდნელი გაღიზიანების გამო, ვერ გაბედეს. ისიც იფიქრეს, შეიძლება ლეკებთან საბრძოლველად ქართველების დახმარება დასჭირვებოდათ და ამის გამოც თავი შეიკავეს. ამ გაუგებრობამ რამდენიმე დღეს გასტანა. ამასობაში ღამით ქართველებმა აშალეს ბანაკი და ყარაბაღისკენ გაჰქუსლეს...

ადგილმდებარეობის რამდენჯერმე წინასწარ დაზვერვის შემდეგ, ხანი დარწმუნდა, რომ ერეკლეს ფლანგებზე რაზმები არ ჰყავდა განლაგებული, ამიტომ მთელი ძალების კონცენტრაცია ძირითად ჯარში მოახდინა. უკან დახევის შემთხვევაში, ციხე-სიმაგრისკენ გზა თავისუფალი იყო და არ გაუჭირდებოდათ სიმაგრეში შესვლა და ჩაკეტვა. თუმცა ხანი უკან დახევას ნაკლებად ვარაუდობდა, რადგან მისი ჯარი რიცხობრივად ბევრად აღემატებოდა ქართველებისას და თან იმედი ჰქონდა, რომ ერევნისა და განჯის სახანოების ჯარები მოუსწრებდნენ ბრძოლას.

ერეკლემ შათირი გაუგზავნა ხანს და დანებება უბრძანა. სანაცვლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას და მისი შვილის ყარაბაღის ხანად დანიშვნას შეჰპირდა. თუმცა ხანს ქართველთა ლაშქრობის ხარჯები უნდა აენაზღაურებინა. აგარიანელებმა მასხრად აიგდეს ერეკლეს შათირი და ხელის აქნევით გამოაგდეს ბანაკიდან, ხოლო ქარ-

თველებს იარაღის ჟღარუნით შეატყობინეს, რომ ბრძოლას მიიღებდნენ.

ერეკლე, როგორც ყოველთვის, აუღელვებლად შეხვდა ამ ამბავს და სახეზე ღიმილიც მოჰფენოდა. არ ჩქარობდა, თითქოს ვიღაცის მოსვლას ელოდებაო. მერე ბაღათერს მიუბრუნდა და გაღიმებულმა ჰკითხა:

- ხევსურო, მზად ხარ დროშა აღმართო ციხეზე!?

- როგორც ყოველთვის, მეფეო! - თითქმის იღრიალა ბაღათერმა, - შენ ოღონდ მიბრძანე! თუ გინდა ეხლავე იქ გავჩნდები!

- ეხლა არა, - გაეცინა ერეკლეს, - საღამოს ან შეიძლება ადრეც. ვნახოთ პაპა რა ამბავს მოგვიტანს.

ამასობაში პაპა ბებურიშვილი-ვაჩნაძეც გამოჩნდა. ბრძოლებში გამობრძმედილ ჭაკზე ამხედრებული ერეკლესკენ მოისწრაფვოდა. მიეახლა მეფეს და სულ რამდენიმე სიტყვა ჩასჩურჩულა ყურში.

ერეკლემ ხმალი ასწია მაღლა, ხოლო ბაღათერმა - დროშა. მეფემ ზევით აწეული ხმალი ოდნავ დაბლა დასწია, თითქოს მტრისკენ უნდა ისროლოსო და იყვირა:

- ჰკა მაგ წუნკლებსა!

ერეკლეს მომღიმარი სახე უცებ შეეცვალა. ჩვეული შეძახილის შემდეგ განრისხებულ ლომს დაემსგავსა, ცხენს მარჯვენა ფეხით ავჟანდი დაჰკრა და გაიჭრა მტრისკენ. ისრის სასროლზე არ იყო მიახლოებული მტრის ჯართან, რომ მარჯვენა მხრიდან, თითქოს მიწი-

დან ამოვიდნენო, ხუთასამდე ქართველი მხედარი გაიჭ-
რა მტრის ფლანგისკენ. წინ მოყიჟინეები მიჰქროდნენ და
თავზარდამცემი ყიჟინით იკლებდნენ იქაურობას.

ყიჟინა ქართველთა ბრძოლის ერთ-ერთი ხერხი იყო.
ამისთვის საგანგებოდ არჩევდნენ და წვრთნიდნენ მებრ-
ძოლებს. ყიჟინა ფსიქოლოგიურად ანგრევდა მტრის მებ-
რძოლების გონებას და დროებით უკარგავდა კონცენტ-
რაციას. ამ მომენტით დროულად უნდა ესარგებლათ შე-
ტევაზე გადასულ მეომრებს და დაეწყოთ მოწინააღმდე-
გის ხოცვა-ჯლეტა ...

ასევე ხუთასამდე ქართველმა, თავისი მოყიჟინეე-
ბით, ზურგიდან შეუტია აგარიანელებს. ამ დროს ერეკ-
ლეც, თავისი მეწინავე რაზმით, სოლივით შეიჭრა მტრის
ჯარში და დაიწყო ურჯულოთა ხოცვა.

აგარიანელები დაიბნენ და ერთმანეთს მიაწყდნენ.
ვეღარ იგებდნენ, საით უნდა გაქცეულიყვნენ, რომ სი-
ცოცხლე მაინც გადაერჩინათ. ერთადერთი გასასვლე-
ლი მარცხენა ფლანგზე იყო დატოვებული და ყველანი
იქით გაიქცნენ. ხალხის სიმრავლემ თავისი გააკეთა და
ჩაიხერგა ეს გასასვლელიც... ასე, რომ ქართველები ისე
დასდევდნენ თათრებს, როგორც ქორი წიწილებს...

ბაღათერმა ციხეზე გამარჯვების დროშა ააფრიალა.

ერეკლემ განჯის და ერევნის მიმართულებითაც
ილაშქრა. დასაჯა მოღალატეები და ამ სახანოების
მფლობელი და მბრძანებელი გახდა. ქართლ-კახეთის მე-

ფის უზენაესობა საჯაროდ აღიარეს აგრეთვე შაქის, შამახიის და ნახიჩევანის მფლობელებმაც. ჩრდილო აზერბაიჯანის და სომხეთის ის ტერიტორია, რომელსაც სამხრეთიდან მდინარე არაქსი საზღვრავდა ნელ-ნელა ქართული სახელმწიფოს გავლენის ქვეშ ექცეოდა.

- ვაჟავ! ზაქრო, - ბუტბუტებდა მგელიკა, - ამითვინ ჩამოველ ხევსურეთიდან, რო არ დავღლილიყავი ომითა! რა იცის ამ ჩვენმა მეფე ერეკლემა, ისეთ ფანდებს მაიგონებს, რომ ზოგჯერ ხმალს ვერ ვაძღობ სისხლითა. რა გამოვიდა, ამხელა გზაზე საკეჭნაოდ წამოვედ!? ...

V

დილით ადრე მეფე თეიმურაზი თავისი ამალით გაუდგა გზას რუსეთისკენ. თერგის ღრიალის ფონზე ქართველები მიუყვებოდნენ დარიალის ხეობას, რომელიც ერთ-ერთი დამაკავშირებელი გზა იყო ჩრდილოეთთან. საზღვრის გადაკვეთისას მეფეს თითქოს რაღაც ჩასწყდა მკერდში. მისი სხეული კი მიდიოდა წინ, მაგრამ სამშობლოს ბედუკულმართობით აფორიაქებული სული თითქოს უკან ექაჩებოდა მრავალჭირვარამგადატანილ მეფეს და არ უნდოდა ქართლის დატოვება. თეიმურაზი შემობრუნდა ზურგისკენ, კიდევ ერთხელ გახედა სამშობლოსკენ მიმავალ გზას, პირჯვარი გადაიწერა და

გზა განაგრძო რუსეთისკენ. იმ რუსეთისკენ, სადაც იგი არავის მიუწვევია და ჯერჯერობით არც საიმპერატორო კარმა იცოდა, რომ მათთან ქართლის მეფე მიბრძანდებოდა. თეიმურაზმა და ერეკლემ შეგნებულად არ შეატყობინეს რუსეთის ხელისუფლებას თეიმურაზის ელჩობა, რადგან წინასწარ იცოდნენ, რომ ისინი უარს იტყოდნენ ქართველთა ვიზიტზე, რადგან ხანგრძლივ ომს აწარმოებდნენ პრუსიასთან და ქართველების გამოჩენა საიმპერატორო კარზე ოსმალეთის გაღიზიანებას გამოიწვევდა. ომში ჩართულ რუსეთს კი რესურსები აღარ ეყოფოდა თურქეთის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად. თუმცა თეიმურაზის ამალაში ,,ჩანერგვა“ მოახერხა რუსეთის აგენტმა ოთარ თუმანოვმა, რომელსაც უკვე მოესწრო შეტყობინებების გაგზავნა საიმპერატორო კარზე, რათა შეეფერხებინათ მეფის ჩასვლა რუსეთის სატახტო ქალაქში. თუმანოვი ამ შემთხვევაში უფრო სომხების დავალებას ასრულებდა და რუსეთის საიმპერატორო კარს ქართველ მეფეთა განხეთქილებაზე სწერდა წერილებს, რაც მისი და მისი დამქირავებლების აზრით რუსეთს ხელს ააღებინებდა ქართლ-კახეთისთვის გაეწია დახმარება. ეს საბოლოო ჯამში სომხების ,,წისქვილზე დაასხამდა წყალს“.

არც ქართველი მეფეები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ვახტანგის მემკვიდრეებს, ხელი რომ არ შეეშალათ თეიმურაზის ელჩობისთვის, ერეკლემ წერილი გა-

უგზავნა ალექსანდრე ბაქარის ძეს: ,, ... მამაჩემი წამოვიდა მისის იმპერატორობის დიდებულების წინაშე ამ ქვეყნებისა უშჯულოთაგან შეიწრების მიზეზისათვის სავედრებელად. მოველი, რათა შეეწიო და წარმართებულყო ამისი და ამ ქვეყნების საქმე ... "აგრეთვე სთხოვს ბატონიშვილ ლევან ბაქარის ძეს დაეხმაროს თეიმურაზს. ხოლო პაპუნა გაბაშვილი კი ალექსანდრე ბაქარის ძეს ამცნობს იმის შესახებ, რომ თეიმურაზს რუსეთში თან მოაქვს ორივე მეფის ბეჭდით დადასტურებული წერილი იმის შესახებ, რომ თუკი იმპერატრიცა ინებებს და თავად ბატონიშვილი თანახმა იქნება, გამოჰყვეს საქართველოში თეიმურაზს და თავისი ტახტი ქართლში თავადვე ჩაიბაროსო.

როგორც ჩანდა, ამით მეფეებს ვახტანგის სახლიშვილთა ყურადღების მოდუნება უნდოდათ, თორემ ქართლის ტახტის დათმობას არავისთვის აპირებდნენ. ამავე მიზნით, რუსეთში წასასვლელად გამზადებულმა თეიმურაზმა, ქართლის გამგებლობა ოფიციალურად ერეკლეს კი არა, გიორგი ბატონიშვილს დაუტოვა ,, ... მაშინ მეფისა ძესა გიორგის, ვითარცა შვილიშვილსა, უბოძა სკიპტრა ქართლისა მეფობისა, გარემოსდვა მას თავისი სამეფო ხრმალი, დაჰკიდა მას ძალი მორწმუნეთა ჯვარი ძელ-ჭეშმარიტითა ცმული, ოქროსა ჯაჭვითა საკიდარი და თვალი-მარგალიტით შემკული, მცხეთის ეკლესიასა შინა, თანდასწრებითა იოსებ კათალიკოსისა და ეპის-

კოპოსისთა, თავადთა, აზნაურთა და კარისკაცთა იგი ღვთისმშობლის მცირედითა ხატითა ...“.

ასე, რომ თეიმურაზის რუსეთში წასვლა, თავისთავად წყვეტდა ქართლის ტახტის მემკვიდრეობის საკითხს. გიორგი ბატონიშვილისთვის უფლებების გადაცემა მტისთვის თვალის ასახვევი მანევრი იყო და მემკვიდრეობას ერეკლე დაეუფლებოდა, რასაც ქართლისა და კახეთის სამეფოების ფაქტობრივი გაერთიანება მოჰყვებოდა. ამასთან ერთად, როდესაც ერეკლე ქართლ-კახეთის მეფედ იკურთხებოდა, ვახტანგის შთამომავლები თავიანთ თავს ვეღარ გამოაცხადებდნენ ქართლის მეფეებად, როგორც ამას აქამდე საქვეყნოდ გაჰყვიროდნენ, ხოლო თეიმურაზს რუსეთის სამეფო კარზე ქართლის მფლობელად მოიხსენიებდნენ. არადა მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით ის არის, რომ იგი არის, ქრისტიანობის დაცვით ტახტზე ასული მირონცხებული მეფე და იგი არ არის დამოკიდებული არც სპარსეთზე და არც ოსმალეთზე, როგორც საქართველოდან გაქცეული ტახტდაკარგული და რჯულშეცვლილი ქართველები, რომლებიც თავის თავს მეფეებად მოიხსენიებენ. თეიმურაზის მეფობის დამადასტურებელი ცნობების მიწოდება რუსეთის საიმპერატორო კარისთვის აუცილებელი და დროული იყო, რათა მომზადებულიყო საფუძველი, რომ იგი პეტერბურგში მეფური პატივით მიეღოთ.

დარიალის ხეობიდან გასვლის შემდეგ, მეფე თეიმურაზმა გაიარა პატარა ყაბარდოს ნაწილი, ჩეჩნეთი,

გროზნი, სტავროპოლის ცენტრალური ადგილი და ას ოცდაათი კაცითა და ორი, ბარგით დატვირთული ურმით, ქალაქ ყიზლარში ჩავიდა.

იმის გამო, რომ ყიზლარის შემოგარენში გავრცელებული იყო შავი ჭირი, თეიმურაზი კარანტინის მიზეზით შვიდი თვე გააჩერეს. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მთავრობა ქართველი მეფის გამოჩენამ დააბნია. რუსეთს ოსმალეთის თვალში პირობის დამრღვევად არ სურდა გამოჩენილიყო, თუმცა არც ქართლ-კახეთისთვის შეიძლებოდა ზურგის შექცევა. თეიმურაზი კი ჩქარობდა. ახლა ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო მართლმადიდებლებისთვის აღმოსავლეთში პოზიციების გასამტკიცებლად.

ყიზლარიდან ასტრახანში ჩასული მეფე კვლავ კარანტინში მოხვდა. რუსეთის მთავრობა კვლავ აფერხებდა მის გამგზავრებას და ამისთვის სხვადასხვა მიზეზებს ასახელებდა. სამ თვეზე მეტ ხანს შეაფერხეს თეიმურაზი ასტრახანში. იგი თითქმის ყველა წირვას ესწრებოდა ადგილობრივ ეკლესიებში და უფალი უმსუბუქებდა იმ სევდას, რომელიც მგზავრობის გაჭიანურებით დაუფლებოდა, როგორც მეფეს, ისე მისი ამალის წევრებს.

როდესაც ასტრახანიდან გამგზავრების ნებართვა მიიღო, ყველაფერი იღონა, რათა სწრაფად ჩასულიყო მოსკოვში. ამ მიზნით მან საფოსტო გზა ამჯობინა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზაზე ხშირად ხის, ნახევრად

დამპალ ქოხებში უხდებოდა ღამის გათევა. მეფე ჩქარობდა. თუმცა, გზაშიც კი, როგორც კი საშუალება მიეცემოდა წირვას ესწრებოდა.

მოსკოვში თეიმურაზი თბილად მიიღეს. მას შეხვედრები ჰქონდა ქალაქის წარჩინებულ ადამიანებთან, სამხედრო პირებთან, მანუფაქტურების წარმომადგენლებთან, ვაჭრებთან, ვახტანგ მეფის შთამომავლებთან. რუსეთის არმიის გენერალ-ანშეფმა - გიორგი ბატონიშვილმა, მეფის საპატივცემულოდ, საკუთარ სახლში დარბაზობა გამართა. დიდ მარხვის დაწყებასთან დაკავშირევით თეიმურაზმა შეხვედრები შეამცირა, მარხვის პირველი კვირის განმავლობაში არავის შეხვედრია, მხოლოდ ლოცულობდა.

ათას ცხრაას სამოცდაერთი წლის რვა მარტს, ქართლ-კახეთის ელჩობამ მოსკოვი დატოვა და პეტერბურგისკენ გაემგზავრა. მათ ოფიციალურ გამცილებელთა გარდა, სოფელ ვსესვიატსკოემდე, გიორგი ბატონიშვილი და ქართველი თავადაზნაურობა გაჰყვა.

VI

ტფილისში გამარჯვებულ ერეკლეს და მის ლაშქარს მოსახლეობა ზარ-ზეიმით დახვდა. გუგუნებდა სიონის, ჯვრის მამის, ანჩისხატის და ყველა დიდი თუ პატარა ეკლესიების ზარები. სასულიერო პირები ხატებითა და ბაირაღებით ხელში გამოსულიყვნენ მეფის დასახვედრად. ქუჩებში და საქვეყნოდ ცნობილ თბილისურ აივნებზე სახელდახელოდ სუფრები გაეშალათ ქალაქელებს. თეთრ ცხენზე ამხედრებულ ერეკლეს ღვინით სავსე თიხის ჯამებით, ყანწებით, აზარფეშებით ხვდებოდნენ ტფილისელები და დედაქალაქის სტუმრები. ზოგნი ყვავილებს ესროდნენ გამარჯვებულებს. იყო ცეკვა და სიმღერა. სადღეგრძელოებსა და შეძახილებს ხომ ბოლო არ უჩანდა:

- დღეგრძელი იყოს მეფე ერეკლე! ...

- გაუმარჯოს ჩვენს ლომგულოვან მეომრებს! ...

ერეკლე სასახლესთან ცხენიდან ჩამოხდა, ყველას ხელის აწევით მიესალმა, თავი მდაბლად დახარა, რაც მადლობის ნიშანი იყო. შემდეგ ასისთავები იხმო და მათთან და სამეფო კარის მოხელეებთან ერთად შევიდა სასახლეში. დარბაზონში მეფე დაბრძანდა ტახტზე და იქ შეკრებილთ მიმართა:

- როგორც ყოველთვის ყველა მეომარს გაუნაწილეთ ალაფი და ჯამაგირიც უწყალობეთ! არავინ დამიტოვოთ

უკმაყოფილო! მერე კი ყველანი ოჯახებს დაუბრუნდნენ და თავიანთი სოფლები დაიცვან ლეკთაგან! ... ტფილისის მცხოვრებთ და დედაქალაქის სტუმრებს კი, გამარჯვების აღსანიშნავად, მეფისგან ღვინო და ხორაგი მიართვით! ... დაე, იზეიმოს ხალხმა გამარჯვება! ...

ამის შემდეგ მეფე წამოდგა ტახტიდან და თავის განსასვენებელში შევიდა.

ის ღამე ლაშქრობიდან მობრუნებულმა მეომრებმა ქალაქში გაატარეს.

დილით, როგორც კი ირიჟრაჟა, ზაქრო და იასე, თავისი რაზმებით გზას გაუდგნენ. ბერთუბანში შეჩერდნენ მცირე ხნით. იასემ თავისი მეუღლე გააცნო ძმადნაფიცს და თან გადაიხარხარა, როგორც ეს ზორბა ტანის მეომრებს სჩვევიათ. მერე დაცხრა, ზაქროს ხელი გადახვია და უთხრა:

- ისე, შენ რომ არ გაგეგზავნე ქართლშია, დღესაც ეულად ვივლიდი, ჩემი სალომე კიდენა ალბათ, ოსმალოს რომელიმე ფაშას მეათე ცოლი იქნებოდა.

- უიმე! - სახეზე სიწითლემ გადაუარა შავტუხა სალომეს, - რა უკბილო ხუმრობები იცი ქა! იგრე ლაპარაკობ, ვინმეს მართალი ეგონება...

- დედაკაცოო! - ხმას აუწია იასემ, - შენა მიდი პურ-ღვინო მოგვიტა! მართალი ვარ თუ მტყუანი იქ გავარჩევთ!

მიუხედავად ზაქროს უარისა, იასემ თავისი გაიტანა და მალე ომიდან მობრუნებული ბიჭების მრავალჟამიერის საამო ჰანგები მოეფინა მთელ სოფელს.

- მეფე ერეკლეი გაუმარჯოი! - კახთბატონის თოფივით დასჭექეს ბიჭებმა.

ერეკლეს სადღეგრძელოს კახეთში და არა მარტო აქ, არამედ მთელს საქართველოში სვამდნენ. კახელი კაცი დილით რომ ადგებოდა, ჯერ ღმერთს ადიდებდა და მერე იტყოდა: ,,ღმერთო, დიდხანს და ჯანმრთელად გვიმყოფე ჩვენი მეფე ერეკლეო!“ ამ სიტყვებს მოისმენდით ყველგან - ოჯახში, მინდორში, პურის ჭამის დროს და სადაც კი კახელი გლეხი შრომობდა, იბრძოდა თუ ისვენებდა. ამ მართლა მირონცხებულმა მეფემ საუკუნეებით გატანჯულ ქართველ კაცს სასო ჩაუსახა გულში, ღირსება დაუბრუნა, აგრძნობინა, რომ ის იყო თავისი მამულის პატრონი, მისი იყო ის მიწა-წყალი, რომელიც მისივე მამა-პაპის სისხლით მორწყულიყო საუკუნეების განმავლობაში და რომელსაც მომხვდური ეპატრონებოდა. უმოქმედობით დაჟანგებული წინაპრების ხმალი ააღებინა ხელში, ჯერ მამულისა და ოჯახის სადარაჯოზე დააყენა, მერე კიდე იმათი ბატონი გახადა, ვინც გუშინ მას აწიოკებდა. აი, დღეს ასეთ ამწიოკებელზე გამარჯვებას ზეიმობდნენ ბერთუბანში ერეკლეს გაწვრთნილი და ერთგული მეომრები ...

ზაქრომ შენდობა ითხოვა მასპინძლისგან:

- იასე, რა ვქნა, კაცო, ძაან მინდა შენს ოჯახში პურიჭამა, მაგრამა ხომ იცი, მართა ფეხმძიმედ დავტოვე და უნდა წავიდე, დავხედო, არაფერი ვიცი რა ხდება? ...

- შენ ნუ გეში, - გაზორბავდა ისევ იასე, - ამირანა იმაი არაფერ დააკლებს ...

ზაქრომ მაინც თავისი გაიტანა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სადიდებელი წარმოთქვა, სალომეს მადლობა გადაუხადა და მასპინძელს დაემშვიდობა. იასემ დამშვიდობებისას ზაქროს ყურში ჩასჩურჩულა:

- ბჯო! სალომეც ფეხმძიმედა მყაამ და ბიჭი რო დაიბადება, ხო იცი, შენ უნდ იყო ნათლია!

- რა იცი, რო ბიჭია? - ჰკითხა გაოცებულმა ზაქრომ.

იასეს თითქოს ეწყინაო, ისევ გაზორბავდა და განაწყენებულმა უპასუხა:

- მა მე არ ვიცი რა შავქმენიი? ...

ძმადნაფიცებმა გადაიხარხარეს, მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ, მშვიდობა ისურვეს და ზაქრო თავის მცირე, მაგრამ მტრის რისხვადწოდებული რაზმით დაადგა წანარიანისკენ მიმავალ გზას.

საღამოს ზაქრო უკვე წანარიანში იყო. მიიჩქაროდა სახლისკენ. შინ მისვლის ასეთი მონატრება მას არასდროს ჰქონია. ალბათ, იმიტომ, რომ ადრე მარტო ცხოვრობდა, ახლა კი სახლში მეუღლე ელოდებოდა, მეუღლე, რომელიც მუცლით მის შვილს ატარებდა და რომელიც, რაც უახლოვდებოდა სახლს, უფრო და უფრო ენატრებოდა ...

ეზოს ჭიშკარს გაცილებული ზაქრო ცხენიდან კი არ ჩამოხდა, არამედ პირდაპირ აივანზე გადაფრინდა და

სახლის კართან შეჩეხებული მართა გულში ჩაიკრა. ქალის ალერსით გული რომ იჯერა, მერე თითქოს მოეჩვენა, რომ მის მკლავებში მოქცეული მართა გამხდარიყო და ჩვეული ხორციანობაც სადღაც გამქრალიყო. ზაქრომ უკან დაიხია და მეუღლეს შეხედა, რომელსაც მუცელი აღარ ეტყობოდა. ამასობაში მართამ თავის ტუჩებზე მიდებული საჩვენებელი თითით ზაქროს ანიშნა, ხმა არ ამოეღო და თან ჩურჩულით წარმოთქვა:

- მართალია, ჯერ ყურში არ ესმით, მაგრამ მაინც ხმამაღლა არ ილაპარაკო, ახლახანს მოწოვეს ძუძუ და ჩაეძინათ.

გაოცებულმა ზაქრომ მხოლოდ ერთი სიტყვის წარმოთქმა მოახერხა:

- ჩაეძინათ!? ... თ!?

- ტყუპი ბიჭები გვყავს, ზაქრო, - უპასუხა მართამ და გადაეხვია მონატრებულ მეუღლეს, - ღმერთმა წყალობა გაიღო და ათი დღის წინ მოევლინნენ ქვეყანას.

- დიდება შენდა, უფალო! - აღმოხდა ზაქროს და პირჯვარი გადაიწერა.

- ამირანა ძია დამეხმარა, მაშინვე მოიყვანა ბებია ქალი, ელენე და მოგვხედეს, აკვნებიც მოატანინა თელავიდან ბიჭებს. მთელი მათი ოჯახი თავზე გვევლებოდა. ასეთი ყურადღებიანი ხალხი იშვიათად მინახავს.

ზაქრო ფეხაკრეფით შევიდა ოთახში, სადაც მისი გვარის გამგრძელებლებს ეძინათ. დახედა შვილებს და

სიხარულის ცრემლები ვეღარ შეიკავა. აკვნებში გოლიათი პატარები იწვნენ და მშვიდად ეძინათ.

- შენ გელოდებოდით, ზაქრო, - თქვა მართამ - სახელები არ დავარქვით შენს გარეშე.

- ამირანა ძია სახლშია ნეტავ? - იკითხა ზაქრომ.

- არა, ჩვენს მამულშია, - უპასუხა მართამ, - ვიღაც უცხოები ჰყავს წაყვანილი და მიწას ამუშავებენ.

ზაქროს აღარაფერი უთქვამს, გავიდა ეზოში, მოახტა ცხენს და მამულისკენ გაჰქუსლა.

VII

კალას უბანში, ზოგიერთი არაკეთილსინდისიერი ქართველის მიერ, სომხებზე ქრთამის სანაცვლოდ მიცემული, ღვთისმშობლის სახელზე აგებული ტაძრის, სომხების მიერ ნორაშენად წოდებულის ეზოში მუსლიმანურ ყაიდაზე ჩაცმული კაცი გამოჩნდა. ტფილისის ამ უბანში მუსლიმანების გამოჩენა არავის უკვირდა, რადგან ისინი ისედაც ბევრნი ცხოვრობდნენ ქალაქში და თან მეჩეთიც აქვე, ახლოს მდებარეობდა. მაგრამ ქრისტიანულ ეკლესიებს ისინი არ ეკარებოდნენ. უცნობმა მუსლიმანმა კი ისე თამამად შეაბიჯა ნორაშენის ეზოში, რომ თითქოს ტაძარში შესვლას და ლოცვას აპირებდა. მერე, როგორც ჩანს, გონს მოეგო და ეკლესიის კართან გაჩერდა. აქეთ-

იქით გაიხედა. თვალი მოჰკრა სატრაპეზოსთან მოფუსფუსე მორჩილს და ხელით ანიშნა, მისულიყო მასთან. მორჩილი მუსლიმანის დანახვაზე აიმრიზა, ზურგი შეაქცია და განაგრძო თავისი საქმე. ამის დანახვაზე მუსლიმანი თვითონ წავიდა მორჩილისკენ და შორიდანვე დაუძახა:

- წინამძღვარს მოახსენე, იქნებ ინებოს ჩვენთან გასაუბრება.

სანამ მორჩილი უცნაურ სტუმარს მისჩერებოდა, ხმაურზე სენაკიდან წინამძღვარი ლაზარე გამოვიდა და მუსლიმანს გაკვირვებულმა შეხედა. სტუმარმა, სახის გამოჩენის მიზნით, თავსაბურავი აიწია და ლაზარეს გაუღიმა. სახტად დარჩენილმა ჭაუკელმა ხელები გაშალა, აქეთ-იქით გაიხედა და მუსლიმანს სატრაპეზოსკენ გაუძღვა, თან მორჩილი გააფრთხილა, რომ არავის შეეწუხებინა ისინი. როგორც კი განმარტოვდნენ, ლაზარემ ხელები მაღლა ასწია და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

- ღმერთო ჩემო, პატრე ნიკოლა!? - საიდან, როგორ!? ან ეს რა ჩაგიცვამს!? გაგამუსლიმანეს თუ რა ხდება შენს თავს!?

- სხვაგვარად ტფილისში ვერ ჩამოვიდოდი, - უპასუხა პატრემ და თავსაბურავი მოიხსნა, - ჩვენ ხომ თეიმურაზმა გაგვაძევა ახალციხეში.

- მერე თეიმურაზი ხომ პეტერბურგში წავიდა, - მიუგო ღიმილით ჭაუკელმა, - თუმცა ჯერ ვერ მივიდა იქამდე. ერეკლეს კიდევ ასეთი რამეები არ აინტერესებს.

- სამაგიეროდ თეიმურაზმა იმდენი გველი დატოვა აქ, რომ ყველგან დასრიალებენ და მათ თვალსა და გესლს ვერსად დაემალები. - თქვა ნიკოლამ და სკამზე ჩამოჯდა.

- აქ როგორ მოხვდი, მარტო ჩამოხვედი? - კითხვას კითხვაზე უსვამდა ლაზარე.

- ახალციხის ფაშას ნდობით აღჭურვილი პირი ჩამოვიდა ერეკლესთან საგანგებო დავალებით და იმის ამალაში მოვახერხე დავმალულიყავი, - სწრაფად უპასუხა პატრემ, რადგან ეტყობოდა, რომ ჩქარობდა, - თუ გამიგეს ქართველებმა, დილეგი არ ამცდება. შენი ნახვა მინდოდა. ისე აირია ყველაფერი, ველარავის ვენდობი.

- გისმენ, ნიკოლა. - თქვა ლაზარემ და მოემზადა მოსასმენად.

- ამას წინ პატრი ლეონარდომ ძალზედ საეჭვოდ მისწერა რომის პაპს, რომ ,,თეიმურაზ მიდის რუსეთს და ვგონებ იქიდგან აღარ დაბრუნდესო, რადგან საკმაოდ დროულიაო“. ამასთან აუწყებს ერეკლეს გამეფებას, დიდად აქებს და აცხადებს: ,,ჩვენზე მიდრეკილია და ჩვენთვის კეთილი უნდაო“. რომში, როგორ ჩანს ეს წერილი ისე გაიგეს, რომ ჩვენ უნდა პეტერბურგში დავიწყოთ თეიმურაზის წინააღმდეგ ბრძოლა. საიმპერატორო კარზე ვახტანგის მემკვიდრეებიც ამოქმედდნენ, მათ შორის ანტონ კათოლიკოსყოფილიც და როგორც მამცნეს რომიდან, თქვენი ხალხიც ჩართულია ამ საქმეში.

ლაზარე ყურადღებით უსმენდა პატრეს და ფიქრობდა: „ყველაფერი ზედმიწევნით შეუსწავლიათ რომში, ტფილისიც, პეტერბურგიც ... იქნებ ნიკოლა მატყუებს და ჩემი ალაპარაკება უნდა? იქნებ მოგზავნილია?“ ამიტომ ლაზარემ გაიცინა, ხელი ჩაიქნია და უთხრა ნიკოლას:

- ჩვენები ყველგან არიან, პატრე - რუსეთშიც, ევროპაშიც, აზიაშიც და ამერიკაშიც კოლუმბზე ადრე ჩავიდნენ, რადგან ჩვენ აღებ-მიცემობა და მიწების ათვისება გვაინტერესებს, რომ დიდი სომხეთის აღდგენა, რაც შეიძლება მალე დავიწყოთ ...

- კარგი, კარგი, თქვენო უწმიდესობავ, - შეაწყვეტინა სიტყვა ნიკოლამ ჭაუკელს, - პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, თორემ მე მეჩქარება.

- მეტი რა უნდა გითხრა, პატრე, - გაიკვირვა ლაზარემ, - ჩვენი მოღვაწეობა რუსეთის საიმპერატორო კარზე დიდი სომხეთის აღდგენას ემსახურება ...

- მაშინ პირდაპირ გეტყვი, - შეაწყვეტინა ისევ სიტყვა პატრემ, - თუ მხოლოდ თქვენი ინტერესი დიდი სომხეთის აღდგენაა, რას აკეთებენ თეიმურაზის ამალაში ოთარ თუმანოვი და დიმიტრი მანღოვი?

ლაზარეს უნდოდა, რომ კვლავ გაკვირვება გამოეხატა, მაგრამ გადაიფიქრა, რადგან როგორც ჩანდა, რომში მათი ყველა ნაბიჯი კარგად იცოდნენ და ისევ ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა:

- ერთი საქმე გვქონია, როგორც ჩანს, პატრე. რას მთავაზობ?

- მოკლედ გეტყვი, - მიუგო პატრემ, - სომხებს საქართველოში თქვენი გავლენის გაფართოება გსურთ, ჩვენ კი ანტონის ჩამოსვლა. ამიტომ თეიმურაზი სამუდამოდ უნდა დარჩეს რუსეთში, თანაც უსულო მდგომარეობაში ...

- და გგონია, რომ თეიმურაზის მოკვლით ანტონს ჩამოიყვან ტფილისში? - იქედნურად გაეღიმა ლაზარეს.

- დიახ! თქვენო უწმიდესობავ! - ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უპასუხა პატრემ.

- იცი, რომ ამათ, - თქვა ჭაუკელმა და ხელი სიონის ტაძრისკენ მიმართა, - დაიწყევლეს საეკლესიო კრებაზე, რომ ვინც ანტონს ჩამოიყვანს და აღადგენს კათოლიკოსად სამუდამოდ დაწყევლილი იყოსო და არა მარტო ის, არამედ მთელი ერიო!?

პატრემ ხელები გაშალა, შეხედა ლაზარეს და გაკვირვებულმა წარმოთქვა:

- მერე შენ რა გადარდებს!?

ორივეს გაეცინა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოთქვეს.

მზე იმ დღესაც ჩვეულებრივად მიეფარა ტფილისის მთებს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ღალატისფერი ზეცა დაუტოვა მრავალჭირგამოვლილ ქალაქს.

VIII

ათას შვიდას სამოცდაერთი წლის აპრილის დასაწყისში, მეფე თეიმურაზი თავისი ამალით, როგორც იქნა ჩავიდა პეტერბურგში. მიუხედავად გაზაფხულისა, რუსეთის სატახტო ქალაქი ისევ ზამთრის თეთრ საბურველში იყო გახვეული. თუმცა პეტრეს ქალაქში სიცოცხლე დუღდა, ვერ იგრძნობდა ადამიანი, რომ რუსეთი რამდენიმე წელია გაჭიანურებულ ომში იყო ჩართული. მიმდინარეობდა ქალაქის გაშენება, რომელსაც უცხოეთიდან მოწვეული ცნობილი არქიტექტორები ხელმძღვანელობდნენ. ერთი რაც ხასიათს წაუხდენდა დედაქალაქის სტუმარს ჩრდილოეთიდან მონაბერი ცივი ქარი იყო. ქართველები, რომლებიც ერთი წელიწადია, რაც გზაში იყვნენ და რუსეთის ზამთარი თავის თავზე გამოსცადეს და გადაიტანეს, მაინც ვერ ეგუებოდნენ სიცივეს. მასპინძლებისთვის კი ეს ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ და თბილ ტანსაცმელში შეფუთული ქართველების დანახვაზე ღიმილი ადგებოდათ სახეზე.

პეტერბურგში ჩასვლიდან რამდენიმე დღეში შედგა თეიმურაზ მეფის აუდიენცია იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულთან. ელისაბედი კეთილგანწყობილი გახლდათ ქართველების და განსაკუთრებით ბაგრატიონების მიმართ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ კავკასიაში ერთმორწმუნე ერი მხოლოდ ქართველები გახლდნენ და მე-

ორე მამამისს პეტრე დიდს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბაგრატიონებთან. ალექსანდრე ბატონიშვილი მასთან შეზრდილი და ახლო მეგობარი გახლდათ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა რუსეთში არტილერიის განვითარებას. თეიმურაზ მეფეს სასახლესთან ლეიბგვარდიის ჯარისკაცები დაახვედრეს, რომლებმაც იარაღით ხელში პატივი მიაგეს ქართველთა მეფეს.

იმპერატორის კარზე მისულმა მეფემ იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დედოფალზე და მის ერთგულ მინისტრებზე, რომ ელისაბედმა მაშინვე ბრძანება გასცა, დაეხატათ მისი პორტრეტი. ეს საქმე სახელმწიფო კანცლერმა გრაფმა ილარიონ ვორონცოვმა ითავა, მოიწვია სასახლის მხატვარი ალექსი ანტროპოვი, რომელმაც ნატურიდან დახატა მეფე.

თეიმურაზი და მისი გარემოცვა გაკვირვებულნი იყვნენ, რომ იმპერატრიცა ელისაბედს არ ჰყავდა კანონიერი მეუღლე, რაც დედოფლისთვის და მით უმეტეს ასეთი დიდი სახელმწიფოს საჭეთმყრობელისთვის, როგორიც რუსეთი იყო - იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. თუმცა სასახლის კულუარებში არაფერი იმალებოდა. მიუხედავად იმისა, რომ დიდი და პატარა ჩინის მსახურნი ჭორსა და მართალს ერთმანეთში ურევდნენ, ბოლოს მაინც ყველა ერთ აზრამდე მიდიოდა და ეს ერთი, გინდაც ტყუილი ყოფილიყო, მაინც სიმართლედ მიაჩნდათ. ასე იყო თუ ისე, ელისაბედ პეტრეს ასულის გარემოცვაც

დარწმუნებული იყო, რომ იმპერატრიცას თავისი ფავორიტისგან - ალექსი რაზუმოვსკისგან ჰყავდა ორი შვილი - ბიჭი და გოგონა. ვაჟის ასავალ-დასავალი უცნობი იყო, ხოლო გოგონა რაზუმოვსკიმ აღსაზრდელად მიაბარა თავის დას, რომელიც გათხოვილი იყო ეფიმ დარაგანოვზე. შესაბამისად გოგონაც ამ გვარით იზრდებოდა. შემდეგ მოსკოვის ერთ-ერთ მონასტერში გააგრძელებინეს მოღვაწეობა, სადაც სხვა მონაზვნებისგან განსხვავებით, ნორმალური ცხოვრებისათვის ყველანაირი პირობა ჰქონდა შექმნილი.

სასახლეში იმასაც ამბობდნენ, რომ ელისაბედს რაზუმოვსკისთან საიდუმლოდ დაუწერია ჯვარი. ეს კი ნამდვილად ახლოს იქნებოდა ჭეშმარიტებასთან, რადგან ელისაბედი, როგორც მართლმადიდებელი, ცდილობდა ქრისტეს მცნებების შესაბამისად ეცხოვრა. თავისი განვლილი პირადი ცხოვრების გამო, ელისაბედმა გადაწყვიტა აღესრულებინა თავისი მამის პეტრე დიდის მიერ შედგენილი ანდერძი და ტახტის მემკვიდრედ გამოეცხადებინა თავისი დის - ანა პეტრეს ასულის ვაჟი, რომელიც პაპის - პეტრე დიდის სახელს ატარებდა. ანა პეტრე პირველს შეეძინა გლეხის ქალისგან - მარტა სკოვროვსკაიასგან, რომელიც პეტრე დიდის შემდეგ იყო რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე პირველის სახელწოდებით. ანა პეტრეს ასული გახლდათ კარგად აღზრდილი და მომხიბვლელი ქალბატონი. მის გათხოვებას აპირებდნენ

საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთხუთმეტეზე, მაგრამ საფრანგეთის სამეფო კარმა, ანას გაურკვეველი წარმოშობის გამო, უარი თქვა ქორწინებაზე. ათას შვიდას ოცდახუთ წელს იგი გაათხოვეს შვედეთის მეფის დისწულსა და დანიის მეფის შთამომავალზე ჰოლშტაინ-გოტორბის ჰერცოგ კარლ ფრედერიკზე. საქორწინო ხელშეკრულებაში ჩაიწერა, რომ არცერთ მათგანს არ ჰქონდა უფლება პრეტენზია გამოეთქვა რუსეთის სამეფო გვირგვინზე, მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ მათ შვილს შეეძლო ყოფილიყო ტახტის მემკვიდრე. პეტრე პირველი მალევე გარდაიცვალა და შვილიშვილს ვერ მოესწრო. ანა მეუღლესთან ბედნიერი არ ყოფილა. ათას ცხრაას ოცდარვა წელს მას შეეძინა ვაჟი, თვითონ კი ორ თვეში გაურკვეველ სიტუაციაში გარდაიცვალა. ელისაბედ პეტრეს ასულმა ტახტზე ასვლიდან მალევე, ათას შვიდას ორმოცდაორ წელს, გერმანიაში აღზრდილი პეტრე გამოაცხადა ტახტის მემკვიდრედ და სამი წლის შემდეგ დააქორწინა პრინცესა სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსზე, რომელიც რუსეთში ეკატერინე ალექსეევნას სახელით იყო ცნობილი. რამდენად შეძლებდა პეტრე რუსეთის იმპერატორობას ეკატერინესთან ერთად, ეს კიდევ საკითხავი იყო, რადგან მომავალი დედოფლის გარშემო უამრავ ფავორიტს მოეყარა თავი იმ დროს პეტერბურგში განთქმული გრაფ ალექსანდრე ორლოვის მეთაურობით.

იმპერატრიცა საქმის კურსში გახლდათ, რაც ტახტის მემკვიდრის გარშემო ხდებოდა, მაგრამ ამ ყოველივეს სე-

რიოზულად არ განიხილავდა და ყველაფერს ახალგაზრდული გატაცებებით ხსნიდა. ამასთან, ის ხომ ჯერ ორმოცდათორმეტი წლის იყო და ყველაფერი წინ ჰქონდა.

თეიმურაზმა იმპერატრიცას მოუთხრო იმ წარმატებების შესახებ, რომელსაც ქართლ-კახეთის სამეფომ ბოლო წლების განმავლობაში მიაღწია.

- თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენი გაჭირვება იმაში მდგომარეობს, რომ ამდენ ბრძოლას და მის გამარჯვებამდე მიყვანას მუდმივი ჯარი სჭირდება, რისი საშუალებაც ჩვენ არ გაგვაჩნია. რუსეთის არმიის ერთი კორპუსის ჩამოსვლა და ჩვენს მიწაზე დაბანაკება ძალიან წაგვადგება. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თქვენს ჯარისკაცებს ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვთ და მისი ძლევამოსილების შესახებ ქვეყნის დასალიერშიც კი არის ცნობილი. მეორე, რუსეთის ჯარის შემოსვლა ჩვენს მტრებს დაანახებს დიდი რუსეთის მფარველობას მუსლიმანთა გარემოცვაში მყოფ საქართველოსადმი და ნაწილობრივ შეაჩერებს მათ აგრესიას.

იმპერატრიცამ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე მიუგო თეიმურაზს:

- თქვენო უდიდებულესობავ მეფე თეიმურაზ, ჩვენ ღმერთის წინაშე არ ვიქნებით მართალნი, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას არ გავუწოდოთ დახმარების ხელი, მაგრამ არის სხვა გარემოებებიც, კერძოდ, დღეს რამდენად ხელეწიფება რუსეთის არმიას საქართ-

ველოს დახმარება და მეორეც, რა სარგებელს მიიღებს აქედან რუსეთი?

- თქვენო უდიდებულესობავ, - მშვიდად დაიწყო საუბარი თეიმურაზმა, - ჩვენ დღეს შეგვწევს იმის ძალა, რომ ირანის ტახტზე რუსეთის პოლიტიკის ერთგული შაჰი ავიყვანოთ, რაც თქვენს პოზიციებს გააძლიერებს კავკასიაში და საფრთხეს შეუქმნის ოსმალეთს. ამით ისარგებლებთ როგორც თქვენ, ისე ჩვენ. როდესაც ვიქნებით თქვენი ტახტის მფარველობის ქვეშ, ოსმალო ველარ გაბედავს საქართველოზე თავდასხმას. დღეის მდგომარეობით, საქართველოს გაერთიანების შემთხვევაშიც კი, მოსახლეობის რაოდენობა შეიძლება ერთი მილიონი იყოს, ხოლო ოსმალოს, თუ მოინდომა, ერთი მილიონის მხოლოდ ჯარის გამოყვანა შეუძლია.

- თქვენო უდიდებულესობავ, - მიმართა თეიმურაზს ელისაბედმა, - რუსეთს კარგად შეიარაღებული რეგულარული არმია ჰყავს, რომელიც ადრეც და ახლა მიმდინარე ომშიც შიშის ზარს სცემს ევროპის დიდ სახელმწიფოებს, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ჯერჯერობით შავ ზღვაზე გასასვლელი არ აქვს, რადგან შავი და აზოვის ზღვების სანაპირო ზოლი ოსმალეთსა და მის სავასალო ყირიმის სახანოს უჭირავს და ეს დიდ წინააღმდეგობას გვიქმნის მათთან ომის წარმოებაში. თან რუსეთი ჯერ კიდევ საომარ მდგომარეობაშია ევროპის ქვეყნებთან და ამიერკავკასიაში ჩვენს გამოჩენას დრო სჭირდება.

თეიმურაზი მიხვდა, რუსეთს არ ჰქონდა იმის შესაძლებლობა და არც სურვილი, რომ საბრძოლო მოქმედებები ორ მხარეს ეწარმოებინა და ამიტომ მოცდას ამჯობინებდა. ერთადერთი გზა რჩებოდა ამ ახლართული ლაბირინთიდან გამოსვლისა, იქნებ როგორმე დაეყოლიებინა რუსეთის სამეფო კარი როქის სპის[32] დაფინანსებაზე. მეფემ მოკრძალებით მოახსენა იმპერატრიცას:

- ჩვენ წარმატებას ვუსურვებთ ძლევამოსილ რუსულ არმიას ევროპაში გამართულ საბრძოლო მოქმედებებში და ვილოცებთ მისი გამარჯვებისათვის. ღმერთის შეწევნით, ალბათ მალე დასრულდება ომი და თქვენი საიმპერატორო უდიდებულესობა გაიღებს მოწყალებას გვიბოძოს გარკვეული თანხა, რათა საქართველოში დაბრუნებისას, კავკასიაში დავიქირავოთ მთიელი მეომრები მტერთან საბრძოლველად.

- კასპიისა და შავი ზღვის სანაპიროების დამკვიდრებისათვის, რუსეთს კავკასიაში სტრატეგიული პლაცდარმი და ერთგული მეკავშირე ესაჭიროება. ასეთს კი ჩვენ მართლმადიდებლურ საქართველოში ვხედავთ. ამიტომ იყო, რომ მეთექვსმეტე საუკუნიდან მოყოლებული, თვით რუსეთი არაერთხელ გამოსულა ქართულ სამეფოებთან კავშირის დამყარების ინიციატორად. ასე, რომ საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება! - ბრძანა ელისაბედ პეტრეს ასულმა და ტახტიდან წამოდგა.

32 როქის სპა - დაქირავებული ჯარი

ეს ნიშნავდა აუდიენციის დამთავრებას და კიდევ იმას, რომ მოლაპარაკებები უნდა გაგრძელებულიყო სახელმწიფო კანცლერთან და სასახლის იმ მოხელეებთან, ვისაც დავალებული ჰქონდა კავკასიასთან ურთიერთობის საკითხები.

IX

მზის ჩასვლამდე მივიდა ზაქრო თავის მამულში. ამირანი კაკლის ხის ძირას იჯდა და თვალს არ აცილებდა მიწაზე მომუშავე გლეხებს, თან თოფიც და ხმალიც იქვე ხელის გაწოდებაზე მიეყუდებინა ხეზე. ზაქრომ გლეხებისკენ გაიხედა, მაგრამ ვერავინ იცნო და გაიფიქრა: ,,ალბათ, საღამოა და თვალი მატყუებსო“, მერე ამირანისკენ წავიდა, მისალმების ნიშნად ხელი ასწია და დაიძახა:

- გამარჯვება, ამირანა ძია! როგორა ხარ, როგორ?

- ღმერთმა გამარჯვება და გამარჯვნება არ მოგიშალოს, მართალო კაცო! - უპასუხა ამირანმა და ფეხზე წამოდგა, მიეახლა ზაქროს, გადაეხვია ომიდან დაბრუნებულ მეზობელს და დაამატა, - გამიხარდა შენი დანახვა. რაო, აბა!? ასწავლეთ ჭკუა ყარაბაღის ხანსა!?

- მარტო ყარაბაღისასა!? - შეიცხადა ზაქრომ, - განჯისასაცა და ერევნისასაცა! მაშა! ხო იცი, ერეკლე მოღალატეებს ვერ იტანს! ჰოოდა, ყველგან დააყენა წეს-

რიგი! ჩვენც დაგვასაჩუქრა და შენც ჩამოგიტანე ერთი კარგი ხანჯალი.

ზაქრომ ჩოხის ქამრიდან ხანჯალი მოიხსნა და ამირანს გაუწოდა და თან დააყოლა:

- ყარაბაღის ხანი თავისი ბანაკიდან ისე გაიქცა, იარაღი ასხმაც ვერ მოასწრო. ნახე რა ხანჯალია?

ამირანმა შეატრიალ-შემოატრიალა საჩუქარი და უთხრა ზაქროს:

- მართლა კარგი ნაკეთობაა. დიდი მადლობა, ჩემო ზაქრო. ის ვერანა ხანი იარაღაუსხმელი იყო თუ საიდან მოხვდა ეს ხანჯალი შენთანა!?

- რავი, აბა! კარავში რომ შევცვივდით, მარტო მაგის იარაღი ეყარა! ბიჭებმა თქვეს: ,,ეტყობა ხანს ერეკლეი უცაბედი თავდასხმისაგან მარცხი მოუვიდა და საცვალ უცვლიდნენო ...“

მეზობლებმა კარგა ხანს იცინეს. გული რომ იჯერეს, მერე შეამჩნიეს, რომ მიწაზე მომუშავე გლეხებს საქმისთვის თავი დაენებებინათ და მათ უცქერდნენ. როგორც ჩანს, ახლად მოსულს შეატყვეს, რომ ის სხვებივით ჩვეულებრივი გლეხი არ იყო, მათ მასში უცებ შეიცნეს მეომარი და იფიქრეს, ჩვენ დასახოცად ხომ არ დაუძახესო, ამიტომაც გაფართოებოდათ თვალები. სიკვდილის შიში ჩასდგომოდათ გვამებში. როგორც ჩანს შეშინდნენ. ზაქროს არ მოეწონა მათი გამოხედვა და ამირანს ჰკითხა:

- ესენი ვინ არიან? რაღაცა ჩვენებურებ არა ჰგვანან?

- ლეკები არიან, ზაქრო... - უპასუხა ამირანმა და სანამ სიტყვას გააგრძელებდა ზაქრომ ახალი კითხვა შეაგება:

- ლეკები!? ... მერე რა უნდათ აქ მაგ რჯულძაღლებსა!?...

იყვირა უცბად გაღიზიანებულმა ზაქრომ და ხმლის ვადა მოზიდა.

- იყუჩე, ბალღო! - დაამშვიდა გიოაანთ ბიჭი ამირანმა და ხმლის ვადაზე ჩაბღუჯულ მარჯვენაზე დაადო ხელი, - ეგენი რო დამიხოცო, მაი მიწა ვიღაი დავამუშავებინო!?

- საიდან მორეკე ეს ურჯულოები!? - არ ისვენებდა ზაქრო და უფრო და უფრო ენთებოდა. ომებში გამობრძმედილ ვაჟკაცს ჩვეულებად გადაქცეოდა ეს თვისება, მტრის დანახვაზე მთელს სხეულზე ცეცხლი ედებოდა და ვაი მას, ვინც პირველი დაუდგებოდა წინ. ახლაც რომ არა ამირანის დროული რეაგირება, შეიძლება ზაქროს ხუთივე ლეკისთვის უცებ წაესხიპა თავები.

ამირანმა ლეკებს ანიშნა, გაეგრძელებინათ მუშაობა. ზაქროს კი ხმლის ვადაზე ხელი ააღებინა და კაკლის ხესთან სახელდახელოდ გაკეთებული სკამისკენ მიუთითა და უთხრა:

- დაჯექი და მოგიყვები ყველაფერს. იგე, თოფსა და ხმალსა ხედამ? - ხეზე მიყუდებული იარაღებისკენ მიანიშნა ამირანმა, - დასახოცები რო იყვნენ, აქამდე გავაკეთებდი მაგასა, მაგრამა ჯერჯერობითა მჭირდებიან. ამდენ მიწებ დამუშავება არ უნდა? ვისაც კი ძალა ერჩის, ყველანი საგუშაგოებზე მყავ გამწესებული. იმათ დაიჭი-

რეი ესენი. ღამე დაძრწოდნენ სოფელ-სოფელ და ეზოებიდან, რაც ხელში მოიხვდებოდათ, ყველაფერ იპარავდნენ. ჩვენ ბიჭებ ზოგი შემოაკვდათ, რამდენიმე კი დაიჭირეი და მამიყვანეი. მე კიდენა ენდე ეგრე დამყამ და ვამუშავებ, სანამ ქანცი გაიძვრებათ. თან კიდენა თქვენ ჩამოსვლაი ველოდებოდი. ინდე მანდ არიან და რაც გინდა ის უყავთ!? ...

ზაქრომ შეხედა ამირანს და სიცილი აუტყდა:

- ისე კარგი რამე მოგიფიქრებია, მამასახლისო ... მაიცა, მოვრეკო ლეკები ... დადგნენ და იმუშაონ ...

- არც ეგეთი საცოდავები არიან, - მიუგო ამირანმა, - ეგრე მითხრეი: ,,მიწა მოგვეცით, აქ დავსახლდებით, ხარკსაც გადაგიხდით და ომშიც მივეხმარებით მეფესაო...

- ვიცი მაგათი დახმარება! - თქვა ზაქრომ, ფეხზე წამოდგა, ზურგს უკან ჩაწყობილი საბრძოლო დანებიდან ერთი ცალი ამოიღო და ლეკების დასანახად, ოციოდ ნაბიჯზე მდგარი ხისკენ გაისროლა და ტარამდე ჩაარჭო შიგ, - ძაღლი კუდი როდის იყო სწორდებოდა! ეს ის არსებები არიან, ჩვენი მღვდელი რომ გვიკითხავს ხოლმე ქრისტეს წიგნიდან: ,,ძაღლი ნარწყევს მიუბრუნდაო!“ ამათი ნდობა არ შეიძლება!

ლეკებმა კარგად დაინახეს ზაქროს ნასროლი დანა და ერთმანეთს შეხედეს. მიხვდნენ, რომ ნამდვილი მეომარი იდგა მათ წინ და შეეძლო შორიდან ასეთი სროლით ხუთივე დაეხოცა. მათი მხსნელი ახლა მხოლოდ ამირანი

იყო და ხუთივემ მას მიაპყრო შიშისგან გაფართოებული თვალები. ამირანმაც ანიშნა, რომ მუშაობა დაემთავრებინათ და წამოსულიყვნენ.

- სადა გყავ დაბინავებული? - ჰკითხა ზაქრომ მამასახლისს.

- ბიჭების საგუშაგოზე, ერთ პატარა ქოხში. საჭმელ არ ვაკლებთ, ძალა რო არ გამოელიოთ. ღვინოი ესენი არა სვამენ. ერთი ესეთი ხუთეული რო დავიჭიროთ კიდენა, როგორც ამბობენ: ,,ჩვენ ბედ ძაღლი არ დაიყეფს!“, მთელი სოფლიი მიწებ დავამუშავებინებთ ...

ოჯახებში მიბრუნებულებს, მართა ეზოში დახვდათ. გემრიელი სერი[33] მოემზადებინა ტყუპი ბიჭების დედას. ზაქრო და ამირანი შემოუსხდნენ მაგიდას და მოილხინეს. როდესაც ახლადდაბადებულების სადღეგრძელოს დრო დადგა, ორივემ ღვინით სავსე ჯამებს ცივად გაუშვეს ხელი და ერთმანეთს შეხედეს. ბოლოს სიჩუმე ამირანმა დაარღვია:

- ენდე! მიყურე ეგრე!? მა სახელები!? შენ გელოდებოდით და გვითხარ და მერე ვადღეგრძელოთ ძმები გიოშვილები!

ზაქრომ თავში შემოირტყა ხელი და დაიბუბუნა:

- კაცოო! მაგითვინ წამოველ მამულშია და ი ლეკებიი გადამკიდე სულ დამავიწყდა. ე რა დღეში ვაართ, კაცოო, რომა მტრები მეტი აღარავინ გვახსომს, ჩვენი შვილებიც კი ... დედაკაცოო, მოდი აბა, აქა!

33 სერი - ვახშამი

ქმრის ხმის გაგონებაზე, მართა უცებ გამოვიდა ოთახიდან, ეახლა თანამეცხედრეს და მდაბლად დაუხარა თავი. ღვინისგან შეზარხოშებულმა ზაქრომ მაგიდასთან მიიპატიჟა მართა, სკამზე დასვა და უთხრა:

- ბავშვები სახელები მოვიფიქრე და უნდა გითხრა. ჩემ შამქმნელ მამაი გიორგი ერქვა, ღმერთმა აცხონოი! ჩემ პატრონსა კიდენა ერეკლე ჰქვიან და ღმერთმა დიდხან მიცოცხლოი. უფროს-უმცროსი რომელია, ეგა შენ იცი. უფროსს ერეკლე დავარქვათ, უმცროსსა კიდენა - გიორგი. ამ კვირაი წავიყვანოთ ეკლესიაში, შენ განწმენდი ლოცვაი წაგიკითხამს მამა მირიანი, ერეკლესა და გიორგის კიდენა მოინათლამს. ერეკლეს ნათლია ამირანა ძია იქნება და გიორგისას კიდენა ჩვენი ბიჭებიდან რომელიმესა ვთხოოვ ...

დაამთავრა თუ არა საუბარი ზაქრომ, ორივე ბიჭმა ერთდროულად დაიწყეს ტირილი და მართა მაშინვე გაეშურა ტყუპებისკენ ...

წანარიანს ბადრი მთვარე დაჰყურებდა ზეციდან ... ერეკლე მეფის შემხედვარე კახელ კაცს სასოება გასჩენოდა ახალი ცხოვრების დაწყებისა ...

X

თეიმურაზ მეფე მოლაპარაკებებს აგრძელებდა რუსეთის იმპერიის კანცლერ ვორონცოვთან. აშკარად ჩანდა, რომ სამეფო კარი აჭიანურებდა საბოლოო პასუხს, არც თანხმობას ჩქარობდა და ქართველი მეფის უარით გასტუმრებაც არ სურდა. თეიმურაზის ვიზიტს რუსეთში თვალს ადევნებდნენ ოსმალეთის დაზვერვა და სომხური დიასპორა. ორივეს თავის სასარგებლოდ სურდა საქართველოს მდგომარეობის გამოყენება. ოსმალეთი პირდაპირ მოითხოვდა რუსეთისგან, არ ეცნოთ მეფედ თეიმურაზი. რუსეთიც პრუსიასთან წარმოებული ომის გამო, ერიდებოდა ოსმალეთთან მდგომარეობის დაძაბვას და ფრთხილად მოქმედებდა. ეს თეიმურაზსაც კარგად ესმოდა. იგი მუდმივად იღებდა ცნობებს ერეკლესგან წარმატებული ბრძოლების შესახებ, რასაც აცნობებდა სასახლის კარს და მოთმინებით იცდიდა. რუსეთის ხელისუფლება ევროპაში ვითარების შეცვლას ელოდებოდა, თეიმურაზ მეფე კი - საიმპერატორო კარის პასუხს.

ამ დროს, სომხები დროს არ კარგავდნენ. მათ შორის გამოიკვეთა ორი დაჯგუფება, ერთნი ქართული ორიენტაციის მომხრენი, საქართველოს გაძლიერებით და ქართლ-კახეთთან გაერთიანებით ვარაუდობდნენ თავიანთი, საუკუნეების წინ დაკარგული სახელმწიფოს აღდგენას. მეორენი ვერ ეგუებოდნენ, რომ ათას შვიდას ორ-

მოცდაცხრა წლიდან ერევნის და ნახიჩევანის სახანოები თეიმურაზის მეხარკეები იყვნენ. ისინი ,,დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეით იყვნენ შეპყრობილნი და არანაირად არ აწყობდათ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაუმჯობესება. ამასთან ეს დაჯგუფება, მასში გაწევრიანებული მსხვილი და წარმატებული ვაჭრების მეშვეობით, საკმაოდ დიდ ფულს ფლობდნენ და რუსეთის სამეფო კარზე ყველაფერს აკეთებდნენ, რაც მოესურვებოდათ. ერთადერთი ელისაბედ პეტრეს ასული გახლდათ მათი მოწინააღმდეგე და არ იკარებდა ქრისტეს სარწმუნოების გამრუდებლებს.

თეიმურაზის ყოფნასაც პეტერბურგში დასასრული არ უჩანდა. მეფე მხოლოდ საქართველოდან მოსულ ამბებს ამცნობდა რუსეთის მთავრობას და თან უთვლიდა, რომ მიეცათ უფლება დაბრუნებულიყო სამშობლოში. როგორც ჩანს, მეფეს რუსეთის ხელისუფლების რომელიმე წევრისგან, უფრო საფიქრებელია კანცლერისგან, საიდუმლო საიმედო დაპირება ჰქონდა მიღებული დახმარების თაობაზე და ამიტომ ჩერდებოდა პეტერბურგში.

ამასობაში შემოდგომაც დადგა და ქართველების ყოფნას პეტერბურგში ისეთი პირი უჩანდა, რომ გამოზამთრება რუსეთის სატახტოში მოუწევდათ

კათოლიკეები და სომეხი მონოფიზიტები, თავიანთი თანამემამულეების დახმარებით, ნელ-ნელა ,,ძირს იმაგრებდნენ“ საიმპერატორო კარზე. სომხები უფრო

ფრთხილნი იყვნენ, კათოლიკეებს ამოფარებულნი თითქმის არავის ,,ეჩხირებოდნენ თვალში". ფულსა და ფუფუნებაზე დაგეშილი იმპერატრიცას მოხელეები საერთოდ აღარ ფიქრობდნენ სამშობლოზე. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ ტახტის მემკვიდრე, რომელსაც გერმანული აღზრდა ჰქონდა მიღებული, ზეწოლას განიცდიდა, როგორც ომში ჩართული პრუსიისაგან, ასევე გერმანელი მეუღლე სოფია ფედერიკა ეკატერინე ალექსის ასულისაგან. ამ უკანასკნელს ისეთი ფავორიტები ეხვივნენ გარს, რომ ადვილად შეეძლო მოეხდინა სახელმწიფო გადატრიალება, მაგრამ მას სულ სხვა გეგმები ჰქონდა. ასე, რომ ელისაბედ პეტრეს ასულის გარშემო შეთქმულთა წრე უფრო და უფრო ვიწროვდებოდა, თუმცა არავის სურდა მისი მოშორება ხმაურიანი ყოფილიყო, ამიტომ შეტევა ისევ სამზარეულოდან უნდა განეხორციელებინათ, რაც აღასრულეს კიდეც იქ შეღწეულმა აგენტებმა. ათას შვიდას სამოცდაერთი წლის ოცდახუთ დეკემბერს, ორმოცდაცამეტი წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა იმპერატრიცა ელისაბედი. ტახტი დაიკავა იმპერატორმა პეტრე მესამემ, რომელმაც რადიკალურად შეცვალა პოლიტიკა პრუსიის მიმართ. არც კათოლიკეებს და არც მონოფიზიტებს არ აწყობდათ, რომ თეიმურაზი, რომელიც იმ დროს გართული იყო საინტერესო ლექსის წერით ,,გაბაასება რუსთველთან", შეხვედროდა ახალ იმპერატორს, რადგან არ იყო

გამორიცხული, რომ მეფეს დაეყოლიებინა პეტრე მესამე ქართლ-კახეთის დახმარებაზე. ამ შემთხვევაში ყველა გეგმა განწირული იყო ჩაშლისათვის ...

... და სწრაფად ამუშავდა სომხური ფინანსები და კათოლიკეების საუკუნეებით გამოცდილი ცბიერება ... თეიმურაზი კი არ ჩქარობდა იმპერატორთან შეხვედრას ...

ათას შვიდას სამოცდაორი წლის რვა იანვარს, იმპერატრიცა ელისაბედის გარდაცვალებიდან თოთხმეტი დღის შემდეგ, სამოცდაორი წლის ასაკში ასევე მოულოდნელად გარდაიცვალა მეფე თეიმურაზ მეორე.

დიმიტრი მანღოვი, რომელიც თეიმურაზის ამალაში ირიცხებოდა, მეფის სიკვდილის შემდეგ წერილობით ატყობინებს რუსეთის საიმპერატორო კარს, რომ თითქოს მეფე გარდაიცვალა მისი ორგანიზმისთვის არასასარგებლო მედიკამენტის მიღების შედეგად. ამის შესახებ მანღოვს გაუგია ქართველი კურიერისგან პაატა ხატოვისგან, რომელიც ჰყვებოდა, რომ ,,როდესაც თეიმურაზი ცუდად გამხდარა, მაშინ მის გარემოცვას შიო თუშიევს, ზაალ ავალიევს და სულთან ბექთაბეგოვს თავად ამილოხორთან ერთად შეუსწავლიათ თუ რომელი წამალი განკურნავდა მეფეს და მიურთმევიათ მისთვის. თეიმურაზს არ სურდა თურმე ამ წამლის მიღება, მისი არასასიამოვნო სიმწარის გამო, მაგრამ მერე უარი აღარ უთქვამს და დაულევია, რის შედეგადაც ასტკიებია მუცელი და გარდაცვლილა“.

ქართველებმა იცოდნენ, რომ მანღოვი ჯაშუში იყო და მის მონათხრობზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა, თუმცა რუსეთის სამეფო კარისთვის სულ ერთი იყო რით გარდაიცვალა ქართველი მეფე, ისინი თავის იმპერატრიცასაც არ გლოვობდნენ ისე, როგორც წესია. მალევე ქართველთა ამალაში გამოჩნდა ხელმოუწერელი წერილი, რომელიც იუწყებოდა შემდეგს: ,,წელსა 1762, იანურის 8 შუადღეს ჟამსა მეექუსესა დაწყებისა რა, ნეტარად სახსენებელი კეთილმორწმუნე მეფე ქართლ-კახეთისა თეიმურაზ, რა ნებითა ღვთისათა ამიერ სოფლით განსლუასა განემზადა და სულთ ბრძოლის წარკითხვის უკან მაჯვნივ კერძო მიწვა და მოჩქარებით უკაფიოდ საუბარი რამ იწყო და რა ყური მიუგდეთ, ვსცანით, რომ ლოცუას ამბობდა. ამასთან იესუ ტკბილი მისცა პირშიგან მღუდელმან, რომელი დიახ წმიდად კაფიად და სასოებით იწყო წარმოთქმად, სვიმონ დეკანოზის ჩაკითხვით, რა რომ რამდენიმე წარმოთქვა, დიახ თამამად წამოიწია და ნახევრად წამოჯდა, მათამცა რამე უნდოდა, ჩაეკითხნენ, რა გეპრიანებაო. მან მართლა გაღიმებულმან თქვა: ხელმწიფის კურთხევაში ვიყავ და ვილოცევდიო, არ დამაცალეთო. რა ეს წარმოთქუა, მაშინვე მიწვა იმავ მხარეს ისრე მილულვით იწყო კვლავად ლოცვავე, ძნიად სასმენელად. მღვდელმან ისევ იესუ ტკბილი მისცა და ეგრე შეასრულებინა და ჩასძახა: თუ ენით ვერა სთქვამ, გონებაში გქონდესო წმიდად უპასუხა - მესმის და გულ-

ში მაქვსო და ამას უკან ვითამც კარგად ლაპარაკი მოუმატა. მღუდელი ჩაეკითხა - რას ბრძანებო. მან გამოჩენით წარმოსთქუა - კათოლიკებს ხომ შეიწყნარებენო. მღუდელმან მან უპასუხა - დიახ, შეიწყნარებენო. მეფემ მეორედ წარმოსთქუა - მე ხომ აღმოსავლეთის კათოლიკე ვარო და მიიძინა. ამის მხილველნი და მსმენელნი მრავალნი იყუნეს მას ჟამსა, რომ ჭეშმარიტად ესე იწიყო“.

წერილში მოთხრობილი ამბავი, გარემოცვის არც ერთმა წევრმა არ დაადასტურა. ჩანდა, რომ ეს წერილი კათოლიკეების გულშემატკივარის შედგენილი იყო, რომელსაც თეიმურაზის ამალაში მიესვლებოდა და არა მარტო მიესვლებოდა, არამედ მეფის ცილისწამებასაც არ მოერიდა და სავარაუდოა, რომ შეთქმულების მონაწილეც ყოფილიყო. თანაც წერილი დაწერილი იყო, როგორც იტყოდნენ ხოლმე: ,,დაღვარჭნილი და და ძნელად გასაგები ენითა“. მხოლოდ დეკანოზმა სიმონმა, რომელმაც გარდაცვალების წინ აზიარა მეფე ქრისტეს სისხლსა და ხორცს, მომაკვდავი თეიმურაზის ბუტბუტიდან რამდენიმე წინადადება მოისმინა და ის ამცნო ჭირისუფალთ:

- მიცვალების ჟამს, იმ დიდებულის ადგილს ღვთისმშობლის ხატი მიმასვენებინა და წმიდისა და მართლის ცრემლითა შესტირა: ,,მე ხომ გამოვესალმე ეს არის იმ ქვეყანასო, ამათის სიყვარულისათვის თავი დავდეო, რომ ეს დიდებული ხელმწიფე შეეწიოს და მტერი დაუმ-

დაბლოს. მაგრამ ახლა ჩემ სულსაც გავედრებო და ჩემი ერეკლეც შენთვის მომიბარებიაო! იმ საქართველოს ერს შენი წილ-ხდომილობა გაუახლეო და ჩემი შვილი და ის ქვეყანა გამოიხსენო იმდენის შეწუხებისაგანაო! ...“

XI

წანარიანში მაისის მშვენიერი დილა გათენდა. თბილქვეყნებიდან მოფრენილი ჩიტები სხვადასხვა ხმაზე უგალობდნენ ქართულ ცას და ქართულ მიწას, თითქოს მშობლიურ ქვეყანას მონატრებულნი, ისე დაფრინავდნენ ხიდან ხეზე, ბუჩქიდან ბუჩქზე. არადა ისინი ხომ სხვა ქვეყანაში გამოიჩეკნენ და როგორ იყო მათთვის მშობლიური საქართველოს სანახები? ნათქვამია: ,,სული სულსა სცნობს, გული გულსაო ...“. ალბათ დედ-მამისგან დაჰყვათ ქართული ბუნების სიყვარული, თორემ ასეთ ჟივილ-ხივილს არ ატეხავდნენ, ასე გულიანად არ გაიკეთებდნენ ბუდეებს ...

დიდმარხვაგამოვლილი სოფელიც თითქოს უფრო გაცოცხლებულიყო, ადამიანები დილაადრიან ერთმანეთს ლაღად ესალმებოდნენ, ხშირად გაიგონებდით: ,,ქრისტე აღდგა!“, ,,ჭეშმარიტად აღდგა!“, ,,მადლი მახარობელს!“ ბრწყინვალე შვიდეული მთავრდებოდა და მთელი სოფელი ტაძრისკენ მიისწრაფვოდა კვირაცხოვ-

ლობის წირვაზე დასასწრებად. ფრინველები ჭიკჭიკით და გალობით მიაცილებდნენ ადამიანებს ღმერთის სახლისკენ, ხოლო ტაძრის სახურავი კი სავსე იყო ათასნაირი ფერის მტრედებით.

წანარიანში ეს დღე განსაკუთრებით აღინიშნებოდა, რადგან სოფელში საუკუნეებია მოქმედებდა წმიდა თომა მოციქულის სახელობის ეკლესია.

მამა მირიანმა მთელი წირვა ჩვეული გალობით ჩაატარა, მრევლი აზიარა ქრისტეს სისხლსა და ხორცს, იქადაგა მოციქულ თომას შესახებ და კიდევ ერთხელ მიულოცა თანასოფლელებს მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული და, რა თქმა უნდა, კვირაცხოვლობა.

წირვაზე ზაქრო და მართაც იყვნენ მისულნი ტყუპებთან ერთად, მაგრამ ტაძარში არ შესულან, რადგან მართასთვის მშობიარობის შემდეგ ჯერ კიდევ მღვდელს არ წაეკითხა განწმენდის ლოცვები და უფლება არ ჰქონდა შესულიყო ღვთის სახლში. თან დღეს ბიჭები უნდა მოენათლა მამა მირიანს და გიოშვილების ოჯახი მიმრქმელებთან ერთად ელოდა წირვის დამთავრებას.

ტაძარში ნათლობის საიდუმლოს აღსრულებისთვის საგანგებოდ იყო გამოყოფილი ოთახი, სადაც ქვაში ამოკვეთილი წყლით სავსე განსაბანებელი იდგა. მამამ, როგორც ამას ქრისტიანული წესი მოითხოვდა, წყალში სამჯერ შთაფვლით განბანა ჩვილები, მერმე მირონი აცხო და ქრისტიანებად ნაკურთხი გადასცა მიმრქმე-

ლებს, ერეკლე - ამირანს, ხოლო გიორგი ზაქროს ბავშვობის მეგობარ - თედოს.

ამ დროს, სამრეკლოდან ზარების ხმა გაისმა. მამაო, როგორც ჩანს, არავის ელოდებოდა, ზარების ხმა არც სამეუფეოს ჰგავდა, რომელიც ეპისკოპოსის მოსვლას მოასწავებდა. მამაო ეკლესიის კარისკენ წავიდა და ამ დროს მორჩილიც გამოჩნდა და მხოლოდ ერთადერთი სიტყვა წარმოთქვა:

- ლეკები! ...

სანამ მამა მირიანი და ეკლესიაში მყოფი მრევლი გონს მოეგებოდა, ზაქრო უკვე ცხენს მიაჭენებდა სოფლის ცენტრისკენ. ეს ის ადგილი იყო, სადაც მტრის გამოჩენის შემთხვევაში, იკრიბებოდა ზაქროს რაზმი. ლეკები, როგორც ჩანდა, ქვედა უბნიდან შემოსულიყვნენ სოფელში. საგუშაგოზე მხოლოდ ორი კაცი იყო დარჩენილნი, დანარჩენი სამი - ეკლესიაში წირვაზე დასასწრებად წამოსულიყვნენ. ერთი მოეკლათ ურჯულოებს, ხოლო მეორე ტყვედ აეყვანათ. ბიჭებმა სოფლიდან გასასვლელი გზები სწრაფად გადაკეტეს, ხოლო ზაქრო რამდენიმე კაცით ხევისკენ დაეშვა, სადაც ლეკები აწიოკებდნენ ოჯახებს. ყოველგვარი წინასწარი დაზვერვის გარეშე, ქართველები ჯიქურ მიეჭრნენ მტერს, ჯერ თოფები დააცალეს, მერე კი დაიწყეს უმოწყალო ჩეხვა. ზაქრო ერიდებოდა ხოლმე ლეკებთან სოფელში ბრძოლას, გაიტყუებდნენ ხოლმე მათ სოფლის გარეთ და იქ უსწორდებოდ-

ნენ, რომ ბავშვებს და ქალებს არ შეშინებოდათ, მაგრამ ახლა ლეკები ყოველგვარ ზღვარს გადავიდნენ და კვირაცხოვლობას განიზრახეს სოფლის აწიოკება. ზაქროს დანახვაზე, მისკენ ცხენებზე ამხედრებული ორი ლეკი გამოიჭრა. გიოაანთ ბიჭმა პირველს ხმალი მარცხენა ბარძაყზე დასცხო და გათიშა დროებით, ხოლო მეორის მოქნეულ ხმალს მარცხენა ხელით ფარი დაუხვედრა და მარჯვენათი მუცელი გადაუჭრა, მერე პირველს, ბარძაყში დაჭრილს მიუბრუნდა და რაც ძალი ჰქონდა კისერზე დასცხო ომებში ნაცადი ფრანგულა. ლეკის თავი ხევისკენ დაგორდა, ხოლო სხეული გაცოფებულმა ცხენმა თრევა-თრევით წაიღო ორღობისკენ.

აღმოჩნდა, რომ ზაქროს დახოცილი ლეკები რაზმის მეთაურები ყოფილან და როგორც კი მომხვდურებმა მათი სიკვდილი იხილეს, აირივნენ და აქეთ-იქით მიაწყდნენ... ამ დროს, ზაქრომ ორღობეში შენიშნა ის ხუთი ლეკი, რომლებიც მის მამულში მუშაობდნენ, როგორც ჩანს რომელიღაც გლეხს წამოეყვანა მიწის დასამუშავებლად. ისარგებლეს რა არეულობით, ააწიოკეს ოჯახი და ნაძარცვით დატვირთულები მიიპარებოდნენ. ზაქროს დანახვაზე ლეკები გაიქცნენ და გაიფანტნენ. ზაქროს გაახსენდა მათი მისამართით ნასროლი დანა, რომელიც ხეში ჩაარჭო და ზურგზე, ქამარში ჩაწყობილი დანები მოსინჯა. ორჯერ ისროლა დანა და ორი ლეკი დასცა დაბლა, ხოლო დანარჩენებს ცხენით გამოეკიდა და ხმლით ჩაჩეხა ...

წანარიანელებმა არც ერთი მომხდური არ გაუშვეს ცოცხალი, ტყვედ აყვანილი თავიანთი თანამებრძოლიც გადაარჩინეს და მტრის ტყვიით განგმირული მახარე, რომელსაც დღევანდელ დღეს შეუსრულდა ჩვიდმეტი წელი, საკაცეზე დაასვენეს და დამწუხრებულნი გაუდგნენ მისი სახლისკენ მიმავალ გზას.

შავი კვირაცხოვლობა გაუთენდა წანარიანელებს... და არა მარტო მათ...

XII

მეფის ანდერძის თანახმად, მისი ცხედარი წამოასვენეს საქართველოსკენ. მარტში ჩაასვენეს მოსკოვში, ხოლო მაისის ბოლოს ასტრახანში.

ათას შვიდას სამოცდაორი წლის ოცდაშვიდ მაისს, გარიჟრაჟზე, ასტრახანის გუბერნატორი, ყოვლადუსამღვდელოესი ასტრახანის და სტავროპოლის ეპისკოპოსი მეთოდე, საკათედრო და სხვა ტაძრების მღვდლები, ჯვრებით ხელში ნიკოლოზის კარიბჭესთან მიეგებნენ გემს, რომელზეც მეფის ცხედარი ესვენა. იქვე იყვნენ შტაბ და ობერ ოფიცრები და საშტატო ჩინები, რომლებმაც სამხედრო პატივი მიაგეს თეიმურაზს. პროცესიას ეკლესიისაკენ მიჰყვებოდა უამრავი ხალხი.

მეფის ცხედარი ასტრახანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში დაასვენეს. ლიტურღია და წესის აგება

ეპისკოპოსმა მეთოდემ ჩაატარა. მეფისათვის შესაფერი პატივით და ზარების რეკვის თანხლებით, თეიმურაზი დაკრძალეს ტაძრის ქვედა სართულზე ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სალოცავში მეფე ვახტანგ მეექვსის გვერდით. წინასწარ გამზადებულ საფლავს ამშვენებდა იგივე წარწერა, რომელიც ელისაბედ პეტრეს ასულმა პეტერბურგში თეიმურაზის პორტრეტის დახატვისას გააკეთებინა მხატვარ ალექსი ანტროპოვს: ,,თეიმურაზ ნიკოლოზის ძე მემკვიდრე მეფე საქართველოსი კახეთისა და ქართლისა მოსული 1761 წელსა სანკტ-პეტერბუხს თაყვანის საცემლად მათის ყოვლად განათლებულობის იმპერატორობის დიდებულობის უხელმწიფესის სრულიად რუსეთისასა“.

დაკრძალვის დასრულებისთანავე ქართველმა თავადებმა სხვებთან ერთად დატოვეს ტაძარი და არავითარი აღაპის სუფრა არ გაუმართავთ, რამაც დამსწრე საზოგადოება დიდად გააკვირვა.

ეპისკოპოსმა მეთოდემ მცირე ტრაპეზი გამართა ქალაქის უმაღლესი ჩინებისთვის და თვით გუბერნატორიც მიიპატიჟა სუფრასთან. თავადვე წარუძღვა აღაპს და სევდიანად წარმოთქვა:

- დღეს ჩვენ საბოლოო გზაზე გავაცილეთ ქრისტეს ჭეშმარიტი მხედარი მეფე თეიმურაზი, რომელსაც მე პირადად კარგად ვიცნობდი. იმდენად თავმდაბალი ადამიანი გახლდათ, რომ ვიცე-გუბერნატორს სთხოვა,

დაერთო ნება წირვებზე დასასწრებად. თითქმის ყველა წირვას ესწრებოდა სამების და ფერიცვალების მონასტრებში, წმიდა ნიკოლოზისა და ასტრახანის კრემლის საკათედრო ტაძრებში. თავის სახლის საველე ეკლესიაში მუდმივად ატარებინებდა წირვას. ყოველ წუთს, ყოველ წამს ცხოვრობდა მართლმადიდებლური წესით ...

აქ ეპისკოპოსმა საუბარი შეწყვიტა და გუბერნატორს მიმართა:

- თქვენო ბრწყინვალებავ, თქვენ შესანიშნავი მეხსიერება გაქვთ და ადვილად გაიხსენებთ, როდესაც ახალი დაკავებული გქონდათ გუბერნატორის თანამდებობა, დიდი მთვარისას, ეკატერინე ალექსანდრეს ასულის მფარველის, წმიდა ეკატერინეს ხსენების დღეს გამართულ სადილზე, მიუხედავად ქართველთა მეფისადმი დიდი პატივისცემისა, თეიმურაზი არ მიიწვიეთ, რადგან მეფე პარასკევობით თევზს არ მიირთმევდა და არ ინებეთ მისი დაბრკოლება.

გუბრნატორს ეამა ეპისკოპოსის სიტყვები, გაიღიმა და თანხმობის ნიშნად თავი ოდნავ დახარა. მეთოდე კი განაგრძობდა:

- მეფე ქრისტეს სიყვარულზე ყველას ესაუბრებოდა. განსაკუთრებით ბერებთან უყვარდა ლაპარაკი. სამების მონასტრის უხუცესი ბერი ტიხონი ხშირად იწვევდა ხოლმე მეფეს თავის სენაკში. მეც ბევრჯერ დავსწრებივარ მათ საუბარს და გაკვირვებული დავრჩენილვარ, რადგან

მათი შეხვედრა მეფის და ბერის შეხვედრას კი არ ჰგავდა, არამედ ორი თანაბარი ძალის ქრისტიანისა, რომლებიც ფრიად განსწავლულნი გახლდნენ წმიდა წერილში. ღმერთმა დაუმკვიდროს ცათა სასუფეველი მონა ღვთისას თეიმურაზს იქ, სადაც მართალნი განისვენებენ ...

როდესაც ყველამ მიირთვა მეფის შესანდობარი, გუბერნატორმა მის გვერდით მჯდომ ეპისკოპოსს გადაულაპარაკა:

- მეუფეო, არ გაგაოცათ ქართველების დღევანდელმა საქციელმა? როგორც ჩემთვის ცნობილია, ქართველები უპატრონო მიცვალებულებსაც კი წაუქცევენ ხოლმე მცირეოდენ ღვინოს და ასეთ ღვთისმოშიშ და უსათნოეს მეფეს, დაკრძალვის დამთავრებისთანავე ზურგი რატომ შეაქციეს?

- ეს თავადები - უპასუხა ეპისკოპოსმა მეთოდემ, - ძირითადად ქართლის მეფის, ამ ეკლესიაში განსვენებულის - ვახტანგ მეექვსის და მისი მემკვიდრეების მომხრენი არიან. ისინი თეიმურაზს ბრალს სდებენ ტახტის მიტაცებაში და არ აღიარებდნენ ...

- ვახტანგმა უპატრონოდ მიატოვა ტახტი და აქეთ გამოიქცა, - შეაწყვეტინა სიტყვა გუბერნატორმა, - და ვინმეს ხომ უნდა ეპატრონა ქართლისთვის?

- მემკვიდრე ჰყავდა ტახტს, თქვენო ბრწყინვალებავ, - უპასუხა მეთოდემ, - მაშინ ის ბერი გახლდათ და ამიტომ ვერ გააგრძელა საერო ხელისუფლება, ახლა

ისიც გამოძევებულია საქართველოდან, რუსეთის წმიდა სინოდის წევრია და ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიის არქიეპისკოპოსია.

- ახლა მეფობა აღარ სურს? - იკითხა გუბერნატორმა.

- აღარ სურს, თქვენო ბრწყინვალებავ, - გაეღიმა მეთოდეს, - გინდაც უნდოდეს, ერეკლეს, რომელსაც ევროპაში ,,აშვებული ლომის" სახელი აქვს, ვერაფერს დააკლებს, მაგრამ როგორც რომის პაპის თაყვანისმცემელს, შეუძლია ქვეყანა გააკათოლიკოს, თუ ამასაც ვერ მოახერხებს - რუსეთის მონად აქციოს.

გუბერნატორს გაეღიმა, მოხარშული ზუთხის დიდი ნაჭერი გადაიღო თეფშზე და თავისთვის ჩაილაპარაკა:

- გამოდის, რომ ჩვენი რუსული არწივი დაჯდა კავკასიონზე და პირიქითა ქვეყნებს დაადგა თვალი! ...

ასტრახანის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის, ვლადიმირის ღვთისმშობლის ხატის სახელობის სალოცავში დაკრძალულ თეიმურაზ მეფის საფლავს დაადგა ნათელი და შორიდან ისმოდა მის მიერ დაწერილი სიტყვები:

,,სოფლისა განსაცდელები,
მე ბევრი მამვლენია-და
ქრისტესა გამოვუხსნივარ,
ჭირები მამლხენია-და ..."

მის საფლავზე გადმოსული ნათელი იმ დიდი ღვაწლის დასტური გახლდათ, რაც თეიმურაზ მეფეს მიუძღვის საქართველოს ეკლესიის წინაშე. მან საქართველო-

ში მართლმადიდებლობა დაიცვა პაპისტური ეკლესიის მზაკვრობისაგან და ჩაშალა კათოლიკეთა გეგმები. თანაც ეს მოხდა იმ დროს, როდესაც ზოგიერთი ქართველი მეფე თუ სახელმწიფო მოღვაწე სასოებით შესცქეროდა რომის პაპს თუ ევროპის კათოლიკე მეფეებს. რომის პაპიც დახმარებას ჰპირდებოდა მათ, მაგრამ ჯარის ნაცვლად მისიონერებს აგზავნიდა საქართველოში.

XIII

მახარეს, რომელიც ლეკების თავდასხმის დროს გმირულად დაეცა თავისივე სოფლის მიწაზე, გარდაცვალებიდან მეორმოცე დღე შეუსრულდა. მთელმა სოფელმა კიდევ ერთხელ დაიტირა ახალგაზრდა ვაჟკაცი, ხოლო მამა მირიანმა ეკლესიაში მისი სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი ჩაატარა. ტაძრიდან გამოსულმა ზაქრომ თავის მეგობრებს მოუხმო და უთხრა:

- მამაოს ველაპარაკე და კურთხევა გამოვთხოვე, რომ ჩემთან წავიდეთ, მახარეი სულ შენდობა ვუთხრათ და თან ჩემი შვილების გაქრისტიანების ამბავიც დავლოცოთ. იმ უჯიშოებმა კვირაცხოვლობაი აღარ მაცალეი ბავშვების დაბადების და ნათლობის აღნიშვნა. გადადება აღარ ეგების, რადგან ხვალ შეიძლება სალაშქროდ დაგვიძახონ. მამა მირიანიც შემოგვიერთდება, თან რაღაც-რაღაცეებზე უნდა მოვილაპარაკოთ ... ასე რომ, წავედით!

კახეთში ზაფხული ნელ-ნელა ძალას იკრებდა. ზაქროს სახლის ეზოში, დიდი მუხის ქვეშ, გრძელი მაგიდა იდგა და მართა მეზობლებთან ერთად სუფრის გაშლით იყო დაკავებული. ნაირ-ნაირი, გემრიელად მომზადებული კერძების საამო სურნელი ტრიალებდა ირგვლივ. კახური სუფრისთვის დამახასიათებელი, ხორცისგან მომზადებული ჭამადის სიუხვე სჭარბობდა მაგიდაზე. სათონის გვერდით აგიზგიზებულ ცეცხლზე შემომდგარ ქვაბებში ყაურმა და ხორცწვენი თუხთუხებდა. თონიდან ახლადამოყრილი დედას პურები და შოთები გასაგრილებლად ორომზე[34] დაელაგებინათ, ხოლო თონის მინავლებულ ნაკვერჩხალში, კახეთში ახლად შემოტანილი, ლობიოდ სახელდებული ჭამადი ქოთნით ჩაედგათ. მართალია კახელები დიდად არ ეტანებოდნენ ლობიოს, მაგრამ მისი სტუმრებისათვის მირთმევა ერთგვარ ახლადჩამოყალიბებულ ტრადიციად ქცეულიყო ხალხში.

დედაკაცებმა თითქმის დაამთავრეს სუფრის გაწყობა. ამ დროს მართაც გამოვიდა სახლიდან და მეზობლებს გახარებულმა ამცნო:

- როგორც იქნა დაიძინეს. რა ძნელია მათი დაძინება. ერთი რომ ჩათვლემს, მეორე ტირის და აღვიძებს და ასე გრძელდება, სანამ ორივე არ დაიღლება. მერე კი სძინავთ გოლიათებივით. ამიტომაც მალე ვერ გამოველ მოსახმარებლად ... აბა, რა დაგვრჩა გასაკეთებელი?

34 ორომი - ხის ოვალური, მრგვალი, ხონჩის მსგავსი ფიცარი, რომელზეც აწყობენ თონეში ჩასაკრავ ცომის გუნდებს.

- სუფრის გაწყობას მოვრჩით, - უპასუხა ელისაბედმა, - მხოლოდ ღვინოა ჩამოსასხმელი.

- ღვინის ჩამოსხმა და მწვადის შეწვა კაცების საქმეა, ჩვენ კი მანამდე ცოტა წავიხემსოთ, თორემ მერე ვერ მოვიცლით ჭამისთვის. - თქვა მართამ და სათონესთან პატარა მაგიდის გაშლას შეუდგა.

მალე სტუმრებიც გამოჩდნენ. დედაკაცებმა ხელი დააბანინეს მამაკაცებს და იქვე ხის ძირას გამართულ სკამებზე ჩამოსხდნენ. ზაქრომ სუფრას გადახედა, მერე მეგობრებისკენ მიბრუნდა, გაიღიმა და თქვა:

- სანამ მამა მირიანი მობრძანდება და სუფრაი აკურთხებს, მე ღვნოი ჩამოვასხამ, ხოლო მწვადი შეწვაი კიდენა მიტოამ და თედომ მიხედონ, მაგ საქმიი ოსტატები ეგენი არიან ...

მალე მამა მირიანიც გამოჩნდა თავის მორჩილთან ერთად, სუფრა აკურთხა და პურადობაც დაიწყო. ვინაიდან სუფრა ერთდროულად საზეიმოც იყო და სამგლოვიაროც, ზაქრომ მისი გაძღოლა მამა მირიანს სთხოვა. კახურმა ღვინომ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, თანამეინახენი ნელ-ნელა ახმაურდნენ. ზაქრომ ჯამი აავსო ღვინით და მამა მირიანს სთხოვა:

- მამაო, მინდა დღეი სოფლისთვინ ერთ აუცილებელ საქმეზე ვილაპარაკო. ყველანი აქა ვაართ და ბარემ გადავწყვიტოთ. ამაზე კარგ დროი ვეღარ შევარჩევთ. თუ კურთხევაი მომცემ, მაშინ დავიწყებ.

მამაომ თანხმობის ნიშნად თავი დახარა და ზაქრომაც განაგრძო:

- ჩემო კეთილო ადამიანებო, დიდი მადლობა პირველ რიგში ჩვენი თანამებრძოლის, მახარეი სულის მოხსენიებისათვის და იმ საუკეთესო სურვილებისთვინ, რომელიც ჩემს ტყუპებსა და ჩემს ოჯახ უსურვეთ. მაგრამა ქართული სუფრა მარტო სადღეგრძელოებისათვინ არ მოგვიძღვნა უფალმა, არამედ საბაასოდაცა, რომლითაც ქვეყნისა და ხალხი მომავლის საქმე უნდა გადაწყდეი. ყველანი კარგადა ჰხედამთ რა დღეში ვართ. ლეკი არ გვეშვება. თან ისეთ დროი გვესხმიან თავსა, როდესაც ხალხი დღესასწაულებზე ეკლესიებში ლოცულობს, ან კიდენა მაშინ, როცა ჩვენ სალაშქროდა ვართ. ნათქვამია: ,, კოკა ყოველთვინ წყალ ვერ მაოიტანსო ...“, ღმერთმა ნუ ქნაი, ამაზე დიდი უბედურება დაგვატყდეი თავსა. რაღაცა უნდა მოვიფიქროთ სოფლის დაცვისთვისა ...

- გუშაგები დღე და ღამე ფხიზლობენ, ზაქრო, - ჩაერთო საუბარში ამირანი, - ბიჭებ ვერ დავემდურებით, ყველაფერ აკეთებენ ...

- ვიცი, ამირანა ძია, - შეაწყვეტინა სიტყვა ზაქრომ, - ვიცი, განა არ ვიცი, მაგრამა ხვალ ამ ბიჭებ, სამშობლოი დაცვისთვინ ლაშქარში რომ დაუძახონ, ვის ამარად დავტოვოთ სოფელი!? ლეკი ხო ხედავ ეგეთ დროი ელოდება და მუდამ ჩასაფრებულია.

- შენ რაღაც გექნება მოფიქრებული, ზაქარია, - თქვა მამაომ, რომელიც ყურადღებით უსმენდა ზაქროს, - ისე არ

დაიწყებდი ამ საუბარს. მართალია, რაღაც უნდა მოვიფიქროთ, თორემ ლეკიანობამ ლამის არის და დაგვაქციოს.

- წაგვლეკოს, მამაო, - წამოიძახა ამირანმა, - ახალი სიტყვა დამკვიდრდა ქართულ საუბარშია - წალეკვა. დღეგრძელი იყოი მეფე ერეკლე! ბევრი მტერი მოაშორა საქართველოსა თავისი ვაჟკაცობითა, მაგრამა ლეკიანობაი ვერაფერი მოუხერხა. ამიტომა ჩვენ უნდა მოვიფიქროთ რამე, ჩვენი სოფელი რომ დავიცვათ. აბა, რაი გვეტყვი, გიოაანთ ბიჭო?

ზაქრო გასწორდა ბეჭებში, ჩვეულებისამებრ ხუჭუჭ თმებზე ხელი გადაისვა და დაიწყო:

- პირდაპირ ვიტყვი სათქმელ. თავდაცვითი კოშკები უნდა ავაშენოთ, სადაც შეეძლებათ ხალხ თავი შეაფარონ, სანამ დამხმარე ძალა გამოჩნდება. კოშკიდან ბრძოლაი ბევრი მეომარი არ სჭირდება, მცირედნიც მოიგერიებენ მომხვდურსა. ჭალაში სამი კოშკი რომ ავაგოთ, სოფელ ეყოფა. თან ისეთი ადგილია ყველაითვინ ადვილად მისასვლელი. იგე, იასემ მითხრა, პატარძეულში ფიცხელაურებ აუშენებიათ მრიზიაანთ კოშკი და ხალხმა ამოისუნთქა თურმე. შიშიანობაც გამქრალა.

ყველამ ერთმანეთს გადახედა. გაუკვირდათ ზაქროს ნააზრევი. გიოაანთ ბიჭი სულ თავდასხმასა და შეტევაზე გადასვლის მომხრე გახლდათ და უცებ თავდაცვაზე ალაპარაკდა. მერე ყველამ მამა მირიანს მიაპყრო მზერა და მისგან ელოდა პასუხს. მამაომაც არ დააყოვნა და განაცხადა:

- ძალიან კარგი რამ მოგიფიქრებია, ზაქარია. ჩვენი ციხე-სიმაგრე მტრის შემოსევის დროს მთა და ტყე იყო, სადაც სამალავები ახლაცა გვაქვს. მცირე რაზმების თავდასხმის შემთხვევაში იქ ხომ არ წავა მთელი სოფელი? ისინი, მაშველი მებრძოლების მოსვლამდე, კოშკიდანაც გაუმკლავდებიან მტერს. ამიტომ კოშკების აშენების გეგმა მომწონს. მხოლოდ ის არის საკითხავი, როგორ მოვახერხებთ მის აშენებას. მას ცოტა ხარჯი არ დასჭირდება, სოფელი ვერ გაწვდება.

- ვიცი, მამაო, - მიუგო ზაქრომ, - მაგაზეც ვიფიქრე. მე და ამირანა ძია ვეახლებით მეფეი და ერეკლე აუცილებლად დაგვეხმარება. აშენებით კი ჩვენ თვითონ ავაშენებთ.

- ავაშენებთ მარაა! - წამოიყვირა მიტომ, - მაგიი მეტი რა ვიცით, ბჯო!

- ერთი კოშკი ეკლესიასთანაც უნდა ავაშენოთ, - განაგრძო ზაქრომ, - რადგან ტაძარში ყოველდღე უამრავი ხალხი იყრის თავს და დაცვა სჭირდებათ.

- ავაშენოთ!... ავაშენოთ!... - აყაყანდნენ შეზარხოშებული წანარიანელები, ფეხზე წამოდგნენ და ერთხმად მიირთვეს მტერზე გამარჯვების სადღეგრძელო.

მამა მირიანმა პირჯვარი გადაიწერა, სუფრასთან მსხდომთაც გადასახა ჯვარი და დალოცა ...

გიოშვილების ეზო-ყურეზე მთელი ღამე გუგუნებდა მრავალჟამიერი... მთვარე დაჰკაშკაშებდა ქართულ სუფრას, ხოლო მთებიდან მონაბერი ნიავი აგრილებდა და დარდებს უქარვებდა კახური ღვინით შეზარხოშებულ წანარიანელებს ...

XIV

თეიმურაზ მეფის გარდაცვალებამ ანტონ კათოლიკოსყოფილს გზა გაუხსნა საქართველოსკენ. თეიმურაზის სხეული, როგორც ამბობენ ჯერ ,,გაციებულიც“ არ იყო, რომ ანტონმა კიდევ ერთხელ იცრუა და რუსეთის წმიდა სინოდს თხოვნით მიმართა, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ნება მიეცათ დაბრუნებულიყო სამშობლოში. რუსეთის მთავრობას მისი დაბრუნება აწყობდა კიდეც, რადგან ანტონი უკვე მათ წიაღში გავლილი და შემოწმებული პიროვნება გახლდათ და რუსეთის იმპერიალისტური მიზნების განსახორციელებლად შესანიშნავ კანდიდატს წარმოადგენდა. ასე რომ, სამგზავრო ფულიც კი გამოუყვეს ათას ხუთასი მანეთის ოდენობით. თუმცა მოგვიანებით საიმპერატორო კარზე ეჭვი გამოითქვა, ერეკლემ ხომ არ გადაწყვიტა ,,მიდრეკილება კათოლიკური რჯულისადმიო“.

ერეკლემ კი თავის მხრივ, გატეხა მეფური ფიცი და ანტონს მისცა უფლება დაბრუნებულიყო სამშობლოში და დაეკავებინა კათოლიკოსის ტახტი. თეიმურაზის სიცოცხლეში ერეკლე დაზღვეული იყო შეცდომებისგან, რადგან ყველა სახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებას თეიმურაზი იღებდა. ახლა კი ერეკლემ დაუშვა პირველი და გადამწყვეტი შეცდომა, გატეხა საეკლესიო კრებაზე დადებული ფიცი და ამით უფლის ნების წინააღმდეგ გადად-

გა ნაბიჯი ანუ დაივიწყა სახარებისეული მცნება: ,, ... უკეთუ გიყუარდეს უფროის ღვთისა ...“, რაც კაცობრიობის ისტორიის მანძილზე დაუსჯელი არასდროს დარჩენილა.

ანტონმა პეტერბურგიდან იგივე გზა გამოიარა, რაც თეიმურაზის ამალამ, რომელნიც მეფის ცხედარს მოასვენებდნენ. კათოლიკოსყოფილს არათუ უნახავს, არამედ არც მოუკითხავს მათი ამბავი. ხოლო როგორც კი მოადგა კავკასიონს, ,,საკვირუელი იქმნა ჟამსა ამას შემთხუევა შემეცნებული მრავალთაგან. ოდეს გარდამოვიდოდა ანტონი რუსეთით და მოვიდა კავკასიისა მთათა შინა შეიქმნა ქუხილი მცხეთას და დაეცა მეხი მცხეთის დიდსა საპატრიარქო ეკლესიასა, თუმცაღა ვერარა ავნო. ხალხი ქართველთა არა იყო გარნა მოხარული ესრეთისა ცულილებისათვის. პირველად ამისთვის, რომელ ესავდნენ კათალიკოზსა იოსებს, ვითარცა კაცსა წმიდასა და სასწაულთა მოქმედსა, მეორედ ამისთვის, რომელ სიხარულად და სიქადულად იქმნებოდა ესევითარი საქმე ფრანგთათვის და მესამედ რომელ ეშინოდათ მღუდელთა და სხუათაცა შურისძიებისა, რომელიცა ძალ ედუა ექმნა მას საქართუელოსა შინა ...“

სანამ ანტონი საქართველოში შემოვიდოდა, ტფილისის დიღმის კარში გამოჩნდა საშუალო სიმაღლის, გახუნებული ანაფორით შემოსილი ბერი, რომელსაც გრძელი თმები და წვერი თოვლივით დაჰფენოდა მხრებზე და მკერდზე. მკლავზე ვაშკარანი[35] გადაეკიდა, ხოლო ხელთ სკვნილი ეპყრა და თავდახრილი მიუყვებოდა გზას.

35 ვაშკარანი - გუდა, ტომარა, ჩანთა

ბერი პირდაპირ მეფის სასახლეს მიადგა და ერეკ-ლესთან შესვლა ითხოვა. საბედნიეროდ მეფე სასახლეში ბრძანდებოდა, რაც იშვიათი შემთხვევა იყო მის ცხოვრე-ბაში. არც დაფიქრებულა და ანიშნა მსახურს შემოეყვა-ნათ დაუპატიჟებელი სტუმარი.

ბერმა თაყვანი სცა მეფეს და თავდახრილი დადგა მის წინაშე.

- ვინ ხარ და საიდან მოხვედი, ხუცესო? - ჰკითხა მე-ფე ერეკლემ.

- იოსები ვარ, მოხევე, მეფეო, - წარმოთქვა ბერმა ისე, რომ თავი არ აუწევია ზევით, თითქოს ერიდებოდა მეფისთვის თვალი გაესწორებინა, - უფალმა მყინვარის მთასა მცველად მაკურთხა.

- რის მცველად, მოხევევ? - ისევ იკითხა ერეკლემ და თან სახეზე ღიმილი მოადგა.

- აკვნისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და მამამ-თავარ აბრაამის კარვისა, - უპასუხა მოხევემ და მხოლოდ ახლა ასწია თავი, პირჯვარი გადაიწერა და შეხედა მეფეს.

ბერის მზერას მზერითვე უპასუხა მეფემ, მაგრამ მრავალ ომში გამობრძმედილ უშიშარ ერეკლეს რატომ-ღაც არაამქვეყნიური შიში დაეუფლა. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი აარიდა ბერს და კვლავ ჰკითხა:

- იქნებ ამიხსნა, ხუცესო, საიდან გაჩნდა იმ მიუვალ მყინვარის მთაში უფლის აკვანი და აბრაამის კარავი?

- არ ვიცი, მეფეო, - უპასუხა იოსებმა, - მე რომ მი-მიყვანა ანგელოზმა უფლის მითითებულ ადგილას, ეს

სიწმიდეები იქ დამხვდა, - მეფე თეიმურაზს, ღმერთმა აცხონოს მისი სული, გერგეტს შევხვდი, როდესაც ის რუსეთს მიბრძანდებოდა და მოუყევ ეს ამბავი, თან აბრაამის კარვის ნაჭრის გადაცემა მსურდა, მაგრამ ასე მითხრა: ,,მე ახლა რუსეთს მივდივარ და ამ სიწმიდეს თან არ წავაბრძანებ. არ ვიცი, იქ რა მომელის ან როდის და როგორ დავბრუნდები სამშობლოში. თუ არ გაგიძნელდება, იქნებ ჩემს შვილს - მეფე ერეკლეს გადასცე ეს უფლის საჩუქარი ხელიდან ხელში და ის მიხედავსო“.

იოსებმა წმიდა კარვის ნაჭერი ვაშკარანიდან ამოიღო და მეფეს გაუწოდა. ერეკლემ მიირქვა სიწმიდე, პირჯვარი გადაიწერა და ისევ მოხევეს მიუბრუნდა:

- ამიხსენი, ხუცესო, რას უნდა ნიშნავდეს ეს ყოველივე?

- მეფეო, შენ კარგად იცი, რომ როდესაც უფალმა თაბორის მთაზე ერთმანეთს შეახვედრა ძველი და ახალი აღთქმის წმიდანები მოსე, ელია, პეტრე, იაკობ და იოანე, ამით დაამტკიცა, რომ ეკლესია განუყოფელია და უფლის კანონები კი შეუცვლელი. იგივე მოგვივლინა ჩვენ თავისი აკვნისა და მამამთავარ აბრაამის წმიდა კარვის სახით, ვითარცა მცხოვრებთ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნისა. ადამიანთა მიერ ღმერთის კანონების შეცვლა გამოიწვევს იმ ქვეყნის დაქცევას, რასაც ადასტურებს ჩვენზე ძლიერი იმპერიების გაქრობა მიწისაგან პირისა. ამიტომ სიფრთხილე გმართებს, მეფეო. მხოლოდ შენ შეგიძლია ააცილო ჩვენს ქვეყანას ღვთის რისხვა.

- და ეს როგორ უნდა გავაკეთო, ხუცესო!? - გაეღიმა ერეკლეს და ხმაში მრისხანება გაურია, - იქნებ მასწავლო!?

მოხევემ მეფესთან შეხვედრამდე იცოდა, რომ ერეკლეს არ მოეწონებოდა მისი საუბარი, მაგრამ იოსები ვალდებული იყო სათქმელი ბოლომდე ეთქვა. ამიტომ მშვიდად მიუგო მეფეს:

- მართლმადიდებლობის გამრუდების და ეკლესიის გაყოფის უფლება არავის მისცე. ეს არ მოეწონებოდა მეფე თეიმურაზს, რომელმაც საქართველოდან გამგზავრების წინ გერგეტის სამებაში ილოცა და უფლისადმი თავისი ვედრება ასე დაამთავრა: ,,ჰოი, ტკბილო იესუ ქრისტე, ღმერთო ჩემო, მამისა დიდებაო და ბრწყინვალებაო და მზეო სიმართლისაო, რომელმაც მთასა ზედა გოლგოთას სოფლისა ხსნისათვის სული შენი განუტევე, მომეც მე სიყვარული შენი, რათა მარადის გულსა შინა ჩემსა მტკიცედ მაქვნდეს და მით მოვაკვდინო საცთური ხორცთანი და სამარადოსდ შენთანა მკვიდრ ვიყო“.

მოხევემ საუბარი შეწყვიტა და ერეკლეს შეხედა, რომელიც უყურებდა მას და არაფერს მიუგებდა. ამიტომ ბერმა განაგრძო:

- მეფეო, უფლის აკვანი ჭეშმარიტი სარწმუნოების შეურყვნელობის ნიშანია, აბრაამის კარავი უფლის ეკლესიას განასახიერებს, ხოლო საქართველო ამ საიდუმლოს მფლობელი და შემნახველია. მე იქ უნდა ვიყო, რა-

მეთუ ჩემი დღეებიც დათვლილია. ღმერთი იყოს შენი და შენი სამწყსოს მფარველი.

მოხევე ისე გავიდა დარბაზონიდან, რომ მეფეს სიტყვა არ უთქვამს... დააფიქრა ერეკლე ბერის სიტყვებმა ... მამა წარმოუდგა თვალწინ ... საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თეიმურაზის სახით საქართველომ უდიდესი მამულიშვილი და მფარველი დაკარგა ...

XV

წანარიანში დიდი და პატარა დაირაზმა კოშკების ასაშენებლად. სამეფო კარმაც დახმარება გაუწია სოფლელებს წამოწყებულ საქმეში. მშენებლობისთვის კირით დატვირთული ურმები უწყვეტად მოედინებოდა წანარიანისკენ. ახალგაზრდები ხევიდან ეზიდებოდნენ ქვას და ქვიშას. ყოველ საღამოს, სოფლის ორღობეებში, ათობით ხარი მოათრევდა ტყეში მოჭრილ მორებს. გადაწყდა, რომ კოშკი ჯერ ეკლესიასთან აეშენებინათ. მამა მირიანმა აკურთხა ადგილი და სოფლელებმაც დაიწყეს საძირკვლის გათხრა. ზაქროს წერაქვი მოემარჯვებინა და საგულდაგულოდ ურტყამდა მიწას.

- ზაქრო, ბჯო! - იცინოდა ბარზე დაყრდნობილი მიტო, - ისე ხმალი ქნევა ჯობია თუ წერაქვისა, ჰაა!?

- შენ ემაგ ბარ მიხედე, რო ჩამოყუდებულხარ ზედა! - უპასუხა ზაქრომ, - ყველაფერ თავი დრო და ალაგი ააქ!

- ხმლი ქნევა უფრო ადვილია, ზაქრო! - არ ეშვებოდა მიტო, - ვიდრე წერაქვისა და ბარი ხმარება, ეგრე არ არიი, ხალხო!?

მიტოს, რომელსაც შრომასა და ბრძოლას ქეიფი და დროსტარება ერჩია, ხალხის დასტურის იმედი ჰქონდა, მაგრამ არავის ეცალა მისთვის. ბოლოს, ხელი ჩაიქნია და უღიმღამოდ დაიწყო მიწის ჩიჩქნა. ამ დროს ეკლესიის ჭიშკართან ცხენზე ამხედრებული ზაქროს თანამებრძოლი ნიკო მოიჭრა და დაიყვირა:

- ყვარლის სოფლებში შეჭრილან ლეკები! ...

ზაქრომ წერაქვი გადააგდო და ცხენისკენ გაიქცა. უცებ შეჩერდა, უკან მოიხედა და მიტოს გასძახა:

- მიტო, ხო არ წამოხვიდოდი!?

- რა მინდა, კაცო, იქა!? - ისე იკითხა მიტომ, ვითომ არ იცოდა სად და რისთვის მიდიოდა მისი მეგობარი.

- რავი, აბა! ხმლი ქნევა უფრო ადვილიაო და? ...

- არა, გენა ... - შეიცხადა მიტომ, - მე ბარი მირჩევნია. შენ მოსვლამდე სულ ვამუშავებ ამასაცა და შენ წერაქვსაცა ...

უცებ, ყველა იქ მყოფმა სოფლელებმა სიცილი დაიწყეს და მიტოს მისამართით არ იშურებდნენ დამამცირებელ სიტყვებს:

- მიტო, რა მოხდა, შეგეშინდაა!? ...

- მაი ბარი გირჩევნია ხმალსა!? ...

- ისე არ მამკლას ღმერთმა, ერთი შენი შაშინებული ლეკი მაჩვენოი! ...

მიტომ ვეღარ გაუძლო ამდენ დამცირებას, ბარი ბუჩქებში მოისროლა და გაეცალა იქაურობას ...

ლეკები კალიებივით შესეოდნენ ყვარლის გარშემო მდებარე სოფლებს და რაც ხელში მოხვდებოდათ ყველაფერს იტაცებდნენ. ზაქროს და იასეს რაზმებს ალაზანთან ერეკლეს ერთგული მებრძოლები დახვდნენ.

- თქვენ გელოდებოდით, ძმებო! - შორიდანვე დაუძახა მხედრებს ერეკლეს მარჯვენა ხელმა ზეზვამ, - ცხენები არ გააჩეროთ! ჩვენი ბიჭები სოფლებში წავიდნენ ლეკების გამოსარეკად, ჩვენ კი დაღესტნისკენ მიმავალი გზები უნდა გადავკეტოთ, რომ არავინ გაგვექცეს!

- ბევრნი არიან!? - ჰკითხა ზაქრომ.

- ძაღლთოდენნი! ... მაგათ რა დათვლის! ... - უპასუხა ზეზვამ და ცხენს ავჟანდი ჰკრა, - ხო იცი, გველებივით როგორ დასრიალებენ ეგ უჯიშოები. ისე გაგიძვრება, თვალს ვერ მოჰკრავ! ამიტომ ყველა გზა უნდა გადავკეტოთ! ...

ოსმალეთს ერეკლეს გაძლიერება არ აწყობდა. დაინახა რა, რომ ქართველთა მეფემ დასავლეთ საქართველოს დახმარების ხელი გაუწოდა, მან გააათმაგა დაღესტნელი ბეგების დაფინანსება, რათა მათ პატარ-პატარა რაზმებით თავდასხმები გაეძლიერებინათ ქართლ-კახეთში. არც რუსეთს სურდა ოსმალეთთან დაპირისპირება და საბოლოოდ თავი შეიკავა საქართველოსთვის დახმარების გაწევაზე. ამიტომ ერეკლე მხოლოდ საკუთარი ძალების იმედადღა იყო დარჩენილი და ქართველ

ვაჟკაცებს ერთდროულად უწევდათ მტერთან ბრძოლაც და გუთნისდედობაც.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველებმა უამრავი ლეკი გამოასალმეს სიცოცხლეს, ბევრმა მათგანმა მოახერხა გაქცევა და თან ნაძარცვიც გაიყოლა. ახლა მათი შეჩერება მხოლოდ დაღესტნისკენ მიმავალ გზებზე ჩასაფრებულ მებრძოლებს შეეძლოთ. ლეკები ორას მხედრამდე იქნებოდნენ, თანაც კარგად შეიარაღებულნი, ხოლო ქართველები მხოლოდ სამოცდაათ-ოთხმოც კაცს ითვლიდნენ. სანამ მდევარი მოვიდოდა, ბრძოლა უმცირესობაში უნდა მიეღოთ ქართველებს. გამოქცეულ მტერთან ხმალდახმალ შებმას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ როგორც კი გამოჩნდნენ ლეკი მხედრები, ერთდროულად იქუხა რამდენიმე ათეულმა თოფმა, რომელმაც წინა რიგებში რამდენიმე მხედარი და ცხენი დაბლა დასცა. ამან დაბრკოლება და არეულობა შექმნა მტრის რიგებში, რითაც ისარგებლეს ტყის პირას ჩასაფრებულმა ქართველებმა და ორივე მხრიდან ეკვეთნენ ლეკებს, რომლებსაც უკვე მოესწროთ ხმლების ამოღება. კიდევ იქუხა თოფებმა, რასაც საგულდაგულოდ ჩასაფრებული მშვილდოსნების ისრებიც მიჰყვა. ბრძოლა სასტიკი გამოდგა. ლეკები ტოლს არ უდებდნენ ქართველებს. როგორც ჩანდა, ამ რაზმის მხედრები ნარჩევი და ბრძოლაში დახელოვნებულნი იყვნენ. არც ქართველნი იყვნენ ჯაბანნი და ეს აისახა კიდეც ბრძოლაზე. ლეკებმა უკან დახევა და-

იწყეს, მაგრამ აქაც არ გაუმართლათ... მდევარს შეეჩეხნენ. იარაღის დაყრაც კი არ აცალეს ქართველებმა, ისე ჩაჩეხეს მომხვდური. ბრძოლა რომ დამთავრდა ზეზვამ თქვა დანანებით:

- ცოტანი მაინც დაგვეტოვა, ტყვედ წავასხამდით.

- ეხლა მაგათი თავი შაანახვინე კიდე ერეკლესა! - მიუგო ზაქრომ, - ამათ იგეთი ჯიში აქვთ, უცბად მრავლდებიან თაგვებივითა. ხვალ ისევ მოგვაკითხავენ ...

- ანუ მხედრობა გვჭირდება, ჩემო ზაქრო, რომ მუდმივად სადარაჯოზე იდგეი, არა? - ჩაერთო საუბარში იასე და ზეზვას და ზაქროს შეხედა, თითქოს პასუხს ელისო მათგან.

- ერეკლემაც ეგა თქვა ამ რამდენიმე დღის წინ, - უპასუხა ზეზვამ, - მორიგე ჯარი უნდა შევქმნათო.

- ეჰ, რა დროი გამოგვეცალა ხელიდან მეფე თეიმურაზი, - თქვა ზაქრომ და პირჯვარი გადაიწერა, - მოიფიქრებდა რამეი, თორემა ესეთი გამუდმებული ომებით სამშობლო ხელში შემოგვადნება და ქართველი კაცი სანთლით საძებნელი იქნება.

- რატომ ფიქრობ ეგრე, ზაქრო? - იკითხა ზეზვამ.

- რატომ იცი, ძმაო, - უპასუხა ზაქრომ, - ამდენი სომეხი და ურია ცხოვრობს ჩვენს მიწა-წყალზე და ისინი ომში გინახავს როდისმე?

- სომეხი და ურია არა და თათარი - კი. - მიუგო ზეზვამ.

- თათარი იმიტომ, რომ ჩვენი ყმადნაფიცია და სხვა გზა არა ააქ. აი, სომეხი და ურია მხოლოდ ვაჭრობს და

იმ ქვეყანაი არ იცავს, სადაც ცხოვრობს. ისინი მრავლდებიან, ჩვენ კი ვერა. ბოლოი ვის დარჩება ქართული მიწა-წყალი?

XVI

ადამიანის ცოდვებით ისედაც დამძიმებულ დედამიწას, ზედმეტ ტვირთად აწვებოდა ბოლო დროს მომრავლებული წუთისოფლის შვილები, რომლებიც თავიანთი მამამთავრის ,,კურთხევით" უფრო და უფრო ავიწროვებდნენ უფლის შვილებს და მათ მოსპობასაც არ ერიდებოდნენ. ეს პროცესი უფრო მეტად გამძაფრდა ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში. მაშინ, როდესაც სამშობლოს ერთგული ქართველები დიდი სასოებით ელოდებოდნენ რუსეთიდან თეიმურაზის დაბრუნებას, საქართველოს საზღვარი ღმერთშემოსილი მეფის ნაცვლად, ქვეყნიდან გაძევებულმა, კათოლიკოსყოფილმა ანტონმა გადმოკვეთა. ღალატის მსხვერპლმა თეიმურაზმა კი სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა რუსეთის ცივ მიწაში, თუმცა ღვაწლმოსილი და ღვთისმოსავი მეფის სული შეუერთდა ზეციურ საქართველოს, სადაც მართალნი განისვენებენ.

სვეტიცხოველზე მეხის დაცემით გაოგნებულ ქართველობას რუსეთიდან ჩამოსული ანტონი შერჩათ ხელში,

რომელიც დიდი პატივით მიიღეს ტფილისის სამეფო სასახლეში. ერეკლემ დიდად განიხარა თანაშეზრდილი ბიძაშვილის ხილვით:

- მშვიდობა შენს ჩამობრძანებას, ანტონ! გახსოვს, საქართველოდან წასულს რა სიტყვები დაგადევნე? - მე უშენოდ ვერ ვიქნები, თორემ ბოლოს გამოჩნდება, არა მეამება რა. შენი წასვლის შემდეგ, ეს სიტყვები ჩემი გონებიდან არ გამქრალა. მოხარული ვარ შენი ხილვით!

- ვიცი, მეფეო, რომ შენ ყოველთვის ჩემი გულშემატკივარი იყავი და აი, აღსრულდა ნება უფლისა, მე აქ ვარ, შენს წინაშე!

- სამწუხარო ამბავი შეგვემთხვა, ანტონ. მამაჩემმა, როგორც ჩანს, ვერ გაძლო, სამშობლოდან შორს, უცხო მიწაზე, ჯანმრთელობა შეერყა და ნაადრევად გამოგვეცალა ხელიდან.

- დიახ, მეფეო, როდესაც მაუწყეს ეს სამწუხარო ამბავი, ძალიან განვიცადე, - დაეთანხმა ერეკლეს ანტონი და კიდევ ერთხელ იცრუა, - მამასავით მიყვარდა თეიმურაზი. ძალიან დამამწუხრა მისმა გარდაცვალებამ. ვიზიარებ შენს მწუხარებას, მეფეო.

ერეკლემ დიდსულოვნად მიიღო ანტონის სამძიმარი და მალევე საუბრის თემა შეცვალა:

- ხვალ მინდა, რომ დარბაზის ერი მოვიხმო სამღვდელოებასთან ერთად და შენი საკათოლიკოსო ტახტზე აღდგენის საკითხი დავაყენო!

ერეკლე მცირე ხნით შეჩერდა, მერე შეხედა ანტონს და გაღიმებულმა ჰკითხა:

- მეუფეო, წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ ისევ უწმიდესი გახდე?

- დიდად მოხარული და მადლიერი ვიქნები შენი, მეფეო, - წარმოთქვა გახარებულმა კათოლიკოსყოფილმა, - შენ ყოველთვის ჭეშმარიტების მხარეს იდექი და სწორად განსაზღვრავდი საერო და სასულიერო ურთიერთობებს. მეც მინდა, რომ გვერდში დაგიდგე და ჩემი გამოცდილება მოვახმარო ჩემს სამშობლოსა და ჩემს ხალხს...

ანტონი საუბრობდა შეუჩერებლივ, ხოლო მისი სიტყვების უკან რა იმალებოდა, ეს მხოლოდ ღმერთმა იცოდა. ვითომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, რუსეთის სინოდიდან წამოსული ანტონი უცებ ,,გამოკეთდა“ და სასულიერო ცხოვრების განვითარების ისეთი სურათი დაუხატა ერეკლეს, რომ რომის პაპის კარდინალებს შეშურდებოდათ მისი.

მეორე დღეს, ერეკლემ, ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე, დარბაზის ერს განუცხადა, რომ მისი სურვილი იყო ანტონი აღდგენილიყო საკათოლიკოსო ტახტზე. ყველამ შეხედა რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ ანტონს, თუმცა ერიც და ბერიც დუმილით შეხვდნენ მეფის გადაწყვეტილებას. დარბაზში ბრძანდებოდა მისი უწმიდესობა იოსებ კათოლიკოსი, რომელსაც მეფის მიერ გამოთქმული სურვილის შესაბამისად, რომე-

ლიც ბრძანებას უფრო ჰგავდა, უნდა დაეთმო ტახტი ანტონისთვის. ამიტომ სიტყვაც მას უნდა ეთქვა. ირგვლივ დავანებული სიჩუმე იოსებმა დაარღვია და ჩვეული სიმშვიდით მოახსენა მეფეს:

- მეფეო, შენი სურვილი ჩვენთვის გასაგებიც არის და მისაღებიც, რადგან ეს ჩვენი სამშობლოს ინტერესებიდან არის გამომდინარე, რაც ჩვენზედ კარგად შენ მოგეხსენება. ჩვენი ეკლესია და პირადად მე, მეუფე ანტონის კათოლიკოსის ტახტზე აღსაყდრების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ამით ჩვენ უარვყოფთ ქართლ-კახეთის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას ...

- თქვენო უწმიდესობავ! - შეაწყვეტინა სიტყვა ერეკლემ იოსებს, - გადაწყვეტილებას მე ვიღებ, რადგან ქვეყანას დღეს ანტონის კათოლიკოსობა სჭირდება!

ამ სიტყვებით ერეკლემ დარბაზის ერსაც და სამღვდელოებასაც კიდევ ერთხელ აგრძნობინა, რომ გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა და მას არ შეცვლიდა. თუმცა, იოსებ კათოლიკოსმა შეჰბედა მეფეს და საუბარი განაგრძო:

- მესმის, მეფეო. თქვენი სურვილი ჩემთვის ბრძანებაა და არც მე ვარ წინააღმდეგი, დავტოვო საკათოლიკოსო ტახტი, მაგრამ საქმე სულ სხვა, უფრო უზენაეს ნებასთან გვაქვს ...

- ვერ გავიგე, თქვენო უწმიდესობავ, რას გულისხმობ!? - კვლავ შეაწყვეტინა სიტყვა ერეკლემ იოსებს,

- რაიმე ვთქვი გაუგებრად ან არასწორად!? ნუთუ არ მოგწონთ ჩემს მიერ წარმოდგენილი კათოლიკოსი!? ან კიდევ, რომელ უზენაეს ნებაზე საუბრობ!?

იოსები ფეხზე წამოდგა. აშკარად ეტყობოდა, რომ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა გაეჟღერებინა მეფისთვის და იქ დამსწრე ხალხისთვის. მან საუბარი კვლავ ჩვეული სიმშვიდით დაიწყო:

- მეფეო, შენ კარგად იცი, რომ მე უღირსს თავიდანვე არ მქონდა სურვილი მეტარებინა კათოლიკოსის მძიმე ტვირთი, რადგან ძნელია იყო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის მწყემსმთავარი, მაგრამ აწ განსვენებული თეიმურაზ მეფისა და მისი მოძღვრის, ზაქარია ხუცესის თხოვნით, თანხმობა განვაცხადე ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმის გაძღოლაზე. კიდევ ვიმეორებ, მე დღესვე დავთმობ ტახტს, მაგრამ მაფიქრებს ჩემი ქვეყნის და შენი ბედი, მეფეო, რამეთუ კარგად მოგეხსენება, ჩვენი სარწმუნოება მაცხოვრის ორ ბუნებას აღიარებს - ღვთიურს და კაცობრივს. ამიტომ კაცობრივი ნება ყოველთვის ექვემდებარება ღვთიურს ...

- რა შუაში ვარ აქ მე, ან ჩემი სამშობლო... ან ნება ღვთისა!! - იკითხა აღელვებულმა მეფემ.

კათოლიკოს იოსების მშვიდმა საუბარმა ერეკლეში ჩვეული სიფიცხე გააღვიძა, მაგრამ მეფემ თავი შეიკავა განრისხებისაგან და კვლავ ჰკითხა იოსებს:

- გვითხარი, რა გაქვს სათქმელი!? იქნებ ჩვენ ვერ ვხვდებით იმას, რასაც შენ ფიქრობ!?

დარბაზონში მსხდომნი დაძაბულნი ადევნებდნენ თვალყურს მეფის და კათოლიკოსის საუბარს. ყველამ იცოდა, რომ იოსები ღმერთისგან წინასწარმეტყველური ნიჭით გახლდათ დაჯილდოებული და ცდილობდა, მეფე და ქვეყანა მოსალოდნელი საფრთხისგან ეხსნა. ერეკლე კი, როგორც ყოველთვის ჩქარობდა. კათოლიკოსი კი პირიქით, მშვიდად იდგა, თავისი კვერთხი ეპყრა ხელთ და მეფის სიტყვებზე არ რეაგირებდა. ბოლოს კი კვლავ მშვიდად განაგრძო შეწყვეტილი საუბარი:

- მეფეო, შენ არ გჭირდება შეხსენება, მაგრამ მაინც გავიმეორებ, რომ ქრისტეს აქეთ ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი წლის თექვსმეტ დეკემბერს, როდესაც ქართლ-კახეთის საეკლესიო კრებამ დაამტკიცა აქტი მხილებისა და განყენებისა, შენ და ცხონებულმა და ღმერთშემოსილმა მამამან თქვენმან, მეფემან თეიმურაზ, ანუ ძემან ჩუენმან მეფემ ირაკლიმ და ყოველთა საქართველოთაგან ან მთავარმან ქენებითა ანუ რომელთამე მიზეზითა ესე აღთქმული შევცვალოთ და კუალად მისი კათალიკოზად დადგინება მოვინდომოთ, რისხვასამცა შევცვივით წმიდისა და ერთ არსისა სამებისასა და ყოველთა მგმობართა თანა დაიწესების ცხოვრება ჩვენი და წმიდათა დიდთა მსოფლიოთა კრებათაგან ხვებულად შეჩვენებითამც აღვიხოცებით.

ერეკლე დაფიქრდა... დარბაზონში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა... ანტონმა ყველას აარიდა თვალი და

ჭერს მიაპყრო მზერა... დარბაზის ერი და სასულიერო პირნი მეფის სიტყვას ელოდებოდნენ. ბოლოს, ერეკლემ დაარღვია სიჩუმე და კითხვით მიმართა კათოლიკოსს:

- და რომ შევცვალოთ ჩვენი გადაწყვეტილება, ამით საქმე გაგვიმრუდდება თუ რა!? ...

- მეფისგან ფიცის გატეხვა არ ეგების, მეფეო, - მშვიდად მიუგო იოსებმა, - რამეთუ ფიცი ესე დადებულ არს არა კაცთა, არამედ წმიდა სამების წინაშე, რომლის რისხვაც რას ნიშნავს, ჩემგან არ გესწავლება, მეფეო. ხოლო წმიდათა დიდთა მსოფლიოთა კრებათაგან ხვებულად შეჩვენებითამც აღხოცება უკვე მთელს ქვეყანასა და ერს ეხება. ანუ შენი ქმედება მხოლოდ ფიცის გატეხვა არ არის, არამედ დასაბამია საშვილიშვილო და საუკუნო წყევლისა!

ერეკლეს ღიმილი მოადგა სახეზე, თუმცა არ შეიმჩნია, ფეხზე წამოდგა და განაცხადა:

- დღეს სხვა დროა! ქართულ საქმეს ანტონი სჭირდება და მიტომაც იგი უნდა აღსაყდრდეს საკათოლიკოსო ტახტზე!

რამდენიმე დღის შემდეგ, საეკლესიო კრებამ იოსებ ჯანდიერიშვილი გადააყენა ქართლ-კახეთის კათოლიკოსობიდან და მისი ადგილი დაიკავა კათოლიკოსყოფილმა ანტონ პირველმა.

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლემ ანტონი დააბრუნა რუსეთიდან საქართველოში, ჩააბარა საკათოლიკოსო

ტახტი და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, მაინც ეჭვით უყურებდა თავის გადაწყვეტილებას და მუდმივად ყურში ჩაესმოდა იოსებ ჯანდიერიშვილის სიტყვები: ,,მეფისაგან ფიცის გატეხვა არ ეგების, მეფეო, რამეთუ ფიცი ესე დადებულ არს არა კაცთა, არამედ წმიდა სამების წინაშე ...“. ანტონმაც კარგად უწყოდა ყოველივე, ამიტომ კიდევ ერთ ცბიერებას მიმართა და სულ მალე მეფეს წარუდგინა რომის პაპის მიერ გამოგზავნილი წერილი, სადაც პაპი ერეკლეს სწერდა: ,,თქვენ ფიცს ყურს ნუ უგდებთ, რადგან ფიცი კეთილის აღსასრულებლად იქნება და არა რაიმე ბოროტისათვის, არც ვალდებული ხართ დაიცვათ, თუ დაგიფიციათ, როდესაც მისი საგანი საწინააღმდეგოა ჭეშმარიტებისა, რადგან თქვენი ფიცის საგნის სიბოროტე ყოველ ძალას უსპობს ფიცსა, რომელიც დაგიდვიათ“.

ამ წერილმა ერეკლეს ნაწილობრივ გაუქარწყლა ეჭვები, თუმცა საკითხავი იყო ეს წერილი მართლა რომიდან იყო გამოგზავნილი თუ ...

XVII

- ამაი ფარი იმიტომა ჰქვიან, რომა ბრძოლი დროი უნდა აიფარო სხეულზედა, რომა მოქნეულმა ხმალმა არ დაგჭრაი! - ყვიროდა ზაქრო და თავის ტყუპისცალ შვილს, ერეკლეს ხის ფარის გამოყენებას ასწავლიდა. - აი, უყურე!

ზაქრომ ხის ხმალი მაღლა ასწია და ერეკლესკენ დაიქნია. ბიჭმა სწრაფად შეაგება ფარი და მარჯვენაში მომარჯვებული თავისი ხის ხმლით მამას მარცხენა ხელზე დაარტყა.

- ყოჩაღ, ერეკლე! - იყვირა ზაქრომ, - აი, ეგრე! არ დაინდო! დაინდობ და ის დაგასწრებს! გაიგეე!

ვარჯიშისგან დაღლილმა ერეკლემ მამას ნაძალადევად დაუქნია თავი და უთხრა:

- შეიძლება ცოტა დავისვენო?

- კარგი, დაისვენე! - მიუგო ზაქრომ, მერე მეორე ტყუპისცალისკენ გაიხედა, რომელიც მუხის ხის ქვეშ განმარტოებულიყო, ამირანის გამოთლილ ხის ცხენზე შემომჯდარიყო და სადღაც ,,მიაჭენებდა“.

- ეხლა შენ მოდი, გიორგი! - დაუძახა ზაქრომ, - გეყო ცხენზე ჯირითი, დროა ვიხმალაოთ!

- კარგი რა, მამა, - უმალ უპასუხა ,,ცხენზე ამხედრებულმა“ გიორგიმ, რომელსაც მარჯვენა ხელში ისარივით სწორი ჭიგო მოემარჯვებინა და იქვე მდგარ ფშატის ხეს უმიზნებდა, - რაღა დროი ხმალია, იგე შუბი! ესროლე და გაათავე!

როგორც კი სიტყვა დაამთავრა ტყუპისცალმა, მომარჯვებული შუბი გასტყორცნა და ზუსტად მიზანში მოარტყა ფშატის ხის ძირს. მერე თავის ხის ცხენიდან გადმოხტა, მიირბინა ხესთან, იქვე დაგდებული ჭიგო - ,,შუბი“ აიღო, მაღლა ასწია, გაიხედა მამისკენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდა დაიყვირა:

- მოგკალი, წუნკალო ურჯულო! შენი ფეხი არა ვნახო ჩემს მიწაზედა!

ზაქროს გაეცინა, თან გულში უხაროდა ბიჭების ასეთი საბრძოლო შემართება. ბოლოს, მაინც გამოაჩინა თავისი კახური სიჯიუტე და გიორგის გასძახა:

- შვილოო, მარტო შუბოსნობა არაფერ გარგებს, ხმალდახმალ ბრძოლა აუცილებლად უნდა იცოდე! წამოიღე შენი ფარ-ხმალი, ამირანა პაპამ რომ გამოგითალა და მოდი, აქ დადექ!

- კარგი, ზაქრო, ნუ დაიღალე ბავშვები!? - გაისმა ამირანის ხმა, რომელიც სამეზობლო ღობეზე დაყუდებულიყო და თვალს ადევნებდა მამა-შვილების ,,ბრძოლას“, - ჯერ შვიდი წლისანიც არ არიან, არ გეცოდებაა?

- ეხლავე თუ არ ისწავლეი, ამირანა ძია, მერე იგე მიტოაი დაემსგავსებიან, მარტო ყანწებითა და ჯამებით ხმალაობა რო იცი, - უპასუხა ზაქრომ. თავისი ხის ფარ-ხმალი იქვე ხის ძირას დაყარა და ამირანისკენ გაეშურა, - ჩემი ლაშქრობებში ხეტიალის გამო, ისედაც დამაგვიანდა ამათი წვრთნა. ხო იცი, ბავშვმა დედი კალთაში შე-

ფარება თუ დაგასწრო, მერე იმიისგან მეომარი ველარ დადგება!

- ჰოო! მაგაში მართალი ხარ, - დაეთანხმა ამირანი ზაქროს, - დღეი ჩვენ სამშობლოი მეომარი ჭირდება, ისე-დაც მოგვიმრავლდნენ ეი უჯიშოები... ქალაქი კინტოებით გაივსო... ეგ არი და ერეკლემ მშვიდობა დაამყარაო და ვისაც არ ეზარება ყველა აქეთ მორბიი...

- მაშა, მაშა, ამირანა ძია, - მიუგო ზაქრომ და მეზობელს ხელი ჩამოართვა, - ეგრეა! ჰოოდა, ყველა ეგენი კიდენა გლეხკაცი კისერზედა სხედან, ომში წასვლა აღარავი უნდა!...

- მამიი, მამიი! - გაისმა ამ დროს ტყუპების - ერეკლეს და გიორგის ხმა, - ბიჭები სალახტაოდ მიდიან და გაგვიშვი რაა?

- იმ პირობით, რო საღამოი ისევ ხმალაობაში უნდა ვივარჯიშოთ! - სწრაფად დაუბრუნა პასუხი ზაქრომ.

ბიჭებს არ ესიამოვნათ მამის ნათქვამი და უხერხულად აიწურნენ. ზაქროს მათი ეს საქციელი მხედველობიდან არ გამოჰპარვია და დაამატა:

- ხმალაობი მერე ბოღლიწოი გაჭმევთ!

ერეკლეს და გიორგის ბოღლიწოს[36] ხსენებაზე თვალები გაუბრწყინდათ, უცებ გახალისდნენ, სიხარულით გაიქცნენ ეზოს ჭიშკრისკენ და თან ბოლო ხმაზე ყვიროდნენ:

ბოღლიწოო! ... ბოღლიწოო! ... ბოღლიწოო! ...

36 ბოღლიწო - ღვინოში დამბალი პური

ზაქრო და ამირანი კი ეკლესიასთან მდებარე კოშკის სანახავად წავიდნენ, რომელიც მშენებლებს სულ ახლახან დაემთავრებინათ.

წანარიანში სიმშვიდეს დაესადგურებინა. ქართველი კაცი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მტრის მოგერიებით იყო დაკავებული, სიმშვიდეს ვერ ეგუებოდა, რადგან იცოდა, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც, კვლავ მოუწევდა სამშობლოს დასაცავად ხელში იარაღის აღება. ხალხში ასეთი გამოთქმაც კი დამკვიდრდა: ,, უცებ ჩამოწოლილი სიმშვიდე დიდი არეულობის მომასწავებელიაო“. ამიტომაც სოფლის მოსახლეობა დღე და ღამე მუშაობდა თავდაცვითი კოშკების მშენებლობაზე.

ზაქრო და ამირანი მაშინ მივიდნენ ეკლესიის ეზოში მდებარე კოშკთან, როდესაც მამა მირიანი მისი კურთხევით იყო დაკავებული. მარჯვენა ხელში საცეცხლურით, ხოლო მარცხენაში - უსუპით კოშკის გაშემო დადიოდა და ლოცულობდა. გვერდით მორჩილი მისდევდა, რომელსაც ნაკურთხი წყლით სავსე თიხის ჯამი ეპყრა ხელთ და მამაოს მიერ უსუპის გამოწვდის დროს მიუმარჯვებდა ხოლმე. ზაქრო და ამირანი დაელოდნენ მამაოს და როგორც კი მამა მირიანმა დაამთავრა კოშკის კურთხევა, მოძღვარს დაალოცინეს თავი და შევიდნენ შიგნით.

კოშკი რიყის ქვით მყარად ნაგებ მრგვალ ნაგებობას წარმოადგენდა, რომელშიც განთავსებული იყო ხუთი სართული. მიწისქვეშა სართული წყლისა და სანო-

ვაგის შესანახად იყო განკუთვნილი. მეორე და მესამე სართული ხალხის თავშესაფარს წარმოადგენდა, ხოლო მეოთხეს და მეხუთეს საბრძოლო დანიშნულება ჰქონდა. მეოთხე სართულზე ოთხი სალოდე და ორი დახრილი სათოფური იყო ჩაშენებული, ხოლო მეხუთე სართულის მთელ წრეზე სათოფურები იყო განლაგებული.

- ამირან, - მიმართა ზაქრომ მეზობელსა და მამასახლისს, - ისე ამ სალოდეები მაგივრად სათოფურები რომ ჩავაშენოთ, უფრო უპრიანი არ იქნებაა?

- ჰოო, ეგ მეც ვიფიქრე, მაგრამა შენთან შეთანხმებიი გარეშე ვერ გავბედე გადაკეთება, - უპასუხა ამირანმა, - მაგდენი მე არ ვიცი, შენ კიდენა სალაშქროდ იყავ წასული. იგე, ჭალაში ჯერ მანდამდე არც არიან ასული მშენებლები და იქნება ეგრე გავაკეთებინოთ, როგორცა შენ ამბობ, ჰაა?

- ეგრე აჯობებს, ჩემო ამირან, ეგრე მაშა! ...

XVIII

ათას შვიდას სამოცდასამ წელს, ირანის ახალმა მბრძანებელმა ერეკლე მეორე ქართლ-კახეთის მეფედ აღიარა და შეურიგდა ქართველი მეფის გავლენას იმ სახანოებზე, რომელიც ერეკლეს მიერ იყო დაპყრობილი.

ერეკლე მეფის გაძლიერებამ უფრო მეტად გაუხსნა ხელ-ფეხი ანტონ კათოლიკოსს, რომელმაც თავისი ,,მოღვაწეობა“ შურისძიებით დაიწყო. თავისი ამგვარი მოქმედება რომ გაემართლებინა, მას საფუძვლად დაუდო ის ფაქტი, რომ ქართველი სასულიერო პირები არ იზიარებდნენ მის მიერ ჯერ კიდევ რუსეთის ვლადიმირის ეპარქიაში მსახურების ჟამს დაწერილ დავით მეფის ორმოცდამეათე ფსალმუნის - მიწყალეს თარგმანს, რომელიც სავსე იყო ლათინთა და პაპისტთა მწვალებლობის გამომხატველი სიტყვებით. ქართველი სამღვდელოება ასევე უარყოფდა ანტონის შეხედულებებს ეკლესიის თაობაზე, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ ,,ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, სძალი ქრისტესი, არც არის დღეს იერუსალიმისა, არც კონსტანტინეპოლისა, არც ალექსანდრიისა და არც ანტიოქიისა, არამედ მარტო რომის ეკლესია არისო და რომელნიც სამწყსოდ განესაკუთრა მას ყოველნი სამეფონიო“. იქვე სწერს: ,,იესო ქრისტე, რომ ზეცად ამაღლდა, ხორციელი არსება მესამე ცაზე დატოვაო“. მრავალ ადგილას კი მიუთითებ-

და, რომ ,,სული წმიდა როგორც მამისაგან, ასევე ძისაგან გამომავალიაო“.

ანტონის ეს შეხედულებები არ ირწმუნეს და, რა თქმა უნდა, ხელი არ მოაწერეს კათოლიკოსმა იოსებმა, ალავერდელმა ზენონმა, მეფეთმოძღვარმა ხუცესმა ზაქარიამ, ხუცესმონაზონმა არკადიმ, მღვდელმა იოსებმა, მღვდელმა დავითმა, იოსებ დიაკონმა, ძემ ზაქარია ხუცესისა და კიდევ ბევრმა სხვამ.

ანტონმა შურისძიება კათოლიკოს იოსებისგან დაიწყო. სურდა, რომ სხვათა დასანახად დაესაჯა, რათა მათ ანტონის მწვალებლობისთვის დაეჭირათ მხარი. გადაწყვიტა მისი გამოკეტვა მეტეხის ციხეში. ამ საქმის აღსრულებისათვის დახმარება სამეფო კარის ეშიკაღასბაშს[37] სთხოვა. ამ უკანასკნელმა მყისვე გააგზავნა ანტონთან ბოქაულთუხუცესი თავისი ბოქაულებით და იასაულებით. როგორც კი ბოქაულთუხუცესი დავალების მისაღებად ანტონთან გამოცხადდა, კათოლიკოსზე რაღაც უხილავმა ძალამ იმოქმედა, კრიჭა შეეკრა, პირი დაეხშო და ხმა ვერ ამოიღო. ბოლოს, იძულებული გახდა, ხელით ენიშნებინა ბოქაულთუხუცესისთვის, რომ უკან გაბრუნებულიყო. ანტონი დაიბნა, ვერ მიმხვდარიყო, რა ხდებოდა მის თავს. ამ დროს, მასთან ერთგული მსახური - დავით დიაკონი გამოცხადდა და მოახსენა:

- თქვენო უწმიდესობავ, ახლახანს მაცნობეს, რომ იოსებ ჯანდიერიშვილმა დაუტევა კათოლიკოსის ტახტი.

37 ეშიკაღასბაში - მანდატურთუხუცესი

- მერე, სად არის ახლა!?

- რამდენიმე დღის წინ ახმეტაში წასულა - თავის მამულში.

- თავად ჩოლოყაშვილთან გააგზავნეთ შათირი, ჩემი ხელმოწერით უსტარი გაატანეთ, რათა დაავალოს მამასახლისის მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდეს ჯანდიერიშვილი, რომ არ დაიწყოს თავის გარშემო განაწყენებული სასულიერო პირების შეკრება და ეკლესიაში არეულობის შეტანა!

- არა მგონია, თქვენო უწმიდესობავ, მაგან რაიმე არეულობაზე იფიქროს, - მიუგო დიაკონმა, - მთელი თავისი ცხოვრება ბერობისა და განდეგილობისაკენ ილტვოდა. ახლაც, მამულში ჩასულს, ხალხი ისეთი სიხარულით დახვედრია, თითქოს წმიდანი ყოფილიყოს. მისვლისთანავე დაბადებიდან ბრმა განუკურნავს, ლოცვით წვიმა მოუვლენია სოფლისთვის. მაგას იქიდან აღარავინ გამოუშვებს...

ანტონი აღარ უსმენდა დიაკონს, მის მიერ წარმოთქმული სიტყვა - წმიდანი - ხანჯალივით გაეყარა გულში და მხოლოდ ახლა მიხვდა ბოქაულთუხუცესის წინაშე რატომ დაეხშო პირი და რატომ ვერ იღებდა ხმას. მოწოლილი ბოღმისაგან ფიქრის უნარიც წაერთვა და დიაკონს ანიშნა, გასულიყო სენაკიდან ...

ათას შვიდას სამოცდაოთხი წლის ოქტომბერში, ანტონის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებაზე, ზაქარია ხუ-

ცესი, მასთან ერთად ძე მისი იოსები და მოწაფე ისააკი, განკვეთეს და შეაჩვენეს, ,,ამისთვის ჩვენ შეკრებულთა ყოვლად სამღვდელოთა მღვდელმთავართა ვსაჯეთ უსჯულოდ გამოყვანებად და შეჩვენებად ყოვლად უკეთური იგი ხუცესი ზაქარია, დაღათუ არა მწვალებელი, არამედ ვითარცა გარდამავალი მამათა კანონისა გარდამავალისა... აღდგა ცილისწამებად კეთილმსახურსა მეფესა ჩვენსა და მამამთავარსა ზედა ჩვენსა ... განვკვეთთ დიაკონობისაგან და შევაჩვენებთ შვილსაცა მისსა იოსებს, ვითარცა თვისისა შემწესა და თანამწვალებელად მწოდებელსა წმიდისა საქართველოისა ეკლესიისა ... შევაჩვენებთ ჭურსაცა მას ეშმაკისასა, მოწაფესა მისსა ისააკს, ვითარცა ყოველსავე შინა ზიარსა მოძღვრისა თვისისასა. ხოლო უკეთუ მოვიდნენ სინანულად და უკუთქვნენ ყოველივე წართქმულნი თვისნი და შეუვრდენ წმიდასა მამამთავარსა ჩვენსა და წმიდასა კრებასა სრულითა გულითა, შევიწყნარებთ და მოუწოდებთ სინანულად და არა სრულიად წარწყმედულ ვყოფთ, ვითარცა მონანულთა. გარნა შვილსა მისსა იოსებს მოსრულსა სინანულად ორთაგანვე უმოლხინესად შევიწყნარებთ ...“

განჩინებას ხელი მოაწერეს: ანტონ კათოლიკოსმა, თბილისის მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ, სამთავროისა და გორის მიტროპოლიტმა კირილემ, მთავარეპისკოპოსმა ბესარიონმა, ნინოწმინდის მღვდელმთავარმა საბამ, რუისის მღვდელმთავარმა გერმანემ და მანგლისის ეპისკოპოსმა ნიკოლაოზმა.

,,...ვერ ხელეწიფების ღმრთისა მონებად და მამონა-ისა...“

...რამდენიმე წლის წინ ანტონთან ნინოწმინდელი საბა მივიდა და კათოლიკოსს თავი ლათინთა რჯულის თაყვანისმცემლად წარუდგინა ... ბევრი სასულიერო პირი იდგა მის უკან, დღეს კი ...

...მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. ქართული სამღვდელოება ორად გაიხლიჩა, ერთ მხარეს იდგნენ მართლმადიდებლობის ჭეშმარიტი დამცველნი, ხოლო მეორე მხარეს - უნიატები ანტონ კათოლიკოსის ხელმძღვანელობით. სამშობლოს ერთგული, უძლიერესი მხედარმთავარი, მაგრამ სარწმუნოებრივ საკითხებში მერყევი ერეკლე მეფე, ანტონის მზაკვრული ქმედების გამო, ამ უკანასკნელის ,,ბანაკში“ მოხვდა ...

... საქართველოს თავზე ,,შავმა ღრუბლებმა“ მოიყარა თავი ...

XIX

რუსეთის იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულის გარდაცვალების შემდეგ, სამეფო ტახტზე პეტრე მესამე ავიდა, თუმცა ხანმოკლე გამოდგა მისი მეფობა, რადგან მისმა მეუღლემ, ეკატერინე ალექსის ასულად წოდებულმა, სოფია ფრედერიკა ავგუსტა ფონ ანჰალტ-ცერბსტმა,

თავის ფავორიტებს მოაკვლევინა იგი და გახდა რუსეთის იმპერატორი ან უკვე ეკატერინე მეორედ წოდებული.

ეკატერინე მეორე ჭკვიანი მმართველი გამოდგა და თურქეთთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, საქართველოსთვის რუსეთის დახმარების საკითხი დროებით შეაჩერა. ამან გამოიწვია სომხების გააქტიურება, როგორც პეტერბურგის საიმპერატორო სასახლეში, ასევე კართლ-კახეთის სამეფო კარზე.

ტფილისში, ქვემო კალას უბანში მდებარე დედა ღვთისას სახელობის ტაძარი, რომელიც რამდენიმე წლის წინ, ქართველთა წაყრუებით, ხაჩეცარებმა მონოფიზიტურ, ნორაშენის ეკლესიად აქციეს, დღეს სომეხთა დიდი თავყრილობის ადგილად გადაქცეულიყო. ლაზარე ჭაუკელს შემოეკრიბა ყველა ისინი, ვინც საქართველოში სომეხთა გავლენის გაძლიერებით იყო დაკავებული და მათ ივერთა ქვეყნის დაქცევის მორიგ მზაკვრულ გეგმებს სთავაზობდა.

- ასეთი ხელსაყრელი დრო შეიძლება აღარ განმეორდეს, - მიმართავდა ჭაუკელი თავის თანამოაზრეებს, - ერეკლეს დახმარების ყველა გზა გადაეკეტა. არც რუსეთი და არც რომი მას არ ეხმარება, არადა გამუდმებული ლაშქრობებისთვის ფული მუდამ სჭირდება. მართალია ის ირანის შაჰმა კართლ-კახეთის მეფედ აღიარა, მაგრამ ალბათ ესეც დროებითია. ასე რომ, ერეკლეს ჩვენს იქით გზა არა აქვს, ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენი სამშობლოს, სომხეთის ინტერესებიდან გამომდინარე.

- ჩვენ ისედაც ვმოქმედებთ, ლაზარე, - თქვა აბოვ მელიქმა, - ქართლის ქვედა სოფლებში უამრავი ქართველი მოვნათლეთ ჩვენს ეკლესიებში და უმეტესი ნაწილი გადავიყვანეთ ჩვენს ტრადიციებზე.

- ნათლობა აუცილებელია და ეს პროცესი უნდა გავაგრძელოთ უსასრულოდ, - მიუგო ჭაუკელმა, - მაგრამ უფრო საშუროა ჩვენმა ხალხმა სამეფო კარზე შეაღწიოს და თანამდებობები დაიკავონ.

- ეგ რაღად გვინდა? - იკითხეს აქა-იქ, - იმათი შენახვა ძვირი დაგვიჯდება! ...

ლაზარემ ხელის აწევით ყველას ანიშნა გაჩუმებულიყვნენ:

- საიდუმლო ცნობა მივიღეთ ეჩმიაძინიდან. ჩვენებმა მოახერხეს რუსეთის სამეფო კარზე იმპერატრიცას ფავორიტების და მოხელეების მოქრთამვა და ამზადებენ რუსეთ-ეჩმიაძინის ხელშეკრულებას დიდი სომხეთის აღდგენის თაობაზე. ამიტომ რაც ბევრი ჩვენიანი იტრიალებს ერეკლეს გარშემო მით უკეთესია ამ საქმისთვის.

- ვაჰ! ეს რა კარგი რამე სთქვი, ლაზარე! - გაუხარდა აბოვს, - მაშ, დიდი სომხეთი!? აი, ეს უკვე საქმეა! ...

- მხოლოდ ეს არვინ არ უნდა იცოდეს, ბატონებო! - მკაცრად განაცხადა ჭაუკელმა, - რაც შეიძლება ბევრი ფული უნდა მივცეთ მეფეს და მის მოხელეებს და რატომ, იცით?

არავის ხმა არ ამოუღია... ყველა ლაზარეს მიშტერებოდა და მისგან ელოდა პასუხს. მან კი მშვიდად განაგრძო:

- ჯერ ერთი, რომ ნდობა დავიმსახუროთ და მეორეც, რაც მალე გავაყრევინებთ კათოლიკეებს საქართველოდან, მით უკეთესად წავა ჩვენი საქმე ...

- მერე ანტონი!? - იკითხა ფილიპე ყაითმაზაშვილმა, - ასე უპატრონოდ მიატოვებს კათოლიკეებს?

ჭაუკელს გაეღიმა და მშვიდად უპასუხა ფილიპეს:

- სამეფო კარს და მის დიდგვაროვნებს ევროპას სახლებში მივუტანთ და აღარ დასჭირდებათ ეს უწვერო და ფერუმარილით გადათხუპნული პატრეები ...

- ეგ, როგორ? ... ვერ მიგიხვდით, ლაზარე, - მხრები აიჩეჩა აბოვმა და სხვებსაც გადახედა, - რას გულისხმობ ევროპის ჩამოტანაში? ...

ლაზარეს გაეცინა და გააგრძელა თანამემამულეების დამოძღვრა:

- ხალხო, ახლა ტფილისში მშვიდობიანი დროა. ხალხმა ამოისუნთქა ომებისაგან და გამოიხედა თვალებიდან. დაინახა, რომ ცხოვრება მშვენიერია და კარგად ცხოვრება კიდევ უფრო მშვენიერი. აქ უმრავლესობა ვაჭრები ბრძანდებით. შეხედეთ თავადების ქალებს, შლაპებითა და ქოლგებით რომ დადიან. ქართველები მიმხედვარე ხალხია. სხვას რომ ააქ, იმასაც უნდა. წავა, ვალს აიღებს და სხვაზე უკეთესს იყიდის. რაც შეიძლება ბევრი საქონელი უნდა შემოვიტანოთ ევროპიდან, რუსეთიდან. ფრანციცული ფერუმარილი, რუსული ჭურჭელი, გერმანული ტანსაცმელი და ბევრი რამე, რაც ამათ ერთმანეთს გადაჰკიდებს ...

- ...ეგ როგორ... გადაჰკიდებს... რატომ ვითომ... - ახმაურდნენ სომხები.

- რა ვერ გაიგეთ, - ხელები გაშალა ჭაუკელმა, - ზოგს ქრთამად მისცემთ, ზოგს უფეშქაშებთ. სხვა რომ დაინახავს, ფულიც რომ არ ჰქონდეს, მამულს გაყიდის, რათა სხვაზე კარგად ჩაიცვას და დრო ატაროს ფრანციცულად. ქართველების მამულებს კიდევ, მათივე ფულით ჩვენ ვიყიდით და აი, ასე ნელ-ნელა დავიპყრობთ ამ ქვეყანას. რუსეთს კიდევ როგორც გვინდა ისე გამოვიყენებთ. პეტერბურგში ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები ძალიან უყვართ. ამ საქმისათვის ჩვენ საქართველოში მშვიდობა გვაწყობს, ამას კიდევ ერეკლეს გავაკეთებინებთ. ანტონი ამ საქმეში ხელს არ შეგვიშლის, იმას სულ სხვა მიზნები აქვს ...

ერეკლე მეფე, გარე და შიდა მტრების მოგერიებაზე იყო გადართული და ვერ ხვდებოდა თუ როგორ მზადდებოდა ქვეყნის შიგნით რამდენიმე შეთქმულება, რომელსაც ისევ მისივე სისხლი და ხორცი ედგა სათავეში ...

... მშვიდობამ და განცხრომამ ქართველები დააცილა ერთმანეთს ... სიკეთე ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა, ხოლო ბოროტება ერთ დიდ ზვავად იქცა, რომელიც როდის აგორდებოდა და როდის გადათელავდა ქვეყანას, არავინ უწყოდა, გარდა ღმერთისა, რომელიც ასევე ქართველთა უმრავლესობამ დაივიწყა და მამონას დაემორჩილა ...

XX

თავისი დიდი წინაპრის, იობ მრავალვნებულის მსგავსად, ნატანჯი, ნაწამები, ცოლშვილწართმეული და სამშობლოდან რუსეთს გაძევებულმა ზაქარია ხუცესმა, როგორც იქნა მიაღწია ასტრახანის და სტავროპოლის ეპისკოპოს მეთოდემდე. ეპისკოპოსმა გაიგო რა, რომ ზაქარია თეიმურაზ მეფის მოძღვარი გახლდათ, პატივით მიიღო და გაკვირვებულმა ჰკითხა:

- ასეთი რა დაგიშავებია, ხუცესო, რომ მეფისა და კათოლიკოსის რისხვა დაიმსახურე? ან ვინ ხარ ისეთი, რომ ასეთი კეთილმორწმუნე მეფის მოძღვრად დაგადგინა უფალმა?

ზაქარიამ მუხლი მოიდრიკა ეპისკოპოსის წინაშე, ხელები მაღლა აღაპყრო და შეჰღაღადა:

- ყოვლად სამღვდელო მეუფეო, შენდობას ვითხოვ თქვენს წინაშე. ხუთი წლის უზიარებელი ვარ და ეს წყალობა მიყავ, რომ უაღსარებო და უზიარებელი არ მოვკვდე. ჩემი ჯიში იობიანებად იწოდებიან, იმ იობისგან მოვდივართ, რომელმაც არ უარყო მოსეს რჯული და მისმა მოდგმამ კი მაცხოვარი მესიად მიიღო. გაბაონელები გახლავართ და ქართლში ლტოლვილებად მოვედით დროსა ნაბუქოდონოსორისასა. მას შემდეგ ჩემი წინაპრები ერთგულად ემსახურებოდნენ ქართლის მეფეებს. ახლა კი ხუთი წელიწადია ქრისტეს განკაცების მგმობმა

ანტონმა წმიდის ეკლესიისაგან და ზიარებისაგან მძლავრებით განმაყენა. გაჩხრიკეთ და განიხილეთ ჩემი საქმე, მოხუცებული ვარ, შემიწყალე, უზიარებელი არ მოვკვდე, ყოვლად სამღვდელო მეუფეო. მე ჭეშმარიტად ცოდვილი და უღირსი კაცი ვარ და საღთოს მსჯავრით სამართლად მოწევნული არს ჭირი ესე ჩემს ზედა. შემიწყალე, მეუფეო, და ნუ დამაგდებ მე ცოდვილსა.

ზაქარიას გულწრფელად წარმოთქმულმა სიტყვებმა სულიერად შეძრა ასკეტურად მცხოვრები ეპისკოპოსი. მეთოდემ კვლავ იკითხა:

- და მაინც, რა შესცოდე ეგეთი, რომ ასე გაგიმეტეს, ხუცესო!?

- განსვენებული თეიმურაზის მეფობის დროს, ანტონ კათოლიკოსი ვამხილე მწვალებლობაში, რაც ქართლ-კახეთის საეკლესიო კრებამ დაამტკიცა და ორივე მეფე დაეთანხმა. მერმე ანტონი რუსეთში გაუშვეს მეფეებმა და მსახურობდა ვლადიმირის ეპარქიაში. იქიდან მობრუნებულმა შური იძია ჩემზე და ჩემს ოჯახზედ. რაც ღვთის წყალობა სიმდიდრე მქონდა ან მამისა ან დედისა ან ჩემი მოგებული ან სამღვდელო იარაღი, სრულ მთლად წაგვართვეს და გაგვაშიშვლეს. ცოლი, შვილი და სახლეულნი გლახად გახადეს, კარის-კარ პურს თხოულობდნენ. თექვსმეტი თვე საპყრობილეში ვიყავ. მერმე დიდ პარასკევს გამომიშვეს საპყრობილედან, ანტონ კათოლიკოსმა კი ამბიონზე მრავალჯერ იქადაგა და შეაჩვენა: ,,ვინც

ამათ მოწყალება უყოს, ჩემგან შეკრულ იყოსო, ნუცა ვინ ეკლესიაში შეუშვებთო“. მერმე ანტონმა ჩემი უფროსი შვილი მოაყვანინა, იმდენი აცემინა, ერთი კვირა ავად იყო. სახლში იასაულები შემოგვისია, თუ რამ ხატები დაგვრჩენოდა, ან წიგნები, ან წმიდა ნაწილები სრულ წაგვართვეს. ამას უკან კიდევ მოციქულები გამოგვიგზავნეს - შემოგვირიგდიო, თორემ თუ არ შემოგვირიგდები რუსეთისკენ გაგყრითო და წიგნს მივსწერთო, რომ ქრისტეანად არ შეგიწყნარონო. ჩემგან უარი რომ მიიღეს, მეუღლე და რვა შვილი წამართვეს, მე კი მთის კაცებს მიმცეს და ორმოცი დღე მთაში საპყრობილეში შემაგდეს. მერმე იქ წიგნები მოვიდა მეფისა და კათოლიკოსისა, რომ ,,გააშიშვლეთ და ისე გაჩხრიკეთო, თუ რამ ქონდეს წაართვითო, წიგნი არ გაატანოთ რაო. მეორედ კიდე გრანიცაზე გაჩხრიკეთო“. მაშინვე იასაულებმა სრულიად გამაშიშვლეს და გამჩხრიკეს. მერმე ოსებში გადამიყვანეს. იქიდან ყიზლარს ჩამოველ და ყოვლად მოწყალე ხელმწიფის საბრძანებელს შემოვეხიზნე. ხომ მოგეხსენება ყიზლარსაც არ დამაწყნარეს და იქაც შურითა და მტერობით ჩემის განდევნის წიგნები მოუწერიათ. ახლა თქვენის ქრისტებრის წყალობით აქ გეახელ და ცრემლით აღვსებული მუხლდადგმით თქვენს მაღალს სიწმინდეს და ყოვლადსამღვდელოებას ვევედრები, მომხედენ, შემიწყალე და ნუ დამაგდებ უცხოსა, მწირსა ჭეშმარიტებისა მოძულეთგან დევნილსა.

მეთოდემ ზაქარია ფეხზე წამოაყენა, საწერ მაგიდასთან მიიწვია, სკამი შესთავაზა, ხოლო თვითონ სკივრიდან ქაღალდები ამოიღო და ზაქარიას უთხრა:

- ხუცესო, ეს წერილები ასტრახანის გუბერნატორს გამოუგზავნეს საქართველოდან. ერთ მათგანზე მეფე აწერს ხელს, ხოლო მეორეზე კათოლიკოსი. რუსულ თარგმანს ქართული წერილებიც ახლავს, ისე, რომ შენთვის საინტერესო იქნება მისი წაკითხვა.

ზაქარიამ ეპისკოპოსს გამოართვა წერილები და შეუდგა კითხვას.

,,უწყება ესე ჩვენგან ვითხოვთ, რათა მისმინოთ: ხუცესი ვინმე, სახელით ზაქარია, ნათესავით გაბაშვილი, ჩვენის სამეფოისაგანო, ბოროტ განმჰსჯელი და უკეთურსა ზედა გზასა დადგრომილი, მისმან უწმინდესობამან, მამამთავარმან ჩვენმან და ეპისკოპოსთა სამეფოისა ჩუენისათა შეკრებით შეაჩუენეს და ყოვლისაგან მადლისა განაშიშვლეს წელიწადსა 1764; თთუესა ოკდომბერსა 15, ქალაქსა ტფილისს. და ოდეს იგი შეიჩუენა მიერითგან უუკეთურესთა საქმეთა განვაგდეთ სამეფოით ჩუენით და გუესმის, რომელ ყიზლარ ქალაქ მოსრულ არს, რომლისა ჭეშმარიტი უწყებაი მოვართვით თქუენსა მაღალზე აღმავლობასა, ნუ შეიწყნარებთ ამას, ვითარცა ქრისტეანესა, ამად რომელ ყოვლისაგან ქრისტიანეთა მადლისა შიშუელ არს. მეფე ირაკლი“.

მეორე წერილი ანტონ კათოლიკოსის მიერ იყო დაწერილი:

„მიზეზი ესე არს ჩუენ მიერ თქუენდა მომართ აწინ-დელისა ეპისტოლისა, რომელ უწყება გუნებავს თქუენ-და მიმართ, ვითარმედ ხუცესი ვინმე იყო სახელით ზა-ქარია, ნათესავით გაბაშვილი, ეპარხიისა ჩუენისაგანი, რომელიცა ღირსად და სამართლად განიკუეთა მღუდე-ლობისაგან და შეიჩუენა და ანაფემა იქმნა ჩუენგან და ეპისკოპოსთა ჩუენთა დიდთა სიბოროტეთა მისთათვის. ხოლო ბრალი უკეთურისა მის ესე იყო, რამეთუ შესცო-და უმაღლესსა მეფობასა კეთილმსახურისა და მწყემს-მთავრობასა ჩუენსა, რომლისათვის უწყებაი ესე ამის-თვის მოგვიწერიეს თქუენდა, უკეთუ მანდ ზაკვით და ვერაგობით სამღვდელმოქმედება რაიმე მოინდომოს, ნუ მიუშვებთ სამღუდელოისა მიმართ მოქმედებისა. მადლი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი ამინ. ანტონი კათალი-კოსი ყოვლისა ზემოისა საქართუელოისა“.

ზაქარია ხუცესმა დაამთავრა წერილების კითხვა, ქაღალდები მაგიდაზე დაალაგა და თავისდაუნებურად აღმოხდა:

- გვიწია ღვთის რისხვამ! ... ვაი, ჩემო უბედურო სა-ქართველოვ, ალიყული-ხანის შვილის გასართობად და საბურთაოდ რომ გაგხადეს ... აღსრულდა წყევლა! ... ღმერთო, შენ დაიფარე ჩემი სამშობლო, მე თუ გინდა ეხ-ლავე მომკალ! ...

- ალიყული-ხანი ვინ იყო? - იკითხა ეპისკოპოსმა.

- იესე, - მიუგო ზაქარიამ, - მისი ძმა ვახტანგ მეექვსე აქ არის დაკრძალული თეიმურაზ მეფის გვერდით. შაჰის

სამსახურში იყო, იქ მიიღო მაჰმადის რჯული. მერმე შაჰ-მა ქართლის მეფედ დაამტკიცა. როდესაც მეფობა ვახ-ტანგ მეექვსეს გადასცეს, იესე დააპატიმრეს და მაშინ უარყო მაჰმადიანობა და ისევ ქრისტეს რჯულზე მოექ-ცა. მერმე ოსმალებს გაურიგდა და მეფობის სანაცვლოდ ისევ გამაჰმადიანდა და მუსტაფა ეწოდა. შვილიც მის გზას დაადგა, მხოლოდ მან ჭეშმარიტი რჯული ქრისტე-სი ლათინების სარწმუნოებაზედ გასცვალა და მხილების შემდეგ, ცბიერებით გაიკვლია გზა რუსეთის სინოდშიც და ერეკლეს სამეფო ტახტზედაც ...

- წერილებში, რომ მის კათოლიკობაზე არაფერი სწერია? - შეაწყვეტინა სიტყვა ზაქარიას მეთოდემ.

- ეს ორივე წერილი ანტონის შედგენილია - უპასუხა ზაქარიამ, - მე ხომ ვცნობ მის დაღვარჭნილ ენას. თავის თავს თვითონ ხომ არ ამხელდა, ერეკლეს მხოლოდ ხელი მოაწერინა. ის შურისგებით არის შეპყრობილი, დღესაც ვერ მოუნელებია, რომ ქართლის ტახტზე თეიმურაზი იჯ-და, მალე ერეკლესაც გადაჩეხავს უფსკრულში.

- ხუცესო, მე მჯერა თქვენი, - მშვიდად განაცხადა მეთოდემ, - და რატომ იცით? მე ვიცნობდი თქვენს სუ-ლიერ შვილს, მეფე თეიმურაზს. ის იყო უაღრესად კე-თილშობილი და ღრმადმორწმუნე ქრისტიანი და არ შე-იძლება მისი მოძღვარი ისეთი პიროვნება გახლდეს, რო-გორსაც წერილებში აღწერენ მეფე და კათოლიკოსი. არ არის გამორიცხული, რომ ხვალ ასეთივე წერილები რუ-

სეთის წმიდა სინოდის სახელზეც გააგზავნონ, ამიტომ მისწერეთ თქვენს შესახებ სინოდს, აუხსენით, რაც მოხდა სინამდვილეში და ითხოვეთ შენდობა.

ზაქარია ხუცესმა შეასრულა ეპისკოპოს მეთოდეს კურთხევა და რუსეთის წმიდა სინოდს გაუგზავნა რამდენიმე მოხსენება. პასუხმაც არ დააყოვნა. სინოდმა დაავალა ასტრახანის და სტავროპოლის ეპისკოპოსს: ,,ყურადღება მიექცეს იმას, მართლა კეთილმორწმუნეა ზაქარია მღვდელი? და თუ რაიმე ეჭვს იწვევს, თუ იგი მართლაც მართლმადიდებლად მოევლინება საჯაროდ ეპისკოპოსს და დანარჩენ სამღვდელოებას, მაშინ სანამ მისი საქმე გაირჩეოდეს, მოათავსონ იგი მონასტერში სათანადო ზედამხედველობის ქვეშ, რომ არსად წავიდეს და მხოლოდ იმ შემთხვევაში ათქმევინონ აღსარება და აზიარონ, თუ მომაკვდავი გახდა“.

ერთი წლის შემდეგ, ზაქარიამ ახალი მოხსენება წარადგინა სინოდში და თან დაურთო საქართველოდან გამოგზავნილი ,,მიწყალეს“ ხელნაწერი და ცალკე წერილით ფარდა ახადა ანტონის მწვალებლობას. როგორც ჩანს, ოსმალეთთან რუსეთის დაძაბული ურთიერთობის გამო, სინოდი მოერიდა ერეკლე მეფის გაღიზიანებას, თუმცა არც ზაქარია ხუცესის მდგომარეობა დატოვა უყურადღებოდ და შუამდგომლობა აღძრა ანტონ კათალიკოსის მისამართით, რათა ეპატიებინა ზაქარია გაბაშვილისთვის დანაშაული. ხუცესს ურჩიეს გულწრ-

ფელად მოენანიებინა ცოდვები და პატიება ეთხოვა საქართველოს ეკლესიისათვის. ოქმს ხელი მოაწერეს სანკტ-პეტერბურგის არქიეპისკპოსმა გაბრიელმა, ტვერის ეპისკოპოსმა პლატონმა და წმიდა სამების ლავრის არქიმანდრიტმა. ხოლო ეპისკოპოსმა მეთოდემ წმიდა სინოდიდან მიიღო ბრძანებულება ანტონისთვის ეცნობებინა საქმის ვითარება, ზაქარიასთვის მიეცა პასპორტი და გაეგზავნა საქართველოში.

ზაქარია ხუცესი დაბრუნდა საქართველოში და თავი შეაფარა იმერეთში სოლომონ მეფის კარს და არც არასდროს კათოლიკოს ანტონის მისამართით არაფერი მოუნანიებია, რადგან მოსანანიებელი არაფერი ჰქონდა.

XXI

სტეფანწმინდას ცხენოსანთა გუნდი მიუახლოვდა. ამალას წინ მოხუცი მედროშე მიუძღვოდა. ეს ის უშიშარი, ერეკლესთან ბავშვობიდან შეზრდილი ხევსური ბაღათერი გახლდათ, რომელსაც დროშა არც ერთ ომში დაბლა არ დაუშვია. კრწანისის ბრძოლაში დამარცხების შემდეგაც კი ანანურისკენ მიმავალ მეფეს წინ მიუძღვოდა და ამით მთელს ქვეყანას ამცნობდა, რომ საქართველო და მისი ,,აშვებული ლომი“ კვლავ იტყოდნენ თავის სიტყვას და სპარსელებს არ შეარჩენდნენ გამარჯვებას და სომხებს - ღალატს.

ბაღათერს უკან თეთრ ცხენებზე ამხედრებული სამი ჭაღარა მეომარი მისდევდა, ერეკლეს თანამებრძოლნი - ზაქრო, იასე და მგელიკა. მათ უკან კი ცხენებს ოცდაათამდე ახალგაზრდა მეომარი მოაჭენებდა. შორიდანვე ჩანდა, რომ ისინი საომრად არ მიდიოდნენ, არც ქორწილის მაყრიონს ჰგავდა მათი გუნდი. სტეფანწმინდის გასასვლელში ჩამოქვეითდნენ მხედრები, შეტრიალდნენ მყინვარისკენ, საიდანაც გერგეტის წმიდა სამების ტაძარი გოროზად გადმომდგარი იყურებოდა კავკასიონის მწვერვალებიდან, პირჯვარი გადაიწერეს, მერე ისევ ამხედრდნენ ცხენებზე და დარიალისკენ გაჰქუსლეს. ხეობა რაც უფრო ვიწროვდებოდა, მით უფრო ძლიერდებოდა კლდეებს შუა აზვირთებული თერგის ღრიალი, რომელიც ავისმომასწავებლად ეხეთქებოდა ხეობაში საუკუნეების განმავლობაში მიმოფანტულ, მრავლისმნახველ, უზარმაზარ ლოდებს. ამ ყურთასმენის წამღებ ხმაურში ცხენთა ფლოქვთა თქარუნიც აღარ ისმოდა, აქ შემოსულს ეგონებოდა დევების სამფლობელოში მოვხვდი და ვაი, თუ ვეღარ გავაღწიოო. შორს დარიალის ციხეც გამოჩნდა, რომელიც ვახტანგ გორგასალმა ააგო და საზღვარი გაავლო საქართველოსა და ჩრდილოეთის ქვეყნებს შორის. ციხესთან ქართული ეკლესიის სამღვდელოებას მოეყარა თავი, რომლებიც უკვე სამი დღეა აქ ღამის თევის ლოცვებს აღავლენდნენ. რუსეთის იმპერატორს ალექსანდრე პირველს გადაეწყვიტა ქართველებისთვის

დაებრუნებინა წმიდა ნინოს ჯვარი, რომელიც ვახტანგ მეექვსის შთამომავლების დავალებით, ნახევარი საუკუნის წინ, წმიდა ნინოს ხატთან ერთად გაიტაცა გორისა და სამთავროს მიტროპოლიტმა რომანოზ ერისთავმა და მოსკოვში მიართვა თავის დას, ბაქარ ვახტანგის ძის მეუღლეს. შემდეგ ხატი გიორგი ბატონიშვილთან ინახებოდა, რომელსაც გასულ წელს იმპერატორ ალექსანდრესთვის მიურთმევია. ამ უკანასკნელს კი უბრძანებია, რომ ეს უდიდესი სიწმიდე დაებრუნებინათ თავის პირვანდელ სამყოფელში - საქართველოში. ამიტომაც ერი და ბერი შეკრებილიყო საქართველოს ჩრდილოეთ კარიბჭესთან, რათა შეგეგებოდნენ იმ სიწმიდეს, რომლის მეშვეობითაც ქართველები ეზიარნენ ჭეშმარიტ სარწმუნოებას.

ერეკლეს თანამებრძოლთა გამოჩენამ დიდი სიხარული გამოიწვია ხალხში. ყველას სმენოდა მათი გმირობის და მეფისადმი ერთგულების შესახებ. ზაქრომ და მისმა მეგობრებმა შეიტყვეს, რომ რუსეთის სამღვდელოება და იმპერატორის ნდობით აღჭურვილი მოხელეები ჯვარს მალე მოაბრძანებდნენ დარიალის ციხესთან. მანამდე კი განმარტოვდნენ და გზაში დაწყებული საუბარი გააგრძელეს.

- როგორ ფიქრობ, ზაქრო, - თქვა იასემ და მეგობარს ხელი გადახვია, - იმპერატორ ძაან გული შასტკივა ჩვენზედა და იმიტომ გვიბრუნებს ჯვარსა?

- მე ზაქარია ხუცესისგან გამიგონია, ღმერთმა გაანათლოი მისი სული, - მიუგო ზაქრომ, - ვახტანგი შთა-

მომავლები აპირებენო წმიდა ნინოი ჯვრით ხელში და თეთრ ცხენზე ამხედრებულნი ქართლში შემოსვლასაო. ამიტომ მოიპარეი და რუსეთში გადამალეი ჯვარიო.

- მაშინ გიორგი ბატონიშვილი და მისი ამალაც უნდა მოჰყვებოდეს ჯვარსა. ეგრე არ არის!? - იკითხა მგელიკამ.

- როგორც ამბობენ, რუსები გარდა არავინ მოიყვებაო ჯვარსაო, - უპასუხა ზაქრომ მგელიკას, - უკან კიდენა სამი ათასამდე ჯარისკაცი მოსდევსო. რისთვინ ჭირდებათ ამდენი ჯარისკაცი? ისედაც ბევრი ჰყავთ თბილისსა და ახლომახლო სოფლებში.

- რაღაცა არ მამწონს ეგ საქმე - ჩაილაპარაკა იასემ და ჭაღარა თმებზე ხელი გადაისვა, - ნინოი ჯვრი ჩამობრძანებით სადღაცაი შეტყუებაი ხო არ გვიპირებენ?

- მეტი რაღა უნდ გაგვიკეთონ - მწარედ გაეღიმა ზაქროს, - რაც ნარჩევი ბიჭები გვყანდა, ნიახურას ომის შემდეგ ალექსანდრე ბატონიშვილ გაიყვნენ ირანში, ჩვენი შვილები თამადობითა. აქ ვინღა დარჩნენ? ჩვენ ბებრები, რუსები და სომხები! იგე, ეხლა მოვიმკეთ ის, რაც დავთესეთ!

უცებ, მოისმა ხმა:

- ნინოს ჯვარი მობრძანდება! ... ნინოს ჯვარიი! ... ხალხო, დაიჩოქეთ! ...

ქართველობამ, წმიდა ნინოს ჯვრის დანახვაზე, მუხლი მოიყარა და მადლობა გადაუხადა უფალს ამ უდიდესი სიწმიდის დაბრუნებისათვის. სასულიერო პირებმა უმალ დაიწყეს პარაკლისის ჩატარება ...

... თითქოს თერგმაც შეწყვიტა ხმაური და დარიალის ხეობაში ტკბილი გალობა ნელ-ნელა მრავალჟამიერმა და საბრძოლო სიმღერებმა ჩაანაცვლა ...

ჯვარი, ანანურის გავლით, სვეტიცხოველში მიაბრძანეს, ხოლო ათას რვაას ორი წლის ცხრა აპრილს საბოლოო განსასვენებელი ჰპოვა თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში.

უამრავი ხალხი მოვიდა სიონის ეკლესიაში. წმიდა ნინოს ჯვრის დაბრუნებას ზეიმობდა მთელი საქართველო. ქართველებს მშვიდობისა და მომავალი ბედნიერი ცხოვრების განცდა დაუფლებოდათ ...

შეკრებილ საზოგადოებას იმპერატორ ალექსანდრე პირველის კარის მოხელემ ამცნო, რომ სამ დღეში ანუ თორმეტ აპრილს, აქ, სიონის ტაძარში წაკითხული იქნებოდა იმპერატორის მიერ გამოცემული მანიფესტი რუსეთთან ქართლ-კახეთის სამეფოს შეერთების შესახებ და ყველას სთხოვა, მათ შორის ქართველ თავად-აზნაურებს, რომ აუცილებლად დასწრებოდნენ ძმური და ერთმორწმუნე ხალხების შეერთების ამ საზეიმო ცერემონიალს.

თორმეტ აპრილს, სიონის ტაძრის ეზოში უამრავი ხალხი შეიკრიბა. ყველას საზეიმო განწყობა დაუფლებოდა. როგორც იქნა სამშობლოს დაუბრუნდა უდიდესი სიწმიდე - წმიდა ნინოს ჯვარი. რუსეთის იმპერატორის ამ ნაბიჯს ქართველები დიდი სიხარულით შეხვდნენ და დარწმუნებულნი იყვნენ, რომ დღევანდელი მანიფეს-

ტით საბოლოოდ შეერთდებოდა ორი ერთმორწმუნე ერი და საქართველო საბოლოოდ გათავისუფლდებოდა მაჰ-მადიანური ქვეყნების უღლისაგან. მხოლოდ ერთ რა-მეში ვერ გარკვეულიყო ხალხი, რა საჭირო იყო ამდენი ჯარისკაცის თავშეყრა სიონთან, რომლებიც მეთაურე-ბის ბრძანებების შედეგად ნელ-ნელა ალყაში აქცევდ-ნენ ტაძრის ეზოში შეკრებილ ქართველობას. ამასობაში დაიწყეს მანიფესტის წაკითხვა, რომლის საფუძველზეც გაუქმებულად გამოცხადდა ქართლ-კახეთის სამეფო და იგი გახდა რუსეთის ერთ-ერთი გუბერნია, რომლის მმართველად იმპერატორმა დანიშნა გენერალი კნორინ-გი. ალყაშემორტყმულ ქართველობას კი მოსთხოვეს იმ-პერატორის ერთგულებაზე ფიცის დადება. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველას პატიმრობა ელოდა. ქართველების ნაწილმა მოახერხა ალყის გარღვევა და გაქცევა, მათ შო-რის ზაქრო და იასეც იყვნენ.

- ხო გითხარ დარიალში, მაგ ჯვრი ჩამობრძანებითა სადღაცაი შეტყუებაი გვიპირებენ-მეთქი, - უთხრა იასემ ზაქროს, - ინდე, ამასაცა მოვესწარით, ჩემო ძმაო!

- იასე, - თქვა დაფიქრებულმა ზაქრომ, - მე ეგ ჯვა-რი ანანურში, ეკლესიაში მააქ ნანახი, სანამ გაიტაცებდ-ნენ. მაშინ ბალღი ვიყავ. ეგეთი დაშვებული ფრთები არა იქონდა, ჩვეულებრივი სწორფრთებიანი ჯვარი იყო.

- ვახტანგი ხალხ ან გაუტყდათ ან კიდენა ... რა ვთქვა აბა, აღარ ვიცი ... ღმერთო მაპატიე და შემიწყალე.- წა-მოიძახა იასემ და პირჯვარი გადაიწერა.

ზაქრო კი თავჩაღუნული მიდიოდა და თავისთვის ბუტბუტებდა:

- რაც ვერ მოახერხეს სპარსელებმა და ოსმალებმა, რუსებმა ჩვენივე ხელით გაგვაკეთებინეი... გამოდის, რომა იმ ცხონებულ ერეკლესა და ჩვენცა რუსებისთვინ და სომხებისთვინ გვიწვალნია და გვიბრძოლნია ...



ბოლოთქმა

დასრულდა კიდევ ერთი ტრაგიკული ამბავი ჩვენი ისტორიისა, რომელმაც ნათლად დაგვანახა, რომ სამყაროს განაგებს წმიდა სამება, რომლის წინააღმდეგ წასვლა არასდროს არ მოიტანს არც ქვეყნისთვის და მით უმეტეს არც ადამიანებისთვის კარგ შედეგს. წმიდა იოანე ოქროპირი გვასწავლის: ,,თავისუფლებისთვის გაგათავისუფლად ღმერთმა და ნუ იქნებით ადამიანთა მონები". მით უმეტეს იმ ადამიანთა მონები, რომლებიც შეპყრობილი ჰყავს მამონას, რომლებმაც უარყვეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. არც კათოლიკები, არც მონოფიზიტები და არც უპატრიარქო რუსეთი არასდროს ყოფილა საქართველოს გულშემატკივარი და მით უმეტეს დახმარების და მფარველობის გამწევი. ჩვენი მდიდარი და განსაცდელებით აღსავსე ისტორიის მანძილზე, როდესაც კი ქართველებს ღმერთის მცნებები დაურღვევიათ, სასჯელსაც არ დაუგვიანია. გიორგი მესამემ ღმერთის მიერ ნაკურთხი ბაგრატოვანთა პირდაპირ სამეფო ხაზს გადაუხვია და დემნა უფლისწულის ნაცვლად თამარი აიყვანა ტახტზე. ამას მოჰყვა გაუგონარი მკრეხელობა თამარის სამების ჰიპოსტასის მეოთხე წევრად, ხოლო ლაშა გიორგის ქრისტეს სწორად შერაცხვა და სასჯელსაც არ დაუგვიანია - მონღოლთა უღელი დავიდგით მხრებზე.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ბრწყინვალემ, უფლის მიერ ბოძებული გენიალური ნიჭის წყალობით, სა-

ქართველო გაათავისუფლა მონღოლთა ბატონობისგან, ეს უკანასკნელნი შორს არ წასულან და სამუდამოდ დაიდეს ბინა, როგორც რუსეთში, ასევე რუსებში და გახდნენ მათი გენის განუყოფელი ნაწილი.

ერეკლე მეფემ, 1756 წლის ქართლ-კახეთის საეკლესიო კრებაზე დადებული ფიცი დაარღვია, ხოლო ანტონ კათოლიკოსმა, რომელმაც გადაუხვია ჭეშმარიტ სარწმუნოებას და ამ მიზნის მისაღწევად საქართველოდან, უდიდესი სიწმიდე, წმიდა ნინოს ჯვარიც კი გაატანინა, მოამზადა ნიადაგი ქართული და რუსული ეკლესიების შეერთებისათვის და 1783 წლის ტრაქტატით განახორციელა თავისი მიზანი - ქართული ეკლესია დაუმორჩილა რუსეთის ეკლესიას და უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური გახდა სხვა, უპატრიარქო ეკლესიის, სინოდის წევრი. ამ ანტიქრისტიანული საქმის განხორციელების დროს არ დაინდო არავინ, ვინც წინ გადაეღობა და შური იძია, მათ შორის ღმერთშემოსილ მეფე თეიმურაზზე და მის კარის მოძღვარზე ზაქარია ხუცესზე. ამ შემთხვევაშიც არ დააყოვნა სასჯელმა და საქართველომ კვლავ დაიდგა მხრებზე მონღოლების უღელი, ამჟამად უკვე რუსეთის სახით და ისიც თვითონ მოითხოვა. აკი სწერდა გიორგი მეთორმეტე რუსეთის იმპერატორს პავლე პირველს: ,,ახლა გჭვრეტთ თქვენ ჩემს ხელმწიფედ, ჩემს მონარქად და ვსასოებ, რომ ჩემი გამოწვდილი ხელები უარყოფილი არ იქნება“...

,,...ნუ იქნებით ადამიანთა მონებიო... “ გვაფრთხილებდა წმიდა იოანე ოქროპირი.

ღმერთმა რუსეთისკენ მიმავალ თეიმურაზ მეფეს მცხეთაში, ხილვით, არმაზის მთაზე, ფარნავაზის ქანდაკების ბივრიტის თვალის ბრწყინვალება დაანახა, რომლითაც წმიდა ნინომ ხეზე ჯვარი გამოსახა და ილოცა. მეფეს ბრწყინვალება დარიალის ხეობამდე მიჰყვებოდა. ეს იმის მაუწყებელი იყო, რომ საქართველოს და ქართველებს უფალი არ გაწირავს ქვეყნის აღსასრულამდე თუ, რა თქმა უნდა, მისი მცნებების აღმსრულებლები ვიქნებით.

ჩვენი წინაპრების მიერ ღმერთის წინაშე ჩადენილი ცოდვების გამო, ზეციდან დაშვებული სასჯელი არასდროს არ მოგვეხსნება თუ მთელმა ერმა არ მოვინანიეთ და არ შევღაღადეთ უფალს, რათა მოგვიხსნას ეს საუკუნის წყევლა ...

... მაშინ გაბრწყინდება არა მარტო ბივრიტის თვალი, არამედ სრულიად საქართველო. ამენ!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ,,ქართლის ცხოვრება“ - ს. ყაუჩხიშვილის რედაქციით. ტ.IV თბ. 1973 წ.
2. სულხან-საბა ორბელიანი - ,,ლექსიკონი ქართული“. ტ. I-II თბ. 1993წ.
3. თ. ჟორდანია - ,,ანტონ I“.
4. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე - ,,საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“. ტ IV თბ. 2012 წ.
5. ,,წმიდათა ცხოვრება“ - ტ. IV თბ. 2001 წ.
6. თ. პაიჭაძე - ,,აღვამაღლო რჩეული ერისაგან ჩემისა ...“ თბ. 2019წ.

დაიბეჭდა შპს „მწიგნობარის“ სტამბაში

0102, ქ. თბილისი, კიევის ქ. №10; ტელ.: 294 05 71

www.mtsignobari.ge

ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერეკლე მეფეს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისმა თავდადებულმა ბრძოლამ, საქართველოს გაძლიერების საქმეში, თვალნათლივ დაგვანახა, რომ ქართველებს შეუძლიათ ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, რომელსაც მტერი ვერაფერს დააკლებს, რადგან ღმერთი და ღვთისმშობელი იცავს მას. მხოლოდ შინაურ მტერს შეუძლია საკუთარი სამშობლოს დაქცევა და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა. თეიმურაზ მეფის გარდაცვალების შემდეგ, ერეკლეს გარშემო მოღალატეთა მთელი არმია შეიკრიბა, რომლებმაც ისარგებლეს მეფის მოუცლელობით თუ ზოგ შემთხვევაში წაყრუებით და ქართველი ვაჟკაცების სისხლით და შრომით მოპოვებული და განმტკიცებული ქვეყანა ძირს დასცეს და სხვათა საჯიჯგნი გახადეს.

სასჯელი მკაცრია, თუმცა მისი მოხსნა შესაძლებელია.

ეროსან სიხარულიძე - საუკუნის ნაკვეთი

ISBN 978-9941-498-12-1